საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

4

1991

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
Известия Академии наук Грузии

ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

4. 1991

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანია, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ო. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 10.IX.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.XII.91; [illegible] 7x12;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.97;
შეკვეთა № 2056, ტირაჟი 900
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

გ. ბერიძე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918—1921 წწ.) . 7
ნ. აფხაზავა, ალანები და საქართველო 53
ა. სურგულაძე, დამოუკიდებელი საქართველო ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაში . . 60
ა. სონღულაშვილი, ქიზიყის უფლებათა საკითხისათვის 74
ჯ. ვათეიშვილი, ნაპოლეონის არმიის ნაკვალევზე 90

ცნობები და მასალები

ვ. სილოგავა, რუისის დაწერილის ფრაგმენტები ახალი და ძველი ზოგიერთი წყაროდან 113
ა. [illegible], ერთი ვარიანტის „[illegible]" [illegible] შესახებ 128
გ. [illegible], [illegible] და საქართველოს შორის 148
ნ. [illegible], გ. [illegible], [illegible] შემსწავლელისათვის . . 156
ი. [illegible], [illegible] და [illegible] წყნეთში . . . 168

დისკუსია და მასალა

მ. [illegible], კვლავ შუა საუკუნეების საქართველოს [illegible] ისტორიის შესწავლისათვის ([illegible]) 177

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რ. [illegible], [illegible] საქართველოს [illegible] [illegible] ტერიტორიებზე 181

[illegible]

ა. [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] . . 186

[illegible]

[illegible] (დაბადების 70 წლისთავი) 188
[illegible] (დაბადების 70 წლისთავი) 189

ჯ. [illegible], [illegible] [illegible] ([illegible]) . . 191

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

В. В. БЕРИДЗЕ, Культура и искусство в независимой Грузии (1918—1921 гг.) . . . 7

Н. И. АБХАЗАВА, Аланы и Грузия 33

П. А. СУРГУЛАДЗЕ, Независимая Грузия в эмигрантской историографии (1918—1921 гг.) 60

А. В. СОНГУЛАШВИЛИ, К истокам права женщин 74

Дж. ВАТЕИШВИЛИ, По следам Никифора Ирбаха 90

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. И. СИЛОГАВА, Копия фрагмента документа «Писание Ркони» и о прочтении некоторых мест в его тексте 113

Н. М. ПИРПИЛАШВИЛИ, Еще раз о назначении «многокамерных пещер» Вардзии 123

Т. С. ЦОЛОЕВ, Экономические взаимоотношения между Чечено-Ингушетией и Грузией (I—XVIII вв.) 143

Н. А. БАХТАДЗЕ, Г. Э. БАГРАТИОНИ, К изучению пустыни-монастыря «Кондамиани» 156

И. И. ГОГИНАШВИЛИ, Правила кровной мести и композиции в Хевсурети 166

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ, Вновь по поводу научной организации в средневековой Грузии (о «воинской повинности») 177

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. В. ЦКИТИШВИЛИ, Монография о внешнеполитических отношениях Грузии в течение века 181

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Г. В. КОРАНАШВИЛИ, О перспективах исследования одного ранее запрещенного вопроса 186

НАШИ ПОЗДРАВЛЕНИЯ

Т. А. Очиаури (К 70-летию со дня рождения) 188

О. М. Джапаридзе, (К 70-летию со дня рождения) 189

Дж. А. РУХАДЗЕ, Памяти Н. П. Бриндашвили (некролог) 191

CONTENTS

ARTICLES

V. Beridze, Culture and Art in Indepedent Georgia (1918—1921) 7
N. Apkhazava, Alans and Georgia 33
P. Surguladze, Independence Georgia in émigré Historiography 60
A. Songulashvili, At the Source of Women's Right 74
J. Vateishvili, By the Steps of Nikiphor Irbakh 90

PROCEEDINGS AND NOTES

V. Silogava, A Copy of the Fragment of the Rkoni Charter and the Decipherment of Some Passages of the Text 113
P. Pirpilashvili, of „multiniche case" of Vardzia 123
T. Tsoloevi, Trade Relations between Checheno-Ingusheti and Georgia 143
N. Bakhtadze, G. Bagrationi, On the study of the Kondamiani hermitage-monastery 156
I. Goginashvili, The Rules of Blood and composition in Khevsureti . . . 166

DISCUSSION AND ANALYSIS

E. Khoshtaria-Brosset, Again about Studying Military Organizations in Mediaeval Georgia (about „Liability for Military Service") 177

CRITICISM AND BIBLOGRAPHY

T. Tskitishvili, The Monography on One Century Foreign-Political Relations of Georgia 181

CRITICISM AND INFORMATION

D. Koranashvili, The Perspectives of the Research of the Tabooed Problem 186

OUR CONGRATULATIONS

Tinatin Ochiauri (to the 70th Aniversary) 188
O. Japaridze (to the 70th Aniversary) 189

J. Rukhadze, Memor N. Braliashvili (Obituary) 191

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ვახტანგ ბერიძე

კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918—1921 წლებში)

სულ ბოლო დრომდე საქართველოს დამოუკიდებლობის წლების (1918 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე) ქართულ კულტურას ტაბუ ჰქონდა დადებული. რაკი მაშინდელი სოციალ-დემოკრატიული („მენშევიკური") მთავრობა ხალხის უბოროტეს მტრად და მოღალატედ იყო აღიარებული (არსებითად, ისევე, როგორც ყველაფერი არასაბჭოთა და არაკომუნისტური), მექანიკურად ამოშალეს ჩვენი ისტორიიდან ისიც, რასაც იმ წლებში თვით ხალხი ქმნიდა, ხაზი გადაუსვეს მის მაშინდელ შემოქმედებას. ის ორი წელიწადი და რამდენიმე თვე თითქოს არც ყოფილა. ერთადერთი, რისი უგულებელყოფაც ვერ მოხერხდა, ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო (რაც, რამდენიმე თვით უსწრებდა წინ დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებას). სხვა მნიშვნელოვან ფაქტებს ან სულ არ ახსენებდნენ, ან ცალუბად, გაკვრით, აუღებულად და გაბოროტებით.

სინამდვილეში კი ის წლები დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში — მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში — დროის იმ სულ მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველ მხრივ მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა (ერთადერთი დარგი, იმ წლებს რომ კვალი არ დაუტოვებია — ხუროთმოძღვრებაა). გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება. ასეთი აღტყინება მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი.

მაგრამ ამ წლების მექანიკური გამოთიშვა რევოლუციის წინა წლებისგან, მხოლოდ 1918—21 წლებით შემოფარგვლა, არ შეიძლება. ის, რაც მაშინ შეიქმნა, ადრევე მზადდებოდა, ეს იყო ორგანული გაგრძელება იმ მიზანდასახული შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებლობას და — ეს არის მთავარი — ამზადებდა ამ დამოუკიდებლობას სულიერი ცხოვრების სფეროში. დღეს, როდესაც ჩვენ კვლავ დამოუკიდებლობის მიჯნაზე ვართ, მასთვის ვილტვით, სწორედ დროა გავიხსენოთ ის წლები და გავიაზროთ ქართული ინტელიგენციის მაშინდელი მოქმედება. ყველანი ელოდნენ რუსული სამეფო ხელისუფლების დამხობას, ელოდნენ რევოლუციას და, როგორც მის უმნიშვნელოვანეს შედეგს — ეროვნულ გათავისუფლებას. და ყველა გამსჭვალული იყო იმის შეგნებით (ეს არის განსაკუთრებით ხაზგასასმელი და დასამახსოვრებელი), რომ ამ დამოუკიდებლობას ესაჭიროება განათლებული, მაღალკვალიფიციური ადამიანები მეცნიერების, ტექნიკის, შემოქმედების ყველა

დარგში, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ უნდა შეძლოს თავისი კულტურული დონით თვალი გაუსწოროს ევროპას, ჩადგეს ცივილიზებულ ხალხთა რიგში. სხვაგვარად მას გარიყვა და მარანჩალობა ელოდა და სხვა არაფერი*.

რა ვითარებაა საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურის სფეროში? განვიხილოთ დარგების მიხედვით (ამ მიმოხილვას დაწვრილებითი გამოკვლევის პრეტენზია არა აქვს. ეს მხოლოდ წინასწარი, მოსამზადებელი ცდაა, რომელსაც საფუძვლიანი კვლევა უნდა მოჰყვეს — ეს უახლესი ისტორიის სპეციალისტებმა უნდა იკისრონ).

ქართული მეცნიერება XIX ს-ის და XX-ის დასაწყისში ჰუმანიტარული დარგებით, ძირითადად, ისტორიით, არქეოლოგიით, ეროვნულ სიძველეთა შესწავლა — შეგროვებით იფარგლებოდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში უკვე არსებობდა დიმიტრი ბაქრაძის მცდელობით დაარსებული საეკლესიო მუზეუმი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც მნიშვნელოვან საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა (მან იარსება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. შემდეგ კი იგი გააუქმეს, რაკი სასკოლო და კულტსაგანმანათლებლო საქმე სახელმწიფოს კომპეტენციას დაექვემდებარა).

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილი აარსებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას[1]. მას თავიდანვე მრავალმხრივი, დიდი მასშტაბის პროგრამა ჰქონდა დასახული: შესწავლა, შეგროვება და შენახვა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნიმუშებისა, — საქართველოსი და მთელი კავკასიისა; მუზეუმის დაარსება, რომელშიც უნდა ყოფილიყო ნივთიერი მასალა, ხელნაწერები, კავკასიოლოგიის დარგის წიგნები; არქეოლოგიური გათხრების წარმოება; ლექციებისა და გამოფენების მოწყობა; ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვა. სულ რამდენიმე წლის მანძილზე საზოგადოებამ შეძლო გამოეცა უმნიშვნელოვანესი წიგნები: კრებული „ძველი საქართველო" — 1913—14 წლამდე გამოიცა 3 ტომი, რომლებიც შეიცავს გამოკვლევებს, საისტორიო და სალექსიკონო მასალებს. ეთნოგრაფიულ წერილებს (მათ შორის არის მიხე ჯანაშვილის „საინგილო", ვაჟა-ფშაველას „ფშავლები და მათი წუთისოფელი", ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობანი" და სხვ.); კრებულების მეორე სერია „საქართველოს სიძველენი", რომელშიც გამოქვეყნებულია მრავალი ახეული ისტორიული საბუთი. ეს უზარმაზარი ტომებია: II ტომში 600 გვერდია, III-ში — 612.

დიდად ნაყოფიერი იყო საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიციები ქართული ხელოვნების ძეგლთა შესწავლის, ფიქსაციისა და გადმოღებისათვის,

* დამახასიათებელია (დღეს საყოველთაოდ ცნობილი) ფაქტი, რომ როდესაც XIX ს-ის მიწურულში თბილისში დაიწყეს ქართული გიმნაზიის შენობის აგება, მშენებლობის მეთაური, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ცხვედაძე და გიმნაზიისათვის სხვა მზრუნველნი გულისხმობდნენ, რომ ამ შენობაში მალე დაბინავდებოდა მაშინ ჯერ კიდევ არარსებული ქართული უნივერსიტეტი. შენობის მასშტაბიც ამას ადასტურებს. შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ გიმნაზიის პროექტის შესადგენად მოიწვიეს არა რომელიმე გამოცდილი და სახელმოხვეჭილი არქიტექტორი, არამედ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და უცნობი სიმონ კლდიაშვილი (1865—1920), სპეციალური ევროპული განათლების მქონე პირველი ქართველი ხუროთმოძღვარი.

[1] ამ საზოგადოების შესახებ იხ.: რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982.

განსაკუთრებით ორი მათგანი: ა) 1916 წლის სოფელ ნაბახტევში, რომლის ეკლესიის კედლებმაც შემოგვინახა XV ს-ის პირველი ნახევრის ფრესკები საინტერესო ისტორიული პორტრეტებით (ქვენა ამირეჯიბი, მეფე ალექსანდრე I და სხვანი) ამ ექსპედიციაში, რომელიც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასთან ერთად მოეწყო, მონაწილეობდნენ ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მოსე და ირაკლი თოიძეები, დიმ. შევარდნაძე, მ. ჭიაურელი. მათ გადმოიღეს თითქმის ყველა შემორჩენილი ფრაგმენტის პირები (უფრო გვიან, 1935-ში, ფრესკების მძიმე მდგომარეობის გამო, ფრაგმენტების ნაწილი ჩამოხსნეს და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს). ექსპედიციის მოწყობის ინიციატორები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი და ივანე ჯავახიშვილი.

ბ) 1917 წლისა, სამხრეთ საქართველოში — ტაო-კლარჯეთში. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, პოეტი ილია ზდანევიჩი (ედით ქართველი), ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი, რომელსაც საერთოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა აზომვის საქმეში და, აგრეთვე, როგორც შემოქმედს — ის არის ძირითადი ავტორი ქართული სათავადაზნაურო ბანკის, ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსის შენობისა. ამ ექსპედიციის მონაპოვარი (ტაო-კლარჯეთის უმნიშვნელოვანესი ძეგლების, მათ შორის ოშკის, იშხნის, ხახულის კათედრალების დოკუმენტური ანაზომები, ე. თაყაიშვილის გამოკვლევა ამ მოგზაურობის შესახებ) დღემდის შეადგენს ამ მხარის უმდიდრესი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შესახებ ჩვენი ცოდნის საფუძველს (საქართველოს სამხრეთი რაიონების სიძველეთა კვლევა ე. თაყაიშვილს ადრევე ჰქონდა დაწყებული: 1902 წელს მან მოაწყო ექსპედიცია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და ჩილდირ-არტაანის რაიონში, 1907 წელს — ყარსის ოლქში. მაშინ ეს რეგიონი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის ფარგლებში იყო)[2].

ძალიან არსებითი როლი შეასრულა ქართველოლოგიის ახალ მეცნიერულ საფეხურზე ასაყვანად პეტერბურგის უნივერსიტეტის სკოლამ, რომელსაც მეთაურობდა აკადემიკოსი ნიკო მარი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ნაშრომებს ქართული ფილოლოგიის დარგში. იმავე დროს, უკვე XX ს-ის პირველ წლებშივე, იწყება რეალური ზრუნვა და სამზადისი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 1907 წელს ივ. ჯავახიშვილი — მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი — ქმნის ამ უნივერსიტეტთან ქართულ სამეცნიერო წრეს. 1915 წელს გამოვიდა ამ წრის მონაწილეთა შრომების კრებული ჯავახიშვილის რედაქციით.

ივ. ჯავახიშვილი უკვე იმ დროიდან იწყებს ქართველ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შორის ეროვნული უნივერსიტეტის მომავალი პედაგოგების ძიებასა და შერჩევას. ქართველი სტუდენტები კი სწავლობდნენ როგორც რუსეთის იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში (პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ტომსკში, ხარკოვში, დორპატში, ოდესაში, ვარშავაში, ყაზანში), ისე დასავლეთ ევროპაში — გერმანიაში (უმეტესად), ავსტრიაში, საფრანგეთში, შვეი-

---

2 ექვთ. თაყაიშვილის ამ ექსპედიციების შესახებ იხ. Материалы по археологии Кавказа, ტ. XII, მოსკოვი, 1909; ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, 1907 წელს, პარიზი, 1938; მ ი ს ი ვ ე, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

ცარიაში — იქ მიიღეს განათლება იმათ, ვინც შემდეგ ჩვენს უნივერსიტეტსა და, საერთოდ, მეცნიერებას ჩაუდგა სათავეში — გარდა თვით ივანე ჯავახიშვილისა, ფილიპე გოგიჩაიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, იოსებ ყიფშიძემ, გიორგი ახვლედიანმა, დავით ყიფშიძემ, ვუკოლ ბერიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა (რუსეთში), დიმიტრი უზნაძემ, გიორგი ჩუბინაშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ანდრია რაზმაძემ (უცხოეთში). ექიმებმა გრიგოლ მუხაძემ, ალექსანდრე ნათიშვილმა, ალექსანდრე ალადაშვილმა, ხარიტონ ვარსალაძემ, სვიმონ ამირეჯიბმა, ივანე თიკანაძემ, ნიკოლოზ კახიანმა, ალექსანდრე მაჭავარიანმა, გაბრიელ ლამბარაშვილმა, მეტყევე-სელექციონერმა სოლომონ ქურდიანმა, ზოოტექნიკოსმა ილია ჯანდიერმა, კონსტანტინე ამირეჯიბმა, აგრონომმა იულონ ლომოურმა, მევენახეობის სპეციალისტმა კონსტანტინე მოდებაძემ და ბევრმა სხვამ.

რევოლუციის წინა წლებში გამოდის მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომელთა საგანია საქართველოს ისტორია (ივ. ჯავახიშვილის კლასიკური „ქართველი ერის ისტორია", თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, მოსე ჯანაშვილის, დავით კარიჭაშვილის, სერგი გორგაძის, სარგის კაკაბაძის წიგნები და წერილები), ძველი ქართული მწერლობა (ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე) ენა, ლექსიკონები (ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ილია ჭყონია, ვუკოლ ბერიძე); ქართულ კულტურას, კერძოდ, სიძველეებს, დიდი ადგილი ეთმობა ნიკო მარის მიერ დაარსებულ ჟურნალში „Христианский Восток" (თვით მარის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო ჯანაშიას, იოსებ ყიფშიძის, კორნელი კეკელიძის, გ. ჩუბინაშვილის, ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილები. ისიც უნდა ავიხსენოთ, რომ ნ. მარმა 1911 წელს პირველად გამოსცა ძველი ქართული მწერლობის ერთი შედევრთაგანი — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" გიორგი მერჩულესი, რუსული თარგმანითურთ).

1916—17 წლებში არსდება, ხარიტონ ვარსალაძის მეთაურობით, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, 1918 წლის 26 იანვარს კი — ეს კარგად არის ცნობილი — გაიხსნა უნივერსიტეტი. მისი დაარსება ცოტა ხნით უსწრებს წინ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მაგრამ თვით ფაქტი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა განუყოფელია იმ საერთო ვითარებისაგან, იმ სულიერი ატმოსფეროსაგან, რომელშიც შესაძლებელი გახდა დამოუკიდებლობის მიღწევა. და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის წლებს ვერ წარმოვიდგენთ უნივერსიტეტის გარეშე — მან უკვე პირველსავე წლებში შეძლო აქტიური, მიზანდასახული სამეცნიერო (არა მარტო სასწავლო) მოღვაწეობის გაშლა.

ქართული პრესა დაწვრილებით აშუქებდა ეროვნული კულტურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს. აი, ერთი განცხადებათაგანი, გამოქვეყნებული გაზეთში: „ქართული უნივერსიტეტი თბილისში გაიხსნება 1918 წლის იანვრის შუა რიცხვებში. ამ თავითვე იქნება სიბრძნისმეტყველების ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება საფილოსოფო, საისტორიო, სალიტერატურო საენათმეცნიერო, საპედაგოგო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან"[1].

[1] გაზ. „საქართველო", 1918 11. I, № 8.

25 იანვარს გამოქვეყნდა უნივერსიტეტის მასწავლებელთა პირველი შემადგენლობა: რექტორი დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

მდივანი: პროფესორი იოსებ ყიფშიძე.

პროფესორები: ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი.

პროფესორის მოადგილეები: ანდრია რაზმაძე, სვიმონ ავალიანი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე.

მეცნიერი ხელმძღვანელები: ექვთიმე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე.

ლექტორები: ელისაბედ ორბელიანი (ფრანგული ენა), არტურ ლაისტი და ილია ყიფშიძე (გერმანული ენა), ვანდა ლამბაშიძისა (ინგლისური ენა)[4].

დაიბეჭდა აგრეთვე ინფორმაცია უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალის შესახებ, პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის პორტრეტები და ბიოგრაფიები. ქართულ კლუბში „ქართველი სტუდენტობა მართავს ფრიად საინტერესო მეჯლისს ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მხატვრობათა და მომღერალთა საუკეთესო ძალები"[5]. ქვეყნდება დიდი წერილები უნივერსიტეტის შესახებ. პრესის მიხედვითაც იგრძნობა, რომ უნივერსიტეტის გახსნა ქართულმა საზოგადოებამ აღიქვა, როგორც დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა.

იმავე წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტს შეემატნენ ახალი ძალები, მათ შორის გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხელოვნების ისტორიის კათედრასა და ხელოვნების მეცნიერების კაბინეტს. ამ დროიდან იწყება ახალი ფურცელი ქართული ხელოვნების შესწავლის ისტორიაში და საფუძველი ეყრება ქართული ხელოვნების ისტორიას, როგორც დამოუკიდებელი, თანამედროვე მოთხოვნილებათა დონის, მეცნიერებას.

უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი შემადგენლობის მიხედვით ადვილად დავასკვნით, რომ ჩვენი ახლად დაარსებული უმაღლესი სასწავლებელი თავისი დონით თამამად გაუსწორდებოდა უკვე ჩამოყალიბებულ, დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტებს. პროფესორთა შემადგენლობა, მცირე გამონაკლისით, „ახალგაზრდული" იყო — ივანე ჯავახიშვილი 42 წლისა, კორნელი კეკელიძე 39-ისა, ა. შანიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე, გ. ჩუბინაშვილი — ოცდაათისა ან ორი-სამი წლით მეტისა, ანდრია რაზმაძე — ოცდარვისა. (თვით ექვთიმე თაყაიშვილიც ამ დროს მხოლოდ 55-ისა არის). გავა სულ ცოტა ხანი და ყველანი, სულ ახალგაზრდებიც, უფროსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წარმოგვიდგებიან როგორც ევროპული მასშტაბის სახელმოხვეჭილი მეცნიერები — მეცნიერებათა დარგების მეთაურნი და მეცნიერთა სკოლების შემქმნელნი. ასევე, გავა სულ რამდენიმე წელი და უნივერსიტეტის წიაღში აღმოცენდება სხვა ქართული უმაღლესი სკოლები — პოლიტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. შეიძლება, ითქვას, რომ უნივერსიტეტის დაარსებიდან ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში ახალი წელთაღრიცხვა იწყება (1918 წელსვე, 3 სექტემბერს, უნივერსიტეტი, რომელიც თავდაპირველად კერძოდ ითვლებოდა, ეროვნულმა

---

[4] გაზ. „საქართველო", 1918, 25. I, № 20.

[5] იქვე, 1918, 18. I, № 14.

საბჭომ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ფინანსური დახმარება გამოუყო მას. 1918 წლის აგვისტოდან მას ქართული გიმნაზიის მთელი შენობა დაეთმო — თავიდან მხოლოდ 3 ოთახი ჰქონდა).

1918—1920 წლებში ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებით, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარულ დარგებში. აი, მაგალითები: ივ. ჯავახიშვილის „ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში" (ჟურნალი „პრომეთე", 1918, № 1), „ქართველი ერის მოკლე ისტორია", წიგნი მეორე — I—XII საუკუნეები (1918, ქუთაისი), „დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" (1919, ქართული კლუბის გამოცემა), „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1919), „ქართული სამართლის ისტორია", წიგნი I (1919, ქუთაისი. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი მარტო შორეულ წარსულს კი არ უძღვნის ნაშრომებს, არამედ ეხმაურება უმწვავეს თანამედროვე საკითხებს); კ. კეკელიძის „კიმენი, ტ. I. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები" (1918), „თარგმანებაი ეკლესიასტისაი მიტროფანე ზმჳრნელ მიტროპოლიტისაი". (1920); გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი". ლექციები. გამოცემა უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობისა. სამი ნაკვეთი (1918); რუსული ენის გრამატიკა უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის. I. ფონეტიკა. II მორფოლოგია (1919); სანსკრიტის მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ (1920, უნივერსიტეტის გამოცემა).

1919 წელს გამოვიდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე: № I, I ნაკვეთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი", რომელშიც დაბეჭდილია იოსებ ყიფშიძის, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, დიმიტრი უზნაძის, აკაკი შანიძის, სვიმონ ყვალიანისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნარკვევები (II ტომი, 1921-1922 წლებისა, გამოვიდა მხოლოდ 1923-ში).

გარდა უნივერსიტეტისა, რომელიც სულ მალე გადაიქცა ქართული მეცნიერული აზრის ცენტრად, და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, იმ ხანებში კიდევ არსებობდა რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება და საზოგადოება, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ საქართველოს კულტურის შესწავლასთან:

ა) მუზეუმები: კავკასიის მუზეუმი, რომელიც 1919 წელს საქართველოს მუზეუმად გადაიქცა — დღევანდელი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; დასაწყისში ქართული თემატიკა იქ ნაკლებად იყო წარმოდგენილი; ყოფ. საეკლესიო მუზეუმი; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი; საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი; შინამრეწველობის მუზეუმი; ამ ოთხ მუზეუმს, არსებითად, ექსპოზიციების მოწყობის საშუალება არ გააჩნდა; მათი პროფილი ძალიან ჭრელი იყო, ერთსა და იმავე მუზეუმში სრულიად განსხვავებული ხასიათის ნივთები იყრიდა თავს და, იმავე დროს, ერთისა და იმავე დარგის ექსპონატები სხვადასხვა მუზეუმში იყო გაფანტული. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება ნორმალურად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ სამუზეუმო საქმის რეორგანიზაცია მაშინ ჯერ მოუმწიფო და მხოლოდ თანდათან განხორციელდა ოციან წლებში;

ბ) საზოგადოებები: 1901 წელს დაარსებული მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის საქმიანობაში არამცირე ადგილი ეჭირა ქართულ თემატიკას. იგი უშვებდა თავის „იზვესტიას“ — V ტომი გამოვიდა 1919-ში, VI — 1921-ში. თავმჯდომარე იყო იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი ლევ ლოპატინსკი, გამგეობის წევრები — ლეონ მელიქსეთ-ბეგი და დიმიტრი გორდეევი, საპატიო წევრთა შორის იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, პრასკოვია უვაროვა — კავკასიისა და საქართველოს სიძველეთა ცნობილი მკვლევარი, ოლივერ უორდროპი, ნამდვილ წევრთა შორის — მოსე ჯანაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, სვიმონ ავალიანი, სარგის კაკაბაძე; რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელმაც მალე შეწყვიტა მოქმედება; საქართველოს ტექნიკური საზოგადოება, რომელმაც 1920 და 1921 წლებში გამოსცა „ტექნიკური ტერმინოლოგია“; ამ ტერმინოლოგიის შექმნის საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ (უკვე 1919 წელს) გიორგი და რუსუდან ნიკოლაძეები, ივანე ბერიძე, ვასილ კაკაბაძე, გიორგი გედევანიშვილი, მიხეილ შალამბერიძე, დ. ბერეკაშვილი, ირაკლი მჭედლიშვილი; ამით ჩაეყარა საფუძველი ქართული მეცნიერების განვითარებისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს, რომელიც მომდევნო ათეულ წლებში ფართო მასშტაბით გაიშალა; ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ.

გ) კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა, დაარსებული 1917 წელს ნიკო მარის თაოსნობით და ხელმძღვანელობით; ნამდვილი წევრები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი, ადიუნქტები — დ. გორდეევი და ს. ტოგრანიანი. ინსტიტუტმა გამართა ექსპედიციები ლაზეთში (იოსებ ყიფშიძე), ახალციხის მაზრაში (ნიკო მარი, დ. გორდეევი, ტარანუშენკო), ჯავახეთში (სილიბისტრო ლომია, დავით ყიფშიძე), ქართული ენის დიალექტებისა და ლაზური ენის, ისტორიისა და ხელოვნების ძეგლთა შესასწავლად; ბორჯომის სიძველეთა გასაცნობად (გ. ჩუბინაშვილი); ინსტიტუტის კრებულებში საყურადღებო ნაშრომები იყო გამოქვეყნებული.

1920 წელს უმნიშვნელოვანესი ფაქტია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილი გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა, მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ ეს ამ სახის პირველი გამოფენა იყო. ექსპონატების უმეტესობას შეადგენდა ექ. თაყაიშვილის ექსპედიციების მიერ მოპოვებული ანაზომები და ფოტო-სურათები, მათ შორის სამხრეთ საქართველოს 1902, 1907 და 1917 წლების ექსპედიციისა, კახეთის 1911, 1913 და 1914 წლების ექსპედიციებისა, აგრეთვე არქიტექტორების ებრალიძის, კალგინის, სევეროვის, კალაშნიკოვის და სხვათა მიერ გაზომილი ძეგლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მრავალი ფოტო-სურათი (ერმაკოვის კოლექციიდან, ზანისისა, კიუნესი, პოლევოისა). გამოვიდა ქართული და რუსული კატალოგები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ყოველი ძეგლის შესახებ. ქართულის ავტორი იყო თვით თაყაიშვილი და ის ნაწილი, რომელიც ტაოკლარჯეთის ძეგლებს ეხება, არსებითად, პირველი მოკლე ანგარიშია მისი ექსპედიციებისა, (მთლიანად კი უფრო მეტიც — ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის მოკლე ანოტირებული მიმოხილვა); რუსულისა — დიმიტრი გორდეევი, რომელსაც ცნობები მიაწოდეს ე. თაყაიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, ი. ზდანე-

ვილმა, დ. შევარდნაძემ და მ. კალაშნიკოვმა. გამოფენაზე ნაჩვენები იყო ჩუქურთმიანი ქვების ფრაგმენტებიც, ხის კარები, ფრესკებისა და წარწერების პირები. კატალოგში შესულია 289 ნომერი და ბევრი დაუნომრავი ფოტოსურათი.

მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ, როგორც აგრეთვე დიდი მონაპოვარი — საშუალო სკოლის გაეროვნულება, რასაც დამოუკიდებლობის წლებში ჩაეყარა საფუძველი და შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა.

არსებობს ასეთი სტატისტიკური ცნობები: მეფის დროის უკანასკნელი სტატისტიკით საქართველოში ირიცხებოდა 864 სკოლა 80234 მოწაფით. 1921 წლის დასაწყისში კი, ე. ი. დამოუკიდებლობის ბოლო ხანებში — 1925 სკოლა, 162030 მოწაფით. 1918 წლიდანვე განათლების სამინისტრო (მინისტრი ჯერ გიორგი ლასხიშვილი იყო, შემდეგ ნოე (ცინცაძე)) და ეროვნული საბჭოს სწავლა-განათლების კომისია იწყებენ ზრუნვას სკოლის რეორგანიზაციისათვის. თავიდანვე დაისვა საკითხი პედაგოგთა გადამზადებისა და გაიხსნა საზაფხულო კურსები. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ხონის, გორისა და სოხუმის სამასწავლებლო სემინარიები სახელმწიფოდ გამოცხადდა და გაქართულდა. განათლების სისტემის ხელმძღვანელი ორგანოები ცდილობდნენ განათლების სისტემაში დაენერგათ ევროპის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება[6]. გამომუშავებული იქნა ახალი სასწავლო გეგმები — ამ მიზნით განათლების სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომიტეტი ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა მონაწილეობით. დიდი ყურადღება მიექცა ხელოსნური და ტექნიკურ დარგებში ინსტრუქტორების მომზადებას ეროვნებისათვის (ამ საქმეში დიდი იყო უნივერსიტეტის დახმარება). გამოიცა საშუალო სკოლისათვის ქართული სახელმძღვანელოები, მაგალითად, ალექსანდრე ჯანელიძის „ფიზიკა საშუალო სასწავლებლისათვის" (ქუთაისი, 1918) „დაწყებითი ფიზიკა, წელიწადი პირველი" (ქუთაისი, 1919);

საყურადღებო ზრუნვის საგნად იქცა ეროვნულ უმცირესობათა სკოლები (ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია!): გაიხსნა სომხური სკოლა — 81, რუსული — 60, თათრული (უნდა ვიგულისხმოთ, აზერბაიჯანული) — 31, ბერძნული — 66 და ოსური 48[7].

საზღვარგარეთ განათლების მისაღებად გაიგზავნა 75 ახალგაზრდა, შემდეგ ისინი (ვისაც დასცალდა) ქართული მეცნიერების მოღვაწეთა და უმაღლესი სკოლების პედაგოგთა რიგში ჩადგნენ.

სკოლის გაქართულება თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებოდა უნივერსიტეტის დაარსებას.

ძალიან აქტიური და მრავალფეროვანი იყო ლიტერატურული ცხოვრება. უკვე საუკუნის დასაწყისიდანვე სამწერლო ასპარეზზე გამოდიან პროზაიკოსები და პოეტები, რომელთაც ახალი სიტყვა შექმნეს ქართულ ლიტერატურაში, საუკეთესო, რომელიც ერთხელ კიდევ მოწმობდა, XIX ს-ის რამდენიმე ეტაპის შემდეგ, ახალი ევროპული მხატვრული კულტურის ათვისებას.

---

[6] ა. რამიშვილი, დ. შველიძე. პირველი დადგენილებები (განათლების სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში), გაზ. „განათლება", № 1, 1991, 28 ივნისი.
[7] ქართველი ხალხის სამსჯავროზე, პარიზი, 1966, გვ. 11.

XIX საუკუნე ხომ ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის დიდი ეპოქა იყო. მაგრამ ეს ეპოქა, ეროვნული კულტურის დიდი მიღწევებით აღნიშნული, დამთავრდა. დიდი კორიფეები, თითქმის ყველანი, საუკუნის დასაწყისშივე წავიდნენ. ახალმა დრომ ახალი ამოცანები დასახა და ამ ამოცანების გაუთვალისწინებლობა, მათთვის თავის არიდება ქართულ ლიტერატურას ეპიგონურად გადააქცევდა. მსოფლიო ლიტერატურას ღირსშესანიშნავი მონაპოვარი ჰქონდა XIX ს-ის მეორე ნახევარში, თუნდაც ფრანგული სიმბოლიზმი, რომელიც განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ქართველი პოეტების ახალი თაობისთვის. რუსეთში ამ დროს მოღვაწეობდნენ ბალმონტი, ბრიუსოვი, ბლოკი და სხვანი. საუკუნეთა მიჯნაზე და XX ს-ის დასაწყისში მსოფლიო ხელოვნების დუღილის ხანაა — ახალი მიმდინარეობები ჩნდებოდა მწერლობაში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, ისინი ან თანაარსებობდნენ, ან სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს. საქართველოში უკვე მომზადებული აღმოჩნდა ნიადაგი სიახლეთა შეთვისებისა და ორგანული „მონელებისათვის". საბედნიეროდ, ისევე, როგორც მეცნიერებაში, მწერლობაშიც მოგვევლინა დიდად ნიჭიერ შემოქმედთა მთელი თაობა (თაობები!). საკმარისია რამდენიმე სახელის გახსენება: პროზაიკოსები ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, პოეტები გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, საკო ფაშალიშვილი, გიორგი ლეონიძე; 1915—1916 წლების მიჯნაზე ქუთაისში იშვა — „ცისფერი ყანწები", რომლის შემადგენლობაში იყვნენ სრულიად ახალგაზრდები პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი და სხვანი; ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა კრიტიკოსები და ლიტერატურისმცოდნენი გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, უკვე მოღვაწეობდა კიტა აბაშიძე... ბევრი სხვაც შეიძლებოდა დაგვესახელებინა. ზოგი მწერალი მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა, ზოგმა მაშინვე მოასწრო ჩამოყალიბება და თავისი მკაფიო ინდივიდუალობის გამოვლენა. ბევრი მწერალი და კრიტიკოსი წმინდა პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა, უმეტესად ეროვნულ საკითხზე, რომელიც, ბუნებრივია, მწვავედ იდგა როგორც დამოუკიდებლობის წინა ხანებში, ისე დამოუკიდებლობის დროს, რაკი დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისთავად არ ნიშნავდა არსებული ეროვნული პრობლემის საბოლოოდ ამოხსნას და, იმავე დროს, იდეურ წინააღმდეგობათა დაძლევას[1].

მწერლები, ბუნებრივია, განირჩეოდნენ ინდივიდუალობით, ესთეტიკური ინტერესებითა და პრინციპებით (ნიჭზე რომ აღარაფერი ვთქვათ), მაგრამ უმეტესობისთვის, როგორც ვთქვით, არსებითი იყო ახლის ძიება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სწორება" უახლეს მსოფლიო ლიტერატურაზე, რაც სრულიად არ ნიშნავდა ეროვნულ თავისთავადობის ღალატს. ეროვნული და საყოველთაო — ეს იყო მოწინავე ქართული კულტურის — არა მარტო მწერლობის, არამედ (რო-

---

[1] ნიკო ლორთქიფანიძე ლიტერატურულ ასპარეზზე 1902 წელს გამოჩნდა, მიხეილ ჯავახიშვილი 1903-ში, გერონტი ქიქოძე 1905 წელს, ი. გრიშაშვილი და ს. შანშიაშვილი 1906-ში, გალაკტიონ ტაბიძე 1908 წელს ბეჭდავს პირველ ლექსებს, ლეო ქიაჩელი პირველ მოთხრობას 1909 წელს, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი პირველ ლექსებს 1911-ში, ვახტ. კოტეტიშვილი პირველ წერილებს 1912-ში, კონსტან. გამსახურდიას პირველი ლექსები და კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა 1914-ში.

გორც ქვემოთ დავინახავთ) აგრეთვე მხატვრობის, მუსიკისა და, ცოტა მოგვიანოდ, თეატრის უმთავრესი არსი. დამახასიათებელია გაზ. „საქართველოს" 1919 წლის 2 მარტის ნომერში დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილი „ქართული ხელოვნებისათვის", რომლის ავტორიც, უეჭველია, გაზეთის რედაქტორი გერონტი ქიქოძეა. იქ არის ასეთი სიტყვები: „ახალი გზების ძიება თითქმის ყოველ დარგში ეტყობა ქართულ ხელოვნებას. ის მიმდინარეობა, რომელსაც საგაზეთო ჟარგონზე უმართებულოდ ფუტურიზმს და დეკადანსს უწოდებენ, ნამდვილი რევოლუციური მოვლენაა, რომელიც ტრადიციულ ფორმებს არღვევს და ელემენტებს ქმნის ახალი ესთეტიკური სინთეზისათვის, ხელოვნებაში კი რევოლუციის მოხდენა ძალიან ძნელია. ამიტომ განსაკუთრებით დასაფასებელი არიან ახალგაზრდა ქართველი პოეტები, მხატვრები და მემუსიკეები, რომელნიც თამამად ებრძვიან გაუგებრობასა და გაჭირვებას, რომ განახლებულ საქართველოს განახლებული ხელოვნება მისცენ".

რას ნიშნავდა „ტრადიციული ფორმების რღვევა"? თუნდაც იმას, რომ დაისვა საკითხი დამოუკიდებელი, ავტონომიური ფორმის ძიებისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის". ქართველი ცისფერყანწელებისათვის ახლობელი იყო ბოდლერის, მალარმეს, რემბოს შემოქმედება — მათს თხზულებებს თარგმნიდნენ კიდეც; გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს". სიტყვები, რომლებიც გარკვეულ პროგრამას მიგვანიშნებს; ახლობელი იყო ვერლენის ცნობილი ფორმულა „De la musique avant toute chose" — „მუსიკა უპირველეს ყოვლისა". (მათ ხომ თავდაპირველად, როდესაც ძველის „დამამხობლებად" გამოდიოდნენ, ასეთი დებულებაც ჰქონდათ — XIX საუკუნემ ჩვენი მწერლობა გაზეთად გადააქციაო). მაშინდელ მწერლობას გარკვეული კვალი დაამჩნია ლიტერატურულმა იმპრესიონიზმმაც (ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი). ფრანგული სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმისადმი გულგრილი არ დარჩენილა გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც XIX ს-ის ქართული პოეზიის ტრადიციებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. რომ აღარაფერი ვთქვათ მისი შემოქმედების სიღრმეზე, დიდ ემოციურობაზე, მან ხომ ვირტუოზული ბრწყინვალება შესძინა ქართულ ლექსს, მის ფორმას, მის ტექნიკას. მის ინტერესს ფრანგული პოეზიისადმი, ბევრ სხვა ნიმუშთან ერთად მოწმობს თუნდაც ფრანგული ეპიგრაფები — სტრიქონები ბოდლერის, გოტიეს, ვერლენის, ანრი დე რენიეს ლექსებიდან (ლექსი „ვინ არის ეს ქალი"). ახალი თაობისთვის არც ევროპული ექსპრესიონიზმი იყო უცხო.

ამ საკითხებს სპეციალისტები იკვლევენ და მე, ცხადია, არავითარი პრეტენზია არა მაქვს მათი დაწვრილებითი განხილვისა. ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება. მაგრამ ზედმეტი არ იქნება, თუ გავეცნობით ამ ახალი პოეზიის ორიოდე ნიმუშს, დღეს ნაკლებად ცნობილს, და შევადარებთ მათ XIX ს-ის ქართული პოეზიის მემკვიდრეობას — ერთბაშად ნათელი გახდება მკვეთრი განსხვავება

ტიციან ტაბიძე, „ცხენი ანგელოზით".

„ამოკიდანის თეთრი ამედა,
გზა შორეული,
ქიმერია მიდევს, ცილი კიცუხი
საქართველოს ზედს
მხოლოდ ცხენით თუ დაეწევით

მორბოდა ფერი — მარტო ამედი
ცისფერ ორეულით".

ვალერიან გაფრინდაშვილი, „ჯვარის დაწერა მარგალიტზე გოტიკურ ტაძარში".

„ჩემი საცოლე — ქვითკირი ქვა — მიდის ამილით
არა აქვს რიცხვი ქიმერიულ ნისლ ზღაპრებს;
ლაჟვარდები ფლოერობის ცრუ ნატამალი,
რის მარგალიტის მოელინება შემასმენლებს.
ქვითკირის ქვები ნილაბებით დაგვეხმერებიან,
ფალჩამშულ სფინქსებს ზაფერობა ეხალისებათ", და სხვ.

(ორივე ლექსი გამოქვეყნებულია 1920 წელს ჟურნალ „მეოცნეპე ნიამორებში").

დამოუკიდებლობის წლებს მიეკუთვნება, ან სულ ცოტა ხნით უსწრებს წინ ახალი ქართული მწერლობის არა ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები: გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები", ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული", „ავლის ზეიმი" (მაშინ გამოვიდა მისი თხზულებების ოროტომეული), ნიკო ლორთქიფანიძის „ქამთა სიავე" და ბევრი მინიატურა, იოსებ გრიშაშვილის ბევრი ცნობილი ლექსი („ტრიოლეტები შეითანბაზარში", „აშუაშხანიძკენ" და სხვ.), ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსთა პირველი კრებული „დაისება" (1919), ლექსთა ციკლები, პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის ლექსები, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, ვახტანგ კოტეტიშვილის კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, ბევრი სხვაც.

ამ ხანის კულტურული ცხოვრების ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანთაგანია პრესის აქტიურობა. გამოდის უამრავი ლიტერატურული და ხელოვნური ჟურნალი და გაზეთი — ყოველკვირეული და ყოველთვიური (რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობთ წმინდა პოლიტიკურ გაზეთებს). ზოგი ადრევე დაარსებული (მაგალითად, იოსებ იმედაშვილის ფრიად პოპულარული, დასურათებული „თეატრი და ცხოვრება", იუმორისტული „ეშმაკის მათრახი", რომელსაც დიდად ნიჭიერი ნესტორ კალანდაძე, იგივე „ეშმაკი" და შალვა შარაშიძე, იგივე „თავუნა", უძღვებოდნენ, 1916 წელს დაარსებული „ხომალდი"?, რომელსაც გიორგი ლეონიძე რედაქტორობდა). ბევრი ახალიც. ზოგი მათგანი მალევე წყვეტდა არსებობას, ზოგი უფრო გამძლე გამოდგა. მაგრამ ყველა ერთად მრავალფეროვანს და საინტერესო სურათს ქმნიდა.

აი, ზოგი მათგანი: ცისარტყელა — ყოველთვიური ჟურნალი, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებული „კულტურა-განათლების კომისიის" გამოცემა. „პოეზია, ბელეტრისტიკა, დრამა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია". სარედაქციო კოლეგია: ივანე გომართელი, საშა აბაშელი (ახვ აწერდა ხელს), პოლიკო ირეთელი, არჩილ რუხაძე, ობოლი მუშა (სოლომონ თავაძე). გამოდიოდა 1919 წლის დეკემბრიდან;

მშვილდოსანი, ცისფერყანწელების ჟურნალი. რედაქტორი სანდრო ცირეკიძე. გამოდიოდა 1920 წლის იანვრიდან; მეოცნებე ნიამორები, მათივე ყოველთვიური ჟურნალი. რედაქტორი ვალერიან გაფრინდაშვილი (ყდაზე — ლადო გუდიაშვილის ნახატით). გამოდიოდა 1919—1924 წლებში; ბარრიკადი, აგრეთვე ცისფერყანწელების ჟურნალი ტიციან ტაბიძის რედაქტორობით. გამოდიოდა 1920 წლიდან; ხუნება და ხელოვნება, 1920 წელი: „ყოველთვიური სამხატვრო-ხელოვნებატური ჟურნალი"; მიმავალი, „სა-

2 „მაცნე", ისტორიის სერია, 1991, № 4

ხელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის სამეცნიერო-სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი". რედაქტორი ანდრო მილაკაძე; 1921 წლის იანვარი; Ars, რუსული „ყოველთვიური ჟურნალი ხელოვნებისა და ლიტერატურისა", რომელსაც რედაქტორობდა ცნობილი რუსი პოეტი, იმ დროს საქართველოში გადმოხვეწილი, სერგეი გოროდეცკი. 1918, № 2—3-ში იბეჭდებოდა რუსი პოეტებისა და პროზაიკოსების (მათ შორის, ანა ახმატოვას) თხზულებები. ჟურნალში ძალიან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართველი მწერლები; გამოქვეყნდა ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე პოეტების, უმეტესად ცისფერყანწელების, თხზულებების თარგმანები, გამოკვლევები ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ (მათ შორის, ექვთიმე თაყაიშვილის, დ. გოროდეცკის და ლ. მელიქსეთ-ბეგის კრიტიკული ნარკვევები; გრიგოლ რობაქიძის ნარკვევები ანდრია ბელის შესახებ; იყო კიდევ ბორის კორნეევისა და ვასილ კატანიანის არაპერიოდული გაზეთი (1919 წ.) „ისკუსტვო".

საგანგებოდ მინდა მოვიხსენიო ნაკლებად ცნობილი, დღეს კი სავსებით დავიწყებული ჟურნალი „თეატრი და მუსიკა", რომელიც ქუთაისში გამოდიოდა საზოგადო მოღვაწის, ექიმის, სპორტსმენისა და ლიტერატორის იოსებ ახლანიშვილის რედაქტორობით. ჟურნალში დაბეჭდილია წერილები თეატრსა და მუსიკაზე, დიდად საინტერესო ცნობები მაშინდელი მხატვრული ცხოვრების შესახებ, ფოტოსურათები, ნახატები, კარიკატურები (შალვა ქიქოძისა, ალ. ზალცმანისა, მიხეილ ჭიაურელისა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქართულ პრესაში, როგორც მხატვარი). აქ დაბეჭდილი ჯგუფური ფოტოსურათები ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია. ჟურნალის პირველი ნომრის ყდა (მარტი, 1919) შემკულია ლადო გუდიაშვილის „მერანის" რეპროდუქციით. როგორც ამ ჟურნალის, ისე ზემოთ ჩამოთვლილი ჟურნალების უმეტესობის მხატვრული გაფორმება და მაკეტი დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული.

იმ დროის კიდევ ერთი დიდად დამახასიათებელი ნიშანია არაჩვეულებრივად ინტენსიური ყოველდღიური მხატვრული, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტური ცხოვრება. არსებობდა არტისტული კაფეები — ხელოვანთა თავისებური კლუბები, რომლებშიც ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა და რომლებიც მხატვრული ინტელიგენციის ყოფის ორგანულ ნაწილად იქცა. იმართებოდა ლექციები, მოხსენებები, დისპუტები ხელოვნებისა და მწერლობის საკითხებზე. აქტიურად მონაწილეობდნენ არაქართველებიც, რუსეთიდან გადმოხვეწილი რუსი პოეტები, რომელთაც თბილისში პოვეს თავშესაფარი. მათ შორის, გარდა უკვე ნახსენები გოროდეცკისა, ოსიპ მანდელშტამი (შეიძლება გავიხსენოთ მისი ლექსი „Мне Тифлис горбатый снится", დაწერილი 1920 წელს), ფუტურისტთა მთელი პლეადა — კრუჩონიხი, იგორ ტერენტიევი, ვასილი კამენსკი, ილია ზდანევიჩი, კოლაუ ჩერნიავსკი, რომელიც თბილისში დარჩა საცხოვრებლად[9].

[9] როგორც ჩანს, აქ ფუტურისტები ლაღად გრძნობენ თავს, მათ არაჩვეულებრივად აქტიური მოღვაწეობა გაშალეს: აარსებდნენ ორგანიზაციებს, ჯგუფებს („ფუტურისტების სინდიკატი", „Футурвсеучбище", ჯგუფი „41°, რომელიც „სინდიკატს" გამოეყო), მართავდნენ მოხსენებებისა და ლექციების ციკლებს ფუტურიზმისა და ფუტურისტების შესახებ, ხშირად „მიმოფანტებული" საღამოები — ეს მათი გამოცდილი ხერხი იყო (მაგალითად:

ამ კაფეებს შორის ყველაზე პოპულარული იყო „Артистический кабачок" რუსთაველის პროსპექტზე № 12-ში (სადაც უმეტესად იკრიბებოდნენ რუსი ფუტურისტები), და, განსაკუთრებით, „ქიმერიონი" (რუსთაველის თეატრის სარდაფის სართულში), მწერლების თაოსნობით შექმნილი და უნიჭიერესი მხატვრების მიერ მოხატული (საბჭოთა წლებში მოხატულობა, ალბათ, როგორც იდეურად შეუფერებელი, შელესეს, თუმცა არავითარ „ხამიშს" იგი არ შეიცავდა, და მხოლოდ ცოტა ხნის წინათ აღადგინეს გადარჩენილი ფრაგმენტები).

1920 წლის გაზეთ „საქართველოდან" (ღვინობისთვის 17, № 124), განცხადება: „ქიმერიონი. ყოველდღე გამოვლენ პეტროგრადის, მოსკოვის და ადგილობრივი საუკეთესო ძალები. ყოველ სამ დღეში იცვლება პროგრამა. ორკესტრი სტუპელის ხელმძღვანელობით. სამზარეულოს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ბუფეტში მოიპოვება საზღვარგარეთისა და ადგილობრივი სასმელები". „კვირას", ღვინობისთვის 17-ში გაიმართება „ნაციონალური პარტიის" დიდი სალამო. მონაწილეობენ თბილისის საუკეთესო არტისტები. მაგიდებზე წინასწარ ჩაწერა მიიღება". მარტო ეს ორი განცხადებაც მოწმობს, რომ „ქიმერიონი" დიდად პოპულარული კულტურული ცენტრი იყო.

ის წლები, რომლებიც დამოუკიდებლობის გამოცხადებას უსწრებდა წინ, და თვით დამოუკიდებლობის წლები სრული უფლებით შეგვიძლია მივიჩნიოთ *ქართული ეროვნული მხატვრობის* ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლად.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულ მხატვრობას საფუძველი ეყრება — XIX საუკუნის პირველი ათეული წლების გარდამავალი პერიოდის შემდეგ — გასული საუკუნის დასასრულს, როცა ასპარეზზე გამოვიდნენ ევროპული მხატვრული განათლების მქონე ახალგაზრდა ქართველი ფერმწერლები — ჯერ რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი. შემდეგ დავით გურამიშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, გრაფიკოსი ანტონ გოგიაშვილი (აგრეთვე ერთადერთი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე)[10]. მათი ისტორიული მისია ის იყო, რომ ქართული მხატვრობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედის წყალობით, XIX საუკუნემდე შუა საუკუნეების არტახებში რჩებოდა, ევროპული რეალისტური (რენესანსული გაგებით) მხატვრობისთვის ეზიარებინათ: ე. ი. ჩვენ უნდა აგვეთვისებინა ის საფეხური, რომელსაც უკვე კარგა ხანია მიაღწია ევროპამ და, ცოტა მოგვიანებით, რუსეთმაც. ეს მისია მათ სავსებით ღირსეულად შეასრულეს. მაგრამ ამასობაში — ჯერ XIX ს-ის მეორე ნახევარში, მერე ჩვენი საუკუნის დასაწყისში — მსოფლიო მხატ-

«Любовное приключение Маяковского», «О театре в тупике; Футу на подмостках, о кинематографах и миниатюрах, о сценах Марионетти, Тарто, всякой всячине и своих др»; «Вечер интуитивной и безумной поэзии», და სხვ.); მართავდნენ აგრეთვე ფუტურისტ პოეტების გამოფენებსაც და სხვ.

ამას გარდა, თბილისში არსებობდა ე. წ. არტისტერიუმი (ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაარსებული), რომელიც სისტემატურად მართავდა (რუსულად) საჯარო მოხსენებებს პოეზიის და ხელოვნების შესახებ (ჩვეულებრივ კითხულობდა ლექციებს გრიგოლ რობაქიძე), აწყობდა გამოფენებს თბილისელი და ჩამოსული მხატვრებისა. ფუტურისტების მთავარი შემკრებელი იყო კრუჩონიხი, რომელიც 1916 წლიდან 1918 წლის დასასრულამდე ცხოვრობდა თბილისში.

10 1913 წელს ა. ნიკოლაძის მიერ შესრულებული ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლის გახსნა იყო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტი. თვით ნაწარმოები ქართული ქანდაკების ერთი ღირსშესანიშნავი ნიმუშთაგანია.

ევროპამ უზარმაზარი ნახტომი გადადგა წინ და გაიარა ახალ-ახალი ეტაპები, ჯერ იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი, მერე ფოვიზმი და ბევრი სხვა მიმდინარეობა, რომლებიც ერთმანეთს დიდი სისწრაფით ენაცვლებოდა. ეს ასე იყო რუსეთშიც.

სწორედ ამ დროს მოუხდა გამოსვლა ასპარეზზე ქართველ მხატვართა ახალ თაობას, რომელსაც შეადგენდნენ ფერმწერები — დიმიტრი შევარდნაძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ალექსანდრე ციმაკურიძე, მიხეილ ჭიაურელი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე. შევარდნაძეს მიუნხენში ჰქონდა განათლება მიღებული, გუდიაშვილს — თბილისში, სიდამონ-ერისთავს, ციმაკურიძეს და კაკაბაძეს — რუსეთში. მათი დამოკიდებულება ახალი მიმდინარეობებისადმი სხვადასხვაგვარი იყო — ზოგის შემოქმედება ტრადიციულთან უფრო ახლო, ნაკლებ „რევოლუციურია“, ზოგი — უპირველეს ყოვლისა, ყველაზე მკვეთრი ინდივიდუალობის მქონენი დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი — ახალ სიტყვას იტყვიან. მაგრამ თავისი წვლილი ახალი ქართული მხატვრობის დაფუძნებაში ყველამ შეიტანა: დიმიტრი შევარდნაძემ ის წლები (გერმანიიდან 1916 წელს დაბრუნდა) უმეტესად მიანდომა საზოგადოებრივ-საორგანიზაციო საქმეებს და, მართალიც, ფასდაუდებელი ამაგი დასდო ეროვნულ ხელოვნებას, შემდეგ კი ბევრი რამ გააკეთა, როგორც თეატრისა და კინოს მხატვარმა და გრაფიკოსმა; ციმაკურიძე პირველი ქართველი მხატვარი იყო, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება ერთ ჟანრს — პეიზაჟს მიუძღვნა. სწორედ მისი დამსახურებაა ქართულ ფერწერაში ამ დამოუკიდებელი ჟანრის ჩამოყალიბება; სიდამონ-ერისთავმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ისტორიულ ჟანრს.

ამ თაობის წარმომადგენელთა შორის ერთადერთი თეორეტიკოსი დავით კაკაბაძე იყო. არა მარტო თეორეტიკოსი, არამედ ძველი ქართული ხელოვნების მკვლევარიც, გამომგონებელიც (უფრო გვიან გამოიგონა სტერეოკინო, რომლის განხორციელებასაც ხელი შეუშალეს მოკლეჭკუიანმა ბიუროკრატებმა). იგი აქვეყნებდა წერილებს, წიგნებს (როცა საფრანგეთში იყო) ქართულად და ფრანგულად თანამედროვე ქართული ხელოვნების გზებზე. როგორი უნდა იყოს XX ს-ის ქართული ხელოვნება, რომ იგი თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე იდგეს და, იმავე დროს, ინარჩუნებდეს ეროვნულობას? ანუ სიტყვებით რომ ვთქვათ — თანამედროვე და ეროვნული — ეს არის კაკაბაძის ფიქრებისა და ძიებათა მთავარი საგანი. და კიდევ ერთი — სახვითი ხელოვნების „ავტონომიის“ საკითხი, საკითხი ოსტატობისა, მხატვრული გამოსახვის სპეციფიკური საშუალებათა თავისთავადი, შინაარსისგან დამოუკიდებელი ღირებულებისა (გავიხსენოთ, რაც ზემოთ მაშინდელ ქართულ მწერლობაზე ითქვა). უფროსი თაობის ქართველი მხატვრების შესახებ რომ წერდა, იგი აფასებდა მათი მოღვაწეობის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მაგრამ მიაჩნდა, რომ „საკუთრივ ხელოვნება“ მათს ნამუშევრებში საჭირო დონეზე არ იდგა. დ. კაკაბაძე თვლიდა, რომ სწორედ მისი თაობის მოვალეობა და დანიშნულება იყო შეგნებულად დასახულ მხატვრულ ამოცანათა ამოხსნა.

დამოუკიდებლობის წლებს მიეკუთვნება ქართული მხატვრობის ბევრი ღირსშესანიშნავი ნამუშევარი. განსაკუთრებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი, რომლებიც მალე გაემგზავრნენ პარიზს, უკვე მაშინ, იქ წასვლამდე, სავსებით ჩამოყალიბებული, მკაფიო, განუმეორებელი ინდივიდუალობის მხატვრები იყვნენ. საკმარისია დავასახელოთ დავით კაკაბაძის შედევრები: „იმერული ნატურმორტი“ (1918), „იმერეთი — დედაჩემი“ (1918),

„იმერეთი. წითელი გზა" (1918), „ქიმერიონის" მოხატვის ესკიზები (1919), ძველი თბილისისადმი მიძღვნილი ნახატების სერია (1918); 1920 წლიდან (პარიზში) — ახალი თავი მისი შემოქმედებისა, როცა იგი სრულიად შეგნებულად ხდება აბსტრაქტული მხატვრობის მიმდევარი (თუმცა მას ხელი არ აუღია არც რეალისტურ გამოსახვაზე); ლადო გუდიაშვილს ამ დროს აქვს შესრულებული „კინტოების სერიის" რამდენიმე სურათი, რომლებიც ახალი სიტყვა იყო ქართულ მხატვრობაში: „ბაში" (1919), „კინტოების ქეიფი ქალთან" (1919), „სადღეგრძელო გარიგრაგზე" (1920), „იდილია" (1920), „მოქეიფენი ეტლში" (1920), „თევზი — ცოცხალი" (1920), აგრეთვე „ნადირობა", „მწყემსი მეკამეჩე"; ის, რასაც ის მომდევნო წლებში ქმნიდა პარიზში, უშუალო გაგრძელება იყო თბილისში ჩასახულისა და ჩამოყალიბებულისა. ამავე ხანას მიეკუთვნება ე. სოლომონ-ერისთავის „თამარ მეფე" (1917) და „კრწანისის ბრძოლა", პირველი სურათები, რომელთა სიუჟეტები საქართველოს ისტორიიდან იყო აღებული.

სახვითი ხელოვნების დარგში ამ წლების ქრონიკა ასეთია: 1916 წელს მიუნხენიდან ჩამოსული დიმიტრი შევარდნაძე (1885—1937) აარსებს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარედაც ირჩევენ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს გიორგი ჟურულს. დიმიტრი შევარდნაძე მისი მოადგილე და საზოგადოების საქმიანობის ფაქტობრივად წარმმართველი იყო. ამავე 1916 წელს ქართულად და რუსულად გამოცემულ წესდებაში ნათქვამია, რომ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება არსდება ტფილისში იმ აზრით, რომ ხელი შეუწყოს: ა) მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა ურთიერთშორის დაახლოება-შეკავშირებას; ბ) ქართველთა შორის ხელოვნების ნაშთების შეგროვებას, დაცვას და შესწავლას". ამ მიზნების განხორციელებლად საზოგადოებას უნდა დაეფუძნებინა სამხატვრო გალერეა და მასთან ბიბლიოთეკა, გაემართა გამოფენები (მუდმივი, ხანდაზმული და მოძრავი), დაენიშნა პრემიები, დაებეჭდა სამხატვრო ჟურნალი ქართულსა და სხვა ენებზე, მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები ძველი ქართული ხელოვნების შესასწავლად, ხოლო შეეწყო ქართულ ხალხში მხატვრულ ხელოვნების შინამრეწველობის განვითარებისათვის, ეზრუნა მხატვართა და ძველი ხელოვნების მკვლევართა მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

ამ პროგრამის გაცნობა ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი ნაანგარიშევია მრავალი წლისთვის, და რომ მისი შემდგენელნი იმასაც გულისხმობდნენ, რომ მას თავისუფალ საქართველოში განახორციელებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ პირველსავე 4—5 წელიწადში ბევრი რამ შესრულდა კიდეც.

გასაოცარია, როგორი ენერგიით, რა გეგმაზომიერად და მიზანდასახულად შეუდგა საზოგადოება მუშაობას დაარსებისთანავე. ორი ექსპედიცია — 1916 წლისა ნაბახტევში და 1917 წლისა ტაო-კლარჯეთში — რომელშიც საზოგადოების წევრები მონაწილეობდნენ, ზემოთ უკვე ვახსენეთ.

გამგეობის სხდომათა ოქმები გვაცნობს საზოგადოების ინტერესების მრავალფეროვნებას; აი, ზოგი გამორჩეული საკითხი:

1916. 15. V

— მოხსენება ტფილისში ძველი შენობების გეგმების და სურათების გადაღების შესახებ. საჭიროდ იქნა ცნობილი გეგმების გადაღება. ინჟინერ პეტრე მამრაძეს და არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილს (უნივერსიტეტის შენობის

ავტორს) დაევალათ „დაათვალიერონ ქალაქში ასეთი ძველი შენობები და გადაიღონ სურათები, სადაც საჭირო იქნება“.

— „საკითხი მხატვრის ნ. ფიროსმანაშვილის ნახატების გამოძებნის, შეძენისა, მისი ბინადრობის აღმოჩენისა და ბიოგრაფიული ცნობების შეკრებისა“. „განჩინება. გამგეობა საჭიროდ სცნობს ნ. ფიროსმანაშვილის ნახატებს და აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია მათი აღმოჩენა, შეძენა. რადგანაც საზოგადოებას ამჟამად ფული არ მოეპოვება, ამიტომ მიმართოს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შეიძინოს ეს სურათები, როგორც სახალხო ნაწარმოები. მათ აღმოჩენა-შეკრებაში გამგეობა დახმარებას აღმოუჩენს. გაიმართოს ნ. ფიროსმანაშვილის ნახატების კოლექტიური გამოფენა. შეიკრიბოს ცნობები, თუ სად იმყოფება ნ. ფიროსმანაშვილი, თუ ცოცხალია, მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს, მიღებულ იქნას ზომები მისი ცხოვრებიდან ბიოგრაფიული ცნობების შესაკრებად. ამის შესრულება დაევალოს კომისიას, რომელშიც შედიან ლ. გუდიაშვილი, ი. გოგილაშვილი, დ. შევარდნაძე, მ. თოიძე და ზანიაშვილი (როგორც ცნობილია ლ. გუდიაშვილისა და სხვათა მოგონებებიდან, მაშინ შეძლეს ფიროსმანის მოძებნა, მიიწვიეს იგი საზოგადოების კრებაზე, ესაუბრნენ მას, მცირე ნივთიერი დახმარებაც გაიღეს — სანაცვლოდ ნიკომ, ამ ფულით ნაყიდი საღებავებით, ახალი სურათი შეასრულა და უძღვნა საზოგადოებას. მართალია, შემდეგ ნიკო კვლავ მიეფარა თვალს და მისი გადარჩენა აღარ მოხერხდა, მაგრამ მის სურათებს კი გაფაციცებით ეძებდნენ და აგროვებდნენ უკვე იმ წლებში და ამ მხრივ დიდ წარმატებასაც მიაღწიეს).

1917. 22. X

— „მოხსენება კომისიისა ქართველ მოღვაწეთა პანთეონის გეგმის შესახებ“. გამგეობამ „დაადგინა სთხოვოს ქართველ ხელოვანთ მიიღონ მონაწილეობა სავანის გეგმის შედგენაში“.

— რამდენიმე სხდომაზე განიხილებოდა საკითხი ქართული ფრესკების პირების გამოფენის შესახებ. გამოფენას აწყობდნენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან ერთად. იგი გაიხსნა 8 იანვარს ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებით ქართული ფრესკების შესახებ, დაიხურა 19 თებერვალს. ინახულა 7000 კაცზე მეტმა. საზოგადოების ოქმის შესაბამისად, „ჯარისკაცები და ღარიბი მოწაფეები უფასოდ იყვნენ შეშვებულნი“.

1918. ხელოვანთა საზოგადოება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე „დიდების ტაძრის“ მისთვის გადაცემის შესახებ.

1919

— დ. შევარდნაძემ შეიტანა მთავრობაში სურათების გალერეის გახსნის პროექტი.

— „დიდების ტაძარი“ გადაეცა ხელოვანთა საზოგადოებას. გადაცემის აქტს ხელს აწერენ სამხედრო-ისტორიული არქივის დირექტორი გენერალი ბ. ერაძე და დ. შევარდნაძე.

— მოიხატა „ქიმერიონი“. მოხატეს დავით კაკაბაძემ, საქართველოში დაბადებულმა პოლონელმა მხატვარმა სიგიზმუნდ ვალიშევსკიმ, ლადო გუდიაშვილმა, კირილ ზდანევიჩმა, რუსმა მხატვარმა ს. სუდეიკინმა.

— ხელოვანთა საზოგადოების სახლში 20 და 22 ივნისის სხდომაზე განიხილა საზღვარგარეთ გასაგზავნი ახალგაზრდა მხატვრების შერჩევის საკითხი. კანდიდატთა შორის იყვნენ ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ირაკლი თოიძე, ქეთო მაღალაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი, ელენე ახვლედიანი და სხვანი. ყველაზე მეტი ხმა მიიღეს გუდიაშვილმა და კაკაბაძემ, რომლებიც იმავე წელს გაემგზავრნენ კიდეც საფრანგეთში.

— გაიმართა ქართველ მხატვართა სურათების პირველი გამოფენა. მასში მონაწილეობდნენ ყველა თაობის წარმომადგენლები: გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, ალ. მრევლიშვილი, ვალ. სიდამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, თამარ ბილანიშვილი, ელენე ახვლედიანი, თამარ თავაძე, ერეკლე თოიძე, სალომე ნიკოლაძე, ვასილ ჯორჯაძე. პირველად გამოიფინა ნიკო ფიროსმანის სურათები: „ქორწილი კახეთში“, „აღდგომის ბატკანი“, „ქეიფი რთველის დროს“, „დღეობა“, „მოგზაური“, „ქეიფი“, „ირემი“, „ნატურმორტი“ (აქედან ორიოდე სურათი ეკუთვნოდა ხელოვანთა საზოგადოებას. სხვები დ. შევარდნაძეს, ნ. ჩერნიავსკის, ძმებს ზდანევიჩებს. ახლა ყველა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია). ყველაზე მეტი ნაწარმოები (ფერწერა და გრაფიკა) გამოაფინეს დ. კაკაბაძემ, ლ. გუდიაშვილმა, ვ. სიდამონ-ერისთავმა და მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ. ორიოდე გამონაკლისის გარდა, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, აქ მოხსენიებულმა მხატვრებმა დიდი კვალი დაამჩნიეს თანამედროვე ქართულ ხელოვნებას. ზოგი მათგანი მაშინ პირველად გამოჩნდა ასპარეზზე.

— დეკემბერში მოეწყო საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მხატვართა გამოფენა:

1 9 2 0: დამფუძნებელი კრება ამტკიცებს ეროვნული გალერეის გახსნის პროექტს. „დაწესებულება ექვემდებარება განათლების სამინისტროს და ინახება სახელმწიფო ხარჯზე“. გალერეას იმთავითვე სათავეში ჩაუდგა დიმიტრი შევარდნაძე, მას მხარში ედგა მხატვარი გიორგი ნათაძე, რომელიც შემდეგ, გარდაცვალებამდე, მუშაობდა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში[11] თავიდანვე გამოფენილი იყო XIX ს-ის თბილისური სკოლის პორტრეტები, სპარსული მინიატურები (ძალიან მნიშვნელოვანი ნიმუშებია) და დასავლეთ-ევროპული სურათები და ნახატები (შედარებით მცირე რაოდენობით). როგორც ცნობილია, შემდეგ ეროვნული გალერეის კოლექციები საფუძვლად დაედო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

აქ ჩამოთვლილი გამოფენების გარდა, 1918—20 წლებში ეწყობოდა სხვებიც. ცალკეული მხატვრებისა (გუდიაშვილისა, თბილისში მცხოვრები ხომენა ა. ბაჟბეუქ-მელიქოვისა, მოსკოველი ფუტურისტებისა — 1918 წლის 12—14 აპრილის, და სხვა).

ამას გარდა, საჭიროა მოვიხსენიოთ იმდროინდელი ქართული პერიოდიკის როლი საჟურნალ-გაზეთო გრაფიკის, უპირველეს ყოვლისა, კარიკატურის განვითარებაში. დიდი დამსახურება მიუძღვით თბილისის მკვიდრს გერმანელს ოსკარ შმერლინგს, ალექსანდრ ზალცმანს, ქართველთაგან კი ყველაზე

11 ქართულ ხელოვანთა საზოგადოების არქივი ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

მეტად ჩანდნენ მიხ. ჭიაურელი, შალვა ქიქოძე (Chalico-ს ფსევდონიმით), სანდრო შანშიაშვილი.

ვფიქრობ, ზედმეტია, რაც ზემოთ ითქვა, ადასტურებს თავშივე გამოთქმულ აზრს, რომ დამოუკიდებლობის წლები ჩვენი ახალი ეროვნული ხასიათის ხელოვნების ისტორიაში მრავალმხრივ საყურადღებო ფურცელია, რომლის გათვალისწინების გარეშეც ამ ისტორიის სურათი ვერ დაიხატება. შეიძლება დავუმატოთ, რომ ამ წლების თბილისის, საერთოდ, საქართველოს მხატვრული ცხოვრება დღეს დასავლეთ ევროპულ მკვლევართა ცხოველ ინტერესს იწვევს. ამას მოწმობს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე იტალიელთა და გერმანელთა მოხსენებები, აგრეთვე 1982 წელს ვენეციაში გამოცემული ტომი „L'Avanguardia a Tiflis — „ავანგარდი თბილისში", რომელშიც საგანგებო ადგილი ეთმობა ცისფერყანწელებსა და თბილისში იმხანად მოღვაწე რუს ფუტურისტებს. დაბეჭდილია ძალიან საინტერესო წერილები: „ქართული ავანგარდის ისტორია და თეორია (1915—1924)". ლ. მაგაროტოსი, „დავით კაკაბაძის მოსაზრებები ხელოვნების შესახებ" (გ. ბუაჩიძისა), „მენშევიკების დროინდელი ფუტურიზმი" და სხვები, აგრეთვე საბუთები, მოგონებები, ფოტოდოკუმენტები.

XIX ს-ის ბოლო ათეულ წლებში, ეროვნული მოძრაობის გაღვივების ხანაში, ბუნებრივი იყო ინტერესის გაძლიერება ქვეყნის წარსულისადმი, ისტორიული ძეგლებისადმი. დიდად გაძლიერდა ინტერესი აგრეთვე ეროვნული მ უ ს ი კ ი ს ა დ მ ი, — ზრუნვა ხალხური სიმღერების გადარჩენისა და შესწავლისადმი. 70-იანი წლებიდან იწყება ხალხური შემოქმედების შეკრება-გამოცემა (მაჭავარიანი, ა. ბენაშვილი, ზ. ჩხიკვაძისა და ია კარგარეთელის კრებულები). 1882 წელს არსდება მელიტონ ბალანჩივაძის გუნდი, 1885 წელს — ლადო აღნიაშვილისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩეხი იოზეფ რატილი.

ჩნდებიან პროფესიონალი მუსიკის შემსრულებლები: პიანისტი ალოიზ მიზანდარი (რუბინშტეინის მოწაფე), ვიოლინისტი და კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი, დირიჟორი ივანე ფალიაშვილი, ოპერის მომღერლები ფილიმონ ქორიძე და კაკაბაძე.

ორი საუკუნის მიჯნაზე ასპარეზზე გამოდიან ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლები და პიონერები მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ქ. ფოცხვერაშვილი. მათ, გარდა სულხანიშვილისა განათლება რუსეთის კონსერვატორიებში ჰქონდათ მიღებული. რუსეთში ცხოვრების დროს არ წყვეტდნენ მჭიდრო კავშირს საქართველოსთან, აწყობდნენ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხური სიმღერების ჩასაწერად, მართავდნენ რუსეთის ქალაქებში ქართული სიმღერის კონცერტებს, აქტიურად ეწეოდნენ ქართული ხალხური შემოქმედების პროპაგანდას. მელიტონ ბალანჩივაძემ ჯერ კიდევ წარსული საუკუნის დასასრულს დაიწყო პირველი ქართული ოპერის „თამარ ცბიერის" (შემდეგ „დარეჯან ცბიერი" დაერქვა) წერა, ფალიაშვილი კი 1912 წელს შეუდგა თავის „აბესალომ და ეთერის" შექმნას. თბილისში არსებობდა ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სასწავლებელი; 1917 წელს კი დაარსდა თბილისის კონსერვატორია. პრესის მიხედვით ჩანს, რომ 1918—21 წლებში საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, თბილისში, ინტენსიური მუსიკალური ცხოვრება

არსებობს „ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოება", „ქართულ მუსიკის-მომღერალთა კავშირი", რომლის თავმჯდომარედაც 1920 წელს აირჩიეს პარიზიდან ჩამოსული მომღერალი მიხეილ ნანიტაშვილი (მაშველ დარიალი), „ქართული ფილარმონიული საზოგადოება", დაარსებული 1905 წელს ზაქარია ჩხიკვაძის თაოსნობით, „ქართული ეროვნული გუნდი" მიხ. კავსაძის ლოტბარობით, „დასავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა გუნდი", რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ძუკუ ლოლუა, ქართული სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი ნიკო სულხანიშვილის ხელმძღვანელობით; 1919 წელს კოოპერატივთა კავშირის დახმარებით ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ დაარსა კაპელა არაყიშვილისა და ლანოვსკის ხელმძღვანელობით[12]. კაპელამ იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, ყველა კუთხეში გამართა ეროვნული კონცერტი" (ეს „თეატრისა და ცხოვრების" 1920 წლის პირველი ნომრიდანაა, ინფორმაციას დართული აქვს შენიშვნა: „სამწუხაროდ, შემადგენლობა კაპელის, გარდა ვაჟებისა, თითქმის არა ეროვნულია". მაგრამ, იმედია, მალე მიიღებს ეროვნულ სახეს); 1918 წლის 10 ივნისს ჩაეწყობილი „ქართული სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი" მართავს „პირველ ქართულ ეროვნულ კონცერტს ეროვნულ ნაწარმოებთაგან ჩვენის კომპოზიტორებისა (დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის და ი. კარგარეთელის). მონაწილეობენ ი. სარაჯიშვილი, ო. ბალანჩივაძე და ვ. ლორთქიფანიძე. კონცერტის გამგედ დანიშნულია თავისუფალი ხელოვანი და ვიოლონჩელზე დამკვრელი ილიკო აბაშიძე. კონცერტზე მოწვეულია კათალიკოს პატრიარქი კირიონი"[14]. 1918 წ. ივნისში მოეწყო დიმ. არაყიშვილის ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელსაც აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა ზაქარია ჩხიკვაძემ — გაგვაჩნდნენ პროფესიონალი მუსიკოსები, აღვიძებს ნამდვილი ევროპული ქართული მუსიკისადმი[14]. 1919 წლის 16 მაისს სახელმწიფო თეატრში (ე ი. ოპერაში) გაიმართა სახელიერო კონცერტი, შესრულებულ იქნა დიმიტრი არაყიშვილის „ახალი ლიტურგია". იმართებოდა ბევრი სხვა კონცერტიც[15].

1919 წელს ქუთაისში გაიხსნა სამუსიკო სასწავლებელი, რომლის დირექტორადაც მელიტონ ბალანჩივაძე დაინიშნა. 1920 წელს დაარსდა ქ. სიღნაღში ქართული სამუსიკო საზოგადოების ფილიალური განყოფილება. ყველა დაწესებულებამ — ქალაქის თვითმმართველობამ, ერობამ, კოოპერატივთა კავშირმა, გადასდო ერთდროულად თანხა სამხედრო ორკესტრის ინსტრუმენტების შესაძენად — 200000 მანეთი, თვეურად 8000 მან. დაუნიშნა კაპელმეისტერს, ხორო-გუნდის და ორკესტრანტების მასწავლებელს"[16].

იმდროინდელი პრესა ცხოველად და ზოგჯერ ძალიან ემოციურადაც ეხმაურებოდა ქართული მუსიკის, მუსიკალური განათლებისა და ქართული ოპერის საკითხებს, მათს ავ-კარგს.

1920 წელს გაზ. „საქართველოს" 25 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია გრიგოლ კარბელაშვილის კრიტიკული წერილი „ქართული საეკლესიო გალობის შერყვნა", რომელშიც ფრიად მკაცრად აფასებს მაშინდელ გალობას ეკლესიებში.

---

12 ყველა ეს „საზოგადოება", „კავშირი", „გუნდი", მათი ისტორია სიგანგებო შესწავლას იმსახურებს.

13 „თეატრი და ცხოვრება", 1918, 2. VI, № 8.

14 გაზ. „სახალხო საქმე", 1918, 4. VI, № 248.

15 გაზ. „საქართველო", 1919, 13. I, № 102.

16 იქვე. 1920, 9. VI, № 95.

იმავე წლის № 17-ში (ს. წერეთელი, შენიშვნები ხელოვნებაზე) დიდი გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ კონსერვატორია გარუსებულია. ასწავლიან რუსულ დიქციას, ქართულს — არა. „რატომ არ უნდა იყოს დაარსებული ქართული საოპერო სტუდია ეროვნული რეპერტუარით, ქართული საგუნდო კლასებიცო" (ასეთი სტუდიის დაარსების ცდა, როგორც ჩანს, იყო კიდეც ჯერ კიდევ 1919 წელს — „თეატრსა და ცხოვრებაში", 1920, № 1, არის ცნობა, რომ „კოოპერატორთა კავშირის ხარჯით შედგა ქართული საოპერო სტუდია სტოლერმანის ხელმძღვანელობით; № 6-ში დაბეჭდილია 18 პორტრეტი „საოპერო სტუდიის მსახიობებისა". რა ბედი ეწია ამ სტუდიას? დატოვა კი რაიმე კვალი?).

ქართული ოპერის საკითხი განსაკუთრებით აღელვებდა საზოგადოებას. დამახასიათებელია „თეატრისა და ცხოვრების" წერილი (1918, № 9, 16. VI), რომელშიც ნათქვამია: „დრამის გარდა, საქართველოს დედაქალაქს ოპერაც ესაჭიროება. უნდა შედგეს საოპერო დასი და ქართული ოპერის საქმეს საძირკველი ჩაეყაროს. ჩვენ საამისოდ რეპერტუარიც მოგვეპოვება და ძალებიც გვყავს. ოპერები „თამარ ცბიერი", „ვეფხისტყაოსანი", „შოთა რუსთაველი", „აბესალომ და ეთერი", „ქრისტინე", „ლალატი", „კერპთა დამხობა" და სხვა. შესაფერი მომღერალ-მსახიობებიც გვყავან აქა-იქ გაფანტულნი". დასახელებულ ოპერათაგან „თამარ ცბიერი" მაშინ მთლიანად დამთავრებული არ იყო და მხოლოდ 1926-ში დაიდგა; ქ. ფოცხვერაშვილის „კერპთა დამხობა", როგორც ჩანს, დაუმთავრებელი დარჩა, თუმცა მაშინდელ გაზეთებში კი იყო ცნობა, დასადგმელად მზადდებაო; „ვეფხისტყაოსნის" შესახებ არაფერი ვიცით, „ლალატი" რუსი კომპოზიტორის იპოლიტოვ-ივანოვისაა (ალ. სუმბათაშვილის პიესის მიხედვით), დანარჩენები კი სულ მალე გამოჩნდნენ სცენაზე და სწორედ მათი დადგმა იქცა იმ ხანის სამუსიკო ცხოვრებისა (და საერთოდ, ქართული კულტურის) უმნიშვნელოვანეს მოვლენად.

პირველი მერცხალი იყო კომპოზიტორ რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე" ეგნატე ნინოშვილის მოთხრობისა და პოლიო ირეთელის პიესის მიხედვით.

ეს ოპერა, დღეს სრულიად დავიწყებული, ისევე როგორც მისი ავტორი, პირველად დაიდგა 1918 წლის 21. V და მომდევნო დღეებში, სულ ხუთჯერ, ქართულ კლუბში, „ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით". ოპერას 3 მოქმედება და 4 სურათი ჰქონია. დადგმის ხელმძღვანელი და დირიჟორი ნიკოლოზ ქართველიშვილი ყოფილა. იმავე წელს გოგნიაშვილს დაუსრულებია მეორე ოპერაც — „კუდიანი", მაგრამ მისი კვალი არ ჩანს, ალბათ, არც დადგმულა[17].

1919 წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ქართული ოპერის ისტორიაში: 5 თებერვალს პირველად დაიდგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" — პირველი ქართული ოპერა თბილისის საოპერო თეატრში, რომელიც იმ დროს თითქმის 70 წლის ისტორიას ითვლიდა. ოპერა დადგა ალექსანდრე წუწუნავამ, ყველაზე დიდმა ქართველმა საოპერო რეჟისორმა, რომელიც 1918 წლიდან ოპერის თეატრის მმართველად (კომისრად) იყო დანიშნული. მხატვარი იყო ალექსანდრე ზალცმანი, თბილისელი გერმანელი (აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც კარიკატურისტი, ქართულ პრესაში), დირი-

[17] „თეატრი და ცხოვრება", 1918, № 8 და № 14.

ქორი — ხ. სტოლერმანი. რუსთაველის როლს ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, თამარისას — ხაიტკო. გამოიცა ოპერისადმი მიძღვნილი ბროშურა ილიკო აბაშიძის ტექსტით.

21 თებერვალს შედგა „აბესალომ და ეთერის" პრემიერა. დირიჟორობდა ავტორი. ეთერის როლში იყო ო. ბახუტაშვილი — შულგინა, აბესალომს მღეროდა ზალიპსკი, მურმანს ს. ინაშვილი, დამდგმელი და მხატვარი კვლავ წუწუნავა და ზალცმანი იყვნენ (ოპერის დეკორაციების ესკიზების რამდენიმე რეპროდუქცია დაიბეჭდა ჟურნ. „თეატრი და მუსიკაში", 1919, № 1). „ოპერას დაესწრო დიდძალი საზოგადოება და მათ შორის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც. სალამომ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებაზე და სადღესასწაულო ხასიათი მიიღო"[18].

გაზ. „საქართველოში" 25 თებერვალს დაიბეჭდა ინენის დიდი რეცენზია აბესალომზე: ბევრ რასმე აღტაცებით აქებს, ზოგი რამ ზედმეტად და შეუხამებლად მიაჩნია (ფალიაშვილმა, მართლაც, შეამოკლა ზოგი რამ). ოპერის შესახებ ბევრი სხვა რეცენზია დაიბეჭდა. ყველანი აღნიშნავდნენ, რომ ეს ეროვნული კულტურის ისტორიის დიდი მოვლენაა, თუმცა შენიშვნებსაც გამოთქვამდნენ. იმავე წლის 25 თებერვალს „ზ. ფალიაშვილის 25 წლის უანგარო მუშაობის აღსანიშნავად" კვლავ დაიდგა მისი ოპერა. „ავტორს დიდი თანაგრძნობით შეხვდა საზოგადოება და შესაფერი ოვაციებით დააჯილდოვა იგი. ოპერას დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენლებიც. ნიშნად პატივისცემისა ზ. ფალიაშვილი მთავრობამ დააჯილდოვა ათიათასი მანეთით და ხელოვნების განსაკუთრებული ნიშნით „ქნარისა და საქართველოს გერბის გამოხატულებით"[19]. უფრო ადრე, „თქმულების" პრემიერაზე, ასევე იქნა დაჯილდოებული დიმიტრი არაყიშვილი.

იმავე 1919 წლის 11 დეკემბერს პირველად დაიდგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე", რომელიც, ისევე როგორც ფალიაშვილის „აბესალომი" და „დაისი", დღემდე არ ჩამოსულა სცენიდან და საქართველოს გარეთაც დაიდგა.

ამ ოპერების განხილვა დიდად სცილდება როგორც ამ წერილის ამოცანას ფარგლებს, ისე ჩემს კომპეტენციასაც. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია არაყიშვილისა და ფალიაშვილის სიტყვების დამოწმება მათივე ავტობიოგრაფიებიდან. ეს სიტყვები არსებითია მათი მხატვრული მრწამსის გასაგებად.

დ. არაყიშვილი: „მე ვცდილობ გავაბა უხილავი ძაფები საქართველოს და ევროპას შუა. ვფიქრობ, რომ წმინდა ნაციონალურ შემოქმედებას, რომელსაც გადაკრავს ეთნოგრაფიული ხასიათი, ექნება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, რაც რასაკვირველია, ყურადსაღებია, მაგრამ რაც ამასთანავე ვერ გასცილდება საზღვრებს სწორედ იმიტომ, რომ იგი შეფერილი იქნება მხოლოდ ადგილობრივი ფერებით. ამიტომ, რათა ქართულ მუსიკალურ შემოქმედებას ექნეს საერთო ხასიათი, უნდა გაფართოვდეს შემოქმედების ჩარჩოებიც. უნდა ქმნიდე არა ეთნოგრაფიულ, ადგილობრივ სტილზე, არამედ ცოდნით შეიარაღებული, რომელსაც იძლევა მუსიკალური ტექნიკა და ევროპის მეცნიერება, უნდა გამოიყენო ეს ტექნიკა ქართული მუსიკის დამუშავებაში. ერთი სიტყვით, უნდა შექმნა ისეთი მუსიკა ეროვნული ჰანგებიდან, რომელსაც ერთნაირად აითვისებს

[18] ჟურნ. „თეატრი და მუსიკა", 1919, № 1, გვ. 65.
[19] იქვე.

როგორც ქართველი, ისე ევროპიელი. ასეთ შეხედულებას ვიზიარებ მე და ვცდილობ განვახორციელო იგი ჩემს შემოქმედებაშიც"[20].

ზ. ფალიაშვილი: „ჩემი თავი და თავი მიზანი და მისწრაფება ყოველ ჩემს მუშაობაში ყოფილა და მუდამაც იქნება, რომ ქართული ჰანგების „ჰარმონიზატორმა", თუ შემთხვევით არასგზით არ უნდა უღალატოს იმ პრინციპს, რომელიც თავდაპირველ განძს წარმოადგენს. ხალხური ჰანგების დამუშავება ან შეთხზვაში ეს პრინციპი გახლავთ, მთლიანად და სუფთად დაცვა ქართული კოლორიტისა აღმოცენებულის თვით ხალხის გულიდან. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ევროპულ ან უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიო მუსიკალურ ფორმებში ჩამოყალიბებული და მისივე მუსიკალურ კანონებზე დამყარებული, ტექნიკურად შემუშავებული უნდა იყოს. მე ამ პრინციპის მომხრე ვარ და მუდამაც ვიქნები, რადგანაც ეს ერთადერთი გზა არის, რომელსაც შეუძლია მუსიკალური ხელოვნება ჩვენში აყვავოს და განვითარება მისცეს"[21].

ამ ორ ტექსტში სხვადასხვა სიტყვებით, არსებითად, ერთი და იგივე ძირითადი აზრია გამოთქმული, აზრი, რომელიც მოკლედ არის ფორმულირებული არაყიშვილის პირველსავე წინადადებაში: „მე ვცდილობ გავაბა უხილავი ძაფები საქართველოს და ევროპის შუა". მნიშვნელოვანია ის, რომ ქართველ კომპოზიტორთა პოზიცია, მათი „მიმართულება" პრინციპულად ემთხვევა ქართველ მწერალთა და უნიჭიერეს მხატვართა მიზანდასახულებას — სწორედ ეს უპასუხებდა ახალი ეპოქის მიერ წამოჭრილ მოთხოვნილებას.

თბილისის საოპერო თეატრის ცხოვრებაში სხვა საყურადღებო ნაბიჯები იყო უცხოური ოპერების ქართულად დადგმა: ითარგმნა და დაიდგა ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი" და ა. რუბინშტეინის „დემონი". ამ ინიციატივამ შემდეგ წლებში, სამწუხაროდ, ვერ შეძლო დამკვიდრება, იგი ადრევე ჩაკვდა.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი ს ისტორიაში დამოუკიდებლობის წლები ერთგვარ გარდამავალ ხანად ჩანს.

ისევე, როგორც ყველა სხვა დარგში, აქაც მწვავედ ისმის საკითხი ძველისა და ახლისა. 1919 წელს აკაკი ფაღავა წერდა: „ჩვენ არაერთგზის ვამბობდით და ვწერდით ქართული დრამის შესახებ. ძველის საკვდილი აუცილებელია, რომ იშვას ახალი — და ახლა ცხადად ვხედავთ, რომ ძველი თეატრი, თითქოს დამსახურებული და ნაამაგევი, მაგრამ მაინც კვდება. ეს ნუგეშის მომცემია, რადგან სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან დროსა და სივრცის გარეშე არაფერი ხდება. ამიტომ ძველმა უნდა განისვენოს, როგორც დრომოჭმულმა". ავტორი პატივისცემით იხსენიებს ძველი თეატრის ბუმბერაზებს — მაკო საფაროვას, ვასო აბაშიძეს, ნინო ჩხეიძეს, ლადო მესხიშვილს და სხვათ, მაგრამ მიაჩნია, რომ ახალ თეატრს ახალი ამოცანები აქვს ამოსახსნელი. ისიც და მიხეილ ქორელიც ხაზს უსვამენ მსახიობთა მასის დაბალ პროფესიონალიზმს, თეატრალური კულტურის საერთო დაბალ დონეს[22].

---

[20] ჟურნ. „თეატრი და მუსიკა", 1919, № 1, გვ. 12—13.

[21] იქვე, გვ. 25. ამავე ავტობიოგრაფიიდან: „ჩვენს მთავრობას, როგორც ჩანს, ვალდებულებად არ მიაჩნია ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწეთა წახალისება და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ზოგიერთ ქართველ კომპოზიტორს უკვე დაუწყნიათ ფართოოპერული დამუშავება ათასი-ათასი თუმანი, ჩვენი მთავრობას ამ მხრივ შესაქებ გულგრილობისათვის ყოველი ჩვენგანი მუშაობა პატივისცემით თავს მოუხრის და დიდ მადლობას უძღვნის მას".

[22] ა კ. ფ ა ღ ა ვ ა. ქართული სასცენო ხელოვნება, ჟურნ. „თეატრი და მუსიკა", 1919, № 1, გვ. 6—7; მ ი ხ ე ი ლ ქ ო რ ე ლ ი. „ჩვენი სცენის დღევანდელი საჭიროებანი", ჟურნ. „თეატრი და მუსიკა", გვ. 22—36.

დიდ იმედებს ამყარებდნენ პარიზიდან ახლად ჩამოსულ გიორგი ჯაბადარის მიერ (იქ ოდეონის თეატრში მუშაობდა) 1918 წელს დაარსებულ სტუდიაზე. ქებით იხსენიებდნენ სტუდიის პირველ წარმოდგენას (ბრიეს პიესას „სარწმუნოებას“), უხაროდათ, რომ „სტუდიის გარშემო თავი მოიყარა სასცენო შრომის და შემოქმედების მოწყურებულმა ინტელიგენტმა ახალგაზრდობამ“ (ამ სტუდიიდან გამოვიდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, მიხ. ჭიაურელი). სტუდიამ დადგა როსტანის, ჰაუპტმანის, სით ქანტურიშვილის პიესები. გ. ჯაბადარი ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა ამ საქმეს. მან მოახერხა ქართულად წიგნიც გამოეცა „დიქცია მსახიობებისა და ორატორებისათვის“. მაგრამ სტუდიას, ეტყობა, ბევრი დაბრკოლება გადაეღობა, 1920 იგი დაიხურა, ჯაბადარი კი საფრანგეთს დაუბრუნდა.

1920 წელს ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ (№ 1), წინა წლის ვითარების მიმოხილვისას, წერდა, „დრამის საქმე ცუდადაა. 1919 წლის სეზონი დაიწყო სახელმწიფო თეატრში, მაგრამ ადმინისტრაციასთან კონფლიქტის გამო დასი ქუჩაში დარჩა. თამაშობენ ქართულ კლუბში“. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, როცა 1920 წელს „თბილისის ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა იძულებით ჩამოართვას იუზბაშევს არტისტული საზოგადოების შენობა“, და გადასცა იგი ქართულ დრამას (ეს დღევანდელი რუსთაველის თეატრის შენობაა)[23].

მიუხედავად ამ კრიტიკული განწყობილებისა, უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრს ცალკეული წარმატებაც ჰქონდა. აქტიურად მუშაობდა ქუთაისის თეატრი მიხ. ქორელისა და ალ. იმედაშვილის მეთაურობით, თუმცა ფინანსურად ძალიან უჭირდა (ქუთაისში თავისი „დრამატიული საზოგადოება“ ჰქონდათ). ქართულ თეატრში იმ წლებში იღვწოდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპების მიმდევარნი (ამ თეატრში ნამუშევარნი ან ნასწავლნი) ალ. წუწუნავა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხალხურ თეატრს, დიდად ნიჭიერი ვალერიან შალიკაშვილი, რომელიც ძალიან ადრე (1919 წელს) გარდაიცვალა, აკაკი ფალავა, მიხ. ქორელი. პირველ გაბედულ ნაბიჯებს დგამდა ალექსანდრე ახმეტელი.

ქართული დრამატიული საზოგადოება გარკვეულ აქტიურობას იჩენდა — აცხადებდა მიღებას ახალ სტუდიაში, ნიშნავდა პრემიებს საუკეთესო ორიგინალური პიესისთვის[24]. 1918 წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№ 6) არის ასეთი ცნობა, რომელიც დღეს, ალბათ, ბევრს აღარავის ახსოვს. 7—12 მარტს შედგა ქართველ მსახიობთა კავშირის წლიური კრება (საზოგადოების თავმჯდომარედ შემდეგ აირჩიეს შალვა დადიანი). დაადგინეს რეჟისორად მოიწვიონ „განთქმული კოტე მარჯანიშვილი“. მაშინ მისი ჩამოსვლა ვერ მოხერხდა, ის 1922 წლიდან ჩაუდგა სათავეში რუსთაველის თეატრს და, როგორც ცნობილია, სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული თეატრის განახლება.

იმ წლების თეატრალური ცხოვრებიდან კიდევ აღსანიშნავია, რომ გაიხსნა რამდენიმე მუშათა თეატრი, იმართებოდა ცნობილ მსახიობთა იუბილეები. მაგ. ვიქტორ გამყრელიძისა 1918 წელს[25], ვასო აბაშიძისა 1919 წელს[26] — ვასტ. გარიკის ანგარიშის მიხედვით, ეს ნამდვილი ზეიმი იყო; იმართებოდა

---

23 „თეატრი და ცხოვრება“, 1920, № 6, 15. II.
24 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, № 253.
25 გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, № 253.
26 გაზ. „საქართველო“, 1919, № 51.

გასტროლები, მაგ. ალექსანდრე იმედაშვილისა (წარმოადგენს „ოტელოს"[27]. ამ წლებში დიდხანს თამაშობდნენ თბილისში მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები (მათ შორის, ვას. კაჩალოვი), რაც უეჭველად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის კულტურულ ცხოვრებაში (მაშინდელ გაზეთებში იბეჭდებოდა ანონსები და რეცენზიები).

რამდენადაც ვიცი, 1918—20 წლებში გადაღებული ქართული მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ფ ი ლ მ ი არ დარჩენილა და არც ჩანს. მაგრამ ცნობილია, რომ პირველი ქართული მხატვრული სურათი „ქრისტინე" (ეგ. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით) გადაღებული იქნა 1916 წელს რეჟისორ ალ. წუწუნავას მიერ. ოპერატორი იყო ალ. დიღმელოვი, იგი შემდეგ დიდხანს მოღვაწეობდა ქართულ კინოში, მხატვარი — დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც შეგვიძლია ჩავთვალოთ ამ დარგის პიონერად ეროვნულ კინემატოგრაფიაში. ამ საქმეს თავში ედგა ქართული კინოს ფაქტობრივი დამფუძნებელი და ორგანიზატორი გერმანე გოგიტიძე. მთავარ როლს ასრულებდა ანეტა აბელიშვილი, მონაწილეობდნენ ქართული თეატრის ცნობილი მსახიობები — ვასო აბაშიძე, ვასო არაბიძე, ცეცილია წუწუნავა, გიორგი ფრონისპირელი, ნიკო გვარაძე და სხვანი.

თუ სხვა იმდროინდელი მხატვრული სურათი არ გაგვაჩნია, დოკუმენტური კინო ადრევე ჩაისახა და იმ დროსაც აქტიურად მოქმედებდა. ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭაში დღეს საყოველთაოდ ცნობილია (მას მანამდე უკვე რამდენიმე სურათი ჰქონდა გადაღებული). მაგრამ ის, რაც დამოუკიდებლობის წლებში იქნა გადაღებული, სულ ბოლო დრომდე გადამალული და მიუწვდომელი იყო. აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ საინტერესო გადაუღიათ (აქაც გერმან. გოგიტიძე იყო მთავარი), მაგალითად, დამფუძნებელი კრების გახსნა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების შესვლა ბათუმში, 26 მაისის პარადი, უცხოელ სტუმრების (დელეგაციების) ჩამოსვლა და აქ ყოფნა, შევარდენის სპორტსმენთა გამოსვლა. სამხედრო საისტორიო არქივის გამგემ ს. ერაძემ გადაიღო 1918 წლის ივნისის ბოლოს მოკლული კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის დაკრძალვა (ფილმი დაკარგულია).

არის ცნობები, რომ ევროპის კინოეკრანებზე უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმებს საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ისტორიული ძეგლების შესახებ, კიდევ რაღაც ფილმებს ქართულ მსახიობთა მონაწილეობით, მაგრამ როდის და ვის მიერ არის გადაღებული ეს სურათები, არ არის ცნობილი. გ. გოგიტიძის ცნობით, „ქრისტინეს" გადაღების შემდეგ, მას გადაუწყვეტია, რომ მარტო თვითონ სიძნელის, მათ შორის, ფინანსურ სიძნელეთა გამო, საქმეს ვერ გაუძლებოდა. „ჩემთვის აშკარა გახდა რომ ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორც კინომრეწველობაა, უეჭველად სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელში უნდა ყოფილიყო. ჩემი არჩევანი შეჩერდა კოოპერატივ „ცეკავშირზე". ამ ორგანიზაციამ მიიღო ჩემი წინადადება და მასთან ერთად კინოსურათი „ქრისტინე". ამავე დაწესებულებას გადავეცი პირადად ჩემი სახსრებით გადაღებული რამდენიმე კინოქრონიკა"[28].

---

27 გაზ. „სახალხო საქმე", 1918. 5. IV. № 213.

28 ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ე ნ ც ა ძ ე. ეპიზოდები დამოუკიდებელი საქართველოს კინემატოგრაფიული ცხოვრებიდან, ჟურნ. „სინემა", 1991, № 5, გვ. 4—6.

როგორც ცნობილია, ქართული მხატვრული კინემატოგრაფიის განვითარება მომდევნო ათეულ წლებს მიეკუთვნება.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქართული ინტელიგენციის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა სპორტულ საზოგადოებას „შ ე ვ ა რ დ ე ნ ს", რომლის სათავეშიც იდგნენ გამოჩენილი სპორტსმენები და საზოგადო მოღვაწენი გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი და თამარ ნიკოლაძეები, დათა ჯავრიშვილი, არჩილ ბაქრაძე, გაიოზ ბერელაშვილი, გიორგი მერკვილაძე და სხვანი. დაარსების ინიციატორი იყო გიორგი ნიკოლაძე, მანამდე პეტროგრადის ერთ-ერთი „სოკოლის" დამაარსებელი და უფროსი, უკვე მრავალი სპორტული ჯილდოს მფლობელი. შევარდენი არსებობდა 1918–1923 წლებში („შევარდენს" წინ უსწრებდა საზოგადოება „სოკოლი"). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტანვარჯიშს, აგრეთვე სპორტის სხვა სახეებსაც. „შევარდენი" აწყობდა საჯარო გამოსვლებს, კერძოდ, მონაწილეობდა 26 მაისობაში — ვაკეში, სადაც ახლა პარკია; არსებობის ბოლო ხანებში საზოგადოება უშვებდა ჟურნალ „შევარდენს" (საქართველოს შევარდენთა კავშირის დროგამოშვებითი ორგანოს), რომლის რედაქტორი იყო მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, ზემოთ უკვე მოხსენიებული ექიმი სოსო ახლაწიშვილი. სარედაქციო კოლეგიას კი შეადგენდნენ გიორგი ეგნატაშვილი, თამარ ნიკოლაძე, ივანე მაჭავარიანი. ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემა მხოლოდ 1922 წლის იანვარში მოხერხდა, მაგრამ მთელი მასალა ადრევე მომზადებული და წინა წლების მოღვაწეობას ასახავს. ჟურნალი მოწმობს, რა სერიოზულობით ეკიდებოდნენ „შევარდენის" მესვეურნი თავის საქმეს, რომელიც სამართლიანად მიაჩნდათ ეროვნული მნიშვნელობის მქონედ. დაბეჭდილი ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ საზოგადოება აქტიურად ეწეოდა სპორტის პროპაგანდას მთელ საქართველოში. ცდილობდა უკვე ბავშვობის წლებიდან მიეზიდათ გოგო-ბიჭები სავარჯიშოდ. ქმნიდნენ ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიას, მეცადინეობას ქართულად აწარმოებდნენ, ამზადებდნენ ხელმძღვანელებს (1921 წელს გამოვიდა გ. მერკვილაძის „ქართული მოძრავი თამაშობანი"), თვით ჟურნალში დაბეჭდილია მეთოდური ხასიათის წერილები.

გ. მერკვილაძის წიგნის წინასიტყვაობაში სოსო ახლაწიშვილი წერდა: „შევარდენი, ვით მძლავრი ძალა, შეიჭრა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ერთგვარი აფორიაქება შეიტანა მის მყუდროებაში, შევიდა ხალხში ხალხისავე სახსრებით, ხალხისავე სიყვარულით... შევარდენი ხომ ხალხის შვილია, შევარდენი უზრდის საქართველოს ჯანსაღ რესპუბლიკელებს, შევარდენი ქმნის მაგარ, გაკაჟებულ თაობას... შევარდენს მოაქვს სილამაზე, სისხარტე. შევარდენი სილამაზის სიმბოლოა. და სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი შევარდნული იდეის განვითარებისა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ასეთი სიმძლავრით". 1923 წელს შევარდენი გააუქმეს, როგორც იდეურად მიუღებელი, რაკი იგი დამოუკიდებელი საქართველოს დროინდელ ტრადიციებს არ ღალატობდა.

დასასრულ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა საკუთარი ჰიმნი („დიდება"), საკუთარი გერბი და დროშა. ჰიმნის სიტყვებისა და მუსიკის ავტორი იყო კოტე ფოცხვერაშვილი, გერბისა — საქართველოში დამკვიდრებული ცნობილი მხატვარი იოსებ შარლემანი, დროშისა — მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

დღეს ეს ჰიმნი, გერბი და დროშა, სამოცდაათი წლის განმავლობაში უკუგდებული და მივიწყებული, კვლავ დაუბრუნდა საქართველოს.

ამგვარად, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე არსებობა და ის წლები რომლებიც იმ ხანას წინ უძღოდა, არის ორგანული ნაწილი ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიისა, ნაწილი, ურომლისოდაც სრულიად ირღვევა განვითარების ბუნებრივი სურათი; უფრო მეტიც, ეს არის უმნიშვნელოვანესი მიჯნა, რომელიც აღნიშნავს ქართული კულტურის ასვლას ახალ საფეხურზე, გაბედული ნაბიჯი მსოფლიო მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვნების უახლეს მონაპოვართა დასაუფლებლად.

ქართული შემოქმედებითი ინტელიგენცია თავისი როლის სრული შეგნებით და უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა დამოუკიდებელი ეროვნული კულტურის საფუძვლის ჩაყრას. უმოკლეს ხანაში მან შეძლო გამოემჟღავნებინა ერის დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, ერწმუნებინა, რომ ქართველი ხალხი ღირსია საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. და თუმცა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოს რთული და მძიმე გზის გავლა მოუხდა, იმას, რასაც საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებლობის დროს, უკვალოდ არ ჩაუვლია. სწორედ იმ წლებშია საძიებელი ფესვები ბევრი სასიკეთო საქმისა (კულტურის მთელი დარგებისა!), რომელთა განხორციელება მაინც მოხერხდა მომდევნო ხანაში. დიდი პატრიოტული შემართების, თავდადებული შრომისა და თავგანწირვის ფასად.

[illegible]

ალანები და საქართველო*

ახლა შევეხოთ იმ არქეოლოგთა ნაშრომებს, რომლებიც მატერიალურ კულტურაში ხედავენ ალანთა ჩამოსახლების ნიშნებს ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში.

არქეოლოგმა ბ. ტეხოვმა ჯერ კიდევ 1971 წ. ლიახვის ხეობის ზედა წელზე სოფელ სტირფაზთან გათხრილი სამაროვანი ოს ტომებს დაუკავშირა მხოლოდ და მხოლოდ ადგილის „სახელის" მიხედვით[119]. ამ სახელის შემქმნელი ალანები თითქოს ადრე შუა საუკუნეებში ჩამოსახლებულან. თუმცა რამდენიმე გვერდის შემდეგ ანტიკურ ხანაშიც ცდილობს სარმატული ელემენტები მოძებნოს და თან იშველიებს სტრაბონის ცნობას იბერიის მთიელების „სკვით-სარმატულობის" შესახებ და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ეყრდნობა გ. მელიქიშვილის ავტორიტეტსაც[120]. იყენებს გ. ლომთათიძის დაკვირვებებსაც კლდეეთის სამაროვანთან დაკავშირებით. დაბოლოს აკეთებს დასკვნას, რომ ეს ტერიტორია, „სოციალურ-პოლიტიკური" ცხოვრების მხრივ, მუდამ შედიოდა ქართლის სამეფოში და ამ დეტალებით არ განსხვავდებოდა ქართლის სხვა კუთხეებისაგან[121]. ავტორი ერთი მხრივ, იზიარებს იბერიელ მთიელთა სკვით-სარმატებთან ნათესაობას, მაგრამ, მეორე მხრივ, თანმიმდევრული არ არის და აღნიშნავს, რომ მის მიერ გათხრილ სამარხებში დაკრძალულთა პოზა სარმატულს არ შეესაბამება[122].

შემდგომში ბ. ტეხოვმა სტირფაზის სამაროვანს ცალკე მონოგრაფია უძღვნა[123], განიხილავს რა I—VII სს-თა 80-ზე მეტ სამარხეულ არქეოლოგიურ მასალას, დაასკვნის, რომ: **«Некоторые группы северо-кавказских алан в раннее средневековье могли обосноваться в горной зоне Иберии, которая до их появления была занята населением по обычаям и нравам, близким скифам и сарматам». Это сообщение автора I в. н. э. Страбона в определенной степени подтверждается данными археологии»**[124].

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. „მაცნე" № 3-ში.

[119] Б. В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тб., 1971, გვ. 149; სარწმუნოა, რომ 20-იან წლებში სოფელ სტირფაზის ოსეთს [illegible]. Р. Х. Гаглоев, Стрифазский могильник, Цхинвали, 1984.

[120] Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, с. 247; Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тб., 1959, с. 292.

[121] იქვე. Г. Меликишвили, К истории Древней Грузии.

[122] იქვე, გვ. 246.

[123] Б. В. Техов, Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви в I—VIII вв. Тб., 1988.

[124] Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, 1987, გვ. 76.

როგორც 1971 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში, ისე წინამდებარეშიც ავტორი კლდეეთის სამაროვანზე გ. ლომთათიძის დაკვირვების ციტირებას ახდენს: **«Сравнительный анализ погребального обряда и инвентаря выявляет ряд этнических совпадений с северокавказскими, крымскими, сарматскими древностями позднеантичной эпохи. Особенно много насчитывается параллелей в Северной Осетии, через промежуточные материалы из северных областей Грузии — Рачи (верховья р. Риони) и Юго-Осетии (верховья р. Лиахви)»**[125].

მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მხოლოდ ნაწყვეტია იმ საერთო დასკვნის, რომელიც მოცემული აქვს გ. ლომთათიძეს; იგი სრულიად სხვა ასპექტში ხედავს როგორც ურთიერთობებს, ისე „სარმატული პრობლემის" საფუძვლებს. გ. ლომთათიძე „აგრძელებს მსჯელობას", რომ „ასეთი ურთიერთობა ძველთაგანვე, ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულიდანვე მომდინარეობს (გავიხსენოთ ლების მრავალრიცხოვანი სამარხეული მასალა, კოლხური და ყობანური კულტურების აშკარა მონათესაობა და სხვ.) და უწყვეტლივ გრძელდება გვიანანტიკურ ხანაშიც"[126]. გ. ლომთათიძის დაკვირვებით ბევრი ე. წ. სარმატული ნიშანი საქართველოში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ვლინდება, ამიტომ: **В отличие от южнорусских областей, в отношении Грузии было бы неправомерным и неисторичным говарить о „сарматизации."** მას აინტერესებდა პრობლემა **„чем обязана сама сарматская култура древним зрелым културам Кавказа...**[127] და ვფიქრობთ, ბ. ტეხოვი სრულიად არაკორექტულად მოიქცა, გამოიყენა რა თავის სასარგებლოდ გ. ლომთათიძის ერთიანი მონოლითური დასკვნის ნაგლეჯი, ის, რაც მას „სჭირდებოდა" (სხვა საქმეა გ. ლომთათიძის აღნიშნული მონაცემი რამდენადაა ახლოს ჭეშმარიტებასთან). ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ლომთათიძეს განსხვავებული ქრონოლოგიური ჯგუფის ანალოგიები მოჰყავს საკმაოდ დაშორებული ტერიტორიებიდან (გვ. 166. ცხენის დამარხვაზე, X—XIII სს. ახ. წ., ძვ. წ. X—IX სს. გვ. 167. ძვ. წ. I ათასწლეულის შესახებ, გვ. 184) და დღეს ეს ნაშრომი თავისი შესწავლილობის პრინციპებითა და თეორიული ბაზით გამოსაყენებლად საკმაოდ საფრთხილოა. რა თქმა უნდა, სულაც არ ვამცირებთ მის საერთო შემეცნებით ღირებულებას.

ამდენად, ბ. ტეხოვის მითითება გ. ლომთათიძის ნაშრომზე არაზუსტი და შეცდომაში შემყვანია. უნდა ითქვას, რომ მის მიერ გამოქვეყნებული I—VIII საუკუნეთა 80-ზე მეტი სამარხიდან გამომდინარე აბსოლუტური უმრავლესობა ინფორმაციისა (ისტორიული ინფორმაციისა) ადგილობრივ, წმინდა იბერიულ „სოფლურ კულტურაზე" მიგვითითებს. მათში უცხო ელემენტები იშვიათია და ისინი საერთო სურათს ოდნავაც ვერ ცვლიან. მაგ., ერთ-ერთია **„кувшинчик аланского типа"**[128], მართლაც, ასეთი ჭურჭელი დამახასიათებელია „ალანური კულტურის" აღმოსავლური ვარიანტისათვის[129]. მაგრამ განა შეიძლება ერთი (ან თუნდაც 10) ჭურჭლით მთელი მხარის ეთნიკურ კუთვნილებაზე

---

125 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, 1957, გვ. 203.

126 იქვე, გვ. 189.

127 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, 1957, გვ. 204.

128 Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

129 В. А. Кузнецова, დასახ. ნაშრომი, 1973, ნახ. 3—15. თუმცა აღსანიშნავია, რომ ალანური კულტურის კერამიკა სათავეს „ყობანური კერამიკიდან" იღებს და არ უნდა გაგვ-

საუბარი? რუთხასა და კუმბულთაში აღმოჩენილია IV ს-ის „მსხლისებრი" ნაპირალები ქართული ჰურჰლები (3 ც.)[130]. შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ მათ მიხედვით იქ ქართველთა არსებობა? ავტორის მიხედვით, ერთ-ერთ ინდივიდს თავის ქალა ხელოვნურად ჰქონდა დეფორმირებული[131]. ასეთი ცალკეული შემთხვევები ცნობილია სხვა ქართული ძეგლებიდანაც: წილკნის აკლდამა, ქვემო ალევი, ნაზარლევი, ძალისანი, სანთა; არის მინგეჩაურშიც. ბ. ტეხოვი მას ალანთა ეთნიკურ ნიშნად მიიჩნევს. მკვლევართა უმეტესობის მიხედვით ეს ასე არ უნდა იყოს[132].

როგორც ტექსტიდან ჩანს, ბ. ტეხოვი სამართლიანად მიიჩნევს ქართული არქეოლოგიური კომპლექსებისათვის სიახლედ ორ ნივთს. ერთია ინკრუსტირებული ფრინველისებური საკიდი, ხოლო მეორე „შევარდნისთავიანი წრე"[133]. მათ ანალოგებს პოულობს ჩრდილო კავკასიაში. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნივთები არც მხოლოდ ჩრდ. კავკასიის დამახასიათებელია და, მით უმეტეს, ეთნიკური ნიშნის მატარებელი არ არის. ისინი ფართოდაა გავრცელებული „ხალხთა გადასახლების ეპოქის" ევროპულ ძეგლებზე[134].

რაც შეეხება მთლიანად სამარხებს, დაკრძალვის წესი, სამარხი მოწყობილობანი ადგილობრივია. ანტიკური ხანის სამარხთა ჯგუფში გვხდება ცხენის ჩატანება. ასეთი რამ გავრცელებული ჩანს ამ დროის საქართველოში: აღმოჩენილია დილომში, ურბნისში, კლდეეთში, ბიჭვინთაში[135]. როგორც ანტიკური ხანის, ისე მომდევნო პერიოდის სამკაულს მრავალი პარალელი მოეძებნება ქართულ ძეგლებზე[136], იგივე ითქმის კერამიკაზე[137].

[illegible] მათი არსებობა კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში როგორც ქედის იქეთ, ასე აქეთ.

130 В. А. Кузнецов. დასახ. ნაშრომი, 1962, ნახ. 33, 1—3 (თარიღი სწორი არ არის — XI—XIII სს). შდრ. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, ტაბ. XX—2, 3, XXI — 2, 3

131 Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, 1987, ტაბ. 156, 2—11.

132 А. С. Скрипкин, დასახ. ნაშრ., 1982, с. 68, «В первых веках нашей эры в эту среду проникают гуннские элементы, с которыми обычно связывают появление длинных луков с костяными обкладками, широкое распространение деформации головы». — А. П. Смирнов, К вопросу о гуннских племенах на Средней Волге и Прикаспии. АИНЮВЕ, М., 1974, с. 66.

133 Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 95—14—15, გვ 17, 18, 32.

134 Ursula Koch. Die Grabfunde der Merowingerzeit aus dem Donautal um Regensburg. Berlin, 1968. Tafel. 68—5.1—18, 18—12. Tafel 84—4. Albert Crepin. Le Cimitere du Breurs, Arras, 1957, pl V, 19; Cronologie, Basel გვ. 241—157—13—14.

135 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 119; „მაცნე", ისტორიის სერია, № 2, 1971, გვ. 168. ტეხოვი ცდება როცა წერს, რომ დაკრძალვის წესის ელემენტი თითქოს საქართველოში გავრცელებული არ ყოფილიყოს (Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, გვ. 68).

136 Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 66—3, 8, 9; შდრ. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს., თბ., 1977, ტაბ. XII. შდრ. Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 88, 89, 92; ნ. აფხაზავა, ადრეშუა საუკუნეების ადრინდელი საქართველოს ნივთიერი კულტურა, 1979, ტაბ. VIII, XIX — 34 — 40, ტაბ. XXXIV—32, XXXV—30.

137 Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 80, 138; ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, ტაბ. XIII—2, ტაბ. XXI—3,6. მარიანაშვილი, შიდა ქართლის შუასაუკუნეების კერამიკის ისტორიიდან, თბ., 1983, ტაბ. 42.

აღსანიშნავია, რომ სამაროვანზე ადრეშუასაუკუნეთა მასალაში შეიმჩნევა ქრისტიანული დაკრძალვის წესი[138]. ამ დროის არც აქ, არც სხვაგან „სამხრეთ ოსეთში" არ გვხვდება „ალანური კულტურის" ერთ-ერთი მთავარი ელემენტი — კატაკომბური სამარხი. სტირფაზში ადრეშუასაუკუნეთა ჯგუფში გვხვდება მიცვალებულისთვის მონეტის ჩატანების შემთხვევა (სამარხი № 86, სასანური მონეტა). მის შესახებ პატივცემული ავტორი წერს, რომ იგი პირველი შემთხვევაა „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე[139]. როგორც ჩანს, მისთვის უცნობი დარჩა ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის — ახალგორის რაიონის სოფელ ალევში გათხრილი სამაროვნის მონაცემები, სადაც ჯერ კიდევ 1981 წ. ორ ათეულამდე მონეტა აღმოჩნდა VI—VII სს-თა სამარხებში[140].

მოკლედ, ყველა ნიშნით სტირფაზის სამაროვანი შესანიშნავი ქართული ძეგლია. იგი ასახავს I—VIII საუკუნეთა ქართლის მთის სოფლის ცხოვრებას. რაც მთავარია, იგი ერთი ეთნიკური კოლექტივის დანატოვარია, რომლის აქ ყოფნა უწყვეტია თითქმის 8 საუკუნის მანძილზე[141].

სტირფაზის სამაროვანი უკავშირდება როგორც სტრაბონის მთიელ იბერთა პრობლემას, ისე ნაწილობრივ სინათლეს მოჰფენს ქართული ისტორიული მეცნიერების, ქართველოლოგიის ერთ „ძნელ" საკითხს დვალთა ეთნოკულტურულ ვინაობას. სწორედ ამ კუთხით სტირფაზის სამაროვანზე მეტად საინტერესოა ედისის სამაროვნის მონაცემები, რომელიც გამოავლინა და „შეისწავლა" რ. ჯატიევმა (ძაძიათი). ედისი მდებარეობს დიდი ლიახვის სათავეებში, ისტორიულ მაღრან-დვალეთში; სამაროვანი კი განლაგებულია „ნაქალაქარზე", რომელსაც ოსმა კოლეგებმა ბოლო ხანებში დაუმკვიდრეს სახელი „город — царциатов". იგი, როგორც ჩანს, მრავალფენოვანი ძეგლია. აქ გამოვლენილია ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების სამარხები (ეს უკანასკნელი ქვაყუთებია)[142]. გათხრილი მასალიდან ჯერჯერობით გამოქვეყნდა მხოლოდ ადრეშუასაუკუნეების 6 სამარხის მონაცემი. რ. ჯატიევი თავისი სტატიის დასკვნით ნაწილში „ავითარებს აზრს", რომ: „Анализ инвентаря могильника показывает, что вещи характерны для Закавказских и особенно для северокавказских памятников раннего средневековья". [illegible] ეს დასკვნა შეიცავს ავტორის „უზუსტობას", რადგან შემოთავაზებული დაპირისპირება „ზაკავკაზიე". „სევერნი კავკაზ" იწვევს გაუგებრობას, რადგან თუ ზოგადად „ზაკავკაზიეს" არქეოლოგიურ მასალებს შევადარებთ[143] ედისურს, შესაძლოა იგი, მართლაც, უფრო ჩრდილოკავკასიური ელფერის ჰქონდე-

138 Б. В. Техов, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

139 იქვე, გვ. 30, 155.

140 ნ. აფხაზავა, ი. ჯავახიშვილი, ა. გოცაძე, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ქსნის ხეობის რაზმის 1981 წლის მუშაობის ანგარიში, სსმ., VIII, თბ., 1986.

141 ასეთი ტრადიციული სამაროვნები საქართველოში არცთუ ბევრი გვაქვს შესწავლილი და გამოცემული. სამაროვანი ფართოდ უნდა შევიდეს სამეცნიერო მიმოქცევაში სწორი ინტერპრეტაციით.

142 Б. В. Техов, Археологическое изучение Южной Осетии за 50 лет Советской власти, ИЮОНИИ XV, Цхинвали, 1968, ст. 18—21; Дзаттиаты Р. Г., Раннесредневековый могильник в селении Едыс (Южная Осетия), СА, № 2, 1986, ст. 198.

143 „ზაკავკაზიის" არქეოლოგიური კულტურა ამ დროის არ არის ერთიანი, იგი ძირითადად ნაწილდება ამ დროის უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსების მიხედვით, რომელთა ნივთიერ კულტურაში მეტ-ნაკლები [illegible] [illegible].

ნის. მაგრამ თუ მის თავის ადგილს მოვუძებნით და ადრეშუასაუკუნეების ქართლის ნივთიერ კულტურას შევადარებთ, მივიღებთ სრულიად შებრუნებულ სურათს. იგი იდენტურია ქართლური[144] მასალისა (ურბნისი, მცხეთა, რუსთავი და სხვ.) და არა ჩრდილოკავკასიურისა. ეს ითქმის როგორც გლიპტიკაზე, შემკულსაკინძებზე, საკინძებზე, ბეჭდებზე, ქამრის დეტალებზე, საყურეებზე და სხვ. სხვათა შორის უმეტესად ქართველი ძეგლებია დასახელებული[145]. სხვანაირად შეუძლებელიც იყო, რადგან ერთადერთი აქ აღმოჩენილი ნივთი, რომელსაც ქართულ მასალაში ანალოგი არ მოეძებნება (ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის უცნობია), არის მინის [illegible]ჭურჭელი (Бокал—карчезиум)[146] საინტერესოა, რომ თვით დაკრძალვის წესის ელემენტებით ედისის სამაროვანი ფაქტობრივად ქრისტიანულია. სამარხი ორმოები მოგრძო ოთხკუთხაა, დამხრობილი დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე. მიცვალებულები თავით ყოველთვის დასავლეთით წევან და კარგად დაცულ შემთხვევებში გა[illegible]ლადაც კი. ამასთან სამარხები კოლექტიურია[147] [illegible] სრულიად შეესაბამება დაკრძალვის წესს, გაბატონებულს V—VII სს. იბერიაში[148]. მონაცემები დაკრძალვის წესისა შესაძლოა მატერიალური დადასტურება იყოს იმ ცნობისა, რომ დავით გარეჯელის მოწაფეები „...რომელიმე მათგანნი კახეთის საზღვართა მიმართ მიიწიენეს, ხოლო სხვანი მთის კერძოთ დუალეთისა მკვიდრთა მიმართ"[149]. ეს ხდება VI ს-ის შუა წლებში და ამ მხრივაც მას სრულიად შეესიტყვისება ედისის სამაროვნის მონაცემები[150]. აღსანიშნავია, რომ [illegible] წელს დაბეჭდილ სტატიაში (ჟურნ. „Природа" № 10, 1986, გვ. 78) ქატიევი უბრალოდ ცრუობს, რომ თითქოს „დაკრძალვის წესი, სამარხის მოწყობილობა და მათში აღმოჩენილი მრავალი ნივთი არაა დამახასიათებელი ამიერკავკასიისთვის".

შემდეგი ტყუილი ისაა, რომ ქატიევმა იცის ალანურობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი კატაკომბური სამარხია (ყოველ შემთხვევაში ამ დროს — V—VII სს.). ედისში კი ორმოსამარხები გვაქვს. ქატიევი ამის მიზეზად ქვის გრუნტს ასახელებს: ქვაში ძნელი იყო კატაკომბების გამოკვეთა. ჩრდილო კავკასიაში სწორედ ადრეშუასაუკუნეებში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული კლდის კატაკომბები[151]. ამრიგად, გრუნტის „ფაქტურა" არაფერ შუაშია.

---

144 ქართლში გავრცელებული [illegible] და [illegible] რომელსაც [illegible] ადრეშუასაუკუნეებში ბერძნული წყაროები [illegible] შეესატყვისება.

145 Р. Г. Дзаттиати, დასახ. ნაშრომი, გვ. 200—208. [illegible] სტატიაში, რომელიც 6 სამარხს ეძღვნება, მხოლოდ ჩვენი ნაშრომი თითქმის 20-ჯერაა მითითებული, [illegible] — „[illegible]"

146 Р. Г. Дзаттиати, დასახ. ნაშრომი, გვ. 199, სურ. 2—2. სხვათა შორის, მისი ანალოგები არც სხვ. კავკასიაშია, როგორც [illegible] საქართველოში [illegible] სამაროვანზე [illegible] ჩრდ. [illegible]

147 იქვე, გვ 198—209, შდრ., გვ. 201, № 3 სამარხი.

148 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 833 და სხვ.

149 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნი ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 150.

150 [illegible] (იხ. В. Гамрекели. Двалы и Двалетия, Тб., 1961, с. 77).

151 Степи Евразии в раннем средневековье, Археология СССР, 1981, გვ. 88, სურ. 65.

უბრალოდ, ედისის სამაროვანზე ქრისტიანი ქართველები განისვენებენ[152], წინაპარნი XIV ს-ის დიდი მოღვაწის ნიკოლოზ დვალისა, რომელთა „გაალანება" სურს ძალიათის ნებისმიერი ხერხებით.

აი, ასეთი მეთოდოლოგიითა და საშუალებებით მომუშავე მკვლევარი ასკვნის, რომ „Таким образом, проникновение алан-осетин в Закавказье (не военные походы, а оседание) происходит не в XV—XVII вв. и даже не в XIII—XVI вв., а намного раньше, в VI—VII вв."[153] ისე, რომ ეს აზრი სწორი არაა, ნათელია. მაგრამ მოტანილ ციტატაში და მთელ სტატიაშიც ნიშანდობლივია ერთი ტენდენცია. ავტორს ალან-ოსები საქართველოში (ან თუნდაც ქართლის სამეფოში) ჩამოსახლებულად კი არ ეგულება, არამედ „ზაკავკაზიეში". ეს ტენდენცია, „საქართველოს" ნაცვლად „Закавказье" დამკვიდრება (შეიძლება ოდნავ შერბილებით) სხვა ოს მკვლევართა ნაშრომებშიც[154] შეიმჩნევა. ტენდენცია ნათელია — „ოსები" ჩამოსახლდნენ არა კონკრეტულ ეთნო-პოლიტიკურ სიტუაციაში, არამედ რაღაც გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც ხპარსელები განაგებდნენ. აქ ისინი სამხედრო სამსახურისთვის ირანელებს მოუწვევიათ[155] (უნდა შევნიშნოთ, რომ ედისის სამარხებს — „სამხედროობის" განსაკუთრებული არაფერი ეტყობა ისე, რომ ძალიათი აქაც ცდება). ამრიგად, იქმნება მოდელი, რომლის მიხედვით „ალან-ოსები" ჩამოსახლდნენ არა საქართველოში, არამედ „ზაკავკაზიეში". ამის შესახებ კი ჩვენი წერილის დასაწყისშიც მოგახსენეთ. დაინტერესებულ პირთ კი შევახსენებ თვით ოსი ისტორიკოსის გ. თოგოშვილის სიტყვებს. „არც ერთ მკვლევარს საქართველოში ოსთა გადმოსახლების ფაქტი საეჭვოდ არ გაუხდია (ხაზი ჩვენია — ნ. ა.). აზრთა სხვადასხვაობა მათ შორის თავს იჩენს ამ გადმოსახლების დათარიღების საკითხებზე"[156]. როგორც ჩანს, ამ ნათქვამსაც ყაური გაუგია.

ამრიგად, ოს მკვლევართა სურვილის საწინააღმდეგოდ, შიდა ქართლის მთიანეთის I—VIII საუკუნეთა[157] არქეოლოგიური კომპლექსები გვაძლევენ ისტორიულ დასაბუთებას, რომ ეს მხარე ძველთაგანვე ქართული და ქრისტიანული იყო, და ცვალთა ტომი თუ ამ დროის ლიახვის ხეობებში სახლობს, იგი ქართველთა განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

სხვათა შორის, იმავე მასალით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ სტრაბონის ცნობილი „უბადალებული" ცნობის ტრადიციული გაგება ძირშივე მცდარია.

---

152 ძალიათი იმეორებს თავის ძველებს დეტერმინიზმისაც (გვ. 208). ამ მოვლენის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. იგი, ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლოა ალანთა ეთნიკური ნიშანი არიო, მაგრამ აუტორს რომ დავუჯეროთ (რომელიც არავის ამჟღავნებს „ცდება"), საჭიროა უფრო ფილოლოგიური ანთროპოლოგიური ანალიზი და დოკუმენტაცია.

153 Р. Г. Дзаттиата, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

154 მაგ. А. Х. Сланов, Сохтинский могильник, Тб., 1988.

155 ეგრ. «Природа», № 10, 1986, с. 79.

156 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, 1958, გვ. 172.

157 ჰიჩელინამ გამოაქვეყნა 1926 წ. სოხთაში, ერწოეთში და როკში აღმოჩენილი სასაფლაოს არქეოლოგიური კომპლექსები, რომელთა ეთნიკურ ატრიბუციას არ იძლევა, მაგრამ კვლევის დროს გამოყენებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ მათ „ოსებს" უკავშირებს — Краткий отчет на раскопках Южной Осетии в 1926 г. ИЮОНГИИ, т. IV, Цхинвали, 1969, с. 131—161.

მაშ ასე, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოპოვებული I—VIII სს-ის არქეოლოგიური მასალა ქართლში ალანთა ადრეული დაფუძნების საწინააღმდეგოდ მეტყველებს[158].

ბოლო ხანებში ქართლის უფრო ცენტრალურ რეგიონებში აღმოჩნდა ისეთი არქეოლოგიური ფაქტები, რომლებმაც თითქოს მკვლევრებს საშუალება მისცა დაბეჯითებით ემტკიცებინათ ალანთა გარკვეული ჯგუფების არსებობა აქ. ალაიანში, თხოთის მთის სამაროვანზე დაფიქსირდა IV ს-ის „კატაკომბური“ 6 სამარხი. ამ ტიპის სამარხები, ავტორის თქმით, საქართველოში პირველად აქ აღმოჩნდა[159]. შემსწავლელმა ნ. მირიანაშვილმა ჩაატარა რა გარკვეული (ვიტყოდით, არცთუ სრული) ისტორიულ-არქეოლოგიური ანალიზი მასალისა, დაასკვნა, რომ თხოთის მთის მიდამოებში ადრეშუასაუკუნეებში მცირერიცხოვანი ალანური მოსახლეობა „არსებობდა“, „რომელიც თითქმის ასიმილირებული იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან“[160]. მისი დასკვნიდან ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ „კატაკომბურ სამარხებში გამოვლენილი მასალა არაფრით განსხვავდება მეზობლად გათხრილ ორმოსამარხებისა და თიხის სარკოფაგების ინვენტარისაგან“ (იქვე, გვ. 111). ჩვენ იმასაც დავუმატებთ, რომ „კატაკომბებში“ დაკრძალულთა პოზაც მეორდება სხვა ტიპის სამარხებში[161]. ამიტომაც ივარაუდა ასიმილაცია პატივცემულმა ავტორმა ალბათ. მაშ რაღაში გამოიხატება მათი ალანურობა?! სამარხის ტიპით და მასში დაკრძალულთა თავის ქალის ხელოვნური დეფორმაციით[162]. რაც შეეხება სამარხის ტიპს, ხელთ გვაქვს არცთუ ზუსტი მონაცემები, არ ვიცით კამერისა და დრომოსის ზუსტი ფორმა[163]. ამასთან, კამერის შესასვლელს კრამიტი ჰქონია მიფარებული (3—5 ან 6 ცალი). პირადად ჩვენი აზრით, კრამიტის გამოყენების ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იყო ჯერ კიდევ მომთაბარეობიდან არცთუ თავდაღწეული (IV ს.) ალანებისაგან ისეთი ურბანისტული ფენომენის გამოყენება თავის დასაკრძალავ მოწყობილობაში, როგორიცაა კრამიტი. ჩვეულებრივ ალანები ასეთ შემთხვევაში ფილაქვებს იყენებდნენ. მკვლევართა უმეტესობა, როცა სხვადასხვა ტიპის სამარხებში ერთნაირი ინვენტარი და დაკრძალვის წესია, სამარხთა ყველა ტიპს ადგილობრივად მიიჩნევს ხოლმე[164]. ისიც გასათვალისწი-

---

158 იგი სრულ პარამონიაშია სწორედ გაცემულ წერილობით წყაროების მონაცემებთან. ქსნის ხეობაში, რომელიც „სამხრეთ ოსეთის ოლქ“-ში შედიოდა, ჩვენ მიერ შესწავლილი არქეოლოგიური მასალა მთლიანად ამტკიცებს დანარჩენი საქართველოს სურათს — იხ. ნ. აფხაზავა, ქსნის ხეობა ადრეულ შუასაუკუნეებში, თბ., 1988.

159 ნ. მირიანაშვილი, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 87—89.

160 იქვე, გვ. 111.

161 იქვე, გვ. 106.

162 სხვათა შორის, აღნიშნული არაა რამდენს ჰქონდა თავის ქალა დეფორმირებული, ან სხვა ანთროპოლოგიური კვლევის შედეგი რა მოგვცა. ასეთი მასალის გაზიარება კი ძნელია. თავის ქალების დეფორმაცია ჰუნებისათვისაც დამახასიათებელია. გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული ასეთი შემთხვევები სხვა სამაროვნებზეც. ვიტყვით, ალუეში 300-მდე ინდივიდია დაფიქსირებული, მათში ოთხიოდე მიცვალებულს (ყველა ქალია) თავის ქალა დეფორმირებული აქვს. ანთროპოლოგიური კვლევის გარეშე ძნელია შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება, რადგან IV საუკუნის ალანურ-ირანულენოვანი ეთნოსი ეკუთვნოდა სრულიად გარკვეულ ანთროპოლოგიურ ტიპს.

163 ნ. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

164 Г. А. Брыкина. Могильник Карагач в Южной Киргизии, КС, НКО, 1982, ст. 124.

ნებელია, რომ დაახლოებით მახლობელ ხანაში (ახ. წ. I ს-დან) კატაკომბური სამარხები ცნობილია საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებიდან — ზინ-გეჩაური, ირანი (დეილემანი), მესოპოტამია, ფინიკია[165].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ სამარხთა მოწყობილობის სხვადასხვაობაში ეთნიკურ სხვაობას დავინახავთ, ერთ საკმაოდ მცირე სამაროვანზე მივიღებთ 5 ეთნიკურ ჯგუფს, რაც აბსურდია[166]. უცნაურია აგრეთვე მკვლევრის განცხადება, რომ თურმე მიცვალებულების ფეხების მოხრილობა უნდა აიხსნას დასაკრძალი ორმოს სივიწროვით[167].

არსებული მასალებისა (იგი ძლიერ ნაკლულია) და თხრობის მთის „კატაკომბების" მიხედვით რაიმე გარკვეული დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს, ძნელია მათში დაინახო ალანები[168].

ცნობილია, რომ კატაკომბები აღმოჩნდა არაგვის ხეობაში, ჟინვალის სამაროვანზე, მაგრამ ესაა და ეს, მასალა ჩვენთვის უცნობია. სხვათა შორის, ასეთ მასალას „წარმატებით იყენებს" რ. ჯატიევი — იგი სამივე სამაროვნის (ჟინვალი, ალაიანი, ედისი) მონაცემებს ერთი მოვლენის ნაწილად განიხილავს და მიაჩნია, რომ ალანები „აუყვნენ რა თერგის დინებას, ერთმა ჯგუფმა, რომელმაც გადალახა ჯვრის გადასასვლელი, დაბინავდა ჟინვალში და უფრო იქით მცხეთაში (ალაიანი), მეორე ჯგუფი გაუყვა რა თერგის სათავეს, თრუსოს ხეობით გადალახა კავკასიონის ქედი, დამკვიდრდა ედისში"[169]. თავი რომ გავანებოთ ყველა დანარჩენს, სრულიად შეუძლებელია მათი ერთ ტალღად გაერთიანება, რადგან ალაიანის სამარხები თარიღდება IV ს-ით, ჟინვალისა VI—VII სს-ით, ხოლო ედისის სამარხები V—VII სს-ით. როგორ შეიძლება VI ს-ში მოსულმა ალანმა ჟინვალში დამკვიდრების შემდეგ გზა განაგრძოს და IV ს-ში ალაიანში დაიდოს ბინა. სრული ფანტასტიკაა[170].

ასეთია, ძირითადად, ალანთა შესაძლო მიგრაციის შესახებ I—VIII საუკუნეთა იბერიაში, ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები.

მოკლე დასკვნების სახით შეიძლება ითქვას: 1. სარწმუნო და სწორად გაანალიზებული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ალანთა მნიშვნელოვანი მასების ჩამოსახლება არ მომხდარა; არაქართული მოსახლეობის დამახასიათებელი კვალი ქართლის ძეგლებში არ შეინიშნება; 2. ალანთა ჩამოსახლების კვალი ტოპონიმიკისა და ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით ჩანს დღევანდე-

---

165 Б. А. Литвинский. Погребальная практика в Парфии. М., 1967, т. XXXI, XXXII; Sabotino Moscati., Foiničane, Praha 1975, ნახ. 6, 46, 47; Toshihiko Sono, Shinji Fukai, Dailaman III, 1964, pl. LXIX LXVIII. კატაკომბური მსგავსი სამარხები I ს-ში გვხვდება პალესტინაშიც; И. Л. Амусин. Кумранская община. М., 1983, с. 25.

166 «вне культурно-исторического (археологического) контекста, морфология отдельного погребения не может быть использована в качестве культурно-различительного признака, — одни и те же формы погребений встречаются в разные исторические периоды или в пределах одной эпохи, но у разноэтнического и (или) разнокультурного населения» — Ю. А. Смирнов, Морфология погребения, АК. Баку. 1986, ст. 333.

167 ნ. მირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

168 ისტორიული წყაროთა მონაცემები IV ს-ში (ან III ს-ში) ალანების მიგრაციაზე ალანური მოსახლეობის გაჩენის გარკვეულ საშუალებას არ იძლევა.

169 Р. Г. Дзаттиаты, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

170 ძალიან ახლო გვიგრძნობია იცის — მესხეთის და ალანის ბიჭებს (გვ. 208).

ლი აფხაზეთის ტერიტორიაზე, კოდორის ხეობის სათავეებში ვახუშტის ჰქვიანს „ალანი" (ეს არ ნიშნავს ოსთა ჩამოსახლებას); 8. ქართლის სამეფოს მესვეურები I—VIII საუკუნეთა მანძილზე თვითონ არეგულირებენ ძირითადად „ეთნიკურ პროცესებს", განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის მიმართულებით.

ახლა გვსურს შევეხოთ „დვალთა" ეთნიკური ვინაობის საკითხს, გაშუქებულს სამეცნიერო ლიტერატურაში. დვალთა ვინაობა ხშირად განსხვავებულად ესახებათ მკვლევართა მიერ შიდა ქართლის მთიანეთის ეთნიკურ ფიზიონომიას.

ვ. ფ. მილერის მიხედვით, VII ს-ის სომხური ანონიმური გეოგრაფიის დვალებში „следует видеть в жителях области Двалети южных осетин известных до сих пор северным их соплеменникам под имени Туалта". ამასთან ოსებს საერთო სახელი არ ჰქონდათ და სხვადასხვა სახელით იყვნენ ცნობილი, აღნიშნავს მკვლევარი[171].

ვანეევმა უცვლელად გაიმეორა ეს აზრი. „დვალ-ოსები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მკვიდრობენ, წერდა იგი[172]. დვალ-ოსებს ჩრდილო ოსთა ახალი ტალღები XIV—XVI ს-ში ბარისკენ ერეკება, სადაც ეს უკანასკნელნი ასიმილაციას განიცდიან. ოსთა ახალი ტალღის თარიღი ვანეევმა საგვარეულო გადმოცემებით დაადგინა (არც თავისთავად ინტერესმოკლებული არაა). გვიანდელ ნაშრომში (1959 წ.) ვანეევმა ოსთა გადმოსახლების თარიღად XIII—XIV სს. მიიჩნია[173]. ეს თარიღი ყველა ავტორთან მონღოლობას უკავშირდება

გ. კოკიევის მიხედვით, ჰუნების შემოსევის შემდეგ (IV ს.) ალანთა ნაწილმა მთებს მიაშურა და დაიკავა „Южные склоны Кавказских гор, смежных с Иберией (Грузией)". (იბერია სადღა იყო? — ნ. ა.). VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში ოსები დვალების სახელით იხსენიებიანო[174]. ამის შემდეგ „Ко времени царицы Тамары можно отнести захват значительной части территории Южной Осетии Грузией.[175]

კოკიევის ზემოთ მოყვანილი პირველი ფრაზით ჩანს, მას სურს დაამკვიდროს აზრი, რომ იბერიას კავკასიის სამხრეთი კალთები არ ეკავა და ალანებმა სწორედ ეს ცარიელი(?) ადგილი „შეავსეს", ე.ი. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია IV ს-ში ქართლის სამეფოში არ შედიოდა. ეს არის პირველი, მთავარი ინფორმაცია მიმართული ოსი მოქალაქის აღსაზრდელად. მეორე „ციტატაში გაცხადებულია უმთავრესი საიდუმლო — „საქართველოს, თამარ მეფის დროს დაუპყრია სამხრეთ ოსეთის უმეტესი (значительный) ნაწილი". სწორედ ამ

171 В. Ф. Миллер, Осетинские этюды, т. III, М., 1887, ст. 6, 109.

172 В. Ванеев, К вопросу о времени заселения Юго-Осетии, ИЮОНИИ, т. III, 1936, ст. 271—273.

173 В. Ванеев, Средневековая Алания, Цхинвали, 1959, ст. 182.

174 Г. Кокиев, Очерки по истории Осетии, Владикавказ, 1926, ст. 22.

175 იქვე. გვ. 37 უბედურება ისაა, რომ კოკიევს „ლიბერალური" მეცნიერები ახლაც ჰყავს ტ. ბეროევის და ვ. კუზნეცოვის სახით, რომლებიც ჩრდ. ოსეთის ასსრ-ის ისტორიის პირველ ტომში წერენ: „Аланы-осы двинулись на плодородные малозаселенные южные склоны Главного Кавказского хребта и прилегающие долины Грузии" (ст. 131).

დროს გავრცელებული ფეოდალიზმი. წარმოიდგინეთ მკითხველის რეაქცია 20-იან წლებში, როცა ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი ყველაზე უარყოფითი ემოციის გამომწვევი ცნებები იყო. მოკლედ, ციტირებულიდან ჩანს, რომ ქართველები მტრები არიან ოსების; მათ დაიპყრეს „თავისუფალი სამხრეთ ოსეთი" და გაავრცელეს „საზიზღარი" წყობა — ფეოდალიზმი ოსეთში[176]. სხვათა შორის, პროპაგანდის ეს ფორმა რომ წიგნში შემთხვევით არაა, ჩანს 1932 წ. გამოცემულ ოსური ეპოსის „ამრანის" სუპერზე დატანებული „შესავლით": **южных-осетин. народа, в течение долгих веков боровшегося с грузинскими феодалами"** დიახ, მთელი უბედურება ოს ხალხს ქართველი ფეოდალებისაგან ჰქონია თავსდატეხილი[177].

გ. ჩურსინს და ლ. მელიქსეთ-ბეგს შეუძლებლად მიაჩნდათ საქართველოში ოსთა გადმოსახლების დროის დადგენა. მელიქსეთ-ბეგი წინარე ოსურ მოსახლეობად შიდა ქართლის მთიანეთში ქართველებს მიიჩნევს[178].

ე. პჩელინამ ოსების ქედის სამხრეთით დასახლება V—VII სს-ით დაათარიღა. იგი „ეყრდნობოდა" მის მიერ ლიახვის ხეობის საძვალეებში შესწავლილ კოშკების აშენების დროს, რომელთაც უკავშირებდა „ძველი ერისთავთა" მონაცემებსაც. პჩელინა მათი (კოშკების) დათარიღებისათვის იყენებდა... ჩრდილო კავკასიის ალანურ სამარხებში (?!) აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას[179], რაც რუსი კავკასიათმცოდნე-არქეოლოგის ვ. მარკოვინის გაკვირვებას იწვევს: **„Но были ли подобные вещи найдены в комплексах, связанных с башнями? нет, не было, таким образом, датировка башен аланским временем повисает в воздухе"**[180].

ე. პჩელინას აზრით, ოსთა გადმოსახლება მონღოლობის დროს განახლდა[181].

ბ. სკიტსკის მიაჩნია, რომ საქართველოს „ძველ გეოგრაფიაში" ოსეთს ეწოდება „ღვალეთი". იგი წარმოდგება მისი ძველი მოსახლეობის სახელით (самоназвание) — „Туал". სკიტსკის აზრით, ოსები საქართველოში პირველად გადმოსახლებულან IV ს-ში ჰუნთა „ზემოქმედების" შემდეგ. ოსთა მეორე ნაკადს მონღოლთა შემოსევას უკავშირებს, ხოლო მათ საბოლოო ტალღის ამოძრავებას XV—XVI სს-ში ხედავს. ამის საბუთად მას ოსური საგვარეულო გადმოცემები მიაჩნია[182]. სკიტსკი ადრეშუასაუკუნეებში კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე „ალანთა" ყოფნის ანარეკლს ხედავს. პროკოპი კესარიელის „ცნობაში"[183]. პროკოპისთან კი აშკარა არეულობაა — მას ორი მდი-

---

176 Г. Кокиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 30. — ხოლო როდესაც მონღოლებმა დაიპყრეს თვით საქართველო, ოსები სიხარულით შეხვდნენ განთავისუფლებას.

177 აი, ასეთი შეცნობებით „ეზრდებოდა" და „ეზრდება" დღესაც „სამხრეთის მოქალაქე" და მერე გვიკვირს, თუ რამ გამოიწვია ესა თუ ის „ექსტრემისტული" საინფორმაციო, რომ აღარ შევეხოთ წიგნის „Арианы"-ის რედაქტორის მოსაზრებებს ნ. ჩანი.

178 Сборник «Юго-Осетия», 1924, Тб., ст. 13, 271.

179 Е. П. Пчелина, Краткий историко-археологический очерк страны Ирон-Хусар, ст. 250.

180 В. И. Марковин, Некоторые особенности осетинской башенной архитектуры, КЭС, VI, М., 1970, ст. 236.

181 Е. П. Пчелина, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 138.

182 Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 г., СОНИИ, т. XI, 1947, ст. 41, 439.

183 იქვე, გვ. 41; იხ. მ ა ს ვ ე, Хрестоматия по истории Осетии, ч. I, Орджоникидзе, 1956, ст. 41.

ნარის ჰორონის და რიონის აღწერა ერთმანეთში აქვს შერწყმული. იწყება ასე: „მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჰანეთის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში...“ ბოლოსკენ ასე გრძელდება: „...ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფაზისად წოდებული განაგრძობს მდინარებას... ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია და მის ორივე მხრით ლაზიკე არის“[184]. პირველი ნაწილი აშკარად ჰორონის აღწერაა, ხოლო მთავრდება რიონის აღწერით. აი, ამ ორ ნაწყვეტს შორის ჩართულია ხალხთა ჩამოთვლა და რაკი მდინარე-ორიენტირები არეულია, ჩამოთვლილ ტომთა ლოკალიზაცია ძნელდება და მცდარ დასკვნამდე მიგვყავართ. თუმცა თუ ტომთა სიას სრულად გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ საუბარია ჩრდილო კავკასიაზე: „აქ ზევით სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც... აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნნიც, რომელთაც საბირები ეწოდებათ“[185]. სკიტსკის ეს შეცდომა შეამჩნია და აღნიშნა გ. თოგოშვილმა[186].

დვალები ოსებად მიაჩნია ბ. კალოევს. მისი ნაშრომი ერთგვარად კრებითი სახისაა და შეიცავს როგორც მის საკუთარ ნარკვევს, ისე „ოსეთოლოგიის“ სხვა „მიღწევებსაც“. აი, დაახლოებით ასეთს: მისი აზრით, „სკვითების შეჭრა საქართველოში ხდებოდა უპირატესად თანამედროვე ოსეთის ტერიტორიით და მოხდა მისი აბორიგენული მოსახლეობის ნაწილობრივი ირანიზაცია“. აქ, რაღა თქმა უნდა, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ სტრაბონის ცნობას იყენებს. ამასთან გეოგრაფიის „კარგ“ ცოდნას ამჟღავნებს. კერძოდ, სკვითები თურმე საქართველოში დარიალის და დარუბანდის (!? ნ. ა.) გზებით იჭრებოდნენ[187]. აი, რას ბრძანებენ სკვითურ სიძველეთა მცოდნენი ნ. ესაიანი და მ. პოგრებოვა: „ამიერკავკასიის ამ ოლქებში (სადაც სკვითური ინვენტარია — ნ. ა.) ძვ. წ. VII—VI სს. ადგილობრივ ეთნიკურ გარემოში ჩართული იყო სკვითური კომპონენტი. სკვითური ტიპის ნივთთა ნაკრები და მის შემცველ სამარხთა ხასიათი, აგრეთვე ამ ტიპის სამარხთა რაოდენობა მეტყველებს, რომ ამ კომპონენტს უმეტესად შეადგენენ მეომრები აქ უოჯახოდ მოსულნი და ადგილობრივი კულტურის შემთვისებლები. ისინი ინარჩუნებდნენ თავისთავადობას, რაც გამოიხატებოდა საომარ (მათ შორის მხედრის) აღჭურვილობაში და დაკრძალვის წესის იმ ნაწილში, რაც განსაზღვრული იყო მათი ცხოვრების ყაიდით“. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ „ამიერკავკასიაში სკვითური კომპლექსები „ჩაღვენთილია“ ადგილობრივ კულტურულ გარემოში; წმინდა სკვითური კომპლექსები აქ არ არის“[188]. ვგონებ, ეს კარგი პასუხია სკვითებით გატაცებული როგორც ბ. კალოევის, ისე ქართველ და ოს მეცნიერთა ჯგუფისათვის. ამრიგად, კალოევი წარმოგვიდგენს მოდელს — სკვითები, სარმატები და ალანები კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე საქართველოში ქმნიან თავიანთ ეთნიკურ სახეს ძვ. წ. VII—VI სს-ში, ადრეშუასაუკუნეებში, შემდეგ მონღოლთა ხანაში, XIV—XV სს-ში ყაბარდოელთაგან შევიწროებულნი და XVIII ს-შიც[189]. კალოევი ეყრდნობა ვ. გამრეკელს, დ. გვრიტიშვილს, გ. თოგოშვილს,

---

184 გეორგიკა, II, გვ. 100.
185 იქვე, გვ. 100.
186 გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.
187 Б. А. К а л о е в, Осетины, М., 1967, ст. 17, 46.
188 С. А. Е с а я н, М. Н. П о г р е б о в а, Скифские памятники Закавказья, М., 1985, ст. 39.
189 Г. К а л о е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, 55.

რომლებიც არ არიან მომხრე ოსთა ასე ადრეული გამოჩენისა საქართველოს ტერიტორიაზე. კალოევის ნაშრომში ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა გვხვდება სხვა „უცნაურობანიც". მაგ., „ქსნელი ოსები" თურმე ცხოვრობენ მეჯუდის და ლეხურის ხეობაში[190]. **საქართველოში აღმოჩენილი ყოფილა თვით ოსური წარწერა** (ხაზი ჩვენია — ნ. ა.). ერთი I—II სს-ის ყოფილა (არმაზის?), ხოლო მეორე თრუსოს წარწერა, შესრულებული 1326 წელს[191]. თურმე ალანები ოქროს ურდოს ულუსებში 1233 წ. აღმოჩენილან[192]. ეს, მართლაც, „აღმოჩენებია" და არ უნდა გაგვიკვირდეს ამ ეუნებელი თეორიის, როგორიცაა სკვითთა „ოსობა"[193]. აი, ასეთ ფაქტობრივ მასალას გვაწვდიან და ასეთი მეთოდოლოგიით მუშაობს „ოსეთოლოგთა" ნაწილი.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, სულ ახლახან (1987) გამოსულ „Истории Северо-Осетинской АССР"-ის მიხედვით მონღოლ ა ექსპანსიის შედეგად „ალან ოსები დაიძრნენ მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ნაყოფიერ და მცირედდასახლებულ კალთებისკენ და მის მიმდებარე საქართველოს ხეობებისაკენ". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოკოევის სტილი გრძელდება. დასახელებული წიგნის მიხედვით XIII ს-ში დაწყებული მიგრაცია ძლიერდება XVI—XVII სს-ში. ავტორთა აღიარებით ამას თურმე ხელს უწყობდა ის, რომ ისტორიული დვალეთის ტერიტორია (ტუალგომ-ნარ-მამისონის ქვაბულში) ქართლის სამეფოში შედიოდა[194]. საინტერესოა, რომ ტუალგომის (— დვალეთი) მცხოვრებთ დიდხანს შეინახეს ეთნიკური თავისთავადობა, ოსთაგან ასიმილაცია განიცადეს XIV—XV სს-ში[195]. ოსთა სამხრეთისაკენ ლტოლვისათვის მთავარი ბიძგი უნდა მიეცა ამ დროისათვის ისტორიულ ალანეთში კაბარდოელ ფეოდალთა ექსპანსიას.

უცნაურია ნაშრომის ავტორთა პოზიცია, როცა აცხადებენ რომ „სიდამონის გვარის" ერისთავები იყვნენ რა ქართველ აზნაურთა დახმარებით, მთელ XIV ს-ის განმავლობაში ებრძოდნენ თავის თანამემამულეებს „Так эристав Виршел под знамёнами царя Георгия V выступил в поход против алан."[196] ამ თავის ავტორები თმენოვი, გუთნოვი, თოგოშვილი აშკარად ცდებიან „მცდარ გზაზედ" მდგომ ვირშელს, რადგან იგი თურმე თავის თანამემამულე ოსთა წინააღმდეგ იბრძოდა. ჭეშმარიტიც რომ იყოს „ძველი ერისთავთა" ცნობა როსტომ ბიბილურის ოსობის შესახებ, განა მისი მეშვიდე თა-

---

[190] Г. Калоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 58. რომელსაც მით იგი ეძახის „чысан" ეს ხომ მთიანეთ ქსნის სახელის ოსური ფონეტიკური გადმოცემაა.

[191] იქვე, გვ. 16, 53.

[192] იქვე. გვ. 24, 1233 ოქროს ურდო ჯერ შექმნებოდა. რადგან აღმ. ევროპის დაპყრობა მონღოლებმა 1236 წ. გადაწყვიტეს.

[193] იან ჰარმატას მიხედვით, შესრულებული ლინგვისტური მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ ალმ ევროპის ძეგლებზე დასახელებულ ტომთა ენა არავითარ შემადგენლობაში არ იყო ერთიანი სარმატულ, ალანურ და ფლეგონტურ ოსურ ენას შორის ურთიერთობა კი არის, ამ ენათა შორის პირდაპირი გენეტიკური კავშირის გატარებაც კი არ შეიძლება არც სარმატულ, არც ალანური ენები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც „ძველოსური" - J. Harmatta, Studies in the language of the eranian tribes in South Russia, Budapest, 1952.

[194] История... გვ. 144.

[195] იქვე, გვ. 142. საინტერესოა, რომ ჯერ კიდ. ოსების მოსვლამდე, მათ შორის დვალეთი, არ ქმნიდა ცალკეულ ოსურ ქართლში როგორიცაა შემოიჭრნენ (იხ. იქვე, გვ. 142—148).

[196] იქვე, გვ. 144.

იბის (როსტომ, ლარგველ, დიმიტრი, ვირშელ, შილვა, ლარგუელ, ვირშელ)[197] წარმომადგენელი ვირშელი შეიძლება მიუკერძოებელმა მკვლევარმა ოსად ჩათვალოს? ან თუნდაც თვით როსტომის ოსად მიჩნევა შეიძლება? იგი ხომ ქართველი ერისთავია (ოსი ერისთავი არ არსებობდა)[198]. ასეთი ელემენტარული რამ უცხო იყო სამი ისტორიკოსისათვის, უცნაურია. რიურიკოვიჩი ალექსანდრე (ნეველი) ნევაზე თავის თანატომელებს ებრძოდა?

ხსენებული ავტორები რატომღაც „ტუალგომს" ეძახიან დვალეთს[199]. „ძეგლი ერისთავთაში" ნახსენებია დვალეთი, რომელიც ლიახვის სათავეებს მოიცავს. გარდა ამისა, დვალეთის მფლობელებად XIV ს-ში მიაჩნიათ სუნდუ და ამსაჯანი[200], როგორც ჩანს, თრუსოს სოფელ მნაში დასახლებული ოსები. მაგრამ წყარო ხომ იქ ოთხ პიროვნებას ასახელებს: სუნდუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბაყათარ; თან უმატებს „და სხვანი მრავალნი"[201]. როგორც ვ. გამრეკელი სამართლიანად აღნიშნავს, ეს არის თრუსოს ერთ ნაწილში. მნაში შემოჭრილი ოსური მისა, რომელთა წინააღმდეგ თრუსოელები ვირშელ ერისთავს სთხოვენ დახმარებას[202]. ამდენად, სუნდუს და ამსაჯანის გამოცხადება დვალეთის მფლობელებად „ძეგლი ერისთავთას" ტექსტის ყალბი ინტერპრეტაციაა. ასეთია ჩვენთვის საინტერესო წიგნის ზოგიერთი ღირსება და მისი დამოკიდებულება „ქართულ მასალასთან".

გ. თოგოშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე და მონოგრაფიული ნაშრომები მიუძღვნა მას. „დვალებთან" დაკავშირებით მისი პოზიცია ასეთია: „ჟამის ერისთავთა ქრონიკა, შედგენილი XIVს-ის მეორე ნახევარში, აშკარად ასხვავებს ოსებს და დვალებს. XIV—XV სს. დვალი, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული, არსებობს... დვალის გაიგივება ოსთან მცდარია"[203]. მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ კი წერს: „იმის მიუხედავად, თუ ვინ იყვნენ დვალები ეთნობრივად (ვეინახები თუ ქართველები), ისინი საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირში იმყოფებოდნენ, სახელმწიფო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით მასში შედიოდნენ"[204].

ოსთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხში მას ასეთი პოზიცია უკავია: „არც ერთ მკვლევარს საქართველოში ოსთა გადმოსახლების ფაქტი საეჭვოდ არ გაუხდია"[205]. ხოლო იგი ქრონოლოგიურად აისახა ჟამთააღმწერლის ცნობაში, რომ დავით ულუს (1243—1269) მეფობაში „გამოვიდეს ბერქა ყაენისაგან ორნი დედაკაცნი საკვირველნი . . . მოიტანნა შვილნი მცირედნი... პირ-

---

197 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ 102—112.

198 „ერისთავი შემადგენელი ჟამის ხელის ტიპიური ქართველი ფეოდალ-ვასალ[illegible], რომელსაც არ შეეძლო „[illegible] ოსთა [illegible] გამოყენება" — М. К. Думбадзе, М. Д. Лорткипанидзе. К истории нагорной Картли в V—XVII веках; [illegible], IV, თბ., 1983, გვ. 170.

199 История... 1987, ст. 144.

200 იქვე, გვ. 144.

201 ძეგლი ერისთავთა, გვ. 113.

202 В. Гамрекели, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

203 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184—185.

204 იქვე, გვ. 184.

205 იქვე, გვ. 172.

შმო ფარეჯან და უმრწესსა ბაყათარ და სხვანი თავადნი მრავალნი. გამოვლეს კარი დარუბანდისა. და მოვიდეს მეფის წინაშე.... დასხნა რომელნიმე ქალაქს, რომელნიმე დმანისს და სხვანი ქინვანს"[206]. გ. თოგოშვილმა ტექსტის „ორნი", ვფიქრობთ, არცთუ უსაფუძვლოდ აღადგინა „ოსნი". აი, ამ დროიდან ფიქრობს დაახლოებით ოსთა ფართო ჩამოსახლების დასაწყისს.

იგივე მოვლენასთან დაკავშირებით განიხილავს „ძეგლი ერისთავთას" მონაცემებს და ასკვნის: „დვალებში ოსებს უკვე მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ... თრუსოში გაშლილ ამბებთან დაკავშირებით მის მიერ მოცემული ონომასტიკური მასალა, აგრეთვე თლიში ბიბილურების (ოსური წარმოშობის) მოსახლეობის დადასტურება ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ერისთავ-დვალთა ურთიერთბრძოლა ოსთა მონაწილეობით მიმდინარეობდა". აქ იგი გულისხმობს ზემოთ ნახსენები თრუსოს (მზიავის) ამბებს[207]. როგორც მივუთითეთ, იგი სწორად გაიგო ვ. გამრეკელმა: მწელი ოსები მოსული არიან და ადგილობრივი თრუსოელები ებრძვიან მათ ექსპანსიას[208].

ჟამთააღმწერლის ცნობასაც ყველაზე ნათელი ახსნა ვ. გამრეკელმა მოუძებნა. ამრიგად, 1263 წ. ჩრდ. კავკასიიდან ლტოლვილთა და 1290—1390-იან წლებში ქართლში მოქმედ ოსთა შორის პირდაპირი კავშირი და მემკვიდრეობითობა მრავალმხრივ ვლინდება. ეს გარემოება, ჩანს, თავის დროზე ივ. ჯავახიშვილსა და ნ. ბერძენიშვილს გამორჩათ. ამის ასახსნელად მათ მოიშველიეს მოსაზრება 1290 წლების დასაწყისში ქართლში ოსთა შემოსევაზე თუ გადმოსახლებაზე. ამ მოსაზრებას დაემატა მეორე მოსაზრება, რომ ოსები მოდიოდნენ ლიახვის ხეობით და ლიახვის ხეობაში დასახლდნენ. „1263 წელს ქართლში ოსების გადმოსვლა არ იყო „მთიელთა ბარში ჩამოწოლის" გამოვლენა, არ იყო კავკასიის ხეობებში მიწის სივიწროვით შეწუხებული მიწის მუშაკთა მიგრაციის პროცესის გამოვლენა. ეს გადმოსახლება წარმოგვიდგება როგორც ოსი ფეოდალების ერთი ნაწილის პოლიტიკური ემიგრაცია"[209].

გ. თოგოშვილის მიხედვით კი წერილობითი წყაროები მიგვითითებენ, რომ გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს (XIV ს-ის I ნახ.) გადმოსახლებული ოსები საქართველოს სახელმწიფოში შევიდნენ. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ოსური მოსახლეობა შეიქმნა[210].

ვ. გამრეკელის კვალდაკვალ ვფიქრობთ, რომ გ. თოგოშვილის წყაროთა ანალიზი მთლად ზუსტი არაა. ჩვენი მხრივ კი გვსურს დავუმატოთ, რომ მაღრან დვალეთში სიტუაციის სტაბილურობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ქართული წერილობითი ძეგლი „ნიკოლოზ დვალის წამება"[211]. თითქოს ამ ნაწარმოებში ქვეყნის „პოლიტიკურ სიტუაციაზე" არაფერია ნათქვამი. სულ ორი-

---

206 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

207 იქვე, გვ. 219.

208 В. Гамрекели, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

209 ვ. გამრეკელი, XIII—XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. „მრავალთავი", V, თბ., 1975, გვ. 184.

210 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224. საინტერესოა, რომ სულ ახლახან გამოსულ მისივე თანაავტორობით შექმნილ წიგნში დასაბუთებულია, რომ XIII–XIV საუკუნეებამდე ალან ოსთა მიერ თვით ჩრდილო ოსეთის მთიანი კუთხეები არ იყო დასახლებული. ყველაზე ადრე VII—IX სს. ჩამოყალიბებული დიგორის ხეობა იყო ყველაზე დასავლეთით დღევანდელ ოსეთში. იხ. История, 1987, გვ. 142—143.

211 უცნობი ავტორი, ნიკოლოზ დვალის წამება, ქართული მწერლობა, ტ. 3, 1988, გვ. 326—328.

იდე სიტყვითაა მოხსენიებული, რომ „ესე სანატრელი ქრისტეს მოწამე ნიკოლოზ იყო ნათესავად დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაღ, შვილი მორწმუნეთა მშობელთაი და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემელთაი...“[212] სულ ეს არის და ეს. მაგრამ ვფიქრობთ, ამ ორიოდე ფრაზითაც კარგად ჩანს, რომ დვალეთში შედარებით სიმშვიდეა, კულტურული სიტუაცია არ შეცვლილა, ქვეყანა ქრისტიანულია (ამ ცნების სისრულით). ნიკოლოზ დვალის წამება კი XIV ს-ის დასაწყისს მოხდა. აქაც ის დვალეთი (როგორც ქედის გადაღმა ისე გადმოღმა) იგულისხმება, რაც „ძეგლი ერისთავთაში“. ამაზე მიგვანიშნებს ნიკოლოზის მშობლიური სოფელ წაღ, რომელიც ნახსენებია ქსნის ერისთავთა ქრონიკაშიც: „და ესმა მაღრან-დვალთა და მოვიდეს ბრეტის შვილნი და კელეურ-კაბუშერნი და ყოველნი, სოსხოელ წუბენისხეველნი, ხოჯაველ-წაღელნი მქუვლითა...“[213] „ოსობა“, როგორც მოვლენა, არ არის ასახული გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადებაშიც[214].

ქართველ მკვლევართაგან ივ. ჯავახიშვილის მიერ 1290—1300-იანი წლებში ოსების სახელთან დაკავშირებული ამბები (გორის აღება, აზნაურთა განსხმა მამულებისაგან...) გაგებულ იქნა, როგორც ოსების შემოსევა ჩრდილო კავკასიიდან ქართლში. ბაყათარისა და ოსთა რაზმების მტრული მოქმედება-ს ულაჯმავობა მის მიერ ახსნილი იყო საქართველოს პოლიტიკური დაუძლურებით[215]. გასაგებ მიზეზთა გამო დიდ მეცნიერს დვალებისა და ოსთა გადმოსახლების საკითხები ცალკე არ განუხილავს. ზოგადად, ისტორიულ-გეოგრაფიულად მიმოიხილა ეს მხარე 1919 წ. გამოსულ „საქართველოს საზღვრებში“ დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარისა და პირიქითულ ქედებს შუა არის მოქცეული. ჩრდილოეთით მდებარე ქედი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგას გარდა სრულიად გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო. ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა“. დვალეთი საქართველოსთან უფრო მრავალრიცხოვანი გზებით, სხვადასხვა მხარით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შედარებით მჭიდროდ დაკავშირებული. ჩრდილოეთიდან კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს“[216].

დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხს შედარებით მოზრდილი გამოკვლევა უძღვნა დ. გვრიტიშვილმა. მან თავისი სტატია აგო ძირითადად ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომზე და ქართლის ცხოვრებაზე, გამოიყენა გიულდენშტედტის ცნობები და ზოგი უცხოური წყაროც. გარდა ამისა, ჩატარებული აქვს დაკვირვება დვალეთის ტოპონიმიაზე და ზოგიერთ მატერიალური კულტურის ძეგლზე (გზები, ციხეები და სხვ.). მისი დასკვნით, ოსები დვალები არ არიან. ავტორი დვალების ეთნიკურ სახეზე გადაჭრით არაფერს ამ-

---

212 უცნობი ავტორი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

213 ძეგლი ერისთავთა, იქვე, გვ. 117.

214 ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, თბ., 1988, გვ. 35—36.

215 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია XI—XV სს., თბ., 1940, გვ. 175; მისივე, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1949, გვ. 245, 259.

216 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1919, გვ. 9, 12.

ბობსაც მკითხველი შეიძლება კონტექსტით მიხვდეს, რომ (მაგ., ტოპონიმიკის გამო) ისინი ქართულ ტომად მიიჩნია[217].

აღსანიშნავია, რომ ავტორს სწორად არ ესმოდა ვახუშტის ადგილი ოსთა და დვალთა ენის ურთიერთმიმართების შესახებ („ენა აქვთ ძველი დვალთა და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინათგან ჩერქეზთა ენა სხვა არს“). ვახუშტი დვალეთში ჩერქეზულ ენათა ოჯახს უნდა გულისხმობდეს[218].

ვფიქრობთ, ეს სწორი არაა. ამ ადგილის ყველაზე მართებული განმარტება მოგვცა ე. გამრეკელმა. მის მიხედვით დასახელებული „ჩერქეზთა ენა“ ორიენტირია, რათა ოსური ენა არ აერიათ ჩერქეზულში, რადგან ყოფილი „ოსეთის“ ტერიტორია ჩერქეზებმა დაიკავეს და ახლა ჩერქეზად იწოდებოდა[219]
დ. გვრიტიშვილს რამდენიმე ვერსიად აქვს წარმოდგენილი ოსთა ჩამოსახლება: I. შეიარაღებულ ოსთა დიდი ჯგუფები თავს ესხმიან ქართველებით დასახლებულ ხეობებს, ძალით იკავებენ ამ ადგილებს და თვითონ სახლდებიან. ჩამოსახლების ეს სახე XIII—XIV სს-ში უნდა ყოფილიყო; II. ესა თუ ის ქართველი თავადი ან მეფე წინასწარი შეთანხმებით მათ თავის მიწა-წყალზე ასახლებს. ეს სახე მოგვიანო ხანისაა; III. ეკონომიკური პირობებით შევიწროვებული ოსი გლეხი იძულებულია ნებით ეყმოს ქართველ თავადს. ხიზნობს[220].

დ. გვრიტიშვილის სტატია უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ერთგვარად ნაკლული.

საინტერესო იყო გიორგი ახვლედიანის დამოკიდებულება დვალთა ვინაობასა და ოსთა ქართლში ჩამოსახლების დროზე. წინასწარ უნდა ითქვას, რომ მათ თითქოს „მეცნიერული პატრიოტიზმის“ ელფერი დაჰკრავთ. ენათმეცნიერებაში იყო რა ინდოევროპეისტი, უპირველესად ინდოევროპულს ეძებდა ლინგვისტურ და ისტორიულ მასალაში. მას მიაჩნდა, რომ დვალები ოსებია. ერთ-ერთ საბუთად კი იშველიებდა VII ს-ის სომხური გეოგრაფიის მონაცემებს[221]. მიაჩნდა, რომ ეს იყო ქედის გადმოღმა ჩრდილოირანულ ტომთა მოძრაობის პირველი ტალღა. საქართველოს დვალეთსაც მათგან უნდა მიეღო სახელწოდება[222]. შემდგომ ნარკვევში კლაპროტის, გიულდენშტედტის და განსაკუთრებით კი ვახუშტიზე დაყრდნობით ააგო თავისი მოსაზრებანი. კერძოდ, გ. ახვლედიანმა ხაზი გაუსვა ვახუშტის ცნობის ერთ დეტალს: „არიან დვალეთი (ცასრის ხევი, ზრამაგო — ნ. ა.); და კვალად დიდი ლიახვისა, პატარა ლიახვის, ქსნის ხევისა და არაგვის მოსახლეებიც არიან დვალნივე. ამ დვალეთიდან გარდმოსულნი“... აქედან ჩანსო, წერს მეცნიერი, რომ დვალები ჩრდილო-დასავლეთიდან მოდიან... სრულიად ბუნებრივია, რომ სახელწოდება „დვა-

217 დ. გვრიტიშვილი, დვალთა განსახლება და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, „მიმომხილველი“, I, 1949, გვ. 114; მისივე, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, თბ., 1962, გვ. 271.

218 იქვე, გვ. 113—114; გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

219 В. Гамрекели, დასახ. ნაშრომი, ст. 37, 38. «Двалы имеют язык старый двальский, а ныне говорят собственно осетинским, который не есть черкесский язык».

220 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1961, გვ. 119.

221 გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, V, 1925, გვ. 319.

222 მისივე, ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 193—195.

ლეთი მიელო ტერიტორიის დვალური მოსახლეობის გამო, რომელიც თანდათან სამხრეთისაკენ მიიწევდა. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ვახუშტის ცნობა, რომ ორივე ლიახვისა, ქსნისხევისა და კუდაროს მოსახლენიც დვალები ყოფილან. დვალეთი კი ვახუშტის დროს არ ეწოდებოდა"[223]. ჩვენი აზრით, ვახუშტის ტექსტის (რომელიც ხშირად უზუსტოცაა) სრული გაცნობის შემდეგ ასეთი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. კარგად ჩანს, რომ ჩამოთვლილ მდინარეთა მხოლოდ სათავეებშია ოსური მოსახლეობა, ქვედა წელი ქართველებს უკავიათ[224]. მეტიც, ვახუშტი კი შენიშნავს: „ხოლო რაოდენნი ოვსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი"[225]. უფრო გვიან გიულდენშტედტიც აღნიშნავს, რომ ქსანზეც და არაგვზეც ქვემოთ ქართული „მხარეებია", ზემოთ კი „ქართულ-ოსური", ლიახვზე ზემოთ ოსური, ქვემოთ ქართული[226]. ამრიგად, აკად. გ. ახვლედიანს მთლიანად შესაბამისი დასკვნები არ გაუკეთებია თავის წერილებში.

უფრო ზედაპირული და სქემატურია საკითხთან დაკავშირებული ორიოდე ფრაზა კ. კეკელიძისა, რომელსაც წმინდა ნიკოლოზ დვალის ცხოვრებასთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ ნიკოლოზ დვალი ოსი იყო: „ესე იგი დვალეთიდან, ამ ჟამის ხეობის, დიდილიახვის ოსეთიდან, ცხინვალს ზემოთ"[227]. იგივე გაიმეორა ზოგ სხვა წერილშიც. მეცნიერის წარმოდგენა ისტორიულ გეოგრაფიაზე არ ჩანს ღრმა და მისი კვლევის სპეციფიკა თითქოს არც „ავალებდა" ამას.

ს. ჯანაშიაც სპეციალურად ამ საკითხს არსად შეხებია. მხოლოდ ერთგან, ეგნატე ნინოშვილისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავს: „დვალი" აქ ყოველ ეჭვს გარეშე, ეთნიკურ წარმომავლობაზე მიუთითებს და თანამედროვე „ოსს" უდრის"[228].

ნ. ბერძენიშვილმა ქართლში ოსთა ჩამოსახლება მონღოლობას დაუკავშირა, თან ამ პროცესს სოციალურ (კლასობრივ) ასპექტში განიხილავდა[229]. ამრიგად, მან თავის „იდეას" დაუქვემდებარა მასალა. სხვაგან გარკვეული მოდელიც მოგვცა ამ პროცესისა: „როდის, რა პირობებში მოხდა აქაური მკვიდრთა (იბერიელთა) აყრა (თუნდაც ნაწილობრივ) და მათ ადგილზე ოსთა ჩამოსვლა? ბრძოლით და თანდათან. ძლიერი შემოტევა I—V საუკუნეებში მოგერიებულ იქნა. ვახტანგ გორგასალმა დაასრულა ეს ბრძოლა. მან ოსეთი დაიმორჩილა და ქრისტიანობაც მათ დასამორჩილებლად მოიმარჯვა (ნაქოხი, წილკანი). დვალები ქართული კულტურის აქტიური მოღვაწენი VIII—X საუკუნეებში... თამარის დროს ქართველობა კავკასიონის, გადაღმა ეტევდა...

---

[223] გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

[224] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 69, 78.

[225] იქვე, გვ. 71.

[226] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 222.

[227] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 501.

[228] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 490.

[229] „თუ როგორ განსაზღვრავს კლასობრივი ინტერესი, კლასობრივი ბრძოლა ყოველივე სხვას, როგორ წარმართავს ხოლმე ყოველივე ეროვნული ხასიათის (ჩ.ჩა.) კლასობრივი ინტერესების დაკმაყოფილების ინტერესების ქვეშ". საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 21—22. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1958, გვ. 265.

ოსთა მეორე შემოტევა XIII—XIV საუკუნეებში იყო. მონღოლთა პოლიტიკა... გიორგი ბრწყინვალე... მძიმე ბრძოლები...»[230]

ვ. გამრეკელი ერთადერთი მკვლევარია, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა დვალთა ვინაობისა და ისტორიის საკითხები უზარმაზარ ქრონოლოგიურ ჩარჩოში. მაგრამ ფაქტობრივად ეს არის ოს-ქართველთა ურთიერთობის ისტორიის შესწავლა I ს-დან გვიანშუასაუკუნეებამდე (ძირითადად XV ს.)[231].

თავის ნაშრომის დასაწყისში ქართულ წყაროთა ანალიზით — ლეონტი მროველი და ვახუშტი ბატონიშვილი — ვ. გამრეკელი ასკვნის, რომ დვალთა ეთნოგენეზი უკავშირდება დურძუკებს — ვეინახებს (საურმაგის მიერ გადმოსახლება)[232]. საინტერესოა მკვლევრის დაკვირვება, რომ ვახუშტი ტერმინებში „დიგორი“ და „თაგაური“ განიხილავს როგორც „ოსეთის“ ნაწილს. იგივე არ ითქმის „ოსეთისა“ და „დვალეთზე“. ისინი ვახუშტისთან ტოლფასი, ეთნონიმიური ცნებებია. ამრიგად, დვალეთი კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა. იგი თერგიდან ხასიანამდეა გადაჭიმული.

დვალეთი კასარის ვიწროების სამხრეთით უძველესი დროიდან მონღოლებამდე საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა. დვალთა ნაწილი ამ დროს გაქართველდა. ეთნიკურად ისინი ვეინახურ ტომთა მონათესავეები იყვნენ. დვალური რომ სხვა ენაა, იცის ვახუშტიმაც (იხ. ზემოთ)[233].

VII ს-ის სომხური წყარო იცნობს „დვალქს“. უფრო ადრე პლინიუსმა (24—79) და კლავდიოს პტოლემაიოსმა იცოდნენ ეთნონიმი „ტალი და დალი“. „დივალი“ არის პეიტინგერის ტაბულაზეც[234]. ვ. გამრეკელი ყურადღებას ამახვილებს სტრაბონის ცნობილ ტექსტზე, კერძოდ კი სტრაბონის იმ ცნობაზე, რომ „ტომთა უმეტესობა სარმატია, ყველანი კი კავკასიელებიო“. აქედან იბერიელთა სარმატებთან ნათესაობა ნიშნავს იბერიელ მთიელთა ჩრდილო კავკასიელებთან ნათესაობას[235]. პეიტინგერის ტაბულის, ამიანე მარცელინის და სხვა წყაროთა მიხედვით (იოსებ ფლავიოსი, კორნელიუს ტაციტუსი და სხვ.) დვალები და ალანები ერთმანეთთან არც ეთნიკურ, არც ტერიტორიულ კავშირში ჩანან[236]. ხოლო ალანები თავის „პირველ გამოჩენისას“ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდნენ[237]. მრავალი საინტერესო დაკვირვება გამოთქვა ვ. გამრეკელმა დვალეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ[238].

---

230 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 424. ვფიქრობ, მოტანილი ნაწყვეტის კონტექსტიდან ჩანს თითქოს, რომ მეცნიერი უკავშირებს ოსების თვლას.

არაქართველ ტომად მიიჩნევს დვალებს ნ. ნაკაშიძე. - С е х н и я Ч х е и д з е, История Грузии. Тб., 1976, გვ. 52.

231 В. Г а м р е к е л и, Двалы и Двалетия в I—XV вв. Тб., 1961.

232 იქვე, გვ. 18, 19. ეს ტერიტორია იყო კასრის ხეობა, ზრამაგა, ლულე, ნარი, ხოდაგო, ზაბა, ხევი, მამისონდგალეთი — გვ. 20.

233 იქვე, გვ. 31, 35—39.

234 იქვე, გვ. 42—45. მათთან ერთად ასახელებს დიდურებს, სოდებს და სვანებს. სწორედ ის, რომ დვალები I—VII სს-ში მოიხსენიებიან ჩრდ. კავკასიის მთიანეთში თავის ტერიტორიულ საზღვრებში, მოწმობს, რომ ისინი არანაირ ტომებს არ განეკუთვნებიან, რადგან ანტიკური ხანის ცნობილი, რომ აქ ამ დროს „ალანთა კონტინენტი“ ...ის ნიშნები შემჩნეული არაა.

235 В. Г а м р е к е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

236 იქვე, გვ. 63—70.

237 იქვე, გვ. 70.

238 იქვე, გვ. 77.

რომელთა შორის ჩვენი მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო დამთხვევაა VI საუკუნის სამარხებში (მილრან დვალეთი) ქრისტიანული დაკრძალვის წესის დაფიქსირება, ხოლო განვითარებულ შუასაუკუნეებში ეკლესიათა სიმრავლე ქედს გაღმა დვალეთში: ზონიტა მაირამი (ზრუგის ხეობაში), ეკლესიები ზედა ზრამაგისა და ზაკაში და სხვ. (ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ ვახუშტი მიუთითებდა)[239]. „ნიკოლოზ დვალის მარტვილობაზე" და სხვა ნარატიულ წყაროებზე, მატერიალური კულტურის ანალიზით სამართლიანად დაასკვნის მკვლევარი, რომ დვალეთში ქრისტიანობა ღრმად იყო გამჯდარი. ამან ხელი შეუწყო დვალთა ქართველ ერთან შერწყმასო[240]. ამიტომაცაა სულ ახლახან გამოსულ „ოსურ ლიტერატურაში" აღიარებენ, რომ ისტორიულ-ეთნოკულტურული პროცესის ტუალგომში (— დვალეთი, ნ. ა.) განვითარება ბუნდოვანია. აქ არაა აღმოჩენილი კატაკომბები და გამორიცხული არაა, რომ ადგილობრივმა ეთნიკურმა ჯგუფმა დიდხანს შეინახა თავისთავადობა. ალანთაგან ასიმილაცია მათ XIV—XV სს-ში განიცადეს[241].

როგორც არქეოლოგი ვ. კუზნეცოვი აღნიშნავს, ჩრდ. კავკასიის ცენტრალური ნაწილის მთებში გაბატონებულია ქვაყუთები და აკლდამები. ისინი განსხვავებულ ეთნოკულტურულ სამყაროს ეკუთვნიან და უნდა ჩაითვალოს ავტოქტონური ეთნოსის გამოვლენად[242].

თუ გავიხსენებთ ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებას, რომ დვალეთი ჩრდილოეთის ერთი გასასვლელით ეკავშირებოდა, სამხრეთით საქართველოსკენ კი 11 უღელტეხილი იყო[243], დამატებითი სინათლე მოეფინება იმას, თუ რატომაა ეს მხარე განსხვავებული სხვა ოსური მხარეებიდან.

ვ. გამრეკელი განიხილავს რა „ძეგლი ერისთავთას" მონაცემებს, სრულიად სამართლიანად ასკვნის, რომ ამ წყაროში ჩანს დვალ-ოსთა ტომობრივი დაპირისპირება: დვალეთი და ოსეთი სხვადასხვა ქვეყანაა[244]. დვალებს უკავიათ ლიახვის ზემო წელი. ამ მონაცემის შედარება სხვა წყაროებთან, სადაც ჩანს, რომ XIII ს-ის II ნახევარში ოსები იხსენიებიან ქინველში, დმანისში, თრიალეთში, გორში და არ იხსენიებიან ნიქოზში, ცხინვალში, აჩაბეთში და, როგორც ზემოთ ჩანს, ოსები დვალებს არსად არ ესაზღვრებიან. ამ დროს ქართლში მოსულ ოსთა უმთავრესი ნაწილი არის სამხედრო რაზმები (ფარეჯან და ბაყათარ) და პოლიტიკური სიტუაციის, ოქროს ურდოს საწინააღმდეგო განწყობის გამო იბრძვიან ისინი დავით VIII-ის წინააღმდეგ (რომელიც ოქროს ურდოს მხარესაა). დვალები კი პირიქით, „ძეგლი ერისთავთას" მიხედ-

---

[239] იქვე, გვ. 85. უპრეცედენტოდ ქართული ქრისტიანულ-რელიგიური ტერმინოლოგია. ქრისტე-შობისტ, ხიმზისხანაბ (ქართ. ღვთისმშობლის სახება) ტეტრიწმიდაზ..., ბარ ძვარ — ძირი ჯვარი (მთავარი სალოცავი). Сказдари — საყდარი, Хуцаубазн — ღვთისმშობელი, хцалазымизэ — ყოვლადწმიდა (იხ. А. В. Цагаева. Топонимия Северной Осетии. т. I, Орджоникидзе, 1971. ст. 210).

[240] იქვე, გვ. 93.

[241] История..., 1987, с. 142.

[242] В. А. Кузнецов, Аланская культура Центрального Кавказа и ее локальные варианты V—XIII века, СА, № 2, 1973, ст. 78.

[243] როგორც ვ. გამრეკელი დაიმოწმებს, ჯ. ხუთიშვილის საქართველოს ძველ ისტორიულ გეოგრაფიას — იხ. ვ. გამრეკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[244] В. Гамрекели. დასახ. ნაშრომი, გვ. 114—115.

ვით მეფის მხარეს არიან[245]. ე. ი. ოსები და დვალები ამ დროს საწინააღმდეგო პოზიციაზე არიან. შიდა ქართლში მოთარეშე რაზმებს ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულ ოსებთან არაფერი საერთო არ აქვთ. ჯერ ეს პროცესი არ დაწყებულა. ლიახვის ზედა წელზე დვალები არიან, რომელთა შორის ოსი, როგორც ცალკე ეთნიკური ელემენტი, არ გვხვდება[246]. ესაა XV ს-ის დასაწყისი. ამ დროს ოსთა მიგრაციის პირველი ნიშანი მხოლოდ თრუსოს ხევშია. მნაში დაბედებული ფარეჯან, ამსაჯან და სხვა ოსთა სახით[247]. აქ ავტორი ასკვნის, რომ საკმაოდ ზუსტი ჩანს ვანეევის მიერ მოტანილი საგვარეულო გადმოცემების ანალიზი, რომ ისინი დიდი ლიახვის ხეობაში XV—XVI სს-ში გადმოსახლდნენ[248]. სახელები „დვალები" და „დვალეთი" X—XVI სს. მანძილზე ყოველთვის ცალკე და განსხვავებულად იხმარება „ოსი — ოსეთისაგან"[249] XVII—XVIII სს-ში ხდება ამ ტერმინთა დაახლოება. შემდეგ ჯერ კვდება ტერმინი „დვალი", მერე „დვალეთი".

XIII ს-ის შუა წლებში „საკუთრივ დვალეთში", ნარას ქვაბულში ხდება ოსთა მიგრაცია. XV ს-ის დასაწყისიდან ოსები ქედის სამხრეთითაც ლამობენ დამკვიდრებას. XVIII ს-ის დასაწყისისათვის დვალები ოსთაგან ასიმილირებული არიან[250].

სახელები „დვალი" და „დვალეთი" XIX ს-ში მხოლოდ მეცნიერებაში გვხვდება, ზოგჯერ გარუსებული ფორმით:

ასე, რომ ვ. გამრეკელის მიხედვით, ამ პროცესს უპირატესად შეეწირა უკვე დიდი ხნის გაქართველებული დვალთა ვეინახური ტომი[251].

---

245 В. Гамрекели, დასახ. ნაშრომი, გვ. 117—119. მკვლევარმა ამ საკითხს, XIII—XIV სს. მოვლენებს მიუძღვნა ცალკე გამოკვლევა, რომელშიც დეტალურად არის განხილული ყველა წყარო და ყველა მოვლენა დაკავშირებული „ოსთა მოძრაობასთან". (იხ. ვ. გამრეკელი, XIII—XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან, „მრავალთავი", V, გვ. 165—196). მან სრულად და დამაჯერებლად ახსნა, რომ XIII—XIV სს. ქართულ წყაროებში ნახსენებ „ოსებს" არავითარი აქვთ საერთო ოსთა გადმოსახლებების ტალღებთან. ეს პროცესი ამ დროს არ დაწყებულა (გვ. 184—196).

246 იხ. ოსეთის, ძირითადად დვალეთის, ტოპონიმიაში გვხვდება ისეთი მომენტები, რომლის მიხედვითაც მკვლევარი ცდილობს აქ ქართულობის ორიენტირებას. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ის, რომ „ტოპონიმიაში გვხვდება ქართულ ძირებს (ან ფუძეებს) შერწყმული ოსური ფორმანტებით, ან რთულ სახელებს — პირველი ნაწილის..." (А. Д. Цагаева, დასახ. ნაშრომი, 1971, გვ. 130). ორიენტირება კი უნდა ყოფილიყო დიდი ხნის (გვ. 133). ამ ორიენტირების შესახებ მიუთითებს ქვემოთ გადმოცემა დვალეთი და მისი მეზობელი რაიონების ეთნიკური ვითარება. შეადარე ქართული ტიპის ძეგლების გავრცელება დვალეთში — გ. ღამბაშიძე, შიდა საქართველოს და სხვ. კავკასიის ბარის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის, ტ. V, 1987, გვ. 3—7.

247 В. Гамрекели, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

248 იქვე, გვ. 121.

249 იქვე, გვ. 123—127.

250 იქვე, 131.

251 უნდა აღინიშნოს, რომ დვალთა ვეინახობის საკითხი მთლიანად მეცნიერული ... მიღწევად ჩაშვებული არ უნდა იყოს. მაგ. ვ. გამრეკელის მიერ ... ტოპონიმიკის მონაცემები (ა. ბედოშვილი, ქართული ტოპონიმიკა და ვეინახური საკითხი ... „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ. XXII, 1980, გვ. 320—321).

1983 წ. გამოქვეყნდა ავტორთა კოლექტივის სტატია — „К истории Нагорной Картли в V — XVII вв.," რომელშიც გატარებულია აზრი, რომ XIII ს-ში მონღოლობის დროს ქართლში მთიანეთში ოსები ჩრდილოეთიდან მოსული მიგრანტები კი არ არიან, არამედ დარუბანდის გზით მოსულ მონღოლთა დაქირავებული რაზმები[252]. ეს, რა თქმა უნდა, ვ. გამრეკელის ნარკვევის განაჩენია, რაზეც არაერთგზისაა მითითებული შესაბამის ადგილას[253].

ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შემსწავლელ ჯ. გვასალიას ნარკვევიდან ჩანს, რომ კომპაქტური ოსური მოსახლეობის გაჩენის დრო ქართლში XVII და განსაკუთრებით კი XVIII ს-ის შუა წლებია[254]. დაახლოებით იმავე თარიღს იზიარებს ისტორიული დემოგრაფიის სპეციალისტი როლანდ თოფჩიშვილი. მან კიდევ ერთხელ შეგვახსენა პრობლემასთან დაკავშირებული ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტის შესახებ, რომლის მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ ზემო ჟავის ქართული მოსახლეობა XVII ს-ის I ნახევარში ოსთა თავდასხმების შედეგად ამოწყდარა[255].

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა საკითხთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ნაშრომები, უპირატესად კომპილაციური ხასიათისაა, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ. ვფიქრობთ, პრობლემა ძირითად ნაწილში ნათელია.

ამასთან ვფიქრობთ, ნათელია ისიც, რომ მკვლევართა ნაშრომებში ჩანს მათი ეთნო-კულტურული კუთვნილებაც, მოღვაწეობის დრო და კონიუნქტურიც, როგორც წმინდა მეცნიერული მიმდინარეობათა, ისე პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული.

საბოლოოდ როგორც განხილული საისტორიო მასალის (წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური მასალები, ტოპონიმია, ანთროპოლოგია) და სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

1. ოსი ხალხი ჩამოყალიბდა ორი მთავარი კომპონენტის შერწყმის შედეგად. ჩრდილოირანული ენის მქონე ალანების (რომლებიც ანთროპოლოგიურად ვიწროსახიანი და გრძელთავიანი იყვნენ) და კავკასიური ავტოქტონური ტომების (რომლებიც ანთროპოლოგიურად ფართოსახიანი, ბრტყელთავიანები იყვნენ), რომლებიც მემკვიდრენი იყვნენ ე. წ. ყობანური (ან კოლხურ-ყობანური) არქეოლოგიური კულტურის მქონე ხალხებისა. მათ შორის, როგორც ლინგვისტური მასალა გვიჩვენებს, უნდა ყოფილიყვნენ უმეტესად ქართველური ტომები, ნაწილობრივ ვეინახური ტომები და შესაძლოა ადიღო-ჩერქეზული ტომებიც. გაიმარჯვა დამხვდურთა ფიზიკურმა ტიპმა და მოსულთა ენამ.

2. კავკასიური წარმოშობის ხალხები, როგორც „ყობანური კულტურის" და მისივე ტრადიციების მქონე ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო ფერ-

[252] М. К. Думбадзе, Б. Р. Ломинадзе, М. Д. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 154—171.

[253] В. Гамрекели, К истории Грузии рубежа XIII—XIV вв. „მრავალთავი", V, თბ., 1975.

[254] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი) თბ., 1983, გვ. 164—172.

[255] რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1987, გვ. 45; მისივე, ისტორიის ზუგრების გაყალბება თუ..., „ლიტერატურული საქართველო", № 4, 1990, გვ. 14, 15.

* სტატიის პირველ ნაწილში, რომელიც დაისტამბა ისტორიის სერიის № 3 „მაცნეში" მე-17 გვერდზე, ზემოდან მე-11 სტრიქონში ნაცვლად ალანებისა უნდა იკითხებოდეს „ალანებმა".

დზე თითქმის უცვლელად ჩანან, ძვ. წ. II ათასწლეულიდან ახ. წ. V საუკუნემდე. მათი ძირითადი არსი არ შეცვლილა, მიუხედავად სკვითურ-სარმატული ტომების როგორც მტრული, ისე მშვიდობიანი კონტაქტებისა ჩრდ. კავკასიის ველებიდან.

3. ოსი ხალხის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ალანები, ისტორიის ასპარეზზე ჩნდებიან ახ. წელთაღრიცხვის I ს-ის დასაწყისიდან, ხოლო ჩრდილო კავკასიის ველებზე უკვე II ს-ში. V—VI ს-ში. ალანები იკავებენ ჩრდ. კავკასიის მთისწინეთს, ხოლო VII—IX სს-ში მთიანეთის ნაწილსაც. სწორედ ამ დროიდან იწყება მათი „კავკასიელებთან" აქტიური შერწყმის პროცესი, რაც დაახლოებით X—XII სს-ში დასრულდა თანამედროვე ოსი ხალხის უშუალო წინაპართა ჩამოყალიბებით.

4. საქართველოს (ქართლის სამეფო, კოლხეთ-ლაზიკა) ურთიერთობა I—IX სს-ში ალანებთან არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქართველ-ოსთა ურთიერთობა, იგი ქართველ-ალანთა ურთიერთობაა.

5. აღნიშნულ ხანაში ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა ხდება მხოლოდ კოდორის ხეობის სათავეებში (ისტორიული მისიმიანეთი). აფხაზეთის ქვეყანა „ალანი" (ვახუშტი).

6. ქართლის სამეფო, ჩვენს ხელთ არსებული უტყუარი ცნობების მიხედვით, უმეტესად წარმატებით არეგულირებს ალანებთან თავის ურთიერთობას. ამის საწინდარი იყო ის, რომ ქართლის სამეფოს (გვიან „ყოველი საქართველოს") ხელში იყო ყოველთვის ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილები და ტერიტორიები ქედის ჩრდილოეთითაც. ამის გარეშე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე ვერავითარი პოლიტიკური გაერთიანება ვერ იარსებებდა.

7. უძველესი დროიდანვე ქართლის სამეფოში შედიოდა დვალეთი. წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური ფაქტების და ენათმეცნიერული მონაცემებით (ტოპონიმიკა და სხვ.) დვალეთი არის, განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეთა დასაწყისშიც (XIV—XV სს.) ქართული ქვეყანაა, როგორც პოლიტიკურ-კულტურულად, ისე ეთნიკურადაც.

8. ოსთა მიერ დვალთა ასიმილაცია და ქართლის მთიანეთში შემოჭრა ხდება XVI—XVII სს-ში. მანამ XIV—XV სს-მდე ოსებს ჩრდილო ოსეთის მთიანეთის უმეტესიც კი არ ჰქონდათ ათვისებული (თაგაური, ქურთათი, ალაგირი. — იხ. История Северо-Осетинской АССР, I, გვ. 127—143). ამ პროცესის გააქტიურებას მთავარი ბიძგი მისცა ისტორიულ ალანეთში ყაბარდოელთა ექსპანსიამ.

9. საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს არასოდეს შეუქმნიათ თავიანთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანიზაცია. ისინი ზოგადად საქართველოს, ქართლის სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ; კონკრეტულად კი სხვადასხვა ფეოდალურ-ადმინისტრაციული რეგიონების მოსახლენი. სამაჩაბლოსი, ქსნის საერისთავოსი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი ადმინისტრაციული მოწყობა მოხდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიისაგან პირველი ანექსიის შემდეგ (1801 წ.), როცა 1842 წელს შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი"; ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ (1921 წ.) შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922 წ.)*.

* წინამდებარე ნარკვევი შეიქმნა 1990 წლის დასაწყისში, საქართველოს უზენაესი საბჭოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი დეპუტატთა კომისიის თხოვნით, მას წინ უძღოდა ჩემი პრობლემასთან დაკავ-

Н. И. АПХАЗАВА

АЛАНЫ И ГРУЗИЯ

Резюме

Грузино-осетинские взаимоотношения сложны, неоднородны и охватывают большой комплекс вопросов, каждый из которых является предметом особого внимания.

Но самое главное то, что при рассмотрении грузино-осетинских отношений следует помнить предпосылки, без которых не избежать грубых ошибок. Об осетино-грузинских отношениях можно говорить только с тех времен, когда исторически сформировались указанные этнические общности и появились также этно-территориальные организмы. Согласно археологическим, антропологическим, языковедческим и нарративным источникам, этногенез осетин протекал в Центральной части Северного Кавказа в VI—IX веках и к X—XII векам складывается раннесредневековая алано-осская народность, ставшая базой дальнейшего этнического развития осетинского народа и его культуры в последующий период.

В формировании осетинского народа участвовали два основных этнических компонента: местный, автохтонный, кавказоязычный этнический массив, антропологический, причисляемый к широколицему, брахикранному «кавкасионскому» типу и пришлые ираноязычные узколицые, долихокранные аланы. Вследствие сложного этногенетического процесса победил язык пришельцев, а физический тип не претерпел значительных изменений, он остался кавкасионским. Местный кавказский субстрат в этногенезе осетинского народа вскрывается и этнографическими материалами. Таким образом, осетинский народ можно считать аборигеном Северного аКвказа. Он сформировался в этом регионе в средние века. Более того, не сразу выработалось сознание своего этнического единства и общее самоназвание. Ведь даже у современных осетин до недавнего времени не было самоназвания. Были «иры», «дигоры», «туалы», но осетин вообще не было, —

მოუბრუნდა თითქმის ოთხმოცწლოვანი, როგორც ადრინდელი ისე სავსე მუშაობა ავტორმა ნარკვევი უკვე გასული წლის ბოლოს თვეში წარუდგინა აღნიშნული კომისიის წარმომადგენელს. გარდა ამისა, ცნობილ მკვლევრებთან, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ჯაჟით მეს-ხელიშვილთან და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ჯონდო გვასალიასთან ერთად შევადგინე მოკლე ისტორიული ნარკვევი „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, რომელიც იგრეთვე წარუდგინეს ხსენებულ კომისიის წარმომადგენელს. რამოდენიმე თვის შემდეგ, სულ ახლახან კომისიის წევრის სახელით და ბატონ ნუგზარ წერეთლის რედაქციორობით (100 000-იანი ტირაჟით) გამოვიდა წიგნი ისევე სათაურით „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, რომლის პირველი თითქმის 13 გვერდზე სიტყვა-სიტყვით, სულ მცირედი ცვლილებით, შეტანილია ჩემი და დასახელებული ორი ავტორის ნარკვევი. ამასთან წიგნში, რომელშიც ასევე სიტყვა-სიტყვით შეტანილია ჩვენი ნაშრომის სქოლიოები, არსად არაა მინიშნებული ნარკვევის ნამდვილ ავტორთა ვინაობა. წიგნის რედაქტორმა ბატონმა ნუგზარ წერეთელმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ [№ 81 (101)] დაბეჭდა „განმარტება“, რომელშიც თითქოს შეეცადა აღენიშნა როგორც ნაშრომის, ისე სხვა შეცდომათა, ლაფსუსი, რომელთა ჩამოთვლა მისი აზრით „წიგნში ვერ მოხვდა“. ვფიქრობთ, ბატონი რედაქტორის გაცილებით კორექტული იქნებოდა პირდაპირ, შეუფარავად აღენიშნა წიგნის თითოეული ნაწილის ნამდვილი ავტორი... თუმცა ა. ლიტინსკისთვის და ს. რივკინისთვის მიხვდომა ადვილი...???

писал известный осетолог В. И. Абаев (см. Осетинский язык и фольклор, М.—Л., 1949, ст. 44).

Исходя из вышесказанных факторов, думается, непосредственное отождествление аланов с осетинами неправомерно (так же, как было бы неправильно отождествлять галлов с французами). Постольку, в течение I—IX веках речь не может идти об осетино-грузинских отношениях, а можно говорить об алано-грузинских взаимоотношениях.

С другой стороны, Грузинское государство, известное в исторических источниках как «Картлийское царство (Иберия), «Сакартвело» (Грузия), «Ковели Сакартвело» (Вся Грузия) и др. было создано в раннеэллинистический период, в начале III в. до н. э. царем Парнавазом; включало в себя всю территорию сегодняшней Республики Грузия и еще по меньшей мере ее половину, находящуюся сейчас в составе соседних государств. Поэтому все протекавшие на этой территории политические и культурно-этнические процессы должны рассматриваться как происшедшие в Грузии, а не в общем неопределенном географическом ареале, как это желает представить определенная часть (в основном осетинских) историков-исследователей. Территория бывшей Юго-Осетинской Автономной Области по нарративным источникам, археологическим материалам, по памятникам архитектуры и другим историческим данным, начиная с раннеантичной эпохи вплоть до развитого средневековья (XVII в.) в этно-культурном отношении является частью основной историко-этнографической провинции Грузии, Шида-Картли, на которой не отмечено существование сколько-либо существенного чужого, негрузинского этнического элемента.

Бесспорное свидетельство о компактном обитании осетин на территории Картли относится к началу XVII в. По русским источникам горные области Шида Картли, верховья Лиахви (Магран-Двалети) в основном заселены осетинами. В верховьях Ксанского ущелья осетинские поселения появляются примерно 200 лет тому назад.

К этому времени была завершена осетинизация древнегрузинской племени двалов, которые проживали по обоим сторонам центральной части Главного Кавказского хребта.

Переселившиеся на территорию Грузии осетины оказались подданными грузинских феодалов и в целом Грузинского государства. Их первое отдельное административное устройство произошло после аннексии 1801 г. Восточногрузинского царства Российской империей, когда в 1842 г. был образован особый «Осетинский округ», а после аннексии Грузинской Демократической Республики Советской Россией в 1921 г. была создана Юго-Осетинская Автономная Область (1922 г.).

N. APKHAZAVA

ALANS AND GEORGIA

Summary

The ancient inhabitants of the Caucasus (autochthonous population, were nations speaking so called Iberian-Caucasian languages (Kartvelian). Abkhazian-Adigian and Chechen-Dagestanian). Nations of Indo-European origin (Armenians, Kurds, Russians and Iranian ancestors of Ossets) and Turkish-speaking nations (Azerbaijanians, Kumikhians and others) came to the Caucasus in different times.

The ancient states of Kartvelian tribe--Kulkha (according to Greek sources Kolkheti) and Diaukhi were political establishments in Assyrian and Urartu period (the end of the 2nd millenium B. C. and the second half of the 1st millennium) The beginning of Georgian state organization is considered to be the edge of the 4th-3rd centuries B. C., when the kingdom of Kartli (Iberia) was established. Parnavaz was the first king of the state and his dynasty reigned Kartli till the 4th century A. D. Antique Kingdom of Kartli included the whole territory of the present Georgian Republic, as well as the boarding territories now constituting neighbouring Republics, in whole about 120000 sq. km.

By that time Osselian nations did not exist, one of its constitutive parts, the ancient ancestors of Allans were leading a nomad's life on the territory of the present Middle Asia and in the steppes of the South Urals. Alans appeared in the Azov Sea coastal area and in the valleys of the North Caucasus only in the second half of the 1st century A. D. (it is considered that the name 'Allan' is associated with the ancient motherland of Iranian Tribes 'Ariana'). From that time on, nomadic Allans living in the valleys of the South Russia and the North Caucasus, started to establish millitary contacts with the Kingdom of Iberia (Georgia). Georgian kings successfully used them against Parthian Kingdom and the Roman Empire. It was caused by the fact, that all the passes, crossings existing, in the Caucasus and a number of the northern provinces (Dvaleti, Khevi Khevsureti, Tusheti) belonged to the Kingdom of Iberia. Iberia was the most powerful state in the Caucasus in the 1st-2nd centuries. By the yeear of 370 new nomadic tribes (Huns) from the east valleys of the river Volga destroyed Allan Union in the Azov Sea area. One part of survived Allans followed Huns to the Central and west Europe and the other part took shelter in the Northern part of the Caucasus. Here they established more close contacts with the Caucasian language-speaking autochthonous population. In the 6th-9th centuries in the north Caucasus (today Karachai—Cherkez, Kabardo-Balcar, north Ossetia and Checheno-Ingush valleys and pre-mountain area) so called 'Allan Culture' was being established. It included Iranian language-speaking Allan tribes (antropologically narrow-faced and longheaded types) as well as local Caucasian language-speaking tribes,

who differed antropologically (flat or middle — length headed, wide — faced type). By means of amalgamation of these two ethnic massives in the 10th-12th centuries the ancestor ethnos of the present Ossetian people was formed. In this ethnic group the newcomners' language and local antropological type was preserved. Russian scientist Krupanov wrote: 'The language of Ossetian people is Iranian, while their culture is typically Caucasian'. By that time Iberia (Georgia) was a country of ancient cultural-state traditions. In the beginning of the 4th century Iberia adopted Christianity and the oldest Georgian written pieces also belong to this period.

In the 7th-10th centuries Allans were subordinated to Khazar Kingdom, ruling in the South valleys of Russian and North Caucasus. After the fall of Khazar Kingdom (from the 10th till the middle of the 13th century) Allan Ossets had so called State Union of barbaric type in the North Caucasus, which politically and culturally was greatly influenced by neighbouring Georgia (Iberia). For example in Allania Christianity was declared an official religion in the first quarter of the 10th century by influence of Georgia.

The same is pointed out by remained religious words in the Ossetian language, e. g. 'cross' in Georgian is 'Jvari' and in Ossetian — 'Dzuar', 'The Virgin' in georgian is 'Khvtismshobeli' and in Ossetian — "Khutisobeli', 'Trinity' in Georgian is Sameba', in Ossetian — 'Saniba' and etc. Most Christian religious worships in the North Caucasus are of Georgian type and they are ornamented with Georgian inscriptions

Since the 11th century dynastic marriages between the Georgian and Ossetian royal families became more frequent, after what Georgian dynasty of Bagrationi took up their residence in Allan-Ossetia (Bagrationi dynasty became the rulers of Georgia in the 6th century)- Queen Tamar's husband David Soslan belonged to the Ossetian branch of the Bagrationi. In the reign of Queen Tamar (1184—1213) the kingdom of Georgia reached its greatest political heights, became one of the strongest states of the Near East, and included the whole territory from the North Caucasus to Erzerum and Persian Azerbaijan, and from the Black Sea to the Caspian. Across its territory passed the Caravan route to India and other countries of the East, which gave the country great economic importance.

Invasions from khorezm (1225) and by the Mongols (1235 — 1240) dealt a severe blow to the Georgians. Invasions played a fatal role on the following historical fate of Georgia and Allan-Ossetia. Allan-Ossetia was especially damaged. Some of their parts moved to Hungary, some took shelter in the North Caucasian gorge, but some of ossets went to work with Mongols and together with them invaded and destroyed East Georgian towns and villages. But in the 30s of the 14th century Georgian king George the Brilliants renewed the unity of Georgia, threw off the Mongole Yoke and Ossetian detechments were eradicated from Kartli.

From the 15th century Kabardos began to rule in the Central part of the Northern Caucasus. They oppressed evicted Allan-Ossetian people

from the territory of historical Allania (nowadays—Karachai—Cherkezia and Kabardino—Balkaria). Ossetian people bagan to hide themselves deeper in the mountain gorges. Then in the 15th-16th centuries they inhabited in the Georgian province Dvaleti, which is in the north of the Caucasian range, but from the beginning of the 17th century they began to settle in the Southern slope of the Caucasian range — in mountainous Kartli.

From the 16th century the Georgians, particularly in the south, had to carry on a constant struggle for their very national existance against the Turks, while in the eastern part of the country there was a life—and—death struggle against the Persians under Shak Abbas (1613—1616). Hundreds of thousands of Georgians were killed or carried off into slavery to Iran. Georgia grew weaker and it was on the way of decentralization. The North Caucasian mountain people used the situation and began to attack fully from the North.

Adigo-Abazian tribes crossed west Caucasus and through their diffusion with the old abkhazian inhabitants today's abkhazian (Apsua) people was originated. Ossetian people migrated in Central Caucasus and Shida (Inner) Kartli more and more intensively. They settled in the upper reaches of the Liakhvi and Ksani.

Daghestanian tribes crossed the East Caucasus and located in the Eastern provinces of Kakhetia, after what Saingilo was formed (today it is the part of Azerbaijan).

Georgian politicians and principals decided to fill the population of Georgia by Ossetian people, as Georgian population was decreased by constant invassions since antiquity. The intensity of Ossetian migration increased. The most important thing is, that Ossetian people settled in Kartli, hadnever formed their political-administrative organization in Georgia. They were subjects to Kartli — Georgia; they became inhabitants of different feudal-administrative regions: e. g. Samachablo, Ksnis — Saeristao, Saamilakhvro and etc. Ossetian migrants' first administrative arrangement took place after 1801, when Georgia was first annexed by Russian empire; so in 1849 'Ossetian region' was formed. It was anti-georgian action of emperial government. In the following historical period, when Georgian Democratic Republic (established in May 26, 1918) was again annexed by RSSFR (February, March, 1921), with the support of antigeorgian communist leaders, so-called South Ossetian Autonomous Region was formed in 1922. It contained not only territories settled by Ossetian people, but a great part of Kartli, with pure Georgian population. Tskhinvali became the capital of newly formed region. By that time the population of Tskhinvali was purely Georgian with only two or three Ossetian families.

It is clear that in all cases Ossetian people were weapon of the Empire against Georgia. And today's current conflict is not an ethnic conflict, but a political avanture of the Soviet Russia Empire against Georgia.

ᲑᲐᲑᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ

1921 წელს ევროპაში გახიზნული საქართველოს მთავრობა და სხვა პოლიტიკური მოღვაწენი, როგორც ცნობილია, ენერგიულად იბრძოდნენ საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის და ამასთან დაკავშირებით მათ მრავალი საინტერესო დოკუმენტი შექმნეს. მათვე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას მიუძღვნეს არაერთი საინტერესო მოგონება თუ კვლევითი ხასიათის ნაშრომი. საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ იმ ნაშრომებზე, რომელთაც მეტ-ნაკლები სამეცნიერო ღირებულება აქვთ.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია აღიარებული მარქსისტი პუბლიცისტი იყო XX ს-ის პირველი ოცწლეულის საქართველოსა და რუსეთში. ნ. ჟორდანიას არც ემიგრაციაში ყოფნისას შეუწყვეტია თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობა. იგი ერთობ ბევრს წერდა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაზე, არამედ ქართული კულტურის საკითხებზე[1], საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაზე. ჩვენ აქ არ შევეხებით ნ. ჟორდანიას იმ მოკლე სტატიებს, რომლებიც 1918 წ. 26 მაისს და 1921 წ. 25 თებერვალს შეეხება და თითქმის ყოველწლიურად ქვეყნდებოდა პარიზის სოციალისტურ პრესაში ქართულ და ფრანგულ ენებზე. ყველა ამ სტატიაში დიდი პოლიტიკური პათოსითაა განდიდებული პირველი, დაგმობილია მეორე თარიღი. განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია ნ. ჟორდანიას სტატიების სერია საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც ქართველ სოციალ-დემოკრატების პარიზის ორგანოში — „ბრძოლის ხმაში“ ქვეყნდებოდა 30-იან წლებში.

ნ. ჟორდანია საქართველოს სახელმწიფო მესვეურთა საგარეო პოლიტიკას განიხილავს გრის ისტორიის მთელ მანძილზე და მასში გამოჰყოფს რამდენიმე მიმართულებას. მას მიაჩნია, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს ჰქონდა ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომლის საფუძველი იყო სახელმწიფოებრივი ინტერესი. რეალურ ანგარიშზე აგებულ, ავანტიურას და ფანტაზიას მოკლებულ ამ პოლიტიკაში რელიგია უკანა პლანზე იყო გადაწეული. ამ პოლიტიკის კარგ მაგალითად მას მიაჩნია ვახტანგ გორგასლის, ხოლო შემდეგ დავით აღმაშენებლისა და თამარის საგარეო პოლიტიკა, როცა „სახელმწიფო სარბიელზე საქართველო სრულიად არ არჩევდა ქრისტიანს და არა ქრისტიანს, ორივეს ერთნაირად ებრძოდა ომით და აძლევდა ხარკს თავისი ინტერესების მიხედვით“. ცვლილება საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსში, ნ. ჟორდანიას აზრით, ხდე-

[1] ნოე ჟორდანია, რჩეული ნაწერები ემიგრაციაში, პარიზი, 1956.

[2] ნოე ჟორდანია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რჩეული ნაწერები ემიგრაციაში, გვ. 111.

ბა XV ს-დან, როცა საქართველო დაიშალა ცალკე ფეოდალურ ერთეულებად, როცა დაეცა კონსტანტინეპოლი. ამიერიდან საქართველოს ცხოვრებაში გაბატონდა კუთხური, პიროვნული, ფეოდალური პოლიტიკა და წინა პლანზე წამოიწია კლერიკალიზმი. ამ ფეოდალური პოლიტიკით შემოვიდა საქართველო XIX ს-ში. ამ პოლიტიკის ნაყოფი იყო ერთმორწმუნე რუსეთთან ხელშეკრულება როცა ერეკლემ დაივიწყა, რომ „კავშირი შეიძლება მხოლოდ თანასწორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის. კავშირი პატარა და დიდი სახელმწიფოსი თავდება პირველის დანგრევით“[3].

XIX ს-ის მთელ მანძილზე, ნ. ჟორდანიას აზრით, „აღარ იყო ნაციონალური პოლიტიკა, გამეფდა ფეოდალური პოლიტიკა“[4]. XX ს-ის დამდეგიდან ფეოდალური საგარეო პოლიტიკა ეცემა. იწყება ხალხური პოლიტიკა. აქედან ეყრება საფუძველი დამოუკიდებლობას. ეხება რა 1918 წლის დამდეგიდან საქართველოს დამოუკიდებლობის საგარეო ფაქტორებს, ნ. ჟორდანია მიუთითებს, რომ ერთადერთი მეზობელი ქვეყანა, რომელსაც სურდა ჩვენი დამოუკიდებლობა, იყო ოსმალეთი, რადგან მას, დასუსტებულს, ჩრდილოეთის ძლიერი აგრესორისაგან — რუსეთისაგან, დასაცავად სჭიროდა ზღუდარი. საქართველოს დამოუკიდებლობა არ შედიოდა არც რუსეთის, არც ევროპის ანგარიშში. ჩვენ დიდათ ვიყავით დაშორებული დასავლეთისაგან გეოგრაფიულად და მას არ მოელოდა ჩვენგან ბოლშევიზმის საშიშროებაც. ოსმალეთს, რომელიც საკუთარი ინტერესების კარნახით კავკასიის დამოუკიდებლობას აქეზებდა, წაექცა ევროპა, რომელიც მის დედაქალაქს და გზებს დაეპატრონა. ევროპის დიდ სახელმწიფოთა, განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკამ აიძულა ოსმალეთი ჩრდილოეთში (რუსეთში) მოენახა დამხმარე და მფარველი. რუსეთს აწყობდა შუღლი ევროპასა და ოსმალეთს შორის, რომ ამით ის ჩაეთრია ანტიევროპულ ბლოკში და მისივე დახმარებით გაბატონებულიყო კავკასიაში[5]. „1920 წელს შემოდგომაზე ლოიდ ჯორჯი უცხადებს კრასინს, რომ ამიერკავკასიაში ინგლისი არ არის დაინტერესებული, როგორც ეს შემდეგ ჩიჩერინმა გამოამჟღავნა. მხოლოდ ამ აშკარა ნებართვის მიღების შემდეგ რუსეთი შემოგვესია. ასე დაუგეს მახე ოსმალეთს და ისიც შიგ ხელაღებით ჩავარდა. აზერბაიჯანი დაეცა სწორედ ოსმალთა მეოხებით, ძალდატანებით და რჩევით. იგივე ოსმალები დაესხა საქართველოს ზურგიდან რუსეთის შემოსვლის დროს, — ერთი სიტყვით. მიიღო აქტიური მონაწილეობა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დაცემაში“[6].

ნ. ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის მთავარ მიზეზად მიაჩნია ჩვენი იზოლაცია. კავკასიაში, აზიაში, ევროპაში „დავრჩით მარტო, ჩვენს წინააღმდეგ მოიმართა ყველა საგარეო ძალები. მაგრამ ეს იზოლაცია არაფრით არ გავს გასულ საუკუნეთა იზოლაციას. მაშინ ამას აწარმოებდნენ ჩვენი მეთაურები შეგნებულად, განზრახ. ეს იყო მათი პოლიტიკა, ახლა კი ის გახდა შედეგი არა ჩვენი მუშაობის და პოლიტიკისა, არამედ გარეშე ობიექტური პირობებისა“[7].

---

3 ნ. ჟორდანია, რჩეული ნაწერები ემიგრაციაში, გვ. 99.

4 იქვე, გვ. 99.

5 იქვე, გვ. 109.

6 იქვე, გვ. 109—110.

7 იქვე, გვ. 111.

ნ. ჟორდანიას ამ დებულებათაგან ყველაფრის გაზიარება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი მეთაური ბუნებრივია, იმას ცდილობს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობა გარეგან, — საქართველოსაგან სრულიად დამოუკიდებელ ფაქტორებს გადააბრალოს[8], არაფერს ამბობს იმ შეცდომებზე, რაც მის პარტიას, მის მთავრობას ჰქონდა ამ პოლიტიკაში. ტენდენციურია, როცა საქართველოს იზოლაციას ევროპაში იგი აკისრებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეთა საქმიანობას პირველ მსოფლიო ომში, როცა ისინი „თურქეთისა და გერმანიას დაუკავშირდნენ რუსეთის კოლონიური უღლის დასამხობად, და ამრიგად მოკავშირეთა ბლოკის საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდნენ"[9].

ნ. ჟორდანიამ ემიგრაციაში დაწერა აგრეთვე თეორიული ნაშრომი „ჩვენი გზა"[10], სადაც შეეცადა გადმოეცა განზოგადებული წარმოდგენა სოციალიზმის იმ მოდელზე, რომლის განხორციელებასაც მისი პარტია 1918—1921 წლებში ვარაუდობდა. ნ. ჟორდანიას აზრით, კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ბურჟუაზიამ ოჯახური ერთიერთობის ნაცვლად წინა პლანზე წამოწია პირადი ეგოიზმი. მისგან განსხვავებით სოციალისტური წყობილების ფუძეა „ადამიანი, ადამიანური საკუთრება, ადამიანთა თავყრილობა ანუ საზოგადოება და საზოგადოებრივი საკუთრება, ამ ორნაირი საკუთრების კოორდინაცია, მათი ურთიერთობის ჩამოყალიბება ისე, რომ ერთიმეორეს არ სპობდეს, არ ისპობოდეს ადამიანის თავისუფლება საზოგადოების მიერ, არც საზოგადოების თავისუფლება ადამიანის მიერ"...[11] ნ. ჟორდანიას აზრით, „სოციალიზმი ინდუსტრიალურ და არაინდუსტრიალურ ერებში იქნება, რასაკვირველია, სხვა და სხვა შინაარსის და ფორმის. რადგანაც ეკონომიკის ძირია საწარმოო პირობები, ცხადია, პირველ შემთხვევაში სოციალიზმი გახდება უმთავრესად პროლეტარული, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალხური. იქ გადამწყვეტია ინდუსტრია და მისი დარგები, როგორც ერის სიმდიდრის მთავარი შემქმნელი. აქ კი წვრილი საკუთრება, მეურნეობა, ხოლო სამრეწველო დარგები მისი დამატება და დახმარებაა. პროლეტარიატი თუმცა რიცხვით მცირე აქაც უმეთაურებს გარდაქმნის პროცესს, როგორც უკეთ შემოკავშირებული და შეგნებული აქტიური ელემენტი. მეთაურობის საკითხს წყვეტს არა რიცხვი, არამედ აქტიური როლი, რომელიც წილად ხვდება ერის ამა თუ იმ დაჯგუფებას"[12]. საქართველოსთვის ნ. ჟორდანიამ შესაფერ მოდელად მიიჩნია სწორედ ეს ხალხური სოციალიზმი. „ხალხური სოციალიზმის ფორმაა — ასაბუთებს იგი, წვრილი საკუთრება გლეხის, ხელოსნის, წვრილი ბურჟუაზიის, ერის ყველა ფენის. ამ ფარგალში თითოეული მესაკუთრე იმუშავებს ისე, როგორც მას მოესურვება: ის მხოლოდ ანგარიშს გაუწევს საერთო მოთხოვნილებას ამა თუ იმ ნივთზე. სხვილი საკუთრება: მამული, ქარხანა — ზავოდი, ტყე და ველი და მადნები, მიმოსვლის საშუალებანი და სხვა გადადის საზოგადოების ხელში და მუშავდება ამ მიზნით შექმნილ ორგანოების ხელმძღვანელობით"[13]. მართლაც, სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ამ დოქტრინით ხელმძღვანელობდა თავის სოციალურ დეკრეტებში.

8 ნ. ჟორდანია, რჩეული ნაწერები ემიგრაციაში, გვ. 110.
9 იქვე, გვ. 111.
10 ნ. ჟორდანია, ახალი ნაწერები, პარიზი, 1948.
11 იქვე, გვ. 17.
12 იქვე, გვ. 27.
13 იქვე, გვ. 28.

ნ. ჟორდანიას ამ ნაშრომში ისიც აქვს დასაბუთებული, თუ საით უნდა იაროს გზით ხალხური სოციალიზმის მშენებელმა საქართველომ. რუსი ბოლშევიკების პროლეტარული სოციალიზმი მისთვის უცხო და მიუღებელია. საქართველო და რუსეთი თავისი საწყისებით უცხოა ერთმანეთისათვის და ისინი ვერ ივლიან ერთი გზით. ქართველების გზა ევროპისკენ მიდის.

„ჩვენ, ქართველები, ვართ ახალგაზრდა ერი არა ხნოვანებით, რასაკვირველია, არამედ თანამედროვე კულტურით და ცივილიზაციით. დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედით ევროპის სავალი გზის ხაზზე, ჩავდექით მის ფერხულში... ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახლა ისტორიას სხვა გზა არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა. ეს დაგვიანება ჩვენთვის შეიძლება დიდათ სასარგებლო გახდეს, თუ მას სწორი შეხედულებით მივუდგებით და მის მაგალითს გამოვიყენებთ. ევროპა მიდიოდა ამ გზაზე სტიქიურით, ვინაიდან მსგავსი ისტორიული მაგალითი თვალწინ არ ქონებია და, მაშასადამე, სხვისი გამოცდილებით ვერ ისარგებლებდა. ის თვითონ ქმნიდა თავის ისტორიას, იკაფავდა წალდით ხელში ახალ ველიან გზას. მიდიოდა წინ, ბრმად წინ და მხოლოდ ფაქტების დაგროვების შემდეგ ვინმე ისტორიკოსი და მეცნიერი თავს უყრიდა ამ გროვას და აკეთებდა დასკვნებს...

ჩვენ მადლობა ღმერთს, არ ვიმყოფებით უდაბნოში, არ მივდივართ უგზოუკვლოთ. რაკი ჩავდექით ევროპის ფერხულში, ვიცით რას ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით. მაგალითი გადაშლილია. ჩვენი მოვალეობა, წმინდა მოვალეობაა მხოლოდ ერთი: ვიყოთ თვალახილული, გავარჩიოთ ავი და კარგი, მივიღოთ მისაღები და უარვყოთ უარსაყოფი. უეჭველად მისაღებია ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ტექნიკა, მისი მეცნიერება, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა. არაა მისაღები მთელი ამ განძის ცალმხრივი ეგოისტურ ხელმძღვანელობა, მისი კერძო ინტერესების იარაღათ გადაქცევა, ერთი კლასის ხელში დატოვება და მის გასამდიდრებლათ და ხალხის გასაძარცვავათ გამოყენება“[14].

ამონაწერი, ვფიქრობთ, კარგად გადმოსცემს სოციალისტ-ევროპეისტის კრედოს. ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ საქართველო ამ გზით უნდა წასულიყო პროგრესისაკენ და მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებდა კიდეც მრავალ ღონისძიებას ამ მიმართულებით.

1917—1921 წლების საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული საქართველოს მაშინდელი მთავრობის შრომის მინისტრს, პუბლიცისტს, 1920 წ. 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზე ხელისმომწერს საქართველოდან გ. ურატაძეს[15]. იგი თავისი წიგნის შესავალ ნაწილში ამბობს, რომ მისი წიგნი არ აცხადებს პრეტენზიას გადმოსცეს ისტორია. „ის არის კრებული ზოგიერთი მასალებისა და ცნობებისა და მათი განსაზღვრული თემის ხაზზე დალაგება“. ავტორი ზოგადად მიმოიხილავს XIX ს-ის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას და ინტელიგენციის საზოგადოებრივ ფენებს. 60-იანი წლები მას ერთგვარი გარდატეხის საწყისად მიაჩნია, მაგრამ სახალხო-რევოლუციური მოძ-

[14] ნ. ჟორდანია, ახალი ნაწერები, გვ. 36—37.

[15] გრ. ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821—1921, პარიზი, 1929; მისივე: ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958.

რომის ჭეშმარიტ სათავეს ხედავს იმ დროიდან, როცა საქართველოში აღმოცენდა „მესამე დასი" და როცა ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ნოე ჟორდანია.

ავტორი შედარებით დაწვრილებით აღწერს 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდგომ მოვლენებს ამიერკავკასიასა და საქართველოში, ეხება კომისარიატ-სეიმის მოღვაწეობას, ეროვნული საბჭოს ჩამოყალიბებას. 1917 წლის მიწურულში ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ თბილისში განხორციელებულ ღონისძიებებს, 1918 წ. თებერვალ-მაისში საქართველო-თურქეთის კონფლიქტურ ურთიერთობებს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. წიგნში აღწერილია 1918 წ. 26 მაისიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიერ გამოცემული დეკრეტები, სოციალურ-პოლიტიკურ სფეროებში გატარებული ღონისძიებანი, საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობა 1919 წლ. მარტიდან 1921 წლის მარტამდე. ეხება აგრეთვე საქართველოს საგარეო ურთიერთობის პრობლემებს, საქართველოს ბოლშევიკური პარტიის მტრულ დამოკიდებულებას დემოკრატიული მთავრობისადმი, საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას და სხვ.

გ. ურატაძე სოციალ-დემოკრატი მოღვაწე იყო საქართველოს მთავრობაში, ხოლო ემიგრაციაში — ჟურნალ „ჩვენი დროშას" რედაქტორი. წიგნში მის მიერ გატარებული თვალსაზრისი, ბუნებრივია, ამ პარტიის პოზიციას გამოხატავს. მას საქართველოს მთავრობის მთელი საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მიაჩნია მართებულად. არსად, არაფერს არ ლაპარაკობს მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე და დამოუკიდებელი საქართველოს ადრეულ კრახს ხსნის საქართველოსაგან სრულიად დამოუკიდებელი საგარეო ფაქტორებით. ამავე პოზიციიდანაა დაწერილი გ. ურატაძის მეორე ნაშრომი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და კონსოლიდაცია", რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა ინგლისური და გერმანული რეზიუმეებით. ეს წიგნი თავისი კონცეფციით იმეორებს მის ადრინდელ ნაშრომს. მასში შეტანილია რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი იმ დროის მესხეთ-აჭარისა და აფხაზეთის პოლიტიკური პრობლემებიდან.

გრ. ურატაძის ზემოთმითითებულ ნაშრომებში მთავრობის მოღვაწეობაში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების აპოლოგიამ მკვეთრი რეაგირება პოვა საზღვარგარეთის ოპოზიციურ პარტიებში. ამ ნაშრომს მწვავე კრიტიკული შენიშვნებით გამოეხმაურნენ განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე, საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი გენერალი გ. კვინიტაძე და სხვები. ჩანს, ამან აიძულა გრ. ურატაძე 1958 წელს გამოექვეყნებინა ახალი ნაშრომი „ნამდვილი და ყალბი ისტორია", სადაც პასუხი გასცა ოპონენტებს და თავად მკაცრად გააკრიტიკა მათი მცდელობა, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში წარმოესახათ მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებად.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 20—30-იან წლებში საზღვარგარეთ მრავალი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ჰყავდა. მათ შორის აღსანიშნავია ალ. ასათიანი, რ. გაბაშვილი, სპ. კედია, დ. ვაჩნაძე, შ. ამირეჯიბი, გ. გვაზავა და სხვები. ყველა ისინი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ, სცემდნენ საკუთარ ჟურნალებს, წერდნენ წიგნებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე. მათ ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ეროვნული

საკითხი და დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრების გამოკვლევა.

ამ პარტიის მოღვაწეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ალ. ასათიანის ნარკვევი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა". ეს წიგნი ცდაა გამოკვეთილ იქნას რუსეთის მხრივ ანექსიის შემდეგ საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ძირითადი დანიშნულება. ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოში რუსეთის კოლონიური ბატონობის ხანა ულმობელ ჩაგვრასთან ერთად იყო „ეროვნული გაღვიძების და აღორძინების ხანა", რომ ეროვნულ მოძრაობაში ყველაზე თანმიმდევრული, პერსპექტიული, პროგრესული ძალა იყო თერგდალეულობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ილიამ ერთადერთმა დასახა „ეროვნული სხეულის განმრთელებისა და გაჯანსაღების" გზა. ილიას ვერაგული მოკვლის შემდეგ მისი დროშა ხელთ აიტაცეს ქართველმა ეროვნულ-დემოკრატმა მოღვაწეებმა, რომლებიც 1917 წელს ცალკე პარტიად ჩამოყალიბდნენ და ოპოზიციის სახით მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ახასიათებს რა ამ პარტიის საქმიანობას 1918—1920 წლებში, ალ. ასათიანი წერს: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მართალია, ხშირად თავზე ხელს უსვამდა მენშევიკური პარტიის მესვეურებს და ფეხებით ცდილობდა მისი თავაწყვეტილობის გაზომიერებას. დროის მოგება იყო საჭირო და რევოლუციური ფსიხოზის განელების ცდა. მაგრამ იმავე დროს ის სასტიკსა და მუდმივს ოპოზიციას წარმოადგენდა მენშევიკური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს კრიტიკა მუდამ იყო გარკვეული და უკომპრომისო. მაგრამ ამასთან ერთად, რასაკვირველია, საქმიანი და არა უპასუხისმგებლო. ასეთი ბრძოლა სწარმოებდა პრესაში, პარლამენტში, საერობო და საქალაქო თვითმართველობაში და ცხოვრების ყველა ასპარეზზედ. ამ პარტიის მეთაურებს არ გამორჩენიათ არც ერთი მნიშვნელოვანი ჭირი და კითხვა საკონსტიტუციო დარგიდან, თუ ფინანსებისა, ადმინისტრაციის, სამხედრო საქმის და ვაჭრობა-მრეწველობისა, თუ ერობა-ქალაქებისა, აგრარული და მუშათა საკითხებისა, რომ ის არ დაემუშავებინათ საფუძვლიანად და ახლილად. რაც შეკითხვები მიდიოდა პარლამენტში, ორი მესამედი ამ პარტიისაგან იყო"[16].

ალ. ასათიანი იმ რწმენისაა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია შეუფერებელი იყო ქვეყნის მესვეურობისათვის. იგი აღნიშნავს რომ, ამ პარტიის მესვეურებს „არ აღმოაჩნდათ სრულებით ის ზნეობრივი და გონებრივი თვისებები, რომელნიც არამც თუ სახელმწიფოს მეთაურს მოეთხოვება, არამედ უბრალო მოქალაქესაც წესიერად მოწყობილ სახელმწიფოში. მათ არ ქონდათ შეგნებული უდიდესი და მოუცილებელი მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის კანონის, სასამართლოსი, ჯარის, ადმინისტრაციის; არ ესმოდათ, მაშინ წინდაწინვე გადაწყვეტილი ქონიათ ქვეყნის მინგრევ-მონგრევა, არევა და ათხრება და შემდეგ მიძარცვა-მოძარცვა და ისე აკვრა გუდა-ნაბადისა"[17]. ა. ასათიანის მტკიცებით ნ. ჟორდანიას „თვალი სულ ბოლშევიკებისკენ ეჭირა", რომ უმწეო გამოდგა „ჟორდანია-რამიშვილის კამარილიის" ღონისძიებანი მუშათა და გლეხთა საკითხებში, ქვეყნის თავდაცვის მოგვარებაში; მართველი პარტია ერის კონსოლიდაციას კი არ ახორციელებდა, არამედ სთიშავდა მის ძალებს

---

16 ალ. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, [illegible], 1928.

17 იქვე, გვ. 151—152.

კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის მიხედვით. ალ. ასათიანი ნოე ჟორდანიას აბრალებს იმასაც, რომ მან დამღუპველი კრების დაუკითხავად ბათუმში ოსმალთა ჯარი მოიწვია და საერთოდ მთავრობამ ეროვნული ღალატი ჩაიდინა ერის წინაშე იმით, რომ მიატოვა საქართველო და თავი უცხოეთს შეაფარა[18].

საქართველოს დემოკრატიული მთავრობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება უფრო მკვეთრადაა გამოთქმული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აგრეთვე თვალსაჩინო მოღვაწის დავით ვაჩნაძის ნარკვევში „ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი“. ავტორი ხაზს უსვამს საქართველოს ისტორიული ცხოვრების მთელ მანძილზე სხვადასხვა სოციალურ ფენათა საერთო ინტერესს, რაც ქვეყნის თავდაცვითი აუცილებლობით იყო განპირობებული. წოდებათა შორის ჰარმონიის დარღვევას იგი მიაწერს ცარიზმის ბატონობას საქართველოში. მისი აზრით ერის საერთო ინტერესების გათიშვაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც 1918 წლიდან დაამყარეს პარტიული დიქტატურა.

„გათამამებული თავისი პარტიის უპირატესი ძლიერებით, სოციალ-დემოკრატების მეთაურმა ნ. ჟორდანიამ პარლამენტის ტრიბუნიდან მოურიდებლად განაცხადა: — საქართველოს წარსული თეთრი დაფაა. ამიერიდან მის ისტორიას სოციალ-დემოკრატიული პარტია დაწერსო“. ყველა ამ ამბებს თან მოჰყვა ეროვნული ყოილობისაგან ნაკარნახევი, საქართველოს მართვა-გამგეობის კოალიციური საფუძვლის მოშლა და მენშევიკ-მარქსისტების მთავრობის დიქტატურის დაწესება თბილისში, მსგავსად მოსკოვში გაბატონებულ ბოლშევიკ მარქსისტთა მთავრობისა“. — წერს დ. ვაჩნაძე.

მისი აზრით, „სოციალ-დემოკრატიის დიქტატურის ბატონობა ბრმად მისდევდა თავის ალუბულ სექტანტურ გზას. ამ დროის მანძილზე გარიყეს და ქართულ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სარბიელს სრულიად ჩამოაშორეს ქართველი ხალხის ეროვნულ-სულიერად გამაერთიანებელი, მისი თავისუფლების მუდამ თავგამოდებულ დამცველი ქართული ეკლესია თავის მრავალ მოსამსახურეთა წრეებით, უხეშად ძირს დასცეს სახელმწიფოებრივ ბედითნიერ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ და განათლებულ ძველ მოწინავე მებრძოლს, ქართულ თავად-აზნაურობას, რომელიც მისმა შვილებმა „ქვეყნის მოქმედმა“ ქართველმა გლეხობამ მარქსისტთა ტერორის ამოწყვეტისაგან გადაარჩინა“[19]. დ. ვაჩნაძის აზრით, „კლასთა ბრძოლის“ იმპერატივი, ეროვნული ნიჰილიზმი ახასიათებდა მართველ პარტიას დამოუკიდებლობის წლებში. ამ პარტიამ ვერაფერი გააკეთა ქვეყნის თავდაცვისათვის და ეს საქმე მთლიანად მიაბარა პარტიულ გვარდიას“. დ. ვაჩნაძე ძალზე საბედისწერო შეცდომად მიიჩნევს რუსეთთან 1920 წელს დადებულ ხელშეკრულებას: „1920 წლის მაისში საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით მან (საბჭოთა რუსეთმა — ა. ს.) კარი გაუხსნა თავის ბოლშევიკებს მენშევიკური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასანგრევად. პირველი შედეგი ამ აქტისა იყო, რომ ბოლშევიკური რუსეთის „სოციალისტურმა რესპუბლიკამ“ წარუგზავნა მენშევიკურ საქართველოს „სოციალისტური რესპუბლიკის“ თავისი ელჩი შეიმანი 300 მოხელე-

[18] ალ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 166—167.

[19] დავით ვაჩნაძე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, მიუნხენი 1952, გვ. 60.

[20] იქვე, გვ. 62.

საგან შემდგარი მისიის თანხლებით. ეს მრავალრიცხოვანი ბოლშევიკი „სტუმრები" თამამად გაიშალნენ საქართველოს მთელ სივრცეზე თავისი ქართულ-ბოლშევიკური აგენტურით, რომლის მეთაურები სერგო ორჯონიკიძე და საშა გეგეჭკორი ახლილად დაითარეშობდნენ მოსკოვური წითელი ჯარით 1920 წელს უკვე დაპყრობილ ჩრდილოეთ კავკასიის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში"[21].

დ. ვახნაძის მტკიცებით საქართველოს ოკუპაციის პირველივე წელს „ქართული სოციალისტური პარტიები მიმქრალად ან სრულიად ჩამქრალად ითვლებოდა და ქვეყანას საყოველთაოდ მაგრად წაეფარა სისხლიანი წითელი დროშით და რუსული წითელი ჯარის სოციალისტ-კომუნისტური ბოლშევიკური პარტია"[22].

ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ეროვნულ-დამოუკიდებელი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის რევაზ გაბაშვილის მოგონებანი და ცალკე სტატიები ემიგრანტულ პრესაში. რევაზ გაბაშვილი და დავით ვახნაძე ყველაზე შეურიგებელი ოპონენტები იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ჯგუფისა და მათი შემოქმედებითი საქმიანობა ძირითადად ამ პარტიის წარსულის, მათ შორის 1918—1921 წლებში მოღვაწეობის ნეგატიურად წარმოაჩენდნენ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მესვეურის სპირიდონ კედიას შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ცნობილია, რომ „საქართველოს პარლამენტში" და დამფუძნებელ კრების სხდომებზე სპირიდონ კედია მუდამ პრინციპულად, შეურიგებლად გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან შედგენილი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკით, გმობდა მის პარტიულ და კლასობრივ კრიტერიუმებს და მოვლენებს აფასებდა საერთო ეროვნული პოზიციიდან.

სპ. კედია 1920 წლის მარტიდანვე გრძნობდა ჩრდილოეთიდან მოახლოებულ საშიშროებას და მუდამ ამახვილებდა ყურადღებას თავდაცვით ღონისძიებებზე. მას დამაჯერებლად მიაჩნდა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამხედრო ძალის, — არმიისა და გვარდიის არსებობა, თვლიდა, რომ მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა მოეყვანათ შეიარაღებული ძალები. შემთხვევითი არაა, რომ ბათუმში დემოკრატიული საქართველოს მეთაურმა ნ. ჟორდანიამ სპ. კედიასთვის შეუთავაზებია სამხედრო მინისტრის პოსტი. მაგრამ ამ დროს ყოველივე წაგებული იყო. დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთ ჯგუფში პარტიის პირველ რიცხვებში დაიბადა კიდეც აზრი დაეტოვებინათ მთავრობა და იქვე გაესწორებინათ მისთვის ანგარიში. მაგრამ სპ. კედია მათ წინ გადაეღობა. „ყოველგვარი ტერორი და შურისძიება მიუღებელია, დაე წავიდნენ ცოცხლები თავიანთი ცოდვებითო". სპ. კედია არ გაყოლია ემიგრაციას, ის საქართველოში დარჩა, რათა ბრძოლა გაეგრძელებინა და ამზადებდა კიდეც ქართველ მხედრობას ხოლოყაშვილის, ფავლენიშვილის და სხვათა მეთაურობით შეიარაღებული გამოსვლებისათვის, მაგრამ 1922 წლის თებერვალში დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ გაასახლეს გერმანიაში.

უცხოეთში სპ. კედია დაუღალავ ეროვნულ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი რედაქტორობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვით ორგანოს „საქართველოს გუშაგს". რომელშიც ხშირად გამოდიოდა სტატიებით ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ანტიეროვნული პოზიციის, მის მიერ

[21] იხ. ი ს ი თ ა ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—69.

[22] იქვე, გვ. 77—78.

1918—1921 წლებში დაშვებული საბედისწერო შეცდომების შესახებ. თუმცა მის ზოგ კოლეგასთან შედარებით უფრო ობიექტური იყო. არასოდეს არ ჩარეულა იმ ინტრიგაში, რომელიც ემიგრაციას ახასიათებდა. იგი ამბობდა „საქართველოს დაღუპვაში ჟორდანიას იქნებ წილი ედოს, მაგრამ ეს მას შეგნებულად და ღალატით არ ჩაუდენია. ხოლო თუ საქართველო ჯერ ვერ განთავისუფლდა, ამაში ჟორდანიას ბრალი ვერ დაედება"[23].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველა მოღვაწეს ვერ მივაწერთ ერთნაირად მტრულ პოზიციას საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ. მაგალითად, გიორგი გვაზავა, — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე თავის ნარკვევში „საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" მწვავედ აკრიტიკებს სპ. კედიას საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო. გ. გვაზავა არ იზიარებს სპ. კედიას აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს მენშევიკური მთავრობა ილაშქრებდა „საქართველოს ეროვნული სულისა და მისი ათასწლოვანი ტრადიციების წინააღმდეგ" და შენიშნავს: „ჩვენ კი გვგონია, რომ საქართველო ამ ისტორიული აქციით ამაღლდა თავის ეროვნული ღირსების შეგნებამდე და გადაწყვეტით შეუერთდა კულტურულ კაცობრიობას. ამ დღიდან ის მართლა გახდა თავგამოდებული მებრძოლი საერთო ფრონტისა საერთო იდეალებისათვის"[24].

გ. გვაზავა არ იზიარებს აზრს, რომ საქართველოს მთავრობა იყო ნიჰილისტური. იგი ასრულებდა დამფუძნებელი კრების ნებას ხოლო „დამფუძნებელ კრებაში ყველა გრძნობდა თავის პასუხისმგებლობას... დამფუძნებელი კრება მუშაობდა თავგამოდებით მაშინაც კი, როცა ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი, ისროდა ზარბაზანი და ცაში სკდებოდა ყუმბარები... ჩვენ დავიშალენით მხოლოდ გათენებისას, როცა საბოლოოდ დავამტკიცეთ ჩვენი კონსტიტუცია — ძირითადი კანონები საქართველოს რესპუბლიკისა"[25].

სტატიის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას მოვიხსენიოთ და დავახასიათოთ ყველა ავტორი, რომლებიც 1917—1921 წლებში საქართველოს ცხოვრებას, მის საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობასა და დამსახურებას შეეხებიან. ავტორთა რაოდენობა მეტად დიდია. 1921—25 წლებში საზღვარგარეთ გახიზნულ ქართველ მოღვაწეთაგან იშვიათად თუ დავასახელებთ ვინმეს, დამოუკიდებელ საქართველოზე წერის სურვილი რომ არ ჰქონოდეს. უამრავია მათი სტატიები ქართულ ემიგრანტულ პრესაში, მაგრამ პრობლემათა გაშუქებისა და შეფასების თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს ჰგვანან, ერთმანეთს იმეორებენ. ამიტომ ცალკ-ცალკე თითოეული სტატიის დახასიათება არ ვცანით საჭიროდ. ამ ნარკვევებიდან შედარებით მნიშვნელოვანია ის საჟურნალო სტატიები, თუ ცალკეული წიგნები, რომლებიც დამოუკიდებლობის პერიოდის ცალკეულ დარგებს და პრობლემებს შეეხებიან. ასეთ ნაწარმოებთა შორის უნდა საგანგებოდ მოვიხსენიოთ კ. გვარჯალაძის[26], ივ. ზურაბიშვი-

---

23 მიხეილ ქავთარაძე, სპირიდონ კედია. ჟურნ. „ივერია", 1979, № 22.

24 გიორგი გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პარიზი, 1928, გვ. 8.

25 იქვე. გვ. 11.

26 კ. გვარჯალაძე, საქართველოს სოც. ფედერ. პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ. პარიზი, 1936.

ლის[27], ნ. რამიშვილის[28], ანჩინის (აკაკი ჩხენკელის)[29], ვ. მგელაძის[30], ა. ბადრიძის[31], ს. გოგიბერიძის[32] და სხვა ავტორთა ნარკვევები, რომელთაც უპირატესად პუბლიცისტური ელფერი დაჰკრავთ და მეცნიერული სიახლის მხრივ რაიმე პრეტენზიას არ აცხადებენ.

ასეთი ხასიათის ნაშრომთაგან ცალკე უნდა გამოვყოთ მრავალმხრივი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის ნარკვევი, რომელიც შეეხება 1918—1921 წლებში სამხრეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას[33]. ამ ნარკვევში დიდძალი ფაქტიური მასალის მოშველიებით გაანალიზებულია ის უმძიმესი ვითარება, რომელიც საქართველოს სამხრეთს შეექმნა, ერთი მხრივ, ოსმალეთის, მეორეს მხრივ, საბჭოური რუსეთის მტრული პოლიტიკის გამო

საქართველოში რუსეთის მხრივ განხორციელებული ორი ანექსიის (1801, 1921) ისტორიული ანალიზი გადმოცემულია ისტორიკოს ალექსანდრე მანველიშვილის ნაშრომში „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“. ნაყოფიერი ქართველი მკვლევარი, რომელსაც შექმნილი აქვს არა ერთი ნაშრომი საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაზე, ამ წიგნში მიზნად ისახავს გააშუქოს ერთი ძირითადი ტენდენცია, — „რუსეთის მუდმივი მისწრაფება საქართველოზე“[34]. წიგნი იწყება 1801 წლით, — საქართველოს პირველი ანექსიით, სადაც დახასიათებულია 117 წლის მანძილზე რუსეთის ბატონობა საქართველოში და მის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე მსჯელობა წიგნში იწყება მესამე თავიდან („რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და საქართველო“), სადაც თხრობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდეა მიყვანილი. ამის შემდეგ ავტორი იხილავს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, ცალკე — ბოლშევიკური რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსთან. წიგნი მდიდარია დოკუმენტური მასალებით. უნდა ითქვას, რომ ნაშრომი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციიდანაა დაწერილი და ავტორი არ ერიდება მენშევიკური მთავრობის შეცდომების კრიტიკას.

1917—1921 წლის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ვითარება და ამ დარგში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებანი ფართოდაა განხილული კონსტანტინე კანდელაკის — იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის ნაშრომში „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს წიგნი ყველაზე სანდოა ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაში. იგი დაწერილია თვალსაჩინო სპეციალისტის მიერ პარტიული მიკერძოების გარეშე და ობიექტურად წარმოგვიდგენს დამოუკიდებლობის პერიოდის საქართველოს ეკონომიკურ ვითარებას, მთავრობის და საკანონმდებლო ორგანოების ღონისძიებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსების, ტრანსპორტის, ვაჭრობის და სხვა დარგებში.

---

[27] ივ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936.

[28] ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო და რუსეთი, პარიზი, 1924; მისივე, დემოკრატიული სოციალიზმი, პარიზი, 1931.

[29] ა ნ ჩ ი ნ ი, სახელმწიფო და ერი, პარიზი, 1936.

[30] ვ. მ გ ე ლ ა ძ ე, 26 მაისი, პარიზი, 1934.

[31] ალ. ბ ა დ რ ი ძ ე, ოქტომბრის შედეგები, პარიზი, 1967.

[32] ს. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, ბრძოლა სამშობლოსათვის, პარიზი, 1930.

[33] ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ბრძოლა მესხეთის გამო.

[34] ალ. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.

ქ. კანდელაკს მოაქვს დიდძალი ფაქტობრივი მასალა ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგის დახასიათებლად. დასკვნაში იგი მიუთითებს, რომ „სრულებით არ არის საჭირო დაფარვა იმის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე იყო, განსაკუთრებით წარმოება-მრეწველობის და აღებ-მიცემობის დარგში.

შექმნა იმის, რაც საუკუნის განმავლობაში არ გაკეთებულა და აკლდა საქართველოს, შეუძლებელი იყო მისი დამოუკიდებლად არსებობის სულ მცირე ხნის განმავლობაში. საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ, იარსება სულ ორი წელიწადი და ათი თვე — ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაში საპარლამენტო ქვეყნებში ხშირად ერთი მნიშვნელოვანი კანონის მიღებას და ცხოვრებაში გატარებას უნდებიან ხოლმე.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოს არავისაგან არავითარი დახმარება არ მიუღია. იგი საკუთარი საშუალებით ფარავდა ყველა ხარჯებს, რომელთაგან ბევრი სრულიად არაჩვეულებრივი ხარჯი იყო, დაკავშირებული იმ მძიმე გარდამავალ ხანასთან, და საქართველოს ნორმალური ცხოვრების პირობებში არავითარი ადგილი მას არ ექნებოდა“[25].

ქ. კანდელაკის ღრმა რწმენით საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ შეძლო სოციალ-ეკონომიკურ სფეროში განეხორციელებინა შემდეგი ხასიათის ღონისძიებანი:

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების გაეროვნულება, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დაცვა, აგრარულ რეფორმათა გატარება, ზოგიერთ ახალ წარმოებათა წამოწყება და ძველებისგან ბევრის გამაგრება, სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგის ხელახლა ფეხზე წამოყენება, მანგანუმის წარმოების გაერთიანება და მისი ექსპორტის ნაციონალიზაცია, საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსება ახალ პრინციპებზე. სავაჭრო-სამრეწველო პალატის გახსნა, ეროვნული ფულის შექმნა, უცხოეთთან საალებმიცემო ურთიერთობის აღდგენა. ადგილობრივ თვითმართველობათათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენა, საქველმოქმედო და კოოპერაციულ საზოგადოებათა საქმიანობის წახალისება და მრავალი სხვა. „ამიტომ, — წერს დასკვნაში ავტორი, — „ვინც დამოუკიდებელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებას კარგად გაეცნობა, იგი უნდა გააკვირვოს დამოუკიდებელი საქართველოს გამძლეობამ. მისგან მარტოთ-მარტო, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით იმ გარდამავალი დროის გასაჭირის ატანამ და უთარებელი მოთხოვნილების თავის ჯართშევამ და ნისმა პოტენციალურმა შესაძლებლობამ.

საქართველოს უბედურება იმაში იყო, რომ მას სხვებზე უფრო ადრე მოსტაცეს დამოუკიდებლობა ისე, რომ ვერ მოასწრო თავის ეკონომიკურ შესაძლებლობათა სავსებით გაშლა და გამოყენება. სხვებმა უფრო მეტ ხანს იარსებეს და ამიტომ მეტიც მოასწრეს“[26]. დასასრულს ქ. კანდელაკი მწუხარებით შენიშნავს, რომ „ზოგი სარგებლობს დამოუკიდებელი საქართველოს უდროოდ წაქცევით და მის მძიმე, უმწეო მდგომარეობას იყენებს მისი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობათა დასამცირებლად...“[27].

---

[25] ქ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი II. დამოუკიდებელი საქართველო და მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი, 1960, გვ. 211.

[26] იქვე, გვ. 212—214.

[27] იქვე.

დამოუკიდებელი საქართველოს და მისი პარლამენტის თაობაზე არსებული უხვი ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა გვინდა დავასრულოთ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომით, რომელიც შეგვიძლია ერთდროულად ნარატიულ წყაროსაც და ისტორიოგრაფიულ გამოკვლევასაც მივაკუთვნოთ. ესაა გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაშრომი „ფიქრები საქართველოზე", რომელიც საზოგადოებრიობისათვის დღემდე უცნობია. მისი გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა ავტორის ვაჟის თეიმურაზ ლორთქიფანიძის მეშვეობით, რისთვისაც მას უღიდეს მადლობას მოვახსენებთ.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ამ წიგნზე სტატია დაიბეჭდა გაზ. „სახალხო განათლებასა" და „ლიტერატურულ საქართველოში". მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ამ მოღვაწის ბიოგრაფიას.

გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881—1936) პროფესიონალი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი, სტუდენტობიდანვე იღებდა მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში. დამოუკიდებელ საქართველოში იგი განაგებდა სამხედრო სამინისტროს, ამასთან იყო პრეზიდენტის მოადგილე. ემიგრაციაში არ წასულა. დააპატიმრეს 1921 წელსვე. მეტეხში პატიმრობის შემდეგ 53 „საშიშ პიროვნებასთან" ერთად გადაასახლეს რუსეთში. აქ, სუზდალის საპატიმროში № 13 საკანში, 1923—1924 წლებში დაწერა მან შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც ოჯახში გამოგზავნა. გრიგოლის მემკვიდრეები მამის პირად არქივს საიდუმლოდ ინახავდნენ. 1987 წელს აეხადა ამ არქივს საიდუმლო და ჩვენ, სხვებთან ერთად, მოგვეცა შესაძლებლობა წიგნის დედანს გავცნობოდით.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ეს ნარკვევი ესეისტური ხასიათისაა. ავტორს ხელთ არ ჰქონია არავითარი წყარო. დემოკრატიული საქართველოს აღმოცენებისა და დაღუპვის უშუალო მონაწილეს, სურვილი აღძვრია გადმოეცა თავისი დაკვირვებები საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაზე, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის წლებზე და ეჩვენებინა ის ძირითადი მიზეზები, რამაც მისი უდროო დაღუპვა შეაპირობა.

ასეთ ძირითად მიზეზად მას მიაჩნდა რუსეთის ანექსიონისტური მისწრაფებანი. იგი ვრცლად განიხილავს რუსეთის მიერ საქართველოს 1801 წლის ანექსიას და მის შედეგებს, აანალიზებს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მისწრაფებას, რომელიც მისი რწმენით ქართული ეროვნულობის წაშლისკენ იყო მიმართული, გამოთქვამს საყურადღებო ორიგინალურ მოსაზრებებს XIX ს. 60—70-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების, მარქსისტული მიმდინარეობის აღმოცენების შესახებ, იძლევა XX საუკ. პირველ ოცწლეულში საქართველოს საზოგადოებრივი ფენების მისწრაფებათა დახასიათებას. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ნაშრომის ის თავები, რომლებიც შეეხებიან საქართველოს დამოუკიდებლობას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებას. წიგნი მკაფიო ლოგიკით ნათელყოფს, რომ საბჭოური რუსეთის გეგმებში 1917 წლიდანვე იდო საქართველოს ანექსია, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში ლენინისა და დენიკინის გეგმები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებოდნენ, რომ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება იყო დროებითი ფანდი, რათა წინასწარ გამიზნული ანექსია სამართლებრივად შეენიღბათ.

წარმოდგენილი ისტორიოგრაფიული ნარკვევი არ აცხადებს პრობლემაზე არსებული მეცნიერული მემკვიდრეობის სრულყოფილად გაშუქების პრეტენზიას. ავტორთა რიცხვი უამრავია, ყველას მოხსენიება ვერ მოხერხდა.

ჩვენი ძირითადი მიზანი იყო გვეჩვენებინა ამ მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებანი და მათი ობიექტურობა. თუ ერთმანეთს შევუდარებთ ამ პერიოდის შესახებ, საბჭოური ისტორიოგრაფიისა და ემიგრანტული ქართული ისტორიოგრაფიის ნაშრომებს, ნათელი გახდება ორთავე მხარისთვის დამახასიათებელი სუბიექტივიზმი. აქ არ შევეხებით საბჭოური ისტორიოგრაფიის სუბიექტივიზმის მიზეზებს, სპეციალისტებისათვის იგი კარგადაა ცნობილი. რაც შეეხება ემიგრანტულ ისტორიოგრაფიას, იგი, რა თქმა უნდა, შორსაა მოვლენათა არსის დამახინჯებისაგან და იმდროინდელ მოვლენათა მისეული საერთო შეფასება გასაზიარებელია. მაგრამ ემიგრანტ სოციალ-დემოკრატთა და ეროვნულ-დემოკრატთა მწვავე პარტიულმა ბრძოლამ, 20-იანი წლების შემდეგ რომ გაჩაღდა ევროპასა და ამერიკაში, უთუოდ დაასვა დაღი ამ მემკვიდრეობას. ეროვნულ-დემოკრატები შეეცადნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის დანაშაული მთლიანად სოციალ-დემოკრატებისათვის დაეკისრებინათ. სოციალ-დემოკრატები კი საქმეს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს მათს მოღვაწეობაში ადგილი არ ჰქონია არავითარ შეცდომებს და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობა მხოლოდ გარეგანმა უხეშმა ძალამ განაპირობა. მწვავე პაექრობაში არც ერთი მხარე არ მორიდებია ფაქტების ტენდენციურად შერჩევასა და გაშუქებას.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უდიდესი მუშაობა გასწია დამოუკიდებლობის სტაბილიზაციისათვის, სამართლიანი სახელმწიფოს შესაქმნელად, მისი საერთაშორისო აღიარებისათვის. ამ მუშაობაში იყო უდიდესი წარმატებანი, იყო შეცდომებიც. დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიას აკისრია გაითვალისწინოს წარსულის გაკვეთილები, არ დაუშვას არავითარი მიკერძოება, სრული ობიექტურობით წარმოაჩინოს დამოუკიდებელი საქართველოს ავი და კარგი, შექმნას მისი მართალი, პირუთვნელი ისტორია, რათა მომავალმა თაობამ დაინახოს არა მარტო უდიდესი ეროვნული შემართება ჩვენი ხალხისა, არამედ ის შეცდომებიც, რამაც მის ბედ-იღბალში გარკვეულწილად საბედისწერო როლი შეასრულა, და რაც ახალ ვითარებაში აღარ უნდა განმეორდეს.

П. А. СУРГУЛАДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ ЭМИГРАНТСКАЯ ИСТОРИОГРАФИЯ

(1918—1921 гг.)

Резюме

Под влиянием коммунистической идеологии в грузинской советской историографии полностью игнорировались труды деятелей грузинской политической эмиграции о Грузинской Демократической Республике, что явилось одной из причин, обусловивших тенденциозное освещение анализируемого периода. В 20—30-х годах нынешнего столетия за границей были изданы работы и воспоминания членов Учредительного собрания и правительства демократической Грузии (Н. Жордания, Н. Рамишвили, Г. Уратадзе, А. Манвелашвили, Г. Гвазава, А. Асатиани, К. Канделаки, Р. Габашвили, Сп. Кедия и др.), в которых рассмотрены процесс формирова-

ния Грузинской Демократической Республики, ее внутренняя и внешняя политика, экономика, национальные вопросы.

В исследованиях этих авторов обстановка того времени рассмотрена с большей объективностью, сделаны выводы, которые в настоящее время в большей или меньшей степени разделяются грузинской исторической мыслью.

Настоящая статья представляет собой первый опыт анализа историографического наследия этих авторов.

P. SURGULADZE

INDEPENDENCE GEORGIAN IN ÉMIGRÉ HISTORIOGRAPHY (1918—1921)

Summary

Pressurized by communist ideology, Soviet Georgian historiography totally ignored works of Georgian political émigrés concerning the Georgian Democratic Republic which caused, among other things, tendentious presentation of the period in question. In the 1920 s—1930 s, works and reminiscences of the members of the Constituent Assembly and the Government of democratic Georgia (N. Zhordania, N. Ramishvili, G. Uratadze, A. Manvelishvili, G. Gvazava, A. Asatiani, K. Kandelaki, R. Gabashvili, Sp. Kedia and others) were published abroad, where the authors considered the process of formation of the Georgian Democratic Republic, its home and foreign policy, economy, ethnic problems.

These authors offer objective analysis of the period under review, and their conclusions are now, to a greater or lesser extent, shared by the Georgian historic thought.

The present article is the first attempt to analyze the historiographic heritage of these authors.

წარმოადგინა აკ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

ავთანდილ [illegible]

ქალის უფლებათა სათავეებთან

ქალი — სხვადასხვა ეპოქაში იყო და არის მონა, მხევალი, ყმა, შინამოსამსახურე, თავისუფალი, მოქალაქე, დაქირავებული მუშა, — ამასთანავე იყო დედოფალი (მეფე), ანგელოზი, და თვით ღვთაება...

ასევე, კაცობრიობის მთელ ისტორიაში უძველესი დროიდან დღემდე, შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილების ფონზე მიდის შეურიგებელი ბრძოლა ქალისა და ვაჟის ოჯახური, საზოგადოებრივი, უფლებრივი თუ პოლიტიკური თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობათა და ადამიანური ღირსებათა დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის.

ამბობენ, კულტურის დონე ყველაზე უფრო მეტად ქალის იურიდიული მდგომარეობით ხასიათდება. ამ გამოთქმაში არის ღრმა ჭეშმარიტების მარცვალი. ჯერ კიდევ XIX ს-ის პირველი ნახევრის ცნობილმა ფრანგმა უტოპისტმა ფრანსუა მარი შარლ ფურიემ (1772—1837 წწ.) პირველმა გამოთქვა აზრი, რომ „ქალის განთავისუფლების დონე ბუნებრივი საზომია ამა თუ იმ საზოგადოების მიერ მიღწეული თავისუფლებისათვის საერთოდ“.

ცნობილი ეგვიპტელი ადვოკატი, მწერალი, ქალთა ემანსიპაციისათვის მებრძოლი კასიმ ამინი აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი თუ მათთან ჩაგრავენ ქალს“[1].

გასული საუკუნეების თვალსაჩინო სურათს იძლევა ძველ მოაზროვნეთა შეხედულებანი ქალის შესახებ. მაგალითად, თუკიდიდეს მიაჩნდა, რომ ქალი უფრო საშინელია ვიდრე აალებული ზღვა, ვიდრე ცეცხლის ალმური, ვიდრე ადიდებული მთის წყლების ღრიანცელი. „თუ არსებობს დედაკაცის გამჩენი ღმერთი, სადაც უნდა იყოს ის, იცოდეს, რომ ის ბედკრული არის მიზეზი უდიდესი ბოროტების“.

ტერტულიანე ღაღადებდა: „პოი, დედაკაცო. შენ უნდა ხვიოდე მუდამ მწუხარე, ძონძებში გახვეული და სინანულისაგან თვალზე ცრემლშეუშრობელი, რათა ამით დაგვავიწყო, რომ შენ ჩააგდე ცოდვაში კაცთა ნათესავი! დედაკაცო, ჯოჯოხეთის კარები ხარ შენ!“.

პლატონი მადლობას უხდის ღმერთებს რვა დიდი მოწყალებისათვის. მათგან პირველ მოწყალებად სთვლის, რომ იგი დაიბადა თავისუფალ მოქალაქედ და არა მონად. მეორე მოწყალებად მას მიაჩნია, რომ ქალად არ დაიბადა.

ქრისტეს მოძღვრებით, ქალი უწმინდურია, მაცდურია, რომელმაც ბოროტება დათესა ქვეყნად და დაღუპა ადამიანი. ქრისტიანთა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნიკეაში 325 წელს ერთ-ერთ საკითხად განიხილეს ქალის ადამიანობის პრობლემა. მაკონის საეკლესიო კრებაზე (VI ს.) სადავო

---

[1] Л. И. Шайдулина, Арабская женщина и современность. М., 1978, с. 5.

შეიქმნა სულის არსებობა ქალის პიროვნებაში, რაც ერთი ხმის უმრავლესობით გადაწყდა დადებითად[2]. ამავე საუკუნის დასასრულს (585 წ.) გალიის ეპისკოპოსებმა ქალაქ მესონში სპეციალური საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელზედაც განიხილეს საკითხი: არის თუ არა ქალი ადამიანური არსება, თუ მიეკუთვნება ცხოველთა სამყაროს[3].

XI ს-ის პოეტმა მარბოდ რენელმა, ბიბლიური ტრადიციისა და ანტიკური მაგალითების მოშველიებით, ქალი „ყველაზე საშიშ მახედ" გამოაცხადა და შურიან, ქარაფშუტა, ხარბ, გაუმაძღარ არსებად მონათლა, რომელსაც სული მისდის ლვინოზე და, ყველა სიკეთესთან ერთად, ავხორცი და უნდო — ქალი „ტკბილი ბოროტებაა", რომელიც მართავს სამყაროსა, — ასკვნის პოეტი[4].

წმინდა თომა აქვინელი (1227—1274 წწ.) აღნიშნავდა: „ქალი — სწრაფად მზარდი ღვარძლია, არასრული ადამიანი, რომლის სხეული მხოლოდ იმიტომ ვითარდება და ძლიერდება სწრაფად, რომ მცირე ღირებულებისაა და ბუნებაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას. ქალი მხოლოდ იმისთვის ჩნდება, რომ მორჩილი იქნეს და ატაროს უღელი ბატონის და მასწავლებლის, რადგან ბუნებამ მამაკაცს ყოველმხრივ უპირატესობა მიანიჭა და ბატონობისათვის გაჩინა იგი".

ასეთ მოძღვრებას მარტო ქრისტიანობა არ აღიარებს. რამდენადაც ქრისტიანული მოძღვრება ებრაელთა სწავლისა და ფილოსოფიის ნაყოფია, ორივეს კი ძველ ინდოელთა, ბაბილონელთა და ეგვიპტელთა კულტურაში აქვს სათავე, აგრეთვე ის უმწეო მდგომარეობა, რომელსაც აკუთვნებს ქალს ქრისტიანული მოძღვრება, დედის უფლების გაუქმების შემდეგ საერთო იყო ყველა ძველი კულტურული ხალხებისათვის. აი, რა სწერია ძველინდოელთა მანუს წიგნში: „უპატიოსრობის მიზეზი ქალია, მტრული განწყობილების მიზეზი ქალია, ამიტომ უნდა ერიდოთ ქალს"[5].

ასეთივე აზრია გატარებული ებრაელ მამაკაცთა დილის ლოცვაში: „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, მეუფეო და მფლობელო ქვეყნისაო, რამეთუ დედაკაცად არ გამაჩინე მე"[6]. შემთხვევითი არ არის, რომ შემდეგში ებრაელთა სალოცავ ტაძარში „ქალებს განსაკუთრებული განყოფილება ჰქონდათ მიჩენილი"[7].

ამერიკელი განმანათლებელი თომას ჯეფერსონი სთვლიდა, რომ „ქალის გონება და ხასიათი არ არის საიმედო სერიოზული მუშაობისათვის"[8].

ზოგიერთი ხალხი მსხვერპლშეწირვის დროს ბავშვებთან და მამაკაცებთან შედარებით „უპირატესობას" ქალს აძლევდნენ. მაგალითად, ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ტომს პაუნის წესად ჰქონდა, მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, მიწათმოქმედების კულტისათვის მსხვერპლად ქალიშვილი შეეწირათ. ამ მიზნით მოკლული ქალიშვილის გვამს ასო-ასო აჭრიდნენ, სხეულის ნაწი-

---

[2] ა. ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, ბათუმი, 1912, გვ. 86, 111, 185.

[3] Г. В. Мальцев, [illegible], М., 1982, с. 182—183.

[4] [illegible], XI—XIII საუკუნეების [illegible], თბ., 1983, გვ. 96.

[5] ა. ბებელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—110.

[6] ო. გიგინეიშვილი, [illegible], თბ., 1978, გვ. 75.

[7] გ. რენანი, ქრისტეს ცხოვრება და მოძღვრება, თბ., 1990, გვ. 90.

[8] О. Г. Кирьянова, Американская женщина, М., 1966, с. 10.

ლებს მინდორში ჩაფლავდნენ, სისხლს კი ნათესებს ასხურებდნენ. ხოლო აღმოსავლეთის სლავები ყველაზე გრძელ დღეს 24 ივნისს, მზის ღვთაების პატივსაცემად ქალიშვილებს ახრჩობდნენ[9].

კაცობრიობის ადრინდელ საფეხურზე ადამიანი დამოკიდებული იყო ბუნებაზე გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მატრიარქატის ხანაში. ცხადია, მატრიარქატის არსებობა საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების უფრო დაბალი საფეხურით იყო განპირობებული, ვიდრე პატრიარქატისა.

თოხის მიწათმოქმედება მაღალორგანიზებული შემგროვებლობიდან განვითარდა, ქალის საქმედ იქცა და დიდხანს რჩებოდა მეურნეობის ქალურ დარგად. მყარ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, რომელიც მოითხოვდა დიდი ოდენობით საკვები პროდუქტებით მომარაგებას, მათი შესანახი ჭურჭლის, სათბობისა და სხვათა დამზადებას, არსებითად ამაღლებდა ქალის, როგორც საოჯახო მეურნის წარმმართველის როლს. ამავე მიმართულებით მოქმედებდა თოხის მიწათმოქმედების განვითარება.

ქალის სამეურნეო როლის გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა მემკვიდრეობის გადაცემა ქალის ხაზით, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო აამაღლა ქალის ავტორიტეტი გვაროვნულ თემში. მაშინ, როდესაც ქალთა ძმები და ვაჟიშვილები ცხოვრობენ თავიანთი ცოლების სოფლებში, ქალები გვარის კუთვნილი წარმოების საშუალებების (მიწების, საცხოვრებლის) კოლექტიური მესაკუთრენი გახდნენ. მათ მამაკაცებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვეს.

გვარის სამეურნეო ცხოვრებაში ქალის შრომის გაძლიერებამ მის დედობრივ ორგანიზაციასთან ერთად, უკვე გვაროვნული წყობილების განვითარების ადრეულ ხანაში შეუქმნა მას მაღალსაზოგადოებრივი მდგომარეობა. ავსტრალიელი აბორიგენი ქალი კოლონიზაციის პირობებშიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა თავისი სრულუფლებიანობის მრავალ გადმონაშთს. მათ ჰქონდათ ქონებრივი და მემკვიდრეობითი უფლებები, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში და საზოგადოებრივი ცერემონიის შესრულებაში. მამაკაცებთან ერთად ინახავდნენ ძველ წესებს და, ფაისონის და ხოვიტის სიტყვებით, „მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ აზრზე". ქალების მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის უფრო მკვეთრი გადმონაშთები აღნიშნული აქვს რედკლიფ-ბრაუნს ანდამანელებში, სტელერს და კრაშენინნიკოვს — იტელმენებში. მონადირეებისა და მეთევზეების ცალკეულ ტომში. მაგალითად, ტიბურონის კუნძულზე, მექსიკის მახლობლად სერის ინდიელ ტომებში შემორჩენილი იყო წესი, რომლის მიხედვით გვარის მთავარი იყო ქალი, ხოლო ბელადი — მამაკაცი მხოლოდ ომის დროს ირჩეოდა წინამძღოლად. ზოგიერთი მკვლევარი (ა. მ. ზოლოტარევი, მ. ო. კოსვენი) მიიჩნევს, რომ დედამთავრული გვარის არსებობის პირობებში ასეთი წესი შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ყველგან[10].

ამდენად, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ სათავე დაუდო ქალისა და მამაკაცის შრომის განცალკევებას. როგორც ჩანს, უკვე მაშინ განისაზღვრა

---

[9] თ. ფანჯიკიძე, რელიგიის არსი და თეორიები, თბ., 1983, გვ. 84.

[10] ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1986, გვ. 159—160.

ქალის საზოგადოებრივ-შრომითი მოღვაწეობის სფერო: ქალს უნდა ეზრუნა ბავშვების აღზრდაზე, არ ჩაექრო ცეცხლი, მოემარაგებინა მცენარეული საკვები; მამაკაცები მისდევდნენ მხოლოდ მონადირეობას[11].

შემთხვევითი არ არის, რომ ზედა პალეოლითის „მოქანდაკეები" ძირითად ყურადღებას უთმობდნენ ქალის ქანდაკებებს. ე. წ. ზედაპალეოლითელი ვენერები თითქმის ყველგან გვხვდება, დაწყებული დასავლეთ ესპანეთიდან და საფრანგეთიდან დამთავრებული ანგარამდე[12]. ესაა — ორიგინალური და სოლუტრეული ქალის ქანდაკებები ხაზგასმული სქესობრივი ნიშნებით.

სავარაუდოა, რომ მიწათმოქმედების აღმომჩენი ქალი უნდა ყოფილიყო, რადგან მიწათმოქმედება წარმოიქმნა შემგროვებლობისაგან, ქალის შრომის ამ მეტად სპეციფიკური დარგისაგან და ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში მიწათმოქმედება ქალის შრომის სფერო იყო.

„ქალების გარეშე, — ეუბნებოდნენ იროკეზები ერთ-ერთ მისიონერული რელაციის ავტორს, — ჩვენ ვიქნებოდით საცოდავ მდგომარეობაში, რადგან ჩვენს ქვეყანაში სწორედ ქალები თესენ, რგავენ, მოყავთ მარცვალი და ბოსტნეული და ამზადებენ საჭმელს კაცებისა და ბავშვებისათვის"[13]. გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი იმანუილ კანტი ჩრდილო ამერიკის ინდიელების შესახებ აღნიშნავდა: „ქალის პატივისცემაში ისინი განათლებულ ევროპელებსაც სჯობნიან. იქ ქალები მბრძანებლობენ. თუმცა თავიანთი უპირატესობა ძვირად უჯდებათ, ოჯახის მთელი ტვირთი მათ აწევთ და ყველა სამამაკაცო საქმეშიც მონაწილეობენ"[14].

გვარის უძველესი ქართული სახელი „სახლი" იყო. მატრიარქალური გვარის სათავეში მდგომ ქალს ქართველთა წინაპრებში „დიასახლისი" უნდა რქმეოდა[15]. დიასახლისი განაგებდა სახლის ყველა საქმეს. დედის გვარის წყობამ ძალიან გაიდგა ფესვები ქართველ ტომებში და ხალხის მაშინდელ შეგნებასა და ზნე-ჩვეულებაშიც ღრმა კვალი დატოვა. იმდროინდელი წესწყობილების ნაშთია, მაგალითად, ის ტერმინები, რომელიც დღესაც იხმარება ქართულ ენაში — „გუთნისდედა". ეს ტერმინი იმაზე მიუთითებს, რომ თავის დროზე უპირატესობა ხვნა-თესვის საქმეში დედაკაცს ეკუთვნოდა[16].

საერთოდ პროტო-ქართველების ეთნიკური სტრუქტურა იყო მატრიარქატი, მათ ახასიათებდათ პანთეონში ქალური ღვთაებების დომინირება, რაც განპირობებული ბუნების დიდი დედის ნანას, დედა უფლის კულტს (ბერძნული დემეტრეც აქედან იღებს სათავეს). აქედანვე მოდის ქალის კულტი ძველი იბერებისა: მამაკაცების მოხსენიება არა მამის სახელით, არამედ დედის სახელით... ეთეოდ ამის მსგავსი მოვლენაა ჩვენში მაგ., ამირანის მოხსენიება „დარეჯანის ძედ". ამგვარად ვლინდებოდა ქალის კულტი, რამაც ნიადაგი შეუმზადა მომავალში ღვთისმშობლის კულტს[17].

---

[11] А. Н. Мартынов, Археология СССР, М., 1996, с. 159—160.

[12] იქვე, გვ. 41.

[13] ა. პერშიცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

[14] ა. გელოვანი, კანტი, თბ., 1986, გვ. 74.

[15] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 8.

[16] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 14.

[17] ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990, გვ. 64.

მატრიარქატი გმირული ხანის მითებში აისახა მხოლოდ რუდიმენტის სახით. მითოლოგიაში ჩანს ჯგუფური ქორწინებისა და ახლო ნათესავთა შორის ქორწინების გამოძახილი. შემდეგ თანდათანობით ზნეობრივი პროგრესი აისახა შეხედულებებში, რომელიც ცოდვად და გარყვნილებად თვლის საქორწინო ურთიერთობას მამასა და ქალიშვილს შორის[18].

სამხრეთ ავსტრალიელთა გადმოცემა უბრალოდ და მარტივად გვიხსნის საგვარეულო კავშირების წარმოშობას, რაც შემდეგში მდგომარეობს: „...შექმნის შემდეგ მამა, დედა, და, ძმა და სხვა ახლო ნათესავები განურჩევლად ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე, სანამ ნათლად არ დაინახეს ასეთი შერთვის მავნებელი შედეგები. მაშინ შედგა წინამძღოლთა კრება და დაიწყეს ბჭობა, როგორ შეებრძოლონ ასეთ მოვლენებს. ბჭობის შედეგი იყო თხოვნით მიმართეთ მურამურისადმი (დიდი სული) და მან თავის პასუხში უბრძანა დაეყოთ თემი სხვადასხვა შტოებად და ერთმანეთისაგან გასარჩევად თითოეულ შტოსათვის დაერქმიათ სულიერი ან უსულო საგნების სახელი, როგორიც მაგალითად, დინგო, თაგვი, ღამე, წვიმა, იგუანის ჯოჯო და სხვ. ერთი ჯგუფის წევრს არ შეეძლო შეუღლება იმავე ჯგუფის წევრთან და მხოლოდ მეორე ჯგუფის წევრზე უნდა ექორწინა. დინგოს შვილი ვერ შეირთავდა დინგოს ქალს. სამაგიეროდ თითოეულ მათგანს შეეძლო შეუღლება თაგვის, ღამის, ვირთაგვის, ან სხვა რომელიმე ოჯახის წევრთან".

ზოგიერთი ძველი ხალხის ტრადიციის მიხედვით ქორწინების ღამეს პატარძალთან მოისვენებდნენ ყველა ახლო ნათესავები რიგ-რიგად წლოვანების მიხედვით და სულ ბოლოს კი, ახლად ჯვარდაწერილი ქმარი. ეს ჩვეულება ზოგან შეიცვალა იმ მხრივ, რომ ასეთი განსაკუთრებული უფლება პირველი ღამისა ჰქონდათ მხოლოდ მღვდლებს, ან ტომის უფროსებს (მეთაურებს), როგორც მთელი ტომის მამაკაცთა წარმომადგენლებს. მალაბარის ზამორინები ქირაობდნენ პატამარებს (მღვდლებს) თავიანთი ცოლების დეფლორაციისათვის[20].

მალაიის სემანგების შესახებ ნ. მიკლუხო-მაკლაი აღნიშნავდა: „ქალიშვილი, რომელიც ცხოვრობს რამდენიმე დღე ან კვირა ერთ მამაკაცთან, გადადის სურვილისამებრ და ქმრის თანხმობით სხვა მამაკაცთან ცხოვრობს. ამგვარად ის შემოივლის ჯგუფის ყველა მამაკაცს, რის შემდეგაც უბრუნდება პირველ მეუღლეს. მაგრამ მასთან მაინც არ ჩერდება, არამედ აგრძელებს ახალ და ახალ დროებით ქორწინებებს, რომელიც დამოკიდებულია შემთხვევებსა და სურვილებზე".

ასევე სპორადულად, შემთხვევისა და სურვილის მიხედვით ეპყრობოდა მამაკაცი ცოლებს[21].

ცნობილი მოგზაური ლივინგსტონი 1857 წელს ლონდონში გამოცემულ ნაშრომში ერთ-ერთი აფრიკული ტომის შესახებ აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა ყმაწვილი ცოლის შერთვის შემდეგ უნდა გადასახლებულიყო ცოლის სოფელში. ის ვალდებული იყო სიკვდილამდე ეზიდა შეშა სიდედრისათვის. თუ ცოლ-ქმარი განქორწინდებოდნენ შვილები დედასთან რჩებოდნენ. სამაგიეროდ ცოლი ვალდებული იყო ერჩინა ქმარი. ლივინგსტონმა შეამჩნია, რომ ცოლ-ქმართა შორის მცირედი უსიამოვნების და უთანხმოების დროს,

---

[18] გ. ნადარეიშვილი, ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 33.
[19] ა. ბებელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
[20] იქვე, გვ. 62.
[21] Н. Н. Миклухо-Маклай. Путешествия, т. II, М.—Л., 1941, с. 216.

ქმრები მორიდებით იქცეოდნენ და თუ ისინი შეურაცხყოფდნენ ცოლებს, ამისათვის მათ სასტიკი სასჯელი — შიმშილი მოელოდათ.

„ქმარი ბრუნდება სახლში პურის საჭმელად — აღნიშნავს ლივინგსტონი — მაგრამ ცოლი მას მეორე ცოლთან გზავნის, სადაც იგივე ელოდება. შემდეგ მოქანცული და მშიერი აცოცდება ხეზე ხშირად სოფლის დასახლებულ ნაწილში და მწუხარე ხმით აუწყებს ყველას: „მომისმინეთ, ხალხო, მე ჰყავს ცოლები ვითხოვე, მაგრამ ალქაჯები გამოდგნენ! მე უცოლო ვარ, აღარ მყავს არც ერთი ცოლი. ნუთუ ახე უნდა დარჩეს ერთი კაცი როგორიც მე ვარ?"[22].

აღსანიშნავია, რომ მატრიარქატის დროს ქალი არ მართავდა მამაკაცს, კაცი ქალს არ ემორჩილებოდა. ქალი მამაკაცის შრომიდან არ ღებულობდა ეკონომიკურ მოგებას. მის პრივილეგიურ მდგომარეობას განსაზღვრავდა დედობის უფლება, რომელსაც არ გააჩნდა სოციალური ხასიათი.

XIX ს-შიც კი აშშ სამხრეთში მონების ტიპიური ოჯახი ფორმით მატრიარქალური იყო. ქმარი ითვლებოდა ცოლის „თანაშემწედ". მის კომპანიონად მას თვლიდნენ, როგორც ცოლის საკუთრებას[23].

პატრიარქატის სტადიაზე მოქმედებს მამის უფლება, რის მიხედვითაც გენეალოგია მომდინარეობს მამაკაცის ხაზით და მემკვიდრეობა განუხრელად გადაეცემა მამიდან შვილებზე (ვაჟებზე). კაცი — მამა და მეუღლე — ღებულობს ეკონომიკურ, სოციალურ და იდეოლოგიურ ბატონობას ქალზე, რაც ამავე დროს იურიდიულადაც მტკიცდება[24].

„დედის უფლების დამხობა მდედრობითი სქესის მსოფლიო ისტორიული დამარცხება იყო. მამაკაცმა ოჯახშიც ხელთ იგდო გამგებლობის სადავე, დედაკაცმა კი დაკარგა თავისი საპატიო მდგომარეობა, იგი გახდა მსახური, მონა მამაკაცის ქინისა, უბრალო იარაღი შვილისწარმოებისა[25]. თუმცა ზოგიერთ ხალხში გარკვეულწილად შეინარჩუნა გაბატონებული მდგომარეობა.

არისტოკრატიული ეპოქის ჩინეთში ქალი ჯერ კიდევ არ იყო დამონებული და საზოგადოებაში მის აზრსა და გრძნობებს ანგარიშს უწევდნენ ქორწინების საფუძვლად ჯერ კიდევ არა ჩანს ეკონომიკური ანგარიშიანობა და ანგარებითი გრძნობები. ჯოუს ეპოქაში, თუ „ში-ძინის" მიხედვით ვიმსჯელებთ, თავისუფალი გლეხობა საცოლეს არჩევაშიც თავისუფალი იყო. მაშინდელი ტრადიციების მიხედვით, საცოლე ვაჟს — სასიძოს არ განეცდია არც თემის, არც საოჯახო კოლექტივის უარყოფითი გავლენა. „სიმღერების წიგნში" ისახება ჩინეთის საზოგადოების განვითარების ისეთი საფეხური, რომელსაც უანგარო სიყვარული და მეგობრობა უმაღლეს მორალურ კატეგორიად ითვლებოდა. მაგრამ თანდათან, არისტოკრატიული საზოგადოების მომწიფებულ, განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებად გარდაქმნასთან ერთად ქალის მდგომარეობა გაუარესდა. მამაკაცის ბატონობა ოჯახში და საზოგადოებაში მტკიცე სისტემად ჩამოყალიბდა და თითქმის სამი ათასი წლის განმავლობაში უმნიშვნელო ცვლილებებით არსებობას განაგრძობდა.

---

[22] ა. ბებელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
[23] А. Девис, Женщина, раса, класс, М.; 1987, с. 32.
[24] А. Папарига, За освобождение женщины, М.; 1986, с. 44—45.
[25] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978, გვ. 55.

„ში-ძინში“ მოთავსებული ერთი ხალხური ლექსის თანახმად ახალშობილ ვაჟს მეტი პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ, ვიდრე ახალშობილ გოგონას. ეს ტენდენცია შემდეგ კონფუციანობამ შეითვისა, ხოლო ჩინურმა სამართალმა გააღრმავა. ცხადია, კონფუცის მოძღვრების გავლენა ხელს უწყობდა ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის დამორჩილებული მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნებას.

უკვე ჭოუს ეპოქის ჩინეთში ქორწინებას წარჩინებულთა შორის პოლიგამიური ხასიათი ჰქონდა. მდაბიოთა შორის კი, როგორც წესი, მონოგამიური ქორწინება საერთო წესი იყო. სათანადო წყაროს ცნობით, ჭოუს ხანაში იმპერატორის მთავარი ცოლის — დედოფლის გვერდით ჰყავდა სამი „მეორე ხარისხის“ და ცხრა „მესამე ხარისხის“. ოცდაშვიდი „მეოთხე“ რანგის ცოლი და 81 მხევალი. იმპერატორის ჰარამხანის ცხოვრება მკაცრად განსაზღვრული ნორმებით რეგულირდებოდა. „ში-ძინშიც“ ვხვდებით ლექსს მეფის ჰარამხანის შესახებ. არა მარტო მთავართა, არამედ საერთოდ წარჩინებულთა ოჯახებშიც ადგილი ჰქონდა ქორწინებას სორორატის სახით. მთავარ ცოლთან ერთად ქმრის ოჯახში საცხოვრებლად გადადიოდნენ მისი დებიც, როგორც მეორე რანგის მეუღლეები. ჩინეთის უძველეს საკანონმდებლო ძეგლებში სორორატის ჩვეულება საკანონმდებლო ნორმის ხარისხშიც იყო აყვანილი[26].

როგორც ყველა ხალხში, სადაც მამის შტო იჭერს დედის ადგილს, ისე ებრაელებშიც ქალი სრულიად მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. ქორწინება ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცა. ქალს მოეთხოვებოდა სრული უმანკოება, მაშინ, როდესაც მამაკაცისათვის ეს ცნება სავალდებულო არ იყო და ამასთანავე მას უფლება ჰქონდა ჰყოლოდა რამდენიმე ცოლი. თუ ქორწინების პირველ ღამეს ქმარი შეამჩნევდა, რომ მის ცოლს ქორწინებამდე დაეკარგა ქალწულობა, მას უფლება ჰქონდა გაეგდო სახლიდან, რის შემდეგაც ქალს ქვებით ჰქოლავდნენ. ასეთივე სასჯელი ელოდა ქმრის მოღალატე ქალს. მამაკაცი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯებოდა, თუ იგი ქმრიან ებრაელ ქალთან მრუშობდა[27]. ამავე დროს ძველ ებრაელებში ბატონობდა ლევირატის წესი, რომლის თანახმად ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქვრივი ცოლი უნდა გაჰყოლოდა თავისივე გარდაცვლილი მეუღლის ძმას, რათა ქონება გვარშივე დარჩენილიყო[28].

ქორწინების დროს თუ პატარძალი ქალიშვილი არ აღმოჩნდებოდა, ქურთების ტრადიციის მიხედვით, პატარძალს აგზავნიდნენ მამის სახლში და უკან ართმევდნენ გადახდილ კალიმს. ამის გამო პატარძლის ნათესავები კლავდნენ მას[29].

ირანის ქურთისტანში — ქერმანშახში თუ პატარძალი ქალიშვილი არ აღმოჩნდებოდა, შესვამდნენ ვირზე და ისე აბრუნებდნენ თავის ოჯახში მამასთან[30].

---

26 გ. ნადარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115—116.
27 ა. ბებელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—72.
28 ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 293—294.
29 Баязиди Мела Махмуд. Нравы и обычаи курдов. М., 1963, с. 62.
30 Л. Б. Пашаева, Позитивные элементы в свадебных обычаях и обрядах курдов Грузии, Тбилиси, 1987, с. 18.

იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცს ძველ ბაბილონში ცოლ-ქმრული ღალატის შემთხვევაში არავითარი პასუხი არ მოეთხოვებოდა, ქალს ასეთი დანაშაულისათვის წყალში აგდებდნენ, რაც სიკვდილით დასჯის თანაბარი იყო[31]. საინტერესოა, რომ ძველ ბაბილონში ქალი მიკიტნად მუშაობდა. ხოლო, თუ ქურუმი ქალი, რომელიც ტაძრის უბანში არ ცხოვრობდა სამიკიტნოს გაალებდა ან სასმელისათვის სამიკიტნოში შევიდოდა „ეს დედაკაცი ცეცხლში უნდა დაეწვათ"[32].

ყოველივე ამას არ შეეძლო არ ემოქმედა ქალის საყოფაცხოვრებო მდგომარეობაზეც. კერძოდ, გაჩნდა რიგი სპეციალური პატრიარქალური წესი, რომლის მიხედვით ქალს მამაკაცის შემდეგ უნდა ეჭამა, დაეთმო მისთვის გზა და ა. შ. ოჯახური სფეროს გარდა ქალების უთანასწორობა გავრცელდა საზოგადოებრივი ყოფისა და იდეოლოგიის სფეროზედაც[33].

აზიასა და ევროპაში, ბრინჯაოს ადრინდელი, ძვ. წ. ა. 2 ათასი წლის წინანდელი პატრიარქალური საზოგადოების კატაკომბური სასაფლაოები მოწმობენ, რომ ცოლი ქმარს, როგორც მისი განუყრელი საკუთრება საიქიოში (საფლავში) უნდა გაჰყოლოდა (ჩაყოლოდა).

მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა ტრადიცია, რომ ქვრივს ქმრის სიკვდილის შემდეგაც შეეძლო ამქვეყნად ეცხოვრა. მაგრამ გარდამავალ ეპოქაში შემუშავებული რიტუალის მიხედვით, ცოლი მაინც უნდა ჩაწოლილიყო ქმართან საფლავში, ხოლო შემდეგ მას მიცვალებული ქმრისადმი ქურუმის თხოვნით იქიდან ამოიყვანდნენ[34].

საინტერესოა, რომ ინდუსები გარდაცვლილთან ერთად სწვავდნენ მის საყვარელ ცოლს[35], ხოლო წარმართულ რუსეთში ცოლები მიცვალებულ ქმრებს მსხვერპლად ეწირებოდნენ და საფლავში მიჰყვებოდნენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასეთი ბარბაროსული ტრადიცია, მხოლოდ ქრისტიანობის მიღების შემდეგ აიკრძალა[36].

ქორწინების ფორმაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა რელიგია. მაგალითად, მაზდეანობა ახლო ნათესავთა შორის ქორწინებაზე თანხმობას იძლეოდა. პატრიარქალური დიდი ოჯახის წევრებს შიგნითაც დაიშვებოდა საქორწინო ურთიერთობა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ქალის წილი ქონება სახლის გარეთ არ გასულიყო, დაიშვებოდა მრავალცოლიანობაც[37].

მაზდეანიზმი, რომელიც სასიკვდილოდ ემუქრებოდა ბობოქარი, აბედითი V საუკუნის საქართველოს, დღესაც ცოცხალია, თუნდაც ბომბეიში, ინდურ ფარსებში. დღესაც ფრინველები კორტნიან მათ დაუმარხავ მიცვალებულებს „სიჩუმის კოშკებზე" (დამარხვას კრძალავს მაზდეანიზმი, ზარატუშტრა. მიც-

---

[31] Эвелин Кленгель-Брандт. Путешествие в Древний Вавилон. М., 1979, с. 147.

[32] ხამურაბის კანონები, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ, თბ., 1988, გვ. 23, 24.

[33] ი. ი. პერშიცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

[34] ბ. გეგეშიძე, მითოსი, რელიგია, მეცნიერება, თბ., 1985, გვ. 40, სქოლიო 6.

[35] მ. ბიბილური, ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა შესწავლისათვის, თბ., 1982, გვ. 21.

[36] გ. ნადარეიშვილი, სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1986, გვ. 82.

[37] იქვე, გვ. 28.

ვალებული ძაღლებს და ფრინველებს უნდა მოუვლონ). დღესაც მაზდეანთა შორის და ძმაზე თხოვდება, მამა ირთავს ქალიშვილს და ა. შ. ასეთია მაზდეანთა სჯული[38].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაბებმა ჩადრი მიიღეს სპარსელი მაზდეანებისაგან, როდესაც მათ დაიპყრეს ეს ქვეყანა. მაზდეანურ რელიგიაში მთავარია ცეცხლის კულტი, ხოლო ქალი, რომელიც იყო ოჯახის კერის დამცველი, ამ რელიგიის თანახმად ბინძურია და, რომ მას არ შეებილწა (წაებილწა თავისი სუნთქვით) „წმინდა ცეცხლი“ უნდა დაეფარა პირი და ცხვირი ჩადრით[39].

აქ მოულოდნელ ოდნავ წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ ინტერესს იწვევს აფრიკის მრავალ ქვეყანაში მცხოვრები მომთაბარე ტომების — ტუარეგების ყოფა. ტუარეგებში (როგორც აფრიკის მრავალ ხალხებში) ქალი შედარებით თავისუფალია. მას უფლება აქვს ჰქონდეს საკუთრება, არაიშვიათად ასრულებს მნიშვნელოვან როლს თავისი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეუძლია დაიკავოს პოსტები აღგილო ტრადიციულ მმართველობაში, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით. შავი აფრიკის მაჰმადიანი ქალები არ იფარავენ სახეს ჩადრით, არ იციან განმარტოებული ცხოვრება, უფლება აქვთ განქორწინებისა[40]. ქალებისაგან განსხვავებით მათი მაჰმადიანი მამაკაცები ჩადრით იფარავენ სახეს[41].

თითქმის ყველა ევროპელი, რომელიც ტუარეგს შეხვდება აუცილებლად კითხულობს: რატომ იფარავენ ტუარეგები სახეს, ხოლო მათი ცოლები — მუსულმანები სახეს არ იფარავენ? ყველაზე გავრცელებული განმარტებით ტუარეგები სახეს იფარავენ უდაბნოს მტვრისაგან ხანგრძლივი სიარულის დროს. შემდეგში ისე ეჩვევიან ჩადრსა და თავის თეთრ ჩალმას, რომ სახლშიც არ იხსნიან. ვაჟი თხუთმეტი წლიდან იწყებს ჩალმის ტარებას. ამასთან დაკავშირებით მშობლები აწყობენ დღესასწაულს. ამის შემდეგ ბიჭი ცხადდება სრულყოფილ მამაკაცად და შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ბრძოლაში, დაქორწინდეს და გაატაროს ქარავანი[42].

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, აღსანიშნავია, რომ ძველ ეგვიპტეში ფარაონი, ჩვეულებრივ ქორწინდებოდა სამეფო წარმოშობის ქალზე (ხშირად საკუთარ დაზე), რომელსაც ბავშვობიდან ჰქონდა მინიჭებული „ღვთაების“ მეუღლის ტიტული (ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დროიდან მოდის). ფარაონთან საკრალური ქორწინების შემდეგ იგი ხდებოდა ეგვიპტის დედოფალი და ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც ფარაონს ამ „ღვთაების მეუღლისაგან“ ჰყავდა. მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრებების გამო ფარაონს ხშირად უხდებოდა მსხვილი ნომარქების ან უცხო ქვეყნების მეფეებისა და მთავრების ქალიშვილებთან ქორწინებაც. ეს მეუღლეები „მეორე რიგის ცოლებად“ ითვლებოდნენ და მათ შვილებს შეეძლოთ ტახტზე ასვლა მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეებზე ქორწინებით[43].

---

[38] ლ. ბიხტრიონული, მეშინოდ მაზდეანობა, „სოფლის ცხოვრება“, 1983, 19 მარტი.

[39] ლ. ზოიდულინა, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[40] Ольгерд Будревич, Эта проклятая засуха, М., 1988, с. 93.

[41] იქვე, გვ. 67.

[42] О. Герасимов, Утуарегов, «Новое время», 1988, № 1, с. 37.

[43] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 160.

ძველ ეგვიპტეში ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ფიზიკური ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში, სახელდობრ, ბურთაობასა, ცურვასა და მუშაითობაში. ეგვიპტელი ქალები ბურთაობაში საკმაოდ დახელოვნებული ყოფილან, და როგორც მობურთავე ქალების ბარელიეფურ გამოხატულებაშია მოცემული, ისინი ახერხებდნენ ერთდროულად სამი პატარა ბურთით თამაშს თანამედროვე ჟონგლიორისტების მსგავსად. ასევე მუშაითი ქალის გამოსახულება მოცემულია ფრანსუვის და ლამერის წიგნებში მოთავსებულ ძველი ეგვიპტური ხელოვნების ბარელიეფთა გამოხატულებაში[44].

აქვე უნდა ითქვას, რომ ეგვიპტეში ძველი დროიდანვე ცხოვრობენ ბოშები, რომელთა ცხოვრების წესი მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნებში მცხოვრები მოლაშქრობით ბოშებისაგან.

ბოშები ევროპასა და სხვა დანარჩენ ქვეყნებში მკაცრად უჭერენ მხარს ერთიან მორალურ კოდექსს: ისინი უმეგობრდებიან და ცოლად მიჰყვებიან მხოლოდ ბოშებს. მაგრამ ეგვიპტეში ბოშა გოგონები, რომლებიც ჩადრს არ ატარებენ — გავაზევი ანუ გაგარები, როგორც მათ ფელახები უწოდებენ — თავისუფლად იქცევიან. ბოშა ქალები სხეულს ყიდიან ვაჭარბირჟაში. ქმრები ცოლებით ვაჭრობენ, მაშინ როდესაც ევროპაში ბოშა ქალთან დაახლოების მცდელობისათვის, შეუძლიათ მამაკაცი იგაცრელინ და სისხლი გადინონ[45].

ხეთური კანონების მიხედვით* ქორწინების მთავარი ფორმა იყო ე. წ. „ქორწინება შესყიდვით“, როდესაც სასიძოს ოჯახი გარკვეულ გამოსასყიდს გაიღებდა. სათანადო საქორწინო ხელშეკრულება იდებოდა საპატარძლოსა და სასიძოს ოჯახებს შორის, როგორც ჩანს, ახალგაზრდების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად...[46] არსებობდა ე. წ. „ერებუ“ ქორწინებაც — ქალის ოჯახის მიერ გამოსასყიდის მიღება სიძისაგან და მისი შესვლა ქალის სახლში — ზედსიძედ გახდომა. დაშვებული იყო შერეული ქორწინების სხვადასხვა ფორმა (ქორწინება „თავისუფალსა“ და „მონებს“ შორის), როდესაც ორივე მხარე საკუთარ სოციალურ სტატუსს ინარჩუნებდა[47].

ხეთებთან ძლიერი იყო მატრიარქალური ტრადიციები. მაგალითად, ხეთების მეფე ითვლებოდა ქალღმერთ მზის, ხეთების სამეფოს „უზენაესი დედოფლის“ მსახურად და ამავე დროს მის პირველ ქურუმად[48].

ხეთების სამეფოში, რომ ქალისადმი პატივისცემა იყო დამკვიდრებული ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც: მურსილი II-ის დროს ხეთების ლაშქარი სეხას ქვეყანას მიადგა. შეშინებულმა სეხას მეფემ მანაფა-დათამ ხერხს მიმართა. მურსილის მიუგზავნა დედამისი, რომელიც ხეთების მეფის ფეხებთ დაემხო და პატიებაითხოვა. „რადგანაც ჩემს შესახვედრად დიაცი გამოუმართა და იგი ჩემს ფეხებთ დაემხო, დიაცს თხოვნა შევუსრულე და ამის შემდეგ მე. სეხას ქვეყანაში აღარ გავემართე“, — თავაზიანად აცხადებდა მურსილი[49].

---

[44] გ. აფრიდონიძე, ფიზიკ. კულტურა, სპორტი, თბ., 1986, გვ. 36.

[45] ლოტრეკს ა. რენა, ძველი ეგვიპტის უკანასკნელი საიდუმლოებანი, თბ., 1987, გვ. 76.

* როდესაც დაიწერა აღნიშნული კანონები, ოჯახი ხეთებთან უკვე პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა.

[46] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 241.

[47] გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1980, გვ. 120.

[48] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 24, 25.

[49] გ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

შუაასურული ხანის საკანონმდებლო ძეგლებში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქალის უფლებრივ მდგომარეობას. ქალი საკმაოდ უუფლებო ჩანს ამ ძეგლების მიხედვით. გათხოვებისას ქმარი მას ფაქტიურად ყიდულობდა და შემდეგ ცოლი ქმრის სრულ მორჩილებაში იქცეოდა. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოლი გადადიოდა ოჯახის სხვა მამაკაცის ხელში (მაზლის, მამამთილის, გერის) და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არ რჩებოდა 10 წელზე უფროსი ასაკის ვაჟი, ქალს ჰქონდა გარკვეული უფლებამოსილება ოჯახის მართვის საქმეში. მართალია, ასურული კანონები ერთგვარ გარეგნულ უპირატესობას ანიჭებდნენ თავისუფალ ქალს მონა ქალთან შედარებით (თავისუფალ ქალს ჰქონდა მანდილის ტარების უფლება, მონა ქალს კი, ისევე როგორც მეძავ ქალებს, ეს ეკრძალებოდათ და მანდილის ტარებისათვის სასტიკად ისჯებოდნენ — მათ როზგავდნენ). მაგრამ ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე ეს დიდ გავლენას არ ახდენდა[50].

უკვე ძველ საბერძნეთში მამაკაცმა მოიპოვა უფლება ეღალატნა მეუღლისათვის. ზნეობა, ჩვეულება, სამართლიანობა „დიკე“ ქალებისგან მოითხოვდა, რომ ისინი ქმრების მხრივ ღალატს შერიგებოდნენ. თვითონ კი მკაცრად დაეცვათ ქმრისადმი ერთგულება[51].

როდესაც ათენში და მთელ დანარჩენ საბერძნეთში მამის უფლება იყო გაბატონებული, ათენელთა მეტოქე — სპარტა ჯერ ისევ დედის უფლების ბატონობაში იმყოფებოდა. სპარტელთა ჩვეულებით ახალგაზრდა ქალები მოწიფულობამდე მთლად ტიტვლები დადიოდნენ, რასაც იქაური ჰავაც უწყობდა ხელს[52]. სპარტაში შენარჩუნებული იყო ცოლ-ქმრობის ისეთი ურთიერთობანი, რომელნიც ბევრ რამეში კიდევ უფრო არქაული იყო, ვიდრე თვით ჰომეროსის მიერ დასურათებული ურთიერთობანი. „რამდენიმე ძმას შეეძლო ერთი საერთო ცოლი ჰყოლოდა; მამაკაცს, რომელსაც თავისი მეგობრის ცოლი უფრო მოეწონებოდა, შეეძლო მას ჩაზიარებოდა. ურიგო საქმედ როდი იყო მიჩნეული, თუ ქმარი თავის ცოლს ჯანიან „ულაყს“, — როგორც ამას ბისმარკი იტყოდა, — დაუთმობდა, თუნდაც იგი თანამოქალაქე არ ყოფილიყო“.

სულ სხვა მდგომარეობა იყო იონიელებში. არისტოფანე ახსენებს მალოსის ძაღლებს, რომელნიც ეზოში ჰყავდათ ცოლქმრული ერთგულების დამრღვევთა დასაშინებლად, ხოლო აზიის ქალაქებში ქალების სამეთვალყურეოდ საჭურისები ჰყავდათ, რომელთაც უკვე ჰეროდოტეს დროს კუნძულ ქიოსზე ამზადებდნენ გასაყიდად[53].

პლინიუსის რწმუნებით ძველ საბერძნეთში ნათესების გადასარჩენად საჭირო იყო მენსტრუაციის დროს ქალებს თმებგაშლილებს, მუხლებამდე კაბააკაპიწებულებსა და ფეხშიშვლებს ევლოთ ნათესებში. ამავე აზრისა იყო დემოკრიტე, რომელიც ამბობდა, რომ ფეხშიშველმა ქალებმა სამჯერ უნდა შემოუარონ ყანებს. როგორც ჩანს, ასეთი მოქმედებით სურდათ ნათესებისათვის გადაეცათ კტეისის ღვთაებრივი ძალა ნაყოფიერებისა, რომელსაც შეიცავდა მენსტრუაციის დროს გაულენთილი ქალის სხეული. საბერძნეთში დემეტრას კულტთან იყო დაკავშირებული ისეთი ჩვეულება, როდესაც ქალები

---

50 ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1968, გვ. 318.
51 გ. ნადარეიშვილი, ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 37.
52 ა. ბებელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.
53 ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, 62—63.

კაცებს იწვევდნენ და სასქესო ორგანოებს იშიშვლებდნენ. მსგავსი აქტები დამახასიათებელი იყო ბევრი სხვა ბერძნული კულტისათვის[54].

იმპერიის პერიოდის რომის ცხოვრება ზნეობრივ დეგრადაციას განიცდიდა. უზნეობაში მამაკაცებს ტოლს არ უდებდნენ რომაელი წარჩინებული ქალები. მათი ოჯახური ბედნიერების მწვერვალი უშვილობა და თავისუფლება იყო. იმდროინდელი ისტორიკოსების ცნობით, რომაელი წარჩინებული ქალები ისეთ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, მამაკაცებს მათზე დაქორწინება აღარ სურდათ. ამის შედეგად საფუძვლიანად შეირყა ოჯახი. რომის მმართველები გარკვეულ ზომებს მიმართავდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა[55]. იულიუს კეისარი შეეცადა ამ პრობლემის მოგვარებას. ვინც დაქორწინდებოდა, პრემიას აძლევდნენ. მრავალშვილიანობისთვისაც ჯილდო იყო დაწესებული. თუ ქალი 45 წლის ისე მიაღწევდა, რომ შვილს არ იყოლიებდა, მას უკრძალავდნენ ძვირფასეულობის ტარებას და ტახტრევნით სეირნობას. იმპერატორ ავგუსტუსის დროს უცოლობისათვის ჯარიმაც დაწესდა[56].

რომის იმპერიიდან მემკვიდრეობად ბიზანტიამ ზნეობრივი დაცემა მიიღო. განსაკუთრებით VI ს-ში დედოფალ თეოდორას ხელშეწყობით ქალების უმრავლესობა სრულიად თავისუფლად ღალატობდა ქმრებს. იცოდნენ, რომ ეს საქციელი მათ ცუდს არაფერს უქადდა. ვისაც შემთხვევის ადგილზე წაასწრებს დაუსჯელი დარჩა. „თავის მხრივ, მაშინვე დედოფალს ეახლებოდნენ. ხოლო როცა ამას მიაღწევდნენ, ახლა საკუთარი ქმრების წინააღმდეგ აღძრავდნენ საქმეს. ამ უკანასკნელთ კი ყოველგვარი ძიების გარეშე აიძულებდნენ, ჯარიმის სახით გადაეხადათ მზითევის ორმაგი ფასი. შემდეგ მათ შოლტით გაროზგავდნენ და უმეტესად საპატიმროში ამწყვდევდნენ. შემდგომში, კვლავ იძულებული იყვნენ საკუთარი თვალით ეხილათ, თუ როგორ უსირცხვილოდ ეძლეოდნენ გარყვნილებას თავიანთ საყვარლებთან ეს ფერუმარილიანი მრუშები... ცოლებს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. იმასაც ცდილობდნენ მათთვის დანაშაულზე არ მიესწროთ"[57].

საინტერესოა, რომ კულტურული განვითარების დონით შედარებით დაბლა მდგომ ხალხებში ქალის მდგომარეობა ზნეობრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო მაღლა იდგა ვიდრე დასახელებულ ქვეყნებში. „ასეთი საზოგადოება კი ანტიკური ავტორების თანახმად, იყო სარმატებისა და მასაგეტების საზოგადოება. სარმატებს ქალები მართავენ — იუწყებოდა ერთი ძველი ავტორი"[58].

პროკოპი კესარიელის მიხედვით, „საბირები ჰუნების ტომს წარმოადგენდა". საბირებში მმართველად შეიძლება ქალი ყოფილიყო. როგორც სხვა მრავალ მომთაბარე საზოგადოებაში, აქაც ქალები სარგებლობდნენ საკმაო თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით[59].

---

[54] გ. ნადირაძე, [illegible], თბ., 1969, გვ. 132—133.
[55] თ. ფანჯიკიძე, [illegible], ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", № 11, 1983, გვ. 61.
[56] იქვე, ნაწილი 1.
[57] პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო [illegible], თბ., 1969, გვ. 75.
[58] Курiер ЮНЕСКО, 1977, № 1.
[60] С. А. Плетнева, Хазары, М., 1986, с. 17.

შუა საუკუნეებში მონღოლები მრავალცოლიანობის წესს მისდევდნენ და თითოეულ მათგანს იმდენი ცოლის მოყვანა შეეძლო რამდენის შენახვის საშუალებასაც მისი ქონებრივი მდგომარეობა მისცემდა. მონღოლური წესის მიხედვით, ერთი მამის შვილთა გავლენა მათი დედების მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ვისი დედაც უფროსი იყო, ამის შესაბამისად შვილსაც მეტი პატივი და უპირატესობა ჰქონდა[60]. მრავალცოლიანობის გამო, მონღოლებს შვილებიც ბევრი ჰყავდათ, ისე რომ მონღოლთა ზოგიერთი ბატონიშვილის ოჯახის წევრთა რიცხვი ასობით ითვლებოდა. რასაკვირველია, ასეთი ვითარება შინაურ შუღლს ხელს უწყობდა.

მონღოლებს წესად ჰქონდათ, რომ გარდაცვლილი ძმის ცოლი მომდევნო ძმას ცოლად შეერთო. უფრო მეტიც, მონღოლური ჩვეულების თანახმად, შვილები თავიანთი გარდაცვლილი მამის დაქვრივებულ ცოლებსაც კი ირთავდნენ, მათ მხოლოდ თავიანთი დედის ცოლად შერთვა ჰქონდათ აკრძალული[61]. ასეთ ფაქტებს ანალოგია ეძებნება სკვითებში. იყო შემთხვევები, როდესაც შვილი მამისაგან სამეფოსთან ერთად მის ცოლსაც იღებდა მემკვიდრეობით[62].

ქალი მონღოლთა სოციალური წესწყობილებითა და ყოფაცხოვრებაშიც მრავალცოლიანობის უეჭველი უარყოფითი გავლენის მიუხედავად, მაინც გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ვიდრე მაჰმადიანთა ქვეყნებში. მართალია, მას მონღოლური მეურნეობის ტვირთის უმეტესი ნაწილის ზიდვა უხდებოდა, იმის გარდა, რომ იგი შინაური საქონლის მომვლელი, მწველელი და შემდღვებელი იყო, მას ტყავებიც უნდა დაემზადებინა და გამოეყვანა, მისგან ტანისამოსი და ფეხსაცმელიც შეეკერა, ურემიც გაემართა... მაგრამ, სწორედ მისი მოვალეობის ასეთი ფართო საქმიანობის წყალობით, ქალი მონღოლთა შორის არ შეიძლება, რომ, მაჰმადიანი ქალის მსგავსად, ჰარამხანაში ჩამწყვდეული და გარეშე საზოგადოებას მთლიანად მოწყვეტილი ყოფილიყო. მას შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდა მოპოვებული. იგი ყიდულობდა და ყიდდა ყველაფერს, რაც კი მეურნეობისათვის საჭირო იყო.

ამის გარდა, მკვიდრი ბინადრობის უქონლობის წესმა მონღოლი ქალები თავიანთი ქმრებისა და ძმების თანამგზავრად აქცია, მათი სიხარულისა და გაჭირვების მონაწილედ გახადა. ასეთ პირობებში გასაკვირი არაფერია, რომ თვით ყაენები და ბატონიშვილებიც კი თავიანთი უფროსი ცოლების აზრსა და რჩევას ანგარიშს უწევდნენ. დაქვრივებული ცოლი და დედა, ხომ თავისი შვილების მთელი ქონების ერთადერთი, განუსაზღვრელი უფლების მქონებელი, გამგე იყო მათ სრულწლოვანებამდე. რამდენადაც თავიანთი გარდაცვლილი ქმრების საუფლისწულოები და ლაშქრის მართვა-გამგეობა, დაობლებული შვილების წამოზრდამდე, მათ ხელში იყო, მათ საშუალება ჰქონდათ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მონაწილეობა მიეღოთ[63].

---

[60] რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 1982, გვ. 79.

[61] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბ., 1982, გვ. 28—29.

[62] გ. ნადარეიშვილი, სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1986, გვ. 18.

[63] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონღოლებს კანონად ჰქონდათ მოეკლათ ქალ-ვაჟი თუ აშკარა მრუშობაზე წაასწრებდნენ. აგრეთვე ჰკლავდნენ მეძავ ქალს მამაკაცთან ერთად, რომელთანაც ის ცხოვრობდა[64].

საერთოდ, ამ პერიოდის სამართალი დიაცის ნამუსს დიდ პატივს სცემდა. მაგალითად, სიღნაღური სამართალი დაწვრილებით განმარტავს, კაცს რამდენი უნდა გადაიხადოს, თუ ქალის სხეულს ხელი შეახო და სხვ. ინდოელების სამართალი დამნაშავედ თვლიდა, თუ ვინმე ცუდი აზრით ქალს სახლში შეუვარდებოდა[65].

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ქალი ოჯახში ნაკლები უფლებებით სარგებლობდა. ამის ნათელი დადასტურებაა კანონიკური სამართალიც. XIII ს-ის დასასრულს დომინიკელი ბერი ნიკოლაი ბაიარდი წერდა: „ქმარს უფლება აქვს დასაჯოს და გამოსწორების მიზნით სცემოს კიდეც ცოლს, რამეთუ ცოლი ქმრის საკუთარი კუთვნილებაა"[66]. ამავე საუკუნის ფრანგი იურისტი ბომანუარი პირდაპირ ამბობს: ცოლის ცემა შეიძლება, ოღონდ — ზომიერად.

ქალი იმ დროისათვის ფეოდის მოსაპოვებელი პასიური იარაღი იყო და მეტი არაფერი. როცა ადრეშუასაუკუნეების დროინდელი ლიტერატურის გმირი ქალისათვის იბრძვის და ამ ბრძოლაში თავისუფალ გმირობას იჩენს, მისი მიზანი თვად ქალი კი არ არის, არამედ ის მიწები და სიმდიდრე, რომელთა ხელში ჩაგდებაც მას ამ ქალის მეშვეობით შეუძლია.

განსაკუთრებით მკაცრად ეპყრობოდა კანონი რაიმე დანაშაულში მხილებულ ქალებს. XIV საუკუნის ინგლისში ქმრის მოკვლისათვის ქალს კოცონზე სწვავდნენ, საფრანგეთსა და გერმანიაში კი ცოცხლად მარხავდნენ[67].

ჩვენ საუკუნემდე ქალისადმი დამოკიდებულების მრავალმა არქაულმა ტრადიციამ მოაღწია, რაც თავს იჩენს განსაკუთრებით აფრიკის ხალხებში. მაგალითად, 20-იან წლებში ალჟირელი ტომის — კაბილიელთა საქორწინო კოდექსი შემდეგს გვაუწყებდა: ქალს არა აქვს მემკვიდრეობითი უფლება; მისი კერძო უფლება ვრცელდება ტანსაცმელზე, რომელიც აცვია; მას კი არ აქორწინებენ, არამედ ყიდიან: განქორწინების უფლება არა აქვს; ბავშვები დედას არ ეკუთვნიან; „ქმარს ყველაფერი შეუძლია გააკეთოს ცოლისაგან, გარდა ცხედრისა"[67].

აფრიკის ბაპენდეს ტომის მცხოვრებთა შორის ჩვეულებრივი კბილები საშინელებად ითვლება. მას მაიმუნის კბილებს ეძახიან. ამიტომ ტომის ქალები ხანგრძლივსა და მტანჯველ ოპერაციას უძლებენ, ილესავენ წინა კბილებს და ისე აწვეტიანებენ, გველის კბილებს ამსგავსებენ[68].

ბაპენდეს პროვინციაში არის ქალად კურთხევის ტრადიცია. „ქალად კურთხევის" რიტუალი სრულდება ცეკვა „ბუნგა-ბუნგა"-ს მეშვეობით. მამაკაცებს ამ ცეკვის ცქერა აკრძალული აქვთ. გოგონები დედაშობილა ცეკვავენ[69].

---

[64] გ. ნადირაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.
[65] ნ. ხიზანიშვილი, რჩეული ეთნოლოგიური თხზულებანი, თბ., 1962, გვ. 190.
[66] ა. ისტრებოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—92.
[67] ნ. აბაზგია, შეხვედრა თბილისთან, „წიგნის სამყარო", 1983, 9 მარტი.
[68] პიერ რიოტა, გრძნეულების მოწმე, თბ., 1986, გვ. 70.
[69] იქვე, გვ. 112.

ქალი — შავი მაგიის ქურუმი აფრიკაში იშვიათი როდია. მაგალითად, სამხრეთ აფრიკულ ტომს მატაბელეს ქალი — ეკიმბაშები უფრო მეტი ჰყავს ვიდრე მამაკაცები, რადგან მიზეზების გამო, რომელზედაც კიპლინგი წერდა, ქალებისა უფრო ეშინიათ[70].

ჩვენი საუკუნის 70-იან წლებამდე ეთიოპიაში მგზავრობა არცთუ ისე უხიფათო იყო. აქ მომთაბარეობდა რაიას ველური ტომი, რომელსაც მეტად უცნაური ტრადიცია ჰქონდა: იმისათვის, რომ ახალგაზრდა კაცს ცოლის შერთვის უფლება მიეღო, სხვა ტომის მამაკაცი უნდა შეეპყრო და დაესაჭურისებინა, ხოლო სისხლიანი ნადავლი მიერთმია თავისი სატრფოსათვის[71]. კენიის მასაის ტომის ადათ-წესების მიხედვით კი, ჭაბუკი ვერ შეირთავს ცოლს, თუ შუბით არ მოკლა ლომი[72].

А. В. СОНГУЛАШВИЛИ

К ИСТОКАМ ПРАВА ЖЕНЩИН

Резюме

Предполагается, что открывателем земледелия должна была быть женщина, т. к. земледелие произошло от собирательства. Древнейшее название рода было «Сахли». Стоявшая во главе материального рода женщина у предков грузин должна была называться «диасахлиси». Отсюда идет культ женщины в древней Иберии: упоминание мужчины не по имени отца, а по имени матери... безусловно подобное явление у нас — упоминание Амирани «Дареджанини». Таким образом, сказывался культ женщины, что подготовило почву для культа богоматери.

В период патриархата в древней Греции мужчина завоевал право изменять супруге. А в Спарте женщины пользовались определенной свободой. Совершенно другое положение было у ионийцев. Аристофан упоминает милосских собак, которые имелись во дворах для устрашения нарушителей супружеской верности.

---

70 ჯ ა რ ა რ ო დ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
71 ე. ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ეთიოპიაზე, თბ., 1976, გვ. 45—46.
72 თ. კ ი კ ნ ა ძ ე, სამი კონტინენტის კურიოზები, თბ., 1985, გვ. 39.

A. SONGULASHVILI

AT THE SOURCE OF WOMEN'S RIGHT

Summary

The woman is supposed to be the discoverer of agriculture as agriculture originated from making gathers. The oldest name of the ffamily was tsakhli". The woman being at head of the matriarchy family was probably „called „diasakhlisi" among the ancestors of the Georgian people. From here comes also the worship of the woman in old Ibera: men are mentioned with their mothers, names but not with their fathers' names. No doubt here belongs the example of Amirani mentioned as the son of Darejan. Thus the worship of the woman was told and it paved the way for the cult of the Virgin.

In the duration of patriarchy the man won the right of being unfathful to his wife in old Georgia. But in old Sparta wonen enjoyed certain freedom. The situation was quite different with the Iohians. Aristophan mentions dogs of Miloss who were kept in yards to frighten those who tried to break matrimonial faithfulness.

ДЖ. ВАТЕЙШВИЛИ

ПО СЛЕДАМ НИКИФОРА ИРБАХА*

3. ПЛАН ТЕЙМУРАЗА I О «КРЕСТОВОМ ПОХОДЕ» ПРОТИВ ТУРЦИИ

Документы из архива Симанкас содержат целый ряд на редкость интересных сведений по истории средневековой Грузии и ее связей с внешним миром, которые нуждаются в особом рассмотрении и соответствующем комментарии. Коротко коснемся здесь, прежде всего, итогов обсуждения на двух закрытых и последующих заседаниях Государственного совета Испании конкретных вопросов, которые поставил перед ним прибывший в Мадрид грузинский посол. Первое негласное обсуждение этих вопросов имело место 29 июля 1627 года в присутствии короля Филиппа IV и полного состава Совета, тогда как повторно грузинская политическая проблематика стала предметом обсуждения сравнительно узкого круга лиц, назначенных специально для этой цели предыдущим закрытым совещанием Совета, при участии грузинского посла, 20 сентября того же года. После этого Государственный совет Испании неоднократно возвращался к рассмотрению вопросов, связанных с прибывшим в Мадрид грузинским посольством, но уже без акцента на не подлежащих гласности взаимоинтересующих политических проблемах. Завершающее заседание Совета от 11 ноября 1627 года подвело итоги предыдущих заседаний по «грузинским делам» и конфиденциальных переговоров с послом Никифором Ирбахом, который после этого все-таки задержался в Мадриде до наступления весны следующего 1628 года.

Выясняется, что первые контакты Государственного совета Испании с грузинским послом Никифором Ирбахом были налажены через посредство видных вельмож испанского двора дона Хуана де Вильелы и герцога де Ферия, которые специально были назначены Филиппом IV для этой цели и «особенно долго обсуждали с послом суть этого посольства»[25]. Это произошло вскоре после аудиенции Никифора Ирбаха у испанского короля, которая состоялась, как нам кажется, в июне 1627 года. Об этом свидетельствует следующее краткое сообщение в королевскую канцелярию дона Хуана де Вильелы: «Его величеству (да хранит его господь) выданы эти письма[26] на аудиенции. Пусть повелит ваша милость[27], чтобы их перевели (на испанский язык) для просмотра в (Государственном) совете. Бог да хранит вашу милость, чего я желаю. 24 июня 1627 г.»[28] Не менее определенно об этом

* Продолжение. Начало см., «Мацне», серия истории, № 2, 3, 1991.

25 AGS, указ. арх. св., с. 46

26 Имеются в виду письма Теймураза I и иерусалимского патриарха Феофана, адресованные Филиппу IV.

27 Речь идет о приближенном к Филиппу IV испанском гранде, который руководил королевской канцелярией (имя его осталось неизвестным).

28 AGS, указ. арх. св., с. 102

же свидетельствует предписание Филиппа IV дону Хуану де Вильеле от 10 июля того же года, где сказано: «Пусть будет просмотрен в Совете приложенный мемориал (Объяснительная записка — Д. В.) дона Нисефоро Ирбакисе, грузина, и предложены мне решения и мнения о том, что он говорит»[29].

Содержание этих первоначальных конфиденциальных переговоров и собеседований с грузинским послом частично отразилось в вышеуказанной его небольшой «Объяснительной записке» («Мемориале») для испанского короля и составленной несколько позднее для него же сравнительно пространной информации об историческом прошлом и современном (к концу первой четверти XVII века) состоянии Восточной Грузии, которая озаглавлена: «Сообщение об Иберии и иберах и грузинах, об их границах и их обращении (в веру), обрядах, силах, намерениях и т. д.» К сожалению, на обоих этих документах отсутствует дата, что затрудняет определение промежутка времени между их составлением и двумя закрытыми официальными заседаниями Государственного совета Испании по грузинским политическим предложениям. Эта не столь существенная деталь из истории посольства Никифора Ирбаха в Испанию обращает на себя внимание потому, что если в «Записке-мемориале» акцент был сделан на политической проблематике в связи с Ормузским регионом, то протоколы первого и последующих заседаний Государственного совета по грузинским предложениям, равно как и вторая часть вышеуказанного «Сообщения об Иберии...» содержат исключительно сведения о предполагавшемся совместном испано-грузинском походе против ...Турции. Обоснованию целесообразности и даже необходимости такого совместного похода посвятил, как видно, несколько записок также и Константин София, сопровождавший Никифора Ирбаха в поездке в Испанию и во время его пребывания в Мадриде.

Одну из них упоминает дон Хуан де Вильела в своем обращении в королевскую канцелярию от 12 июля 1627 года: «Греческий монах по имени Константин София передал мне свои соображения (заметки), приложенные здесь, относительно предприятия в Греции (т. е. в Турции — Д. В.) и хорошее расположение, что имеется у короля Иберии... Я посчитал, что надо отправить все вашей милости, чтобы вы повелели рассмотреть все это на Совете и пусть будет обсуждено прежде всего то, что содержатся в этих заметках»[30]. Сдается нам, что под «соображениями (заметками)» Константина София дон Хуан де Вильела имел в виду вышеупомянутое «Сообщение об Иберии и иберах и грузинах, об их границах и их обращении (в веру), обрядах, силах, намерениях и т. д.», во второй части которого речь идет именно о предполагаемом походе против Турции и стратегически «хорошем расположении... у короля Иберии». Другая не менее обстоятельная и аргументированная, чем предыдущая, записка «греческого монаха» была озаглавлена: «Сообщение, сделанное Константином София, где он говорит о том, каким образом нужно помочь королю Иберии»[31].

Таким образом, документы из архива Симанкас о пребывании в 1627—1628 годах грузинского посольства в Испании содержат, с одной стороны, призыв к осуществлению взаимовыгодной испано-грузинской военной акции в Ормузском регионе, а с другой — сведения о

[29] Там же, с. 99—100.
[30] AGS, указ. арх, св, с. 103—104
[31] Там же, с. 68—82.

том, что Государственный совет Испании обсуждал и принял решения по совершенно другому поводу: в связи с предложенным также грузинской стороной планом «крестового похода» против Оттоманской порты. Такую, казалось бы, нескладность или даже разноречивость в архивной документации более чем 350-летней давности можно объяснить не только уже отмеченной засекреченностью испано-грузинских политических интересов к Ормузскому региону, но и еще одним обстоятельством. Речь идет о неких, если можно так выразиться, установочных постулатах Западной Европы первой трети XVII века в отношении Персии и Турции, как двух противоборствующих ближневосточных мусульманских держав. Дело в том, что, несмотря на крайне напряженное политическое противостояние между такими традиционно католическими странами, как Испания и Португалия, с одной стороны, и сефевидская Персия — с другой, тогдашняя европейская конфессиональная политика склонна была рассматривать этот конфликт не более чем в качестве локального и частного эпизода в сравнении с глобальной проблемой грядущего столкновения с Турцией как преемницей сарацинов и врагом № 1 всего христианского мира. К тому же могучие католические державы во главе с Папой римским отводили Персии роль своего потенциального союзника против Турции и, вполне естественно, что они не поступились бы этой своей кардинальной политикой даже ради кровных и далеко идущих интересов в Персидском заливе таких верноподданных своих столпов, как Испания и Португалия, тем более — ради политических интересов «ортодоксальной», т. е. греческо-православной Грузии (отсюда и стремление Никифора Ирбаха представить Теймураза I в глазах своих испанских коллег уже «состоявшимся» католиком!).

[70] Указание в тексте документа на необходимость дать Хуану Висенсио де Сан Феличе в качестве двух спутников «также итальянцев» заставляет думать, что сам Хуан Висенсио по происхождению был итальянцем (либо — у него уже имелись другие спутники (ранее назначенные?) из числа итальянцев).

[71] AGS, указ. арх. св. с. 18—20.

внимание попытка членов комиссии конкретный характер грузино-испанских совпадающих интересов к тому или иному региону на Ближнем Востоке подменить неким общим интересом испанского правительства к сведениям «о положении дел в Леванте (о которых мы имеем ложное представление)», при этом в документе даже подчеркивается, что «столь важные эти знания сослужат большую службу вашему величеству»; в-пятых, акцент сделан на необходимости подыскать соответствующую кандидатуру испанца для поездки на Восток, в том числе, и Грузию, и в качестве наиболее опытного и подходящего для этих целей человека, способного соблюсти все предосторожности для сохранения «глубокой тайны» грузинских политических предложений, члены комиссии называют Хуана Висенсио де Сан Феличе графа де Баньоло. Как выясняется из документа, последний, оказывается, уже был предназначен к тому времени для такого путешествия с частью испанского флота, получив даже определенные средства для этой цели от короля Филиппа IV; в-шестых, в качестве спутников Хуана Висенсио члены комиссии предлагали двух человек, причем, из конспиративных соображений не испанцев, а итальянцев; в-седьмых, выясняется любопытная деталь, свидетельствующая о том, что когда в Государственном совете Испании велись переговоры с грузинским послом, Ватикан получая полную информацию о них, посылая одновременно в Мадрид определенные инструкции и указания в связи с ними. Как нам кажется, именно таким путем членам комиссии стало известно о том, что, кроме отмеченных в своем ответе на седьмой вопрос Никифором Ирбахом театинских миссионеров, новые их собратья по ордену «поедут сейчас из Рима в Иберию для проповеди священного Евангелия», в связи с чем члены комиссии в конспиративных целях считали целесообразным двоих предполагаемых спутников Хуана Висенсио облачить в одежду этих театинских монахов. В заключении своих рекомендаций члены комиссии обращались с вопросом к Филиппу IV и напоминали: «в том случае, если ваше величество изволит принять такое решение, будет необходимо выдать указанному Хуану Висенсио и тем, кто с ним поедет, все требующееся для столь сложного путешествия»[72].

Подводя итог небольшому комментарию к заключительному разделу протокольной записи конфиденциальных переговоров с грузинским послом членов комиссии Государственного совета, следует отметить, что рекомендации этих последних для испанского короля по грузинским политическим предложениям были утверждены как последовавшим за «Собранием» в доме дона Агустина де Мессиа заседанием Государственного совета от 1 октября, так и самим Филиппом IV. В краткой аннотации для короля об этом заседании Государственного совета, на котором рассматривался вопрос «о том, чего касались два закрытых собрания относительно предложений короля Иберии»[73], сказано, в частности, следующее:

«Ваше величество изволили решить на заседании Государственного совета от 29 числа прошедшего июля, чтобы в доме Агустина Мессиа собрались вместе с ним граф де Лемос, герцог де Ферия и дон Хуан де Вильела, чтобы обсудить предложения, которые сделал вашему величеству от имени короля Иберии его посол дон Нисефоро Ирбакисе относительно предприятия против Великого Турка и чтобы затем совет обсудил те решения, к которым они придут. И

[72] AGS, указ. арх. св., с. 20.
[73] AGS, указ. арх. св., с. 11.

выполнив все это, составили прилагаемую грамоту[74]), которую совет рассмотрел с большим вниманием и согласился с нею во всем, поскольку то, что там предлагается, весьма на пользу вашему величеству. И просим ваше величество, чтобы Вы приказали взять из этого решения то, что в наибольшей степени послужит к его выполнению. В Мадриде, 1 октября 1627 г.»[74]).

На этой аннотации присутствует собственноручная резолюция Филиппа IV с той же датой следующего содержания «Утверждаю; и Хуан Висенсио де Феличе кажется мне лицом весьма подходящим для путешествия; пусть сообщат мне соображения о еще двух лицах, которые должны его сопровождать, и пусть все это будет выполнено, и даны необходимые поручительства, и решено, что нужно пожаловать послу и его сопровождающим (подпись короля)»[75].

После этого проблематика, связанная с грузинским посольством, еще дважды рассматривалась на заседаниях Государственного совета Испании — от 22 октября 1627 года, когда обсуждался конкретный вопрос « о том, объявлять ли Хуану Висенсио де Сан Феличе решение, принятое вашим величеством, чтобы он отправлялся в Левант, сопровождая посла короля Иберии»[76]), и от 11 ноября того же года, когда Совет рассмотрел вопрос «о том, как можно отправить посла Короля Иберии и Хуана Висенсио де Сан Феличе, который его должен сопровождать»[77].

В краткой аннотации для короля об этом заседании Государственного совета от 11 ноября 1627 года, на котором Филипп IV присутствовал лично, в частности, сказано: «Ваше величество решили, что Хуан Висенсио де Сан Феличе поедет в Иберию с послом, чтобы узнать, на каком основании строятся их предложения, а также для того, чтобы разобраться в делах Леванта и представить о них особые сведения и сообщения. И когда ему было об этом сказано, Хуан Висенсио ответил, что согласен на путешествие. И совет, обсудив, откуда начинать его, какие инструкции дать и кто будет его сопровождать, и сколько ему надо дать денег, постановил, что решение относительно всего этого ваше величество может изволить поручить дону Хуану Вильеле»[78]). На этом же заседании Государственного совета было принято решение о вознаграждении «грузинского посла Никифора Ирбаха нагрудной цепью стоимостью в две тысячи дукатов», а также — о выдаче Хуану Висенсио де Сан Феличе «денежного вознаграждения в серебре»[79]).

На этом Государственный совет Испании завершил обсуждение проблем, связанных с грузинским посольством и политическими предложениями Теймураза I. Но грузинский посол после этого задержался в Мадриде в течение еще нескольких месяцев, когда связь с ним и дополнительные переговоры, согласно решению Совета, осуществлялись через посредство дона Хуана де Вильелы. Задержка Никифора Ирбаха в Мадриде, несмотря на завершение официального обсуждения грузинских политических предложений уже к середине

[74] Грамота, как таковая, в архивной связке отсутствует, но под ней, как нам кажется, подразумевается протокольная запись конфиденциальной беседы с грузинским послом в доме дона Агустина де Месса от 20 сентября 1627 года.

[75] AGS, указ. арх. св., с. 11.

[76] Там же, с. 9.

[77] Там же, с. 7.

[78] AGS, указ. арх. св., с. 5.

[79] Там же, с. 6

ноября 1627 года, объясняется тем, что в коридорах власти испанского короля продолжали ими заниматься, особенно, в связи с подготовкой почвы для реализации принятых по ним решений. Наряду с рекомендациями участников «Собрания» в доме дона Агустина де Месса, утвержденными Филиппом IV, краткое резюме или итог последующих постановлений и решений испанского правительства по грузинским политическим предложениям содержится в письме дона Хуана де Вильелы к Никифору Ирбаху от 8 января 1628 года, которое, наподобие ряда других вышеприведенных документов этого профиля, выдержано в конспиративном духе. Вот что сказано в этом письме:

«Мой сеньор король ознакомился с письмами сеньора короля Иберии к его величеству относительно полномочий вашей милости и с другими бумагами, которые ваша милость передали по поводу того дела, с которым прибыли ко двору, и его величество повелел сказать вашей милости следующее:

что его величество ответит на письмо, которое ваша милость вручили ему от указанного сеньора короля (Иберии) и передает вашей милости, что его величество как можно быстрее отправит в Иберию посла, с которым будет послан ответ, касающийся прежде всего тех дел, по которым ваша милость прибыли сюда, и который поедет через Московию;

что его величество также напишет своему послу в Риме, чтобы если вы пожелаете видеть его святейшество, он представил и направил вас;

что таким же образом мой сеньор напишет вице-королям Неаполя и Сицилии, чтобы они помогали и покровительствовали вашей милости во всем, что потребуется для путешествия;

что эти бумаги будут вручены затем вашей милости, после чего вы можете отправляться, когда вам будет угодно»[80]). Письмо подписано: «Сеньор дон Хуан (де Вильела). 8 января 1628 г., послу Иберии»[81]).

В этом кратком перечне мероприятий испанского правительства, дополнивших утвержденные Филиппом IV рекомендации членов комиссии Государственного совета по грузинским политическим предложениям, новым является сообщение о посылке официального посла испанского короля через Россию в Восточную Грузию. Это сообщение, на наш взгляд, подразумевало следующее: после того, как испанская сторона получит необходимую достоверную информацию о положении в Иберии и ближневосточных регионах, где смыкались испано-грузинские политические интересы, от своего эмиссара (или более точно и по-современному, восислеца) в лице Хуана Висенсио де Сан Феличе, который отправлялся вместе с грузинским послом именно с этой целью и именно в указанные регионы — только после этого планировалось отправить официального испанского посла в Восточную Грузию через Россию для сообщения окончательного решения Филиппа IV на предложения Теймураза I о совместных боевых действиях против общих врагов.

Грузинскому послу ничего другого не оставалось, как принять к сведению это новое решение испанского короля и просить о том, чтобы в дополнение к письмам на имя своего царя, а также к испанскому послу в Риме и вице-королям Неаполя и Сицилии, его снабди-

[80] AGS, указ. арх. св., с. 87
[81] Там же, с. 88.

ли бы и рекомендательным письмом к Папе римскому, которому он должен был передать послание Теймураза I и заручиться его поддержкой планировавшихся совместных военных мероприятий Испании и восточногрузинских царств Картли и Кахети. Об этой просьбе Никифора Ирбаха свидетельствует небольшая безымянная записка, поданная в кабинет испанского короля, по-видимому, доном Хуаном де Вильела, следующего содержания: «Мадрид, 10 января 1628 г. Посол короля Иберии был уведомлен о решении, которое его величество принял по поводу его отъезда, и выразил удовлетворение им. И просит выдать, не задерживая, письма его величества для продолжения путешествия, а также выражает просьбу (получить) вместе с письмом к (испанскому) послу в Риме, которое ему должны дать, и другое, к папе (римскому)»[82]. На этой записке присутствует резолюция, датированная 15 января 1628 года: «Написать в общих словах»[83]).

О том, что просьба Никифора Ирбаха была уважена, он узнал позднее, но в преддверии своего отъезда из Мадрида в Рим он поспешил поблагодарить дона Хуана де Вильелу, как человека, непосредственно опекавшего грузинского посла и сопровождавших его лиц, а также как доброжелательного куратора грузинской политической проблематики при ее неоднократном обсуждении на заседаниях и совещаниях в Государственном совете Испании. Ниже приводится полный текст благодарственного письма Никифора Ирбаха, адресованного дону Хуану де Вильеле:

«Записка вашей милости показалась мне небесным посланием, ибо я был весьма озабочен здоровьем вашей милости, и бог знает о том нашем усердии, с которым мы просили небесного царя сделать так, как все мы желаем.

Что касается того, что ваша милость мне назначаете, то я весьма вам благодарен и признателен за деньги, которые его величество мне пожаловал на мой отъезд с такой точностью, и которые ваша милость мне передали, а также (удовлетворен) тем, что его величество посылает специального посла, который поедет по дороге на Московию, (и это) кажется мне весьма правильным.

Также меня весьма радует письмо его величества послу в Риме, и я буду еще более рад получить рекомендательное письмо его величества непосредственно к папе. И если есть что-то, что необходимо (сказать) кроме того, что говорится в письме от моего короля его святейшеству, я буду рад получить здесь советы.

Я молю его величество, чтобы мне не чинились препятствия и задержки в пути через Неаполь и Сицилию. Что касается остального, я бы хотел, когда укажет ваша милость, поцеловать вам руку, чего не мог сделать до сих пор по причине вашего нездоровья. Да хранит господь вашу милость много лет.

Из дома, 20 января 1628 г.

Дон Нисефоро Ирбакис, посол Иберии.

Дону Хуану де Вильела»[84])

В содержании этой небольшой записки, исполненной долга вежливости и искренней благодарности грузинского посла к дону Хуану де Вильеле за его заботу и внимание к членам грузинского посольства и о плодотворности их деятельности в Испании, обращает на себя внимание три обстоятельства, которые, на наш взгляд, характери-

---

[82] AGS, указ. арх. св., с. 129.

[83] Там же.

[84] AGS, указ. арх. св., с. 128.

зуют самого Никифора Ирбаха и как утонченного дипломата и как принципиального политика. Во-первых, высказывая одобрение в связи с решением Филиппа IV направить в Грузию через Россию своего «специального посла», он здесь же заботится о том, чтобы наряду с другими письмами его непременно снабдили бы также и рекомендательным письмом к папе Урбану VIII, зная о том, что успех планировавшихся совместно с Испанией военных предприятий во многом зависел от позиции в этом вопросе римского первосвященника; во-вторых, в этой своей записке Никифор Ирбах, в который раз за время своего пребывания в Испании, подчеркивает необходимость оперативных шагов для успешной реализации задуманного: именно на это намекает его просьба о беспрепятственной его отправке через Неаполь и Сицилию к себе на родину, чтобы успеть вовремя доставить своему царю информацию о своих переговорах в Западной Европе. Наконец, в-третьих, в содержании этой записки невольно обращает на себя внимание и то обстоятельство, что в свете почти годичных переговоров Никифора Ирбаха с представителями испанского правительства как бы двусмысленно обобщающим представляется его пожелание в связи с состоянием здоровья дона Хуана де Вильелы в конце первой же фразы записки: «Бог знает о том нашем усердии, с которым мы просили небесного царя содеять так, как все мы желаем»[85]).

Последующие дни пребывания грузинского посла в Мадриде, согласно свидетельству архивных документов, были связаны с покупкой для него нагрудной цепи, а также с составлением писем, которые должны были быть ему вручены с упомянутой цепью, как это предусматривалось специальной инструкцией от 22 января 1628 года: «Его величество повелел на заседании Государственного совета от 11 ноября (1627 г. — Д. В.), чтобы послу короля Иберии, когда он будет уезжать, была пожалована цепь стоимостью в две тысячи дукатов, когда придет срок его отъезда, и даны письма, которые он отвезет в Рим и своему господину»[86]). О том, что «была совершена покупка цепи, чтобы ее можно было передать послу», сообщает другой документ, датированный 23 января 1628 года. Но ритуал передачи этой цепи грузинскому послу, если исходить из буквы инструкции, состоялся, наверное, не ранее 31 января того же года, ибо именно в этот день были подписаны Филиппом IV все письма, которые предназначались для Никифора Ирбаха.

Согласно одному из документов, на котором был воспроизведен первоначальный набросок обрывочного текста письма к Теймуразу I[87]), присутствует любопытное указание на то, что письмо за подписью испанского короля было адресовано также и «королю Персии с депешей в добавление» (перечислены титулы обоих венценосцев, но

---

[85] AGS, указ. арх. св., с. 128.

[86] Там же, с. 132.

[87] Текст письма Филиппа IV к Теймуразу I был готов уже к 11 января 1628 года, как это усматривается из нижеследующего обращения дона Хуана де Вильелы к самому приближенному к испанскому королю лицу, распоряжавшемуся королевской канцелярией (канцлеруг) и фигурирующему в документах исключительно как «ваша светлость»: «Прошу вашу светлость повелеть перевести на латинский язык прилагаемое письмо королю Иберии и вернуть мне его, как прежде, чтобы послать на утверждение его величеству. Да хранит бог вашу милость, чего и я желаю. Мадрид, 11 января 1628 г.» (там же, с. 133).

текст на этом обрывается)[30]. Письмо Филиппа IV к шаху Аббасу I, если оно было составлено и подписано, конечно, не предназначалось для вручения Никифору Ирбаху. Ему вполне хватало той дипломатической «нагрузки», которую возлагали на него предстоящие переговоры в Италии, куда он и отправлялся вскоре вместе со своими спутниками, в число которых теперь входили также и специальные представители испанского короля. В рассматриваемой связке документов из архива Симанкас сведения об отъезде грузинского посла с сопровождавшими его лицами из Мадрида и о его путешествии до Италии, к сожалению, отсутствуют.

[30] AGS, указ. арх. св., с. 97.

* Продолжение следует.

ვალერი სილოგავა

რკონის დაწერილის ფრაგმენტის ახლი და ტექსტის ზოგიერთი ადგილის წაკითხვა

XIII ს-ის შუა ხანებში შედგენილი ძველი ქართული საბუთი — დაწერილი მეჭურჭლეთუხუცესის, ერისთავთერისთავის კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლის მონასტრისადმი, ანუ შემოკლებით — რკონის დაწერილი, ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქართული დოკუმენტური წერილობითი ძეგლია. საბუთის მიხედვით, კახა თორელი რკონის მონასტერს სწირავს მის მიერ ნაყიდ სოფელ ხოვლეს და სამაგიეროდ თავისთვის და თავისი ცოლის — ხათუთისათვის მონასტერში მოსახსენებელს აწესებს. ეს საბუთი, რომელიც ერთიანობის ხანიდან ჩვენს დრომდე მოღწეული ყველაზე ვრცელი ძველი ქართული საბუთია, მრავალ საგულისხმო და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XIII ს-ის საქართველოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესახებ. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მან ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და იგი გამოცემულია ქართულ (სამჯერ)[1], ფრანგულ (მ. ბროსეს მიერ ჯერ კიდევ 1851 წელს)[2] და რუსულ[3] ენებზე; მასვე მიეძღვნა სპეციალურად ცალკე სადისერტაციო ნაშრომი[4].

საბუთის დედანმა, როგორც ჩანს, ჩვენს დრომდე არ მოაღწია, რადგან, მიუხედავად მისი მოძიების მრავალი ცდისა, იგი ამჟამად არსად ჩანს. უკანასკნელად საბუთის დედანი შეისწავლა და მისი მიხედვით ტექსტი გამოსცა

---

[1] 1) თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წ. II, ტფ., 1897, გვ. 133—145; 2) ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, № 23; 3) ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX—XIII სს. საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, № 33; საბუთის თარიღად ტრადიციულად მიღებული იყო 1259 წელი; უკანასკნელი „კორპუსის" გამოცემაში იგი დათარიღებულია 1260 წლით შემდეგი მოსაზრებით: „ხოვლეს ყიდვიდან 1258 წ. საბუთის დაწერამდე 1 წელზე ოდნავ მეტი დრო ჩანს გასული" (ქიც, I, გვ. 165) (ქვემოთ — ქიც, ტექსტშივე აღნიშვნით, გვერდის და სტრიქონის მითითებით).

[2] M. Brosset. Additions et éclercissements à l'Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusq'en 1469 de J.-C. SPb., 1851, pp. 452—460.

[3] В. Дондуа, Писание о вкладе Каха Торели в Рконский монастырь, „ქართული წყაროთმცოდნეობა", II, თბ., 1968, გვ. 30—76.

[4] ნ. შოშიაშვილი, რკონის დაწერილი როგორც ისტორიული წყარო, 1952 (ხელნაწერი).

თ. ჟორდანიამ 1897 წელს. საბუთის ტექსტის ყველა გამოცემა (გარდა ერთისა — 1897 წლის) დედნიდან გადაწერილ პირს ემყარება; მათ შორის — უკანასკნელი გამოცემაც, რომელიც „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსშია" (შემდგომში — „კორპუსი") წარმოდგენილი და ითვალისწინებს ყველა წინანდელ პუბლიკაციას.

რკონის დაწერილის ტექსტის არც ერთ გამოცემაში, არც დასახელებით და არც ტექსტის დადგენისას გათვალისწინებით, ასახული არ არის ამ საბუთის დედნის ერთი მცირე ფრაგმენტის (შვიდი სტრიქონი) პალეოგრაფიული ასლი (ფაქსიმილე), რომელიც 1887 წელს გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ თავისი ნაშრომის — „Грузинская палеография" ტაბულებში[1]. რადგანაც რკონის დაწერილის დედნიდან ამ ასლის მეტი დღეს არაფერი შემოგვრჩა, საჭიროდ მივიჩნიეთ მისი განმეორებით პუბლიკაცია, მით უმეტეს, რომ იგი უტყუარ მასალას გვაწვდის საბუთის ტექსტის თუნდაც ამ მცირე მონაკვეთის დაზუსტებისათვის. ასლი და მასზე წარმოდგენილი ტექსტი ასეთია (იხ. სურ. 1):



სურ. 1.

[1] Д. З. Бакрадзе, Грузинская палеография, Труды V-го Археологического съезда в Тифлисе 1881 г., М., 1887, გვ. 207—214, ტაბ. XV, № 1. დ. ბაქრაძის ნაშრომისადმი დართული ეს ტაბულები მრავალ მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალას შეიცავს ძველი ქართული წარწერებისა თუ ძეგლების შესახებ; მაგ., მასში გვხვდება ასეთი ძველი ქართული საბუთების, ან მათი ხელრთვების (ლაშა-გიორგის 1211 წლის სიგელი მიქაელ მღვიმელისადმი და მრავალი სხვა), ხელნაწერთა მინაწერების, ან ეპიგრაფიკული ძეგლის (ლიხნის ტაძრის გარედამავალი მხედრულით შესრულებული წარწერა XI ს-ის შუა ხანებისა) პალეოგრაფიული ასლები (დედნის ზომაზე), რომელთაც ჩვენამდე ან ვერ მოაღწია, ან მოაღწია უფრო დაზიანებული და ნაკლული სახით, ვიდრე ამ ტაბულებზეა წარმოდგენილი. ამ მხრივ ეს მასალა (დ. ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებული ტაბულები) საგანგებოდ შესასწავლია. ძველი ქართული ტექსტების თანამედროვე გამოცემებში იგი ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული.

„[ოდესცა] ზუარნი და ხოდაბუნნი კვთდენ და კარგა მოვიდეს, რაიცა[1] მას წელი|წადსა მოჰრჩეს, მეორისა[2] წელიწადისათჳს წაიგებდენ — ნაიდაგ არა[3]| ხწორად მოვა; ოდესცა დახეტყოს და არაი მოვიდეს, მისთჳს[4] დაიგულ|ებდენ. და ესე ნუ ოდეს იმიზეზებს თუ: წელს არაი მოსრულაო, და ნუ მო|აკლდების ქსე ჩემი გარჩენილი. და რაიცა ამასცა[5] მოჰრჩებოდეს — გლა|ხაკათუჲს[6] წაიგებოდეს და სტუმართათჳს[7] მოიკმარებოდეს. და რაი|ცა სამართლად გამგებლობისათჳს[8] იმოვიდეს, იგი წინამძღურისა[9] კ[ე]ლითა,|[ჩემსა ალაჲსა მიგა, ალუხებასა და ლეხასწოულთა, სათუვზედ მოიკმარებოდეს]".

ძალზე წარმოდგენილი ეს ტექსტი შეესაბამება „კორპუსის" გამოცემის 150-ე გვერდის მე-11—17 სტრიქონებს. რადგანაც კითხვასხვაობა ყველა წინა გამოცემასთან „კორპუსის" გამოცემაში აღნიშნულია, აქ აღვნიშნავთ კითხვასხვაობებს მხოლოდ „კორპუსის" გამოცემასთან: [1] რაიც [2] მეორისა [3] არც [4] მისთჳს. [5] ამასცა. [6] გლახაკთათჳს [7] სტუმართათჳს. [8] გამგებლობისად. [9] წინამძღურისა.

კითხვასხვაობათა დიდი ნაწილი, როგორც ვხედავთ, ორთოგრაფიულია, მაგრამ, არის არსებითი მნიშვნელობის კითხვასხვაობაც საბუთის ტექსტის გამოცემებსა და დედნის ახლის მიხედვით აქ წარმოდგენილ ნაწყვეტებს შორის. კერძოდ, დედანში იკითხებოდა „გლახაკთათჳს" და არა „გლახაკთათვს", როგორც ეს გამოცემებშია. „გლახა" და „გლახაკი" სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ადამიანთა აღმნიშვნელი ტერმინებია და მათ სწორ ფიქსაციას საბუთის ტექსტში, ცხადია, არსებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ს.-ს. ორბელიანის განმარტებით „გლახა — გინა დაშავებული", ხოლო „გლახაკი — ესე არს მამა დედით უქონელნი"[6]. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში" დაფიქსირებულია ამ სიტყვების ასევე სხვადასხვა მნიშვნელობა: „გლახა — მცირე, დაბალი; გლეხი", ხოლო „გლახაკი — დავრდომილი, ღატაკი"[7]. ცხადია, ეს ტერმინები ასევე სხვადასხვა სოციალური კატეგორიის წარმომადგენელთა აღმნიშვნელადაა მიჩნეული და დეფინიცირებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში[8].

როგორც ვხედავთ, საბუთი დაწერილი ყოფილა შესანიშნავი კალიგრაფიული ხელით. მის დამწერი, ქართულ დიპლომატიკაში მიღებული წესის საწინააღმდეგოდ, საბუთის ბოლოს, დასახელებული არ არის. კახა თორდელი, საბუთისადმი დართულ თავის ხელრთვაში, აღნიშნავს საბუთის დამწერის შესახებ, მაგრამ, სახელით მას არ ასახელებს: „ესე ვითა ჴუჱთ მწიგნობრისა კელითა მომიკსენებია, მე, კახოცა, ჩემითა კელითაც ამასვე მოგიკსენებ" (ქისკ. I, გვ. 153: 13—14).

საბუთის დამწერის ხელი დ. ბაქრაძეს მიუმსგავსებია იმ ქართველი ოთხთავის ერთ-ერთი მინაწერის ხელთან, რომელიც მას უნახავს ქართველ კათოლიკეთა ართვინელ ეპისკოპოსთან. მას ამ მინაწერის პალეოგრაფიული ახლიც მოჰყავს რკონის დაწერილის პალეოგრაფიული ახლის გვერდით[9] და შენიშნავს, ართვინის სახარების მინაწერი, მართალია, ისტორიული ღირებულების ტექსტს არ შეიცავს, მაგრამ პალეოგრაფიულად მეტად მნიშვნელოვანიაო;

---

[6] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 75.

[7] ილ. აბულაძე, ქართული ენის ლექსიკონი [მასალები], თბ., 1973, გვ. 94.

[8] რ. მეტრეველი, დაქალაქებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V—XII სს.), გლეხები, თბ., 1976.

[9] Труды V Археологического съезда, таб. XXV, № 2.

„характером письма она замечательно сходствует с актом, перед сим указанным [იგულისხმება რკონის დაწერილი], так что можно подумать, что и то и другое письмо принадлежит одной и той же руке"[10]. დღეს ართვინის ეს ოთხთავი და მისი მინაწერიც არსად ჩანს.

ამჟამად ცნობილ ხელნაწერებს შორის „ართვინის ოთხთავის" სახელით სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ ორ ხელნაწერს: 1) ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ო თ ხ თ ა ვ ს, რომელიც ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დროს, 1902 წლის 22—23 აგვისტოს შეისწავლა და აღწერა ნ. მარმა ართვინის სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაში (Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР. VII. СПб., 1911, გვ. 189—201). შემდეგში ხელნაწერი აღმოჩნდა ეჩმიაძინის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, საიდან ამჟამად დაცულია ერევნის მატენადარანში (ჩვენთვის მოწოდებული მისი ფოტოპირი — ხელნაწერთა ინსტიტუტი RI XIX, № 1—3). მიჩნეულია, რომ გადამწერის მხედრულ-ნუსხურ-მთავრული ხელი სტილით იგი წააგავს ე. წ. ვანის ოთხთავის (სა. A-1335) ხელს (პალეოგრ. ხროლ. ი. აბულაძის მიერ შენიშნული ეს ფაქტი სპეციალურად შესწავლილია ელ. მაჭავარიანის ნაშრომში „ვანის ოთხთავის (A-1335) პალეოგრაფიული ბუნება". „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე", III, 1961, გვ. 141—154); 2) ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს ქ ე ო ვ ს ი ლ ო თ ხ თ ა ვ ს, რომელიც გადაწერილია 1241 წელს ვინმე სოლომონის მიერ (ც. ქართული სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების და საარქივო მასალის კატალოგი. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა ც. ხუციშვილმა, თბ., 1964, გვ. 5—6; Р. О. Ш м е р л и н г, Артвинский кодекс XIII века. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია 1948 წლის 14 და 15 მაისს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1948, გვ. 9—10, 17—18). არც ერთ მათგანზე დ. ბაქრაძის მიერ აღნიშნული და გამოცემული მინაწერი არ მოიპოვება. ამიტომ, ის Артвинский четвероглав, რომელსაც დ. ბაქრაძე მოიხსენიებს, ართვინის ოთხთავის სახელით ცნობილ კიდევ ერთ, მესამე ხელნაწერად ხომ არ უნდა მივიჩნიოთ?

რადგან, XIII ს-ის მხედრულით შესრულებული ართვინის მინაწერის ტექსტი არ გამოქვეყნებულა, მოვიყვანთ მას დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული პალეოგრაფიული ალბომის მიხედვით:

„...და შესავედრებელო ქრისტიანეთაო... შეამდგომელო დამბადებელისა მისისაო, მამათმთავართა და შენწყნარებულო, ნუ უგულებელსყოფ შე[?]მხა(?) ცოდვათა ჩუენთა ვედრებისასა, არამედ ისწრაფე შეწევნად ჩუენდა, რომელნი ესე სარწმუნოებით გიღაღადებთ და მოსწრაფე იქმენ ვედრებად და განმზადებულ მეოხება(?), და ღმრთივგრად ჰყოლის ამაღრიბელო, რომელი ეგე მარადის იღუწი პატივისმ[ცე]მელთა შენთა, ღმრთისმშობელო.

ქ. ყოვლად წმიდაო ლედოფალო ღმრთისმშობელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ბა იორდანეს სული დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ოდეს იგი, ძე შენი, დაჯდეს საყდარსა ზედა მიგებად კაცად კაცადისა საქმეთა მათთაებრ. უჯუალო, დიდებაი შენდა".

ეს ვრცელი ღვთისმშობლისადმი მინაწერი შეიცავს სხვა წყაროებით უცნობი ვინმე იორდანეს, თუ იორდანეს სულის შეწყალების თხოვნას. ამის მიხედვით შეიძლებოდა ეს იორდანე გვევარაუდა რკონის დაწერილის დამწერადაც, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ასე არ არის.

რკონის დაწერილის დამწერის და ართვინის სახარების მინაწერის ავტორის ხელი, მართალია, ძალზე ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ მათი თანადროულობის შედეგია. პალეოგრაფიულ მსგავსებასთან ერთად, მათ შორის სწორედ დამწერის ინდივიდუალური ხელწერისათვის და-

[10] Д. З. Б а к р а д з е, Грузинская палеография, с. 213.

შანდობლივი განსხვავებებიც არის — ისინი განსხვავებულად წერენ ასოებს ბ, ჭ, აგრეთვე, ვ, ლ და ზოგიერთ სხვას. გარდა ამისა, არითენის სახარების მინაწერი შედგება ორი დამოუკიდებელი ტექსტისაგან — მეორე პირველისაგან ქანწილითაა გამოყოფილი; მეორე მინაწერი — იორდანესი, დამოუკიდებელი ტექსტია; პირველი ღმრთისმშობლისადმი მიმართვის ნაწყვეტია, რომელსაც, როგორც ჩანს, დასაწყისი აკლია, სადაც მიმართვის ავტორის სახელიც იქნებოდა აღნიშნული.

ამდენად, მიუხედავად შესაძლო იდენტიფიკაციისა, ეს იორდანე, თუ იორდანე რკონის დაწერილის დამწერი არ არის[11].

საბუთის გარეგნობის მოკლე აღწერილობა თ. ჟორდანიამ შემოგვინახა. მისი ცნობით, იგი დაწერილი ყოფილა ეტრატზე, წარმოადგენდა გრაგნილს, ზომით: 9 არშინი×5½ ვერშოკზე[12]; მისივე ცნობით, იგი ყოფილა სინოდალური კანტორის საბუთი № 46[13].

„კორპუსში" საბუთის გამოცემის არქეოგრაფიულ შენიშვნებში აღნიშნულია, რომ დღეს არსებობს საბუთის ტექსტის ორი პირი: 1) ხელნაწერთა ინსტიტუტისა Sd-2859 — გადაწერილი XIX ს-ის დასასრულს დ. ბაქრაძის მიერ; 2) ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა H6 (G 29; H 46)-59 — გადაწერილი XIX ს-ში საბუთის მცხეთური XVII ს-ის პირიდან (№ 485. მცხეთური პირი ამჟამად დაკარგულია)[14]. იმავეს აღნიშნავს საბუთის ლენინგრადული პირის შესახებ სოფრომ კაკაბაძეც, ოღონდ არ უთითებს „მცხეთური პირის" თარიღს (XVII ს.)[15].

მაგრამ, დ. ბაქრაძის ცნობით, № 485 სინოდალური კანტორის რეესტრით ყოფილა ის საბუთი, რომლის ფრაგმენტის პალეოგრაფიულ ძალსაც იგი აქვეყნებს. ეს საბუთი მის დროს ინახებოდა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოში. გამოდის, რომ თ. ჟორდანიას ცნობის საწინააღმდეგოდ, რაც გამეორებულია სოფრ. კაკაბაძის მიერ და „კორპუსის" გამოცემაში, საბუთის XVII ს-ის „მცხეთური პირი" არ არსებობდა, რადგან № 485 არის საბუთის XIII ს-ის დედნის ნომერი; მაშასადამე, ლენინგრადული პირიც დედნიდანაა გადაწერილი.

საბუთის დედნის, როგორც წერილობითი ძეგლის შესახებ საინტერესო მასალაა წარმოდგენილი დ. ბაქრაძის გადაწერილ პირში — Sd-2859.

დ. ბაქრაძის გადმოწერილ საბუთის პირში ჩართულია ორი ადგილის ძალი, ე. ი. დედნის მოხაზულობით გადმოღებული ტექსტი. პირველი, საბუთის ძირითადი ნაწილის ნაწყვეტია, ხოლო მეორე — კახა თორელის ხელრთულობის დასაწყისი (სურ. 2). პირველში იკითხება: „ჩემი სინანულისა თქუენსავე წ(ინაშ)ე. და არვისგან შეგეცვალოს დაწერილი ესე: არ ჩემგან

---

[11] სოფრომ კაკაბაძის მიხედვით, რკონის დაწერილის მწერალია ვინმე ანტონი (С. С. Какабадзе, Грузинские документы, Института народов Азии АН СССР. М., 1967, с. 249). როგორც ჩანს, საბუთის ერთ-ერთი ხელრთველობის (ეს არის ხელრთველობა „დავით გარესჯის უდაბნოის მწირთა", ქძს, I, გვ. 154 : 13—19) დამწერი ანტონი („მე, ანტონ ჩემითა ჴელითა დავიწერეო") მას, რატომღაც მთელი საბუთის დამწერად მიუჩნევია.

[12] მეტრულ სისტემაზე გადაყვანით — დაახ. 500×25 სმ.

[13] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 133.

[14] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 145.

[15] С. С. Какабадзе, Грузинские документы, с. 250.

და არცა..." (ქისკ. I, გვ. 152 : 7—8). ასევეა საბუთის ეს ადგილი წარმოდგენილი, როგორც დ. ბაქრაძის მიერ იქვე მოცემულ ტექსტის ტრანსლიტერაციაში (ოღონდ დ. ბაქრაძესთან იკითხება: „სინანულისა", „თქვენსავე", „ეს"), ისე „კორპუსის" გამოცემაში.

საბუთის მეორე ადგილის ასლში იკითხება შემდეგი: „ქ. რჯონისა ღ(მრ)თისმშობელო, ესე ვითა [...] მწიგნობრისა ჴელითა მომიჴსენებია მე, კახაიცა ჩემითა ჴელითაცა..." (ქისკ. I, გვ. 153 : 13—14). ჩვენ მიერ კუთხოვან კავებში ჩასმული სამწერტილის ადგილას, ე. ი. „ვითა"-ს შემდეგ და „მწიგნობრისა"-ს წინ, ასლში, იკითხება „ხემო". დ. ბაქრაძე ამ ადგილას კითხულობს „ჩემის", ე. ი. „ვითა ჩემის მწიგნობრისა ჴელითა მომიჴსენებია", ხოლო „კორპუსის" გამოცემაში წერია „ზემო" და საბუთის ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „ვითა ზემო მწიგნობრისა ჴელითა მომიჴსენებია" (ქისკ. I, გვ. 153 : 13—14).



სურ. 3

ცხადია, კახა თორელის ხელრთულობის ამ ადგილას „ზემო"-ს წაკითხვა ეყრდნობა სხვა საბუთების ანალოგიებს; მაგ.: მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში სვეტიცხოვლისადმი (1031/1033 წწ.) მისი ხელრთულობა ასე იწყება: „ქ. ესე, ვითა ზემოა დამიწერია, ესე ქუემოათ ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებია" (ქისკ. I, გვ. 29 : 130; უნდა აღდგეს „ზემოა[თ]": „ზემოა" პირის გადმომღების შეცდომაა; შდრ. იქვე ბაგრატ IV-ის ხელრთულობის დასაწყისი: „ესე, ვითა ზემოათ" — ქისკ. I, გვ. 30 : 140; ტაბ. — გვ. 270); ან, გიორგი II-ის 1073 წლის სიგელში შიომღვიმისადმი მეფის ხელრთულობა ასე იწყება: „ქ. ესე, ვითა ზემოით დამიწერია" (ქისკ. I, გვ. 48 : 40) და სხვ. განსხვავება იმაშია, რომ კახა თორელის ხელრთულობაში ამ ფორმულას მოსდევს სიტყვები: „მწიგნობრისა ჴელითა მომიჴსენებია".

XI—XIII სს. ყველა საბუთში, რომელმაც, ან რომლის ტექსტმაც მთლიანი სახით მოაღწია ჩვენამდე, ყოველთვის აღნიშნულია მწერალ-მწიგნობრის სახელი. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი ვრცელდება მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებზე და ზოგჯერ მაღალი სასულიერო იერარქების (კა-

თალიკოსი, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი) პირების საბუთებზე. ხოლო ფეოდალთა მიერ გაცემულ საბუთებზე, როგორიცაა რკონის დაწერილი, ეს წესი არ ვრცელდება. პირიქით, დღეს ცნობილ არც ერთ ასეთ საბუთში იგი არ დასტურდება.

მეორე კითხვასხვაობა, რომელიც აღძრავს შენიშვნებს დ. ბაქრაძისეულ ასლსა და საბუთის ტექსტის გამოცემების და პირების წაკითხვებს შორის, ესაა კახა თორელის სახელის წაკითხვა. დ. ბაქრაძისეულ ასლზე გარკვევით იკითხება „კ ა ხ ა ი ც ა". დ. ბაქრაძეს გადაბმით გადმოცემული ა და ო მიუჩნევია თ-დ და ტექსტის ტრანსლიტერაციაში ამ ადგილს კითხულობს „კახოცა". „კორპუსის" გამოცემის კითხვასხვაობების მიხედვით, ასე ყოფილა ეს ადგილი წარმოდგენილი, როგორც საბუთის ლენინგრადულ პირში, ისე ყველა გამოცემაში და გაზიარებულია „კორპუსის" გამოცემაშიც.

საქმე ის არის, რომ გადაბმით გადმოცემული ა და ო, ძირს დაშვებული ბოლოებით, მართლაც ემსგავსება თანამედროვე მოხაზულობის თ-ს. მაგრამ თ XIII ს-ში, რა დროსაც რკონის დაწერილი განეკუთვნება, და XIV და XV სს-შიც იწერებოდა თანამედროვე დაწერილობასთან შედარებით ამოტრიალებული სახით, ან გინიჯი სწორი ხაზის სახით[16]. სწორედ ასეთი დაწერილობითაა თ წარმოდგენილი საბუთის ტექსტის დედნის ფრაგმენტის ასლში (იხ. სურ. 1). სწორი ხაზის სახითაა იგი ოთხგზის გადმოცემული კახას ხელრთულობის ასლში (იხ. სურ. 2). ცხადია, რომ დ. ბაქრაძემ მექანიკური შეცდომა დაუშვა — გადაბმით გადმოცემული ა და ო, მსგავსი თანამედროვე თ-ს მოხაზულობისა, თ-დ მიიჩნია და საბუთის გამცემის სახელი „კახო"-დ წაიკითხა[17]. ეს შეცდომები ასევეა გამეორებული საბუთის ტექსტის გამოცემებშიც.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საბუთის ტექსტის „კორპუსის" გამოცემაში კახა თორელის სახელი გადმოცემულია ხან „კახა"-ს, ხან „კახო"-ს ფორმით. ასე მაგალითად, „კ ა ხ ა" ეწოდება მას საბუთის ძირითად ტექსტში (ქისკ. I, გვ. 146 : 21), საბუთისადმი დართულ იმ ხელრთულობებში, რომლებიც ეკუთვნით მის მეუღლეს ხათუთას (ქისკ. I, გვ. 153 : 23), გარეჯის მწირთა ხელრთულობის დამწერს ანტონს (ქისკ. I. გვ. 154 : 17), კახას ცოლის ბიძას ივანეს (ქისკ. I, გვ. 154 : 23), იოსებ დაყუდებულს (ქისკ. I, გვ. 156:6, 18); ასევე ეწოდება მას რკონის დაწერილისადმი გვიანდელ მინაწერ საბუთში, რომელიც გაცემულია გიორგი მეფის მიერ (ქისკ. I, 157 : 24). „კ ა ხ ო"

16 თ XV ს-ის II ნახ-დან იწერება ფუძე დამოუკიდებლად და XVI ს-დან, აგრეთვე, ტილდოსებური გინიჯი ხაზის სახით (ნ. შოშიაშვილი, „ინსცრული ქართლის ცხოვრების" გადაწერის თარიღი, „მრავალთავი", V, თბ., 1975, გვ. 48—49).

17 ეს იმით აიხსნება, რომ XIII საუკუნისათვის თ-ს ამოტრიალებული მოხაზულობით გადმოცემა, ისევე როგორც ბ და ჰ-სა, თანამედროვე მხედრულთან შედარებით ამოტრიალებული გადმოცემა, დ. ბაქრაძისათვისაც ცნობილი იყო. ისევე საბუთის ძირითადი ტექსტის დაწერილობის თავისებურებებზე დაკვირვებით იგი შენიშნავს შემდეგს: „В акте этом, писанном мхедрули, встречаются буквы хуцури, исключительно во всем акте употребляемые" და შემდეგ მოჰყავს მაგალითებად ხ, ო, ბ, ჭ, ა, ჩ, დ, ო, Ⴋ და ჯ ასოების მოხაზულობანი (იხ. სურ. 2). დღეს, დ. ბაქრაძის მიერ ამ შენიშვნაში ხუცურად მიჩნეულ ასოებს, მხედრულს, ან გარდამავალ მხედრულს უწოდებენ. მიუხედავად ამ შენიშვნისა, როგორც ვხედავთ, თ-ს წაკითხვაში მან დაუშვა შეცდომა. ცხადია, ეს აიხსნება იმ დროისათვის ქართული პალეოგრაფიის კონკრეტული საკითხების შეუსწავლელობით. დ. ბაქრაძე თვითონ იყო ამ საკითხების შესწავლის წამომწყები და მისი დამსახურება ჩვენი მეცნიერების წინაშე ამ მხრივაც მეტად დიდია.

ეწოდება მას ხელრთველობების მეორე ჯგუფში, რომლებიც ეკუთვნით: მის სიმამრის გრიგოლ სურამელს (ქისკ, I, გვ. 154:11), მის ცოლის ძმას ბეგას (ქისკ, I, გვ. 154:20), მის ძმას ასიბას (ქისკ, I, გვ. 154:27), ნიკოლოზ კათალიკოსს (ქისკ, I, გვ. 154:33), არსენი მანგლელ მთავარეპისკოპოზს (ქისკ, I, გვ. 155:21), გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსს (ქისკ, I, გვ. 156:28) და გრიგოლ ტფილელს (ქისკ, I, გვ. 156:33—34).

ცხადია, რომ „კახა“ და „კახო“ ფორმების ასეთი მონაცვლეობა საბუთის ტექსტში გამოწვეულია პირის გადმომღების მიერ გრაფიკული მსგავსების გამო დაშვებული შეცდომებით — თუ სახელს „კახა“ მოსდევდა ბრუნვის ნიშანი-ი, ან -ისა მხედრულ დამწერლობაში გადაბმით გადმოცემული ა და ი წაკითხულ იქნა ო-დ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბუთის ტექსტის ლენინგრადულ პირში, რომელიც დ. ბაქრაძისეული პირისაგან დამოუკიდებლად არის გადმოღებული, წარმოდგენილია მხოლოდ „კახა“ ფორმა და ეს ასეცაა ასახული „კორპუსის“ გამოცემის კითხვასხვაობებში.

ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ რკონის დაწერილის გამცემის სახელია „კახა“ და არა „კახო“, ან ამ სახელების მონაცვლეობა.

საბუთის ხელრთველობებში „კახა“ ფორმის სისწორეს უეჭველსყოფს ნუსხურით შესრულებული ხელრთველობა იოსებ დაყუდებულისა, რომელშიც ეს სახელი ორჯერაა მოყვანილი და ორივეჯერ „კახა“-ს ფორმით (ქისკ, I, გვ. 156:6, 23). ცხადია, ნუსხურით დაწერილი ტექსტიდან ო და ა ასოების აღრევით გადმოღება არ მოხდებოდა. მართალია, „კორპუსის“ გამოცემაში გაკეთებულია შენიშვნა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნუსხა-ხუცურით იყო აგრეთვე სხვა სასულიერო პირთა ხელრთვებიც ამ საბუთში“-ო (ქისკ, I, გვ. 156, შენ. სქოლიოში), მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია.

ცნობა იოსებ დაყუდებულის ხელრთველობის ნუსხურით შესრულების შესახებ მოეპოვება თ. ჟორდანიას, დ. ბაქრაძეს და მათ მიხედვით — ი. დოლიძეს (ქისკ, I, გვ. 156, შენ.). სხვა სასულიერო პირთა (გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსი, გრიგოლ ტფილელი, არსენი მანგლელი და ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსი) ხელრთველობის დაწერილობის სახეობის შესახებ არც თ. ჟორდანია და არც დ. ბაქრაძე არ აღნიშნავენ, ისევე, როგორც არ აღნიშნავენ საერო პირთა მიერ მხედრულით შესრულებული ხელრთველობების შესახებ. მაშასადამე, „სხვა სასულიერო პირთა“ ხელრთველობებიც ასევე მხედრულით ყოფილა შესრულებული „კორპუსში“ მითითებული შენიშვნის საწინააღმდეგოდ და ამიტომაცაა, რომ მათგან გადმოღებულ გადმონაწერში „კახო“ ფორმაა წარმოდგენილი ნაცვლად „კახასი“.

ნიშანდობლივია, რომ რკონის დაწერილისეული ქართლის კათალიკოსი ნიკოლოზი (ესაა ნიკოლოზ III — 1250—1283) XIII ს-ის ორ სხვა საბუთზე, რომელთაგან ერთის ფოტოპირმა, ხოლო მეორის დედანმა მოაღწია ჩვენამდე, მხედრულით ურთავს ხელს (იხ. ქისკ, I. № 28:46—55, № 40:61—69), რაც, ცხადია, მეტ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რკონის დაწერილზეც მისი ხელრთველობა მხედრულით იქნებოდა შესრულებული და არა ნუსხურით. უფრო მეტი. იგივე უნდა ითქვას გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსისა და არსენ მანგლელის ხელრთველობათა შესახებ, რომლებიც დართული გრიგოლ სურამელის დაწერილზე შიომღვიმისადმი, ასევე მხედრულითაა შესრულებული (ქისკ, I, 27:43—50, 64—75, ფოტო — გვ. 360, 362).

მაშასადამე:

1. რკონის დაწერილის დ. ბაქრაძის მიერ გადმოწერილ პირში (Sd-2859) ჩართულია საბუთის ორი ნაწყვეტის ასლი (9V).

2. საბუთის ტექსტის ხელრთულობებში „ქახა" და „ქახო" ფორმების მონაცვლეობა უნდა გასწორდეს — საბუთის დედანში, როგორც ჩანს, ყველგან იკითხებოდა „ქახა". ფორმა „ქახო" -ი და -თა ბრუნვის ნიშნების წინ მიმავალ ა-სთან გადაბმის არასწორად წაკითხვის შედეგად ჩანს მიღებული.

3. საბუთის ტექსტში ყველა შემთხვევაში სახელის წაკითხვას „ქახა"-ს ფორმით მხარს უჭერს საბუთის ტექსტის დ. ბაქრაძისეული ასლის მონაცემები, ნუსხურით შესრულებული ხელრთულობა-დამტკიცება (იოსებ დაყუდებულისა) და საბუთის ლენინგრადული პირი.

В. И. СИЛОГАВА

КОПИЯ ФРАГМЕНТА ДОКУМЕНТА «ПИСАНИЕ РКОНИ» И О ПРОЧТЕНИИ НЕКОТОРЫХ МЕСТ В ЕГО ТЕКСТЕ

Резюме

Один из самых замечательных исторических документов средневековой Грузии — *Писание Каха Торели Рконскому монастырю*, составленный около 1260 года, до нас дошел, к сожалению, лишь в копиях XIX века (Одна из них хранится в Ленинграде, в Институте востоковедения АН СССР, в фонде акад. М. И. Броссе — G 29, H 46; а другая — снятая известным грузинским историком, чл.-корр-ом Петербургской АН Д. З. Бакрадзе, в Институте рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузии — Sd 2859). По подлиннику документ был издан Ф. Жордания в 1897 году. Все последующие публикации текста, в том числе последняя, осуществленная в I томе «Корпуса грузинских исторических документов (IX—XIII вв.)» (1984), основаны на издании Ф. Жордания и на двух вышеуказанных копиях.

В статье предпринято переиздание фрагмента (7 строк) позабытой факсимильной копии с подлинника этого обширного документа, включенной вместе с фрагментами таких же копий с других древнегрузинских письменных памятников, в том числе исторических документов, в работе Д. З. Бакрадзе «Грузинская палеография», которая была опубликована в «Трудах V археологического съезда в Тифлисе 1881 г.» (М., 1887). Эта копия и воспроизведенный в ней текст в имеющихся публикациях данного документа, к сожалению, не учитывались. Она дает возможность с большой достоверностью передать текст данной части подлинника и разрешить вопросы, связанные с отдельными разночтениями в имеющихся изданиях документа.

Кроме того, в копии, снятой рукой Д. З. Бакрадзе (Sd 2859), включены прориси двух строк подлинника писания Каха Торели. Они со своей стороны, дают возможность уточнить прочтение отдельных мест документа, в том числе, имени выдавшего документ грузинского феодала Каха Торели: в тексте документа во всех случаях его имя, видимо, следует воспроизводить в форме ქახა *Каха* а не ქახო *Кахо*, или же в чередовании этих форм, как это было принято в имеющихся публикациях текста.

V. SILOGAVA

A COPY OF THE FRAGMENT OF THE RKONI CHARTER AND THE DECIPHERMENT OF SOME PASSAGES OF THE TEXT

Summary

The charter granted by Kakha Toreli to the Rkoni monastery, compiled in ca 1260, is one of the most remarkable historical documents of medieval Georgia. Regreatably, the document has come down to us only in 19th cent. copies. One of the copies is preserved at the Institute of Oriental Studies, Acad. Sci. USSR (fonds of Acad. M. F. Brosset, G 29, H 46), and the other—made by the wellknown Georgian historian D. Z. Bakradze, Corr. Member of the St Petersbourg Acad. Sci.-is at the K. S. Kekelidze Institute of Manuscripts, Georgian Acad. Sci. Sd. 2859. In 1897 Th. Zhordania published the document on the basis of the original. All the later editions of the text, including the latest, published in 1984 in volume I of the Corpus of Georgian Historical Documents (9th-13th cent.), are based on Zhordania's edition and on the two copies cited above.

The paper is an attempt atre-editing a fragment (7 lines) of the forgotten facsimile copy of the original of this extensive document, included together with other old Georgian written documents—historical inclusive—in D. Z. Bakradze's Georgian Palaeography, published in the Proceedings of the 5th Archaeological Congress at Tiflis in 1881 (Moscow, 1887). This copy, and the text reproduced in it have, unfortunately, not been taken into account in the publications of the given document. It permits—with a large degree of validity-to convey the text of this part of the original, and to solve problems connected with individual variant readings found in the editions of the document.

In addition, outline copies of two lines of the original of Kakha Toreli's Charter are included in the copy made by D. Bakradze (Sd. 2859). These lines enable a specified reading of individual passages of the document, including the name of the Georgian feudal ruler, Kakha Toreli, the issuer of the document. In all cases, his first name should appearently be reconstructed in the form ქახა Kakha rather than ქახო Kakho, or through an alternation of these forms, as has been done in the available publications

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

აბელ ჯინჯილაშვილი

ისევ ანის „მრავალთავიანი სამლოცველოს" დანიშნულების შესახებ

1985 წელს გამოქვეყნდა ლ. მარუაშვილის და კ. ხარაძის წერილი სათაურით — „ქვის სამტრედეები შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში"[1].

სტატიის სათაური და ტექსტი დასაწყისიდანვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველო-სომხეთში შემორჩენილი „პირველი შეხვდით უცნაური არქიტექტურული ქმნილებანი, რომელთა დანიშნულების შესახებ დღემდე პრესასა და ლიტერატურაში ერთი მეორისაგან განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული"[2], სადღეისოდ მათ მიერ უკვე ამოხსნილია.

თუ ავტორებს დავუჯერებთ, აქ სადავო და საკამათო თითქოს არაფერია, მაგრამ, როცა ისინი არ მიუთითებენ „პრესასა და ლიტერატურაში განსხვავებულ შეხედულებათა ავტორებს", მათ შრომებსა და უკრიტიკოდ, — ამის გარეშე, თანაც დამახინჯებულად გვაწვდიან ზოგიერთი ავტორის შრომას და მასზე დართულ კომენტატორის ნააზრევს, ცხადია ყოველივე ეს, მკვლევართა ამგვარ ნაღვაწს არა თუ ეჭვქვეშ აყენებს, არამედ ფუჭრალითებს და მიუღებელსაც კი ხდის.

მხედველობაში გვაქვს ავტორთა მიერ ციტირებული დ. ყიფშიძის ნაშრომი „ანის გამოქვაბულები", რომელსაც თან ახლავს ნ. ტოკარსკის წინასიტყვაობა და კომენტარები[3].

ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე, გვაცნობენ დ. ყიფშიძის ბიოგრაფიას ხოლო შემდეგ მის შეხედულებას (როგორც ამას ქვემოთ ნათლად დავინახავთ) არასწორად გვაწვდიან. აი მაგალითად: ისინი აღნიშნული შრომიდან ასახელებენ გვერდებს (12, 20—21, 114—117, 172), იმოწმებენ „გამოკვეთილ სამტრედეთა" ფოტოსურათებს (ტაბ. 25, 26, 35, 48), მიუთითებენ იმაზე, რომ ნაშრომში სამტრედეები გამოყოფილია ცალკე თავად (გვ. 20—21), დადგენილი აქვთ „ამ ნაგებობათა ორი არქიტექტურული ტიპი — სწორკუთხოვანი (ტაბ. II, 1), „მრგვალი (ტაბ. II, 2), ტაძრის ფორმის იმიტაცია", სულ 15 კომპლექსი (ტოკარსკის მიხედვით — 16 — ა. ჯ.) ამასთან, დასძენენ იმასაც, რომ „დ. ყიფშიძის მოწმობით, მტრედები ანის გამოქვაბულ სამტრედეებში ამჟამადაც (1915 წ.) ბუდობენ და მათი ნაკელი გამოიყენება სასუქად ბოსტნებისათვის"[4].

---

[1] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XVI, 1985, გვ. 144—150.

[2] იქვე, გვ. 144.

[3] Д. А. Кипшидзе, Пещеры Ани, Ереван, 1972.

[4] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148—149.

ასევე ავტორები იმოწმებენ დ. ყიფშიძეს, რომ „მტრედის ნაკელის მოსაპოვებლად სამტრედეებს აშენებდნენ ძველ საბერძნეთში, ეგვიპტეში, სპარსეთში, ხოლო ანისა და სომხეთის სხვა რეგიონებში აშენებული სამტრედეები არ მოიპოვება“[5].

ავტორები არც იმას იუწყებენ, რომ ნ. ტოკარსკი, ეხება რა დ. ყიფშიძის ცნობას საბერძნეთ-ეგვიპტე-სპარსეთში აშენებული სამტრედეების შესახებ, შენიშნავს, რომ მას თავად პირველ მსოფლიო ომში, კავკასიის ფრონტზე ყოფნისას, 1915 წელს, თალინის მიდამოებში უნახავს ქვისგან აშენებული სამტრედე[6].

ზემოთქმულის შემდეგ როგორც ნ. მარის, ნ. ტოკარსკის, ისე ჩვენი ოპონენტების მსჯელობით იბადება კითხვები: 1. რით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ, გარდა ანის აღნიშნული გამოქვაბულებისა, ანისა და სომხეთის სხვა რეგიონებში აშენებული სამტრედეები არ მოიპოვება[7]. ნუთუ გამოკვეთილ „სამტრედეთა“ რიცხვი 15—16 კომპლექსი. რა სიდიდისაც არ უნდა ყოფილიყო თითოეული მათგანი, იმხანად და შემდეგშიც აკმაყოფილებდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას ამგვარ სასუქზე?

2. თუ მრავალთახჩიან გამოქვაბულთა ფუნქციას (როგორც ჩვენში, ისე სომხეთში) მტრედების მომრავლება-მოშენება შეადგენდა იმ მიზნით, რომ მოსახლეობას ბოსტნებისათვის სასუქად ბევრი ნაკელი ჰქონოდათ, ეს ხომ ტრადიციად უნდა დარჩენილიყო ჩვენშიც, სომხეთშიც და მომდევნო საუკუნეებში გაგრძელებულიყო და როგორც მონასტრებში, ისე სოფლად ვეებერთელა სამტრედეების ქსელი უნდა გვქონოდა? რამდენადაც ვიცით, არც ქართულ და არც სომხურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამგვარი მასალები დღემდე ვინმეს მიერ დამოწმებული არ არის.

3. რამ განაპირობა თახჩიანი გამოქვაბულების ორი ფორმის („სწორკუთხოვანი“ და, მით უმეტეს, „მრგვალი ტაძრის ფორმის იმიტაცია“) გამოკვეთა, არის იგი მშენებლის გემოვნებით ნაკარნახები თუ რაიმე სხვა ფუნქციურ დანიშნულებაზე მიუთითებს?

4. ცნობილია, რომ დ. ყიფშიძე ერთი იმ მკვლევართაგანი იყო, ვინც ვარძიის საფუძვლიან შესწავლას მოჰკიდა ხელი და უძღვნა კიდევაც მას სათანადო ნაშრომი[8]. აქედან გამომდინარე, იბადება კიდევ ერთი კითხვა: რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ დ. ყიფშიძე, რომელიც სწავლობს ანის ე. წ. „სამტრედეებს“, მსჯელობს მათ შესახებ, მოაქვს შორეული პარალელები საბერძნეთ-ეგვიპტე-სპარსეთში აშენებული თუ გამოკვეთილი სამტრედეების შესახებ და ერთი სიტყვითაც კი არას ამბობს უახლესი პარალელის ვარძიის „მრავალთახჩიანი“ გამოქვაბულებთან მათი რაიმე მსგავსება-განსხვავების შესახებ? ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ თვით ანის გამოქვაბულებს დ. ყიფშიძე უფლისციხის გამოქვაბულებს ადარებს და წერს“... Это был настоящий пещерный город, вроде Уплис-Цихе, в Грузии, близ г. Гори Тифлисской губернии»[9].

---

[5] ლ. მარჯაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[6] იქვე.

[7] Д. А. Кипшидзе, Пещеры Ани, с. 20—21.

[8] Д. Кипшидзе, О росписи большого храмового пещерного сооружения Вардзии, Известия КНАИ», т. III, 1925, с. 87—96.

[9] Д. А. Кипшидзе, Пещеры Ани, с. 18—24.



5. რამდენად გონივრულია იმაზე ფიქრი, რომ სამეფო მონასტერში, რომელიც ამასთანავე, მტრისათვის შენიღბული ციხე-სიმაგრე იყო, რაზედაც მიუთითებს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ტიპის ნაგებობანი[10], V-საუ-

---

[10] ჯ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, ვარძიის სამშენებლო ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, 1961, გვ. 35.

თელზე ყოფილიყო სამტრედე, თუნდაც „სამხედრო და ესთეტიკური ტკბობის მიზნით?“[11]. ნუთუ მტრისათვის მტრედების გუნდური ფრენა შეუმჩნეველი დარჩებოდა?! ამასთან არსებობს მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ თამარის მითითებით მშენებელმა „კლდისაგან გამოკვეთა, თვით პატიოსანი ეკლესიაც და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელნი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველყო“[12].

წერილობით წყაროში დაცულ ამ ცნობას ჩვენი ოპონენტები რატომ არ აძლევენ რაიმე განმარტებას?

ახლა იმის შესახებ თუ ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე რამდენად მიაგებენ პატივს დ. ყიფშიძის ხსოვნას და როგორი მეცნიერული კეთილსინდისიერებით აწვდიან ცნობებს მკითხველს მისი ნაშრომიდან „ანის გამოქვაბულები“.

დ. ყიფშიძის დასახელებული ნაშრომიდან მოვიტანთ ამონაწერს სწორედ იმ თავიდან, რომლითაც ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე ხელმძღვანელობდნენ:

«...В этих анийских пещерах можно признать именно голубятни, которые высекались с большой тщательностью, так как разведение голубей составляло особую, весьма полезную отрасль сельского хозяйства. Однако странно при таком предположении, почему мы не имеем ни одной выстроенной голубятни в Ани или где-либо в другом месте наподобие греческих, египетских и персидских, где строились иногда роскошные постройки в два (и более) этажа. Если разведение голубей для сельскохозяйственных нужд было в обычае у анийцев, то оно могло быть известно и в других частях Армении, и мы должны бы иметь целый ряд таких построек. Но в Ани ничего подобного нет. Не известно, есть ли где-либо, хотя бы в пещерах, подсобные помещения. Так что, пока не найдутся еще где-нибудь аналогичные постройки или не найдутся литературные свидетельства на армянском (или грузинском и других языках), до тех пор вопрос о назначении названных пещер может возбуждать некоторые сомнения»[13].

ასე რომ, მკვლევარი სრულიად სამართლიანად დასძენს: ვიდრე არ აღმოჩნდება სხვა ადგილას ანალოგიური ნაგებობები, ან სომხურ და ქართულ წერილობით წყაროებში არ იქნება რაიმე ცნობა მიკვლეული, მანამდე მათი დანიშნულების შესახებ ვერაფერს ვიტყვითო[14].

ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე კი, პირიქით, გვიმტკიცებენ, თითქოს დ. ყიფშიძე ადასტურებდეს, რომ ანის მრავალთახიანი გამოქვაბულები სამტრედეებს წარმოადგენენ[15]. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ზემოაღნიშნულს გვინდა ისიც დავუმატოთ, რომ თუ ანის გამოქვაბულებში მტრედების მოშენება ადამიანის სურვილისამებრ ხდებოდა, სასუქის შეგროვების მიზნით, მაშინ ყიფშიძის დროს (1915 წ.) გამოქვაბულში ასეთი დიდი რაოდენობით რატომ იყო სქელ ფენად მტრედის ნაკელი? ნუთუ ხალხმა მისი სასუქად გამოყენების ტრადიცია დაივიწყა?

---

11 ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.
12 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 123.
13 Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—21.
14 იქვე, გვ. 20—21.
15 ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148—149.

ტაბულა II



ახლა ვნახოთ როგორი კომენტარის უკეთებს ნ. ტოკარსკი დ. ყიფშიძის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას; აღნიშნული კომენტარიდან ირკვევა, რომ 1915 წ. პირველი მსოფლიო ომის დროს, კავკასიის ფრონტზე ყოფნისას, ნ. ტოკარსკის, თბილისის ჩათვლით, ოთხი სოფლის ტერიტორიაზე უხდებოდა გავლა და მან მხოლოდ ერთ სოფელში-ხუევაში, ისიც ციხე-სიმაგრეში ნახა ერთ-ერთი ნაგებობის კედლები, რომლებიც მრავალი თახჩით იყო შემკული. ნ. ტოკარსკის მიხედვით, ამ მრავალთახჩიანი ნაგებობის დანიშნულების შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ამიტომ მნახველები მასზე სხვადასხვა აზრისანი იყვნენ, მათ შორის სამხედრო პირნიც; მის სამტრედეობაზე კი არავინ ფიქრობდა, იმიტომ, რომ იმ ხანად იქ არც მტრედები ბუდობდნენ და არც იატაკზე მათი ნაკელის კვალი ჩანდა. მან, როგორც თვითონ აღნიშნავს, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ანში, ნ. მარისაგან შეიტყო, რომ ხუევის ციხე-სიმაგრეში არსებული მრავალთახჩიანი მიტოვებული ქვის ნაგებობა, ანის გამოქვაბულების მსგავსად, „სამტრედე" უნდა იყოს. იმ განსხვავებით, რომ იგი აშენებულია[16].

ამგვარად, როგორც ნ. ტოკარსკის კომენტარიდან ჩანს, ნ. მარს, თავის მხრივ, ხუევის ციხე-სიმაგრეში ნანგრევების სახით შემორჩენილი მრავალთახჩიანი ნაგებობის შესახებ გარდა პირადი მოსაზრებისა, სხვა არავითარი ცნობა არ გააჩნია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი ყიფშიძის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას ვერაფერს მატებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ 1915 წ. როგორც ნ. მარმა, ისე ნ. ტოკარსკიმ და სხვებმა ნახეს რა ისტორიული ბედუკუღმართობით გაპარტახებული, უპატრონოდ მიტოვებული როგორც ანის მრავალთახჩიანი გამოქვაბულები, ისე ხუევის ქვის მრავალთახჩიანი ნაგებობა, რომელსაც იმ ხანად მტრედები დაპატრონებოდნენ, მათ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტის კონსტანტაცია მოახდინეს, და როგორც ამას სამართლიანად წერს დ. ყიფშიძე, სამტრედეებად მხოლოდ ამ გარემოების გამო მიიჩნიეს[17]. ნაგებობათა თავდაპირველი დანიშნულება კი როგორც ეს უფრო მოგვიანებით შუა აზიის მრავალთახჩიან ნაგებობათა შესწავლის დროს მოხდა, აუხსნელი დარჩათ.

ვ. ლავროვის მიხედვით, შუა აზიაში თითოეული ხორეზმული სამფლობელოს გამგებელს ერთ-ერთი საცხოვრებელი კოშკის კედლები, შიგნიდან შემკობილი ჰქონია თახჩებით. მიაჩნიათ, რომ იგი საცხოვრებელი სახლის მისადგომი იყო და, იმავე დროს, გამოყენებული ყოფილა ძვირფასი საგნების შესანახად, რაც ავტორის ვარაუდით, არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ვ. ლავროვის მიხედვით, შუა აზიაში ასეთ კოშკს პირობითად „კაპტარხანას" — სამტრედეს უწოდებენ[18]. ამ ცნობას ჩვენში პირველად (1960 წ.) ყურადღება მიაქცია გ. გაფრინდაშვილმა, რომელსაც იგი თავის მონოგრაფიაში[19] ჩვენს სტატიასთან დაკავშირებით[20] შეჩერდა.

---

[16] Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[17] იქვე, გვ. 20—21.

[18] В. А. Лавров, Градостроительная культура Средней Азии, М., 1950, с. 82—90, 91, 92, илл. 190—194.

[19] Г. Гаприндашвили, Пещерный ансамбль Вардзиа, 1960, с. 65.

[20] П. М. Пирпилашвили, О назначении вардзийской пещеры «сиинахи», Сообщения Академии наук Грузинской ССР, т. XXI, № 3, 1958, с. 377—384.

მართალია, ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე არც ვ. ლავროვის და არც გ. გაფრინდაშვილის ნაშრომს თავიანთ წერილში არ ასახელებენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მათ გ. გაფრინდაშვილის მიერ ლავროვის წიგნიდან მოტანილი ცნობა იმთავითვე არასწორად გაიგეს[21].

როგორც შემდგომში გაირკვა, მათ შეუმჩნევიათ, ძეგლებს, ვ. ლავროვის და გ. გაფრინდაშვილის მოსაზრებებს თავი დაანებეს და, ნ. ტიკარსკის მეგზურობით, პარალელების ძებნა (ზემოაღნიშნული წესით) ანსა და თურქეთ-საბერძნეთში დაიწყეს. აი, რას წერენ ისინი: „ჩვენთვის უჯრებიან ნაგებობათა ანუ თახჩებიანი სათავსების სამტრედეობა ნათელი გახდა ჯერ უცხოეთის გეოგრაფიულ ჟურნალში მოთავსებული ფოტოგრაფიის წარწერების მიხედვით და შემდეგ საბოლოოდ დადასტურდა იმ მოკლე სიუჟეტით, რომელიც საკავშირო ტელევიზიამ გადმოსცა „ძველი გამოქვაბულების საიდუმლოება", იგი ეხებოდა სომხეთში შემონახულ ამ ტიპის ნაგებობებს"[22].

ცხადია, როგორც უცხო, ისე სამამულო ლიტერატურული წყაროების დამოწმება არა თუ საჭირო, აუცილებელიცაა: ამიტომ გვინდა ვიკითხოთ: „იმ უცხოეთის გეოგრაფიულ ჟურნალს", რომელშიც ავტორებმა მსგავსი ფოტოები ნახეს, აქვს თუ არა თავისი სახელწოდება, ანდა რამდენად გამართლებულია მეცნიერულ საკითხზე მსჯელობის დროს არასპეციალისტთა მიერ გაკეთებული „ფოტოგრაფიის წარწერისა" და „მოკლე ტელესიუჟეტის". საბუთად მოშველიება? რად ჰგონიათ ლ. მარუაშვილს, კ. ხარაძეს და სხვებს, რომ ყველა მრავალთახჩიანი გამოქვაბული ან ნაგებობა, თუ „აფთიაქი" არა, „სამტრედე" მაინც უნდა იყოს, ან „თახჩას"[23] და — „უჯრას"[24] რატომ აიგივებენ, ანდა „მრავალთახჩიანი" გამოქვაბულები რატომ ეჩვენებათ „უცნაურ არქიტექტურულ ქმნილებად"[25].

ვიდრე ამ საკითხზე რამეს ვიტყოდეთ, ზემოაღქმულის ნათელსაყოფად, ვ. ლავროვის წიგნიდან, რომლითაც გ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს მოგვყავს როგორც ავტორისეულ რეპროდუქციებს (იხ. ტაბ. II, 3, 4, 5, 6), ისე ამონაწერს: „Традиция украшать одну из угловых башен нишками пережиточно сохранилось и в дальнейшем, когда бытовое значение этого приёма было забыто. Нишки часто использовались птицами (главным образом голубями), для устройства гнезд, отчего и самые здания получили свое нынешнее название каптархана, что значит голубятня. Примерами могут служить угловые башни Ильгельды в Хорезме и др.

В более позднем жилом доме Средней Азии с каптархана в ее бытовом значении можно сравнить михманхана — комнату для приема гостей,

---

[21] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

[22] იქვე, გვ. 166.

[23] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „თახჩის" შესახებ გვაუწყებს: „თახჩა" (თახჩები) არაბ. სპარ. თაკჩა „პატარა თარო", „ნიში" (კედელში დატანებული, გამოჭრილი ჯარაფა) ჭურჭლისთვის ეული და თაროებისთვის, ჭიქებისა, სურსათისა და სხვ. შესანახავად 1955, ტ. IV, გვ. 353—364.

[24] სიტყვა „უჯრა" განმარტებულია „უჯრა" (უჯრისა) გამოწეული განსხვავებული რამის შესანახი ყუთი (მაგიდისა, კარადისა, 1960, ტ. VI, გვ. 1755).

[25] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

обычно богато украшенную и иной раз расположенную во втором этаже. т. е. выделенную из всех остальных комнат жилого дома"[26].

ე. ი. ფოტოებიდან, მოტანილი ციტატიდან ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში შუა აზიაში მტრედებისათვის ხალხი სპეციალურად კი არ აშენებდა მრავალთახჩიან შენობებს, როგორც ეს ლ. მარუაშვილმა, კ. ხარაძემ და სხვებმა გაიგეს, არამედ თვით მტრედები ეპატრონებოდნენ მანამდე ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ნანგრევებად ქცეულ, უცნობი დანიშნულების შენობების მრავალთახჩიან კედლებს და ხალხმა, როგორც ვ. ლავროვი ამბობს, სახელი „კაპტარხანა" ანუ „სამტრედე" სწორედ ამიტომ შეარქვა მათ[27].

როგორც ლ. ყიფშიძის დასახელებული ნაშრომიდან შევიტყვეთ, ასევე მოუვიდათ ანის მრავალთახჩიანი გამოქვაბულების და ხუვახის თახჩიანი ნაგებობის ხილვისას ნ. მარს და ნ. ტოკარსკის[28]. რასაც ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე. ანგარიშსაც არ უწევენ.

თუ შევადარებთ „კაპტარხანისა" (ტაბ. II. 5—6)[29] და ვარძიის № 70 გამოქვაბულის თახჩებს (ტაბ. I. 3, 4), ისინი როგორც სიდიდით, ისე მოხაზულობით აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამას გ. გაფრინდაშვილიც გრძნობს. ამიტომ მკვლევარი უკან იხევს, უარყოფს ვარძიის მრავალთახჩიანი გამოქვაბულის საცხოვრებელი ფუნქციას და აცხადებს „მართალია, ვარძიის თახჩიან გამოქვაბულს" ამგვარ დანიშნულებას ვერ მივცემთ. მაგრამ თუ ამ პარალელური მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ და ხალხური გადმოცემით ვიხელმძღვანელებთ, იგი უნდა იყოს ძვირადღირებული სამეურნეო საყოფაცხოვრებო საგნების საცავი"[30].

ამ დასკვნის გამო შეიძლება ვიკითხოთ: თუ მეცნიერი მრავალთახჩიანი განყოფილების დანიშნულების ახსნისას მთავარ წყაროდ ხალხურ გადმოცემას მიიჩნევს და არა თვით „თახჩას", მაშ რატომ ჰგონია მას, რომ № 70 მრავალთახჩიანი გამოქვაბული მაინცდამაინც „საცავია" და არა „აფთიაქი" ან „არქივი"? აკი ამის შესახებ თავად წერს: რომ: „По народному преданию это помещение с маленькими нишами отожествляется с аптекой, казной или с архивом"[31].

დავუშვათ, როგორც გ. გაფრინდაშვილი ფიქრობს, მრავალთახჩიანი გამოქვაბული ძვირად ღირებული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნივთების საცავი იყო, მაშ სადღა ვეძებოთ აფთიაქი და არქივი? ხომ არ შეიძლება ერთ გამოქვაბულს სამნაირი დანიშნულება ჰქონოდა? არადა რამდენად სწორია ამ გადმოცემის იმგვარი გაგება, რომ ერთი და იგივე საცავი (ამ შემთხვევაში № 70 თახჩიანი გამოქვაბული), ერთმა მკვლევარმა „აფთიაქად" მიიჩნიოს; მეორემ — „ძვირად ღირებული ნივთების სალაროდ", ხოლო მესამემ „არქივად" მონათლოს.

ჩვენი ხალხური მთქმელები 1937 წლიდან მოყოლებული, იმთავითვე, აღნიშნავდნენ მხოლოდ იმას, რომ V სართულზე არსებული „მრავალთახჩი-

---

[26] В. А. Лавров. დასახ. ნაშრომი, გვ. 91-92.
[27] იქვე.
[28] Л. А. Кипшидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 20-21.
[29] В. А. Лавров, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—90; 91, 92.
[30] Г. Гаприндашвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 65.
[31] იქვე.

ანი" ოთხკუთხედი გამოქვაბული მხოლოდდა მხოლოდ „აფთიაქია" (იხ. ტაბ. I. 3, 4) (ეს ფაქტი ქ. მელითაურსაც აქვს დამოწმებული)[32], ხოლო ვარძიის ტერიტორიაზე (მეორე სართული) და მის მახლობლად მდებარე წრიული ფორმის (ბერის ხევი, ზედა ვარძია, წყალსადენის ტრასა) თახჩიანი გამოქვაბულებიდან ზოგი „სალარო", ზოგიც არქივი"[33].

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ მიერ დამოწმებული ცნობები მომდევნო წლებში ვარძიის არქიტექტურული სინამდვილითაც დადასტურდა. ასე, მაგალითად: ჩვენ მიერ აღწერილია № 70 თახჩებიანი გამოქვაბული სრულიად განსხვავდება № 106 თახჩებიანი გამოქვაბულისაგან იმით, რომ პირველი ოთხკუთხედია (ტაბ. I. 3, 4), ხოლო მეორე წრიული[?] კონსტრუქციისა. ამასთან, პირველში, ჰიგიენური თვალსაზრისით თახჩები იატაკიდან 50—78 სანტიმეტრითაა დაშორებული (ტაბ. I, 3, 4), მეორეში აღნიშნული წესით დაცული არაა, პირიქით, თახჩები იატაკიდან იწყება და ჭერამდე აღწევს. ასევე, პირველს განათება და შესასვლელი სამხრეთის მხრიდან ჰქონია (ტაბ. I. 5) იხ. რეკონსტრუქცია... (ხოლო მეორეს — ერდოებით ხისკიბით ჩასასვლელი ზემოდან აქვს ისე როგორც ეს ბერისხევის კომპლექსის ანალოგიურ გამოქვაბულებშია[34]. გარდა ამისა, განსხვავება თვით თახჩების ფორმისა და სიდიდეშიცაა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ შრომებში ამ დეტალებს გ. გაფრინდაშვილიც და ქ. მელითაურიც შენიშნავენ, მაგრამ რატომღაც ყურადღებას არ უთმობენ, ან სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ. ჩვენ კი გვგონია, რომ აქ საქმე გვაქვს ორი ტიპის — სხვადასხვა დანიშნულების მქონე თახჩებიან გამოქვაბულებთან, რომელთაგან № 106 საგანგებო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, და თუ აქვე მოვიშველიებთ ივ. ჯავახიშვილის განმარტებას „სალაროს" თაობაზე, „სადაც დაცული იყო ფული, განძეულობა, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები, რაც კი მოეპოვებოდა მონასტერს, უეჭველად სხვანაირად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რათა დაცული ჰქონოდათ ყოველგვარი ხელყოფისაგან"[35].

ამგვარად, თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს სხვა მონასტრების მსგავსად, ვარძიის სამეფო მონასტერსაც „აფთიაქის" გარდა, ჰქონდა თავისი როგორც განძსაცავი — „სალაროს" სახით, ისე სამეფო და მონასტრის საიდუმლო საბუთების შესანახი „არქივი", რაც ხალხური გადმოცემითაც დასტურდება, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი სწორედ № 106 კონსტრუქციის ან მისი მსგავსი გამოქვაბული უნდა ყოფილიყო, რადგან საგულისხმოა, რომ მათ ერთნაირი დაცვა დასჭირდებოდათ. ამასთან, ვფიქრობთ, რომ „სალაროს"

---

[32] ქ. მელითაური, „ვარძიის საამშენებლო ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები", 1961, გვ. 82, იგი წერს: „ნ. ნათენაძემ 1930 წ. 70-ე გამოქვაბულზე მიუთითა, რომ იგი აფთიაქს წარმოადგენს". 1937—40 წლებში ნ. ნათენაძემ და სოფ. გოგაშენში მცხოვრებმა სხვა პირებმა (იხ. ქვემოთ) ჩვენც იგივე ცნობა მოგვაწოდეს. ჩვენ. გადმოცემების მთქმელებს თავიანთი აზრი არც შემდგომში შეუცვლიათ.

[33] მთქმელები: იოანე მეძმარიშვილი, 120 წ. 1937 წ., კიკილა ყორღანაშვილი-ბარათაშვილისა, 85 წ., 1940 წ., კონა მერაბიშვილი, 115 წ., თომა გოგოლაძე 95 წ., 1938 წ. სოფ. ხიზაბავრა, სტეფანე ხუციშვილი, 112 წ. 1938 წ. სოფ. ჭაჭკარი, ნ. ნათენაძე, 40 წ., გ. ნათენაძე 80 წ., გ. ნათენაძე, 75 წ., 1937—40 წწ. სოფ. გოგაშენი, ა. ოქრომჭედლიშვილი 75 წ., 1940 წ., სოფ. ვარგავი, ლ. ბედგენიძე 80 წ., 1940 წ., სოფ. ზველე, შ. ასლანიძე, 84 წ. სოფ. სარო; კონა მერაბიშვილი, 85 წ. სოფ. ბნელა და სხვ...

[34] ქ. მელითაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 80, სურ. 137.

[35] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატ. კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 87.

და განსაკუთრებით „არქივს“ განმასხვავებელი დეტალებიც ექნებოდათ (ვგულისხმობთ თახჩების სიღრმესაც). ეს საკითხი საინტერესოა და მომავალში ცალკე შესწავლას საჭიროებს.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და გადმოცემას უნდა ვენდოთ, მაშინ შეიძლება მისი ასაკიც განვსაზღვროთ. სახელდობრ, იგი იმ დროის უნდა იყოს, როცა ვარძიაში სამივე დაწესებულება — „აფთიაქი“, „სალარო“ და „არქივი“ ერთდროულად მოქმედებდა. მაგრამ, როცა მტრების შემოსევის გამო ვარძია გაძარცვეს, გაპარტახდა, ირგვლივ მდებარე სოფლებში ცხოვრება შეწყდა. ამას თან მოჰყვა 1283 წლის მიწისძვრით გამოწვეული უბედურება, ვარძია დაინგრა, შემდგომში მათ თავიანთი ფუნქცია ვეღარ აღიდგინეს (ტაბ. I. 5). მიუხედავად ამისა, ხალხმა მათი სახელები გადმოცემაში ცოცხალი სახით მაინც შემოგვინახა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ოთხკუთხედი გამოქვაბული (№ 70) „აფთიაქია“, ხოლო წრიული (№ 106) „სალარო“, ან „არქივი“. იქნება სომხეთში, დ. ყიფშიძის მიერ ზემოთ დასახელებული ანის ოთხკუთხედი და წრიული თაღის მაგვარი გამოქვაბულების არსებობის ფაქტიც ამგვარი გარემოებით იყო განპირობებული.

ჩვენთვის გაუგებარია ის გარემოება, რომ გ. გაფრინდაშვილი საკითხის განხილვისას რატომღაც კმაყოფილდება შუა აზიის მაგალითით და გვერდს უვლის არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ საერთოდ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებულ ისეთ არქიტექტურულ ნაგებობათა არსებობის ფაქტებს, რომლებიც რამდენადმე წააგავს ვარძიის მრავალთახჩიან გამოქვაბულებს[37-39].

ჩვენი დაკვირვებით, სამცხე-ჯავახეთში, როგორც დარბაზს, ისე ბანიან, კარაპნიან და ოდა სახლებს, გარდა იმისა, რომ გვერდით ჰქონდათ (ზოგიერთ სოფელში დღესაც აქვთ) სათანადო სათავსები, მარნის ან საკუჭნაოს სახით, თვით საცხოვრებელ ოთახს შესამკობად თუ მოსართავად ორ-სამ კედელზე, რამდენიმე რიგად ჯამ-ჭურჭლისა და ძვირფასი ნივთების დასალაგებლად უკეთებდნენ სხვადასხვა ზომის და ოდენობის თახჩებს („სარკმელს“) ან თაროებს.

ასევე, ჭილაშვილების კოშკებიანი სასახლის ერთ-ერთი დარბაზი (დუშეთი) რომლის სამი კედელი მრავალი თახჩითაა დამშვენებული, გადმოცემის მიხედვით განკუთვნილი ყოფილა თვალსაჩინო ნივთების გამოსაფენად და სხვ.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მასალები აშკარად მიუთითებენ, რომ ჩვენში შენობის აგებისას, საჭიროებისამებრ, არა მარტო კედლების შესამკობად და ჯამ-ჭურჭლის დასალაგებლად, არამედ საექიმო მიზნითაც როგორც გამოქვაბულში ისე სიგანგებო დანიშნულების სათავს-ნაგებობაში აკეთებდნენ და პრაქტიკულად იყენებდნენ როგორც თაროს, ისე თახჩას. იმავე მასალებით ვეცნობით, აგრეთვე, რომ როგორც თახჩაში ისე თაროზე დებდნენ სამკურნალო ნედლეულით სავსე თიხის ჭურჭელს, მინის ქილებს, ხის ყუთებს, ნაჭრიდან შეკერილ პარკებს[40], საექიმო იარაღს, ხელსაწყოებს და იმ მასალას, რომელიც სჭირდებოდა მკურნალს პრაქტიკული საექიმო საქმიანობისათვის.

---

[37] ალ. ყაზბეგი, მოძღვარი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1946, გვ. 497.
[38] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, 1955, გვ. 353—354.
[39] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940, გვ. 11.
[40] ნ. მანდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, 1981, გვ. 13.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ვარძიის მშენებლებმა, ჩანს, იხელმძღვანელა ქართულ ხუროთმოძღვრებაში უკვე მანამდე არსებული, მშენებლობაში დაფუძნებული და ღრმად ფესვგადგმული წესებით. ამისათვის მან „ათთიაქის", „სალარის" და სხვა სპეციდანიშნულების მქონე მრავალთახჩიანი გამოქვაბულების გამოკვეთისას, ნაგებობა უფრო მტკიცე და გამძლე რომ ყოფილიყო, ხაზილობრივ უარი თქვა თაროზე და იხელმძღვანელა თახჩის გამოკვეთის წესით. ამასთან, ვფიქრობთ, გაითვალისწინა რა ზოგიერთი გამოქვაბულის ფუნქცია-დანიშნულების საკითხი. თახჩის ზოგ გამოქვაბულში დაეკისრა არა მარტო დეკორის როლი, არამედ სათავსისაც ასევე. იმავე პირობითაა ნაკარნახევი ის გარემოება, რომ „ათთიაქში" (№ 70) მრავალთახჩიან ოთხკუთხა გამოქვაბულში), ჰიგიენური თვალსაზრისით, იატაკიდან 50—78 სმ დაშორებული (ტაბ. I, 3, 4) სხვადასხვა ზომის, ფორმისა და სიღრმის თახჩებია გამოკვეთილი. ისინი თავის დროზე ადვილი მისადგომი ყოფილა. „სალარი" კი, ჩვენი მონაცემებით, (№ 106 წრიული მრავალთახჩიანი გამოქვაბულში) პირიქით — ერთნაირი ზომის თახჩები იატაკის პირას იწყება და ჭერამდე აღწევს. ამასთან შეუვალობის მიზნით, მას ერდო და ზემოდან მოძრავი ხის კიბით ჩასასვლელი ჰქონია[41].

ზემოთქმულს ხაზს ვუსვამთ იმის გამოც, რომ საღლეისოდ, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე საქართველოს სხვა კუთხეში კულტურულ ცხოვრებაში შეიცვალა არა მარტო ადამიანთა ცხოვრების წესი, არამედ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაც და მშენებლობის დროს უკვე თანდათანობით დავიწყებას ეძლევა ნაგებობის ისეთი ელემენტი, როგორიცაა სათავსო-დეკორი — „თახჩა". ნუთუ ეს გარემოება აძლევთ უფლებას ლ. მარუაშვილსა და კ. ხარაძეს, რომ „ვარძიის თახჩიან" გამოქვაბულს (№ 70) „უცნაური არქიტექტურული ქმნილება"[42] უწოდონ?!

ამგვარი გაუგებრობა არ მოხდებოდა, რომ თავის დროზე, ერთი მხრივ, ჩვენს რეცენზენტს, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად კეთილსინდისიერ მკვლევართ — გ. გაფრინდაშვილსა და კ. მელითაურს, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვარძიაში ყურად ეღოთ ამ მიმართებით არსებული ეთნოგრაფიული მონაცემები, სათანადოდ შეეფასებინათ ისინი, მათი მოპოვებისა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით შეფასების უფლება ამ 33 წლის მანძილზე (მას შემდეგ, რაც ჩვენი სტატია გამოქვეყნდა) არც ლ. მარუაშვილისთვის და არც კ. ხარაძისათვის არავის შეუზღუდავს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გ. გაფრინდაშვილი დასახელებულ მონოგრაფიაში ჩვენი შრომის შესახებ წერს: „Однако предположительная реконструкция пещер не характерна для Вардзии, а приведенные материалы и сведения не доказывают соображения автора"[43].

რა შეიძლება ითქვას, ჩვენს შრომაში გამოქვეყნებულ კ. მელითაურის მიერ შესრულებულ ნახაზის ჭრილსა და რეკონსტრუქციაზე (ტაბ. I. 1, 2, 5) რომელიც თავის დროზე ჩვენი თხოვნით გაკეთდა და შემდეგში 1961 წ., ავტორმა თვითონაც გამოაქვეყნა უცვლელად ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ თა-

---

[41] კ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, 1961, გვ. 80, 81. სურ. 137.

[42] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

[43] Г. Гаприндашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ვის წიგნში. რამდენადაც ვიცით, დღემდე ამ წიგნზე ან რეკონსტრუქციაზე უარყოფითი რეცენზია (გარდა გ. გაფრინდაშვილის ზემოაღნიშნული განცხადებისა) არ შეგვხვედრია. რაც შეეხება გ. გაფრინდაშვილის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ნაშრომში მოტანილი მასალა და ცნობები ვერ ადასტურებს ავტორის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე, სადღეისოდ საკამათოდ აღარ მიგვაჩნია, რადგან მასში არსებული მასალების მიხედვით, მედიცინის ისტორიის სპეციალისტებმა ვარძიის მრავალთახიანი გამოქვაბული სცნეს „აფთიაქად". ამასთან, მ. შენგელიამ ორჯერ შეიტანა „ვარძიის აფთიაქი" სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში[44] და ასევე მოიხსენია მან იგი ერთ-ერთ თავის წერილში[45].

დ. ხახუტაიშვილი ვარძიის აფთიაქს ადარებს უფლისციხის „თახჩებიან დარბაზს" და მასაც აფთიაქად თვლის[46]. ასევე, ვარძიის მრავალთახიან გამოქვაბულს" აფთიაქად მიიჩნევს ლ. მენაბდე[47] და სხვ

მოხდა ასეთი კურიოზიც. პროვიზორმა ს. სალუქვაძემ, ერთ-ერთმა ჩვენმა „მიმდევარმა" (როგორც მას ჩვენი ოპონენტები უწოდებენ) ჩვენი სამი სტატია (20, 48, 49) გააერთიანა და ქართულ-რუსულად, ერთ წიგნად გამოსცა, როგორც საკუთარი ნაშრომი, საერთო სათაურით „ვარძია — წამლის სახლი"[50]. მას. გ. აბაშიძემ აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა და მოითხოვა: „ნაშრომი ითარგმნოს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. გამოიცეს გაზრდილი ტირაჟით"[51], და ეს მოთხოვნა შესრულდა კიდეც[52].

ს. სალუქვაძის მამხილებელი რეცენზია უკვე გამოქვეყნდა[53] და ამის შესახებ, ვფიქრობთ, აქ სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს

ზემოაღნიშნულის შემდეგ ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე ბრალს გვდებენ იმაში, თითქოს სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობაში „აფთიაქის ვერსია" ჩვენი ჰიპოთეზის გავლენით გავრცელდა. აი, რას წერენ ისინი ამის შესახებ: „როგორც ვარძიის ისევე წინარეხის „უჯრებიანი ნაგებობანი" დიდი ხნის წინათ (ალბათ, XII—XIII საუკუნეებში) არის შექმნილი და მათი დანიშნულების შესახებ ადგილობრივ მოსახლეობაში ბოლო დრომდე არავითარი გადმოცემა ან ცნობა არ იყო დაცული. 1958 წლიდან კი, პ. ფირფილაშვილის გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ვარძიის „აფთიაქის" ლიტერატურასა და ხალხის წარმოდგენებში ფეხს იკიდებს ჰიპოთეზა „უჯრებიანი ნაგე-

---

[44] მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970, გვ. 126.

[45] მ. შენგელია, უძველესი ქართული აფთიაქი, „დროშა", № 1, 1972, გვ. 15.

[46] დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, 1963, თბ., გვ. 32.

[47] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი II, 1962, გვ. 504, 449, 554.

[48] პ. ფირფილაშვილი, [illegible] და სამთავროში არქეოლოგიური თხრისას აღმოჩენილ გველისგამოსახულებიანი ჭურჭლების დანიშნულების შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957, 377—383.

[49] პ. ფირფილაშვილი, არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ზოგიერთი სააფთიაქო იარაღის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 4, 1957, გვ. 495—502.

[50] ს. სალუქვაძე, ვარძია — წამლის სახლი, თბ., 1979, გვ. 5—29.

[51] გ. აბაშიძე, ს. სალუქვაძე, — „ვარძია — წამლის სახლი", „საბჭოთა მედიცინა", № 6, 1979, გვ. 64.

[52] ს. სალუქვაძე, ვარძია — წამლის სახლი, თბ., 1981, გვ. 3—155.

[53] მ. შენგელია, ბ. კეზერაძე, პ. ფირფილაშვილი, მეტი სიზუსტისა და კეთილსინდისიერებისათვის მეცნიერებაში, „საბჭოთა მედიცინა", № 2, 1982, გვ. 64—67.

ბობის“ სააფთიაქო დანიშნულების შესახებ. გამონაკლისია სოფ. წინარეხის მცხოვრებთა შეხედულება იქაურ „უჯრებიან ნაგებობაზე“, როგორიც სამტრედეზე (როგორც ჩანს, ეს შეხედულება ტრადიციულია, ე. ი. ადგილობრივ ზეპირ გადმოცემას ემყარება), რაც შეეხება მესხეთს (სამცხეს. — პ. ფ.), აქ „აფთიაქის ვერსია პ. ფირფილაშვილის ჰიპოთეზის გავლენით გავრცელდა ადგილობრივ მოსახლეობაში (ბოლო 25 წლის განმავლობაში)“[54].

ეს ამონაწერი მოვიტანეთ არა იმის დასტურად, რომ მკითხველი ერთხელ კიდევ დაგვერწმუნებინა იმაში, რომ ავტორები ვერ ერკვევიან „უჯრისა“ და „თახჩის“ რაობაში (ეს წერილის ყოველი აბზაციდან ისედაც ჩანს). არამედ უფრო იმისათვის, რომ ისინი თავად ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს, ამასთან, იბნევიან და რაც მთავარია, აბნევენ მკითხველსაც...

ნუ გვიწყენენ ჩვენი ოპონენტები თუ ვკითხავთ: 1. მოტანილი ციტატის რომელი ნაწილია უფრო სანდო და სარწმუნო? დასაწყისი, სადაც ისინი ამტკიცებენ, რომ არც წინარეხის მრავალთახჩიან ნაგებობაზე და არც ვარძიის მრავალთახჩიან გამოქვაბულზე ხალხში არავითარი ცნობა არაა დაცული, თუ მისი მომდევნო ნაწილი, სადაც ისინი ამტკიცებენ, რომ წინარეხის მრავალთახჩიანი ნაგებობა ხალხის გადმოცემით „სამტრედეა“.

2. რა მონაცემებს ეყრდნობიან ავტორები, როცა აცხადებენ, რომ სამცხის მოსახლეობაში „აფთიაქის ვერსია — პ. ფირფილაშვილის ჰიპოთეზის მიხედვით გავრცელდა? რატომ არ ასახელებენ ამის კონკრეტულ მაგალითს? ნუთუ ხალხი ამგვარ პატივს მიაგებდა იმხანად დამწყებ, ახალგაზრდა მკვლევარს და მის ნაშრომს? თუ ეს ასე იყო, რატომ ვერ მიაღწია პ. ფირფილაშვილის ჰიპოთეზამ წინარეხამდე? ჩვენ ხომ ეს ძეგლიც ვარძიის პარალელურად, იმავე დროს, მრავალგზის მოვინახულეთ[55].

3. რატომ არ ასახელებენ იმ პირებს, რომლებიც წინარეხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ზეპირი გადმოცემის სახით ადასტურებენ დასახელებულ რაიონში, აღნიშნულ ებანზე „აფთიაქის“ ან „სამტრედის“ არსებობის საკითხს?

4. რა მონაცემების საფუძველზე მიიჩნევენ წინარეხის უჯრებიან ნაგებობას XII—XIII სს. ძეგლად[56] და სხვ.

5. რატომ გაჰყვნენ ასე ბრმად — „პ. ფირფილაშვილის კვალს მედიცინისა და ფარმაკოლოგიის სხვა სპეციალისტები, რომლებიც დარწმუნებით ამტკიცებენ ვარძიის უჯრებიანი გამოქვაბულის აფთიაქობას“[57]?

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ თუ რა როლი შევასრულეთ ვარძიის „მრავალთახჩიანი გამოქვაბულის“ დანიშნულების გარკვევის საქმეში. ჩვენ პირველად 1949 წელს ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში საქალაქო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში საჯაროდ ვთქვით, რომ ხალხის გადმოცემით, ვარძიის სამონასტრო ანსამბლში V სართულზე არსებული № 70 „მრავალთახჩიანი გამოქვაბული“ იყო „აფთიაქი“[58].

---

54 ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, კ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—146.

55 პ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, [illegible] ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახჩიანი ნაგებობის დანიშნულების საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1988, გვ. 115.

56 პ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, [illegible] ნასახლარზე..., გვ. 117.

57 ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, კ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

58 პ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები დასტაქრობის განვითარების ისტორიიდან, საქართველოში, თბ., 1949, გვ. 80—81.

უფრო მოგვიანებით კი, 1958 წ. გამოვაქვეყნეთ ზემოთ დასახელებული შრომა, რომელშიც სათანადო ლიტერატურასთან ერთად, შევიდა მრავალთახჩიანი გამოქვაბულის პირველი აღწერილობა (ც. მელითაურის რეკონსტრუქციით, სათანადო ილუსტრაციებით), თახჩების კლასიფიკაცია და მათი დანიშნულების განსაზღვრა. ამასთან, ერთ დროს მეცნიერთაგან უყურადღებოდ მიტოვებული და მათ მიერ მეცნიერულ ლიტერატურაში „უცნობი მრავალთახჩიანი გამოქვაბულის" სახელით არსებული გამოქვაბული ყურადღების ცენტრში მოვაქციეთ და დავუბრუნეთ ხალხის მიერ შემონახული მისი პირვანდელი სახელი „აფთიაქი"[59].

ასე, რომ ჩვენ საზოგადოების ყურადღება ვარძიის „აფთიაქზე" გავამახვილეთ არა 1958 წელს, როგორც ამას ოპონენტები აღნიშნავენ, არამედ 1949 წელს[60]. და „მომხრეებიც" თუ ლ. მარუაშვილის და კ. ხარაძის გამოთქმას ვიხმართ ჩვენ 1949 წლიდან უნდა გაგვჩენოდა და არა 1958 წლიდან. ისიც აღსანიშნავია, რომ ლ. მარუაშვილისა და კ. ხარაძის მიერ ზემოთ დასახელებულ (მ. შენგელია, ს. სილუქაძე და სხვ.) ავტორთა გარდა (რომლებიც, მათი თქმით „ჩვენს კვალს გაჰყვნენ"), მთელმა რიგმა სხვა ავტორებმა გამოაქვეყნეს შრომები, სადაც ისინი მიუთითებენ, რომ ვარძიაში არსებობს „აფთიაქი", ჩვენს გვარს კი არ ასახელებენ; ასე, მაგალითად, 1951 წ. გამოვიდა გ. ტყეშელაშვილის წიგნი „ვარძია", გზამკვლევი (რუსულ ენაზე), რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ „თახჩიანი გამოქვაბული" უნდა იყოს „აფთიაქი", „განძსაცავი" ან „არქივი"[61].

1952 წ. გამოიცა ზ. შენგელიას „ქართული სამკურნალო მცენარეები", სადაც ავტორი ზოგადად აღნიშნავს, რომ ვარძიაში არსებობს „აფთიაქი"[62]. მომდევნო ხანის შრომებშიც იგი ამ აზრს იმეორებს დაბეჯითებით, ისე, რომ ჩვენს ვინაობას და შრომას არსად არ უთითებს. ზ. შენგელიას ასევე არ აქვს მინიშნებული აფთიაქის ადგილსამყოფელი, არც იმას მიანიშნებს თუ რომელი გამოქვაბულია აფთიაქი, მის აღწერილობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ავტორთა კოლექტივი (კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია და სხვ.) არა თუ 1952 წ. არამედ 1955 წელსაც კი V სართულზე მოთავსებულ № 70, „მრავალთახჩიან გამოქვაბულს" „უცნობი დანიშნულების მრავალთახჩიან გამოქვაბულად" მიიჩნევდნენ[63]. ისინი ხალხურ გადმოცემას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ.

ზოგიერთი განაწყენებული ავტორი ამ ბოლო ხანს, ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესახებ ცნობას ახლა ზ. შენგელიას მიაწერს[64]. სამწუხაროა, რომ მას ბაძავს ზოგიერთი სხვა სოლიდური ავტორიც[65]. ხალხურ გადმოცემა-

59 ა. ცირეკილაშვილი. ვარძიის „თახჩიანი გამოქვაბულის" დანიშნულებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XXI. № 3, 1958, გვ. 382 (377—384).

60 ა. ცირეკილაშვილი, ნარკვევები..., გვ. 80—81.

61 Г. Н. Ткешелашвили. Вардзиа, 1951, с. 119.

62 ზ. შენგელია, საქართველოს სამკურნალო მცენარეები, 1952, გვ. 4.

63 კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ., 1955, გვ. 92.

64 ს. სილუქაძე. წამალმკეთებლობა ძველ საქართველოში და მისი შეფასების განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. 1957, გვ. 120.

65 მ. აბდუშელიშვილი, [illegible] ანთაძე, საქართველოს [illegible], თბ., [illegible], გვ. 16.

ზე და პ. ფირფილაშვილზე კი არაფერს ამბობენ. ასევე, 1977 წ. გამოცემულ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" ჩვენთვის უცნობი ავტორი თავის წერილში „აფთიაქი" წერს, რომ „ვარძიაში კლდეში ამოკვეთილია სათავსები, რომლებიც ა-ის დანიშნულებას ასრულებდა"[66] და სხვ. ჩვენს შესახებ კი არაფერს ამბობს.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ვასაგებია, რომ — ვარძიაში აფთიაქის არსებობაზე, პ. ფირფილაშვილს არავითარი ჰიპოთეზა არ შეუთხზავს. პირიქით — იყო, არის და ალბათ დარჩება ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეებში ვარძიაში არსებობდა „აფთიაქი", „სალარო" და „არქივი".

ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე, გარდა ზემოთ დასახელებული ბრალდებისა, გვიძლევენ მთელ რიგ კითხვებს, რომელთა შინაარსი (მკითხველი ამაში თავადაც დარწმუნდება) გვაფიქრებინებს, რომ მათ არათუ კონკრეტულად, არამედ ზოგადადაც კი ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ მედიცინის ისტორიის იმ საკითხებზე, რომლებზედაც დაობენ. ამიტომ, მკითხველი რომ არ გადავღალოთ, ზოგადად გავცემთ პასუხს.

ქვემოთ მოგვაქვს ლ. მარუაშვილის და კ. ხარაძის კითხვები და პარალელურად ჩვენი პასუხები:

1. „რატომ არის თახჩები სამ კედელზე განლაგებული, მეოთხე კი ფართოდაა გაღებული?"[67]

ვარძია, 1283 წლის მიწისძვრის შედეგად ნაწილობრივ დაინგრა და, ვინც იქ ერთხელ მაინც ყოფილა და „აფთიაქი" უნახავს, დაგვეთანხმება, რომ მისი „მეოთხე კედელი ფართოდ კი არაა გაღებული" არამედ, როგორც ვარძიის დანარჩენი გამოქვაბულების სამხრეთი კედლები, ჩამონგრეულია. ჩვენს სტატიაში კი ამის შესახებ მითითებულია: „სამხრეთი კედლის ნაწილი რამდენიმე თახჩით ჩამონგრეულია. აქ დარჩენილია 16 პატარა და 1 დიდი თახჩა" (ტაბ. I.3)[68].

ამასთან რეკონსტრუქციის (ტაბ. I. 5). მიხედვით, ჩამონგრეულია არა მარტო № 70 „მრავალთახჩიანი გამოქვაბულის" სამხრეთი კედელი, არამედ მის წინ, სამხრეთით მდებარე №70[1] გამოქვაბული მთლიანად. მათ შორის გასასვლელიც. ასევე ჩამონგრეულია № 70 გამოქვაბულის დასავლეთით მდებარე № 71 (ნაწილობრივ), მის წინ და სამხრეთით № 71[1] და აღმოსავლეთით მდებარე № 69 გამოქვაბულის წინ და სამხრეთით მდებარე № 68 გამოქვაბულიც, გასასვლელი დერეფნებითა და შესასვლელი კარით. ასე, რომ, თუ წარმოვიდგენთ: მტრები სამხრეთის მხრიდან ჯერ უნდა შეჭრილიყვნენ სადღეისოდ უკვე ჩამონგრეულ გამოქვაბულებში, გაევლოთ სათანადო დერეფანი და შემდეგ მათ შორის არსებული კარით შეჭრილიყვნენ სადღეისოდ შემორჩენილ მრავალთახჩიან № 70 გამოქვაბულში. რამდენადაა ჩვენი ოპონენტების ამგვარი მტკიცება სინამდვილესთან ახლოს, ეს მკითხველმა თავად განსაჯოს, ჩვენ კი იმას ვიტყოდით, რომ ამგვარი ხვეული გზებით სიარული ჯერ ერთი მტრებს კი არა თვით ჩვენს ოპონენტებსაც დაამწყვეტს. მეორე: მშენებლებს რატომ უნდა დასჭირებოდათ ასე ღრმად, გამოქვაბულის შიგნით მის სიღრმეში სამტრედეების მოწყობა?!

---

[66] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, 1977, გვ. 16.
[67] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.
[68] პ. ფირფილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 390.

2. „რატომ არის თახჩები მცირე მოცულობის, მათში ხომ წამლის მოზრდილი ჭურჭლები ან მედიკამენტების დიდი რაოდენობა ვერ შეეტევა“[69]?

ვარძიის აფთიაქში, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 192 პატარა და 5 დიდმა თახჩამ[70]. თავის დროზე ისინი მათი ფორმის, ზომის და დანიშნულების მიხედვით, ჩვენ პირობითად სამ ჯგუფად დავყავით. პირველს მივაკუთვნეთ 192 პატარა თახჩა, რომლებიც კედელში თაღის მაგვარადაა გამოკვეთილი (ერთ-ერთი მათგანის ზომები ასეთია: სიგრძე 20 სმ. სიმაღლე 19 სმ სიღრმე 16 სმ)[71].

მეორე ჯგუფში მოვათავსეთ აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში გამოკვეთილი მოგრძო, ოთხკუთხედის ფორმის (თაროსმაგვარი) თახჩები. სამხრეთი კედლის თახჩის სიგრძე 106 სმ., სიმაღლე 23 სმ. სიღრმე 19 სმ.[72]

მესამე ჯგუფს მივაკუთვნეთ აღმოსავლეთი კედლის თაღისმაგვარად გამოკვეთილი დაბალი თახჩა (ტაბ. I. 3), რომლის სიგრძე 94 სმ-ია, სიმაღლე 18 სმ, სიღრმე 17 სმ[73].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თახჩების გამოკვეთისას (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) ერთგვარი წესია დაცული (ვფიქრობთ, ჰიგიენური თვალსაზრისით), ე. ი. თახჩის პირველი მწკრივი იატაკიდან დაშორებულია აღმოსავლეთ კედელზე საშუალოდ 50 სმ-ით, ჩრდილოეთ კედელზე 70 სმ-ით, დასავლეთ კედელზე — 78 სმ-ით, სამხრეთ კედელზე — 56 სმ-ით[74].

აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე კედლების ძირში (ტაბ. I. 3, 4) კედლიდან ოდნავ მოშორებით, იატაკზე თითქმის ერთნაირი სიღრმის (14 სმ) და რადიუსის (10 სმ) პატარა ორმოებია ამოკვეთილი[75]. ვარძიის გამოქვაბულებში ასეთი ორმოები, სპეციალისტთა აზრით, განკუთვნილი ყოფილა თიხის ჭურჭლების დასადგმელად[76] და ჩვენც იმხანად ეს მოსაზრება გავიზიარეთ. ჩვენი ოპონენტები კი მათ — მტრედებისათვის „საკენკის ჩასაყრელ სათავსებად“[77], „საწნახელად“[78] და სხვ. მიიჩნევენ.

ჩვენი შრომიდან თახჩების აღწერილობის მოტანა იმ გარემოებამ გვიკარნახა, რომ ოპონენტები მეორე-მესამე ჯგუფის თახჩებს არა თუ გამოყოფენ არამედ საერთოდ ყურადღებასაც არ აქცევენ. ალბათ, იმ მოტივით, რომ მკითხველმა არ იკითხოს სამტრედეში სამი სხვადასხვა ზომისა და ფორმის თახჩების არსებობა რით არის განპირობებული?

---

69 ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

70 როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მათი რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მიწისძვრის შედეგად სამხრეთით მდებარე კედლის ჩამონგრევამ და შემდგომში ეკლესიის გამო დასავლეთ კედელში სარკოფის გამოჭრამ, მათი რიცხვი საგრძნობლად შეამცირა. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ ცდა, გამოქვაბულის თახჩების რაოდენობის სრული სურათის გამოსაკვლევად მიზნით, გამოყენებული იქნეს გეომეტრიულ-მათემატიკური გამოანგარიშების მეთოდი ამ შემთხვევაში არ მიგვაჩნია გამართლებულად, თუნდაც იმიტომ, რომ თახჩებიდან ჩვენ არ ვიცით მიწისძვრამ და სარკოფის გამოჭრამ რომელი სახის თახჩები შეიწირა, ე. ი. ჩვენი გაგებით ძეგლი უნდა აღწერის იმ სახით რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია (პ. ფ.).

71 პ. ფირფილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 380—382.

72 იქვე, გვ. 380.

73 იქვე, გვ. 380.

74 იქვე, გვ. 380—381.

75 იქვე, გვ. 381—382.

76 კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი და სხვ., გვ. 97.

77 ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

78 ს. სილაქაძე, ვარძია — წამლის სახლი, გვ. 10.

ჩვენი ვარაუდით. პირველი ჯგუფის თახჩები განკუთვნილი იყო სამკურნალწამლო ნედლეული მასალის შესანახად; მეორე — მოგრძო თახჩები. წამლის დასამზადებელი ნედლეული მასალის დასამუშავებლად განკუთვნილი სხვადასხვა იარაღის შესანახი უნდა ყოფილიყო; მესამე სახისა რომელიმე ხატის ადგილსამყოფელად მივიჩნიეთ. ოპონენტებს ამგვარი ახსნა არ აწყობთ, და აღნიშნავენ — ყველა თახჩა ერთი ზომისაა და მტრედი, როგორც მონოგამური ფრინველი, თითო თახჩაში ორი ბუდობდათ. სადაა ლოგიკა? თახჩაში, რომლის სიგანე 20 სმ. სიმაღლე 19 სმ. და სიღრმე 16 სმ. ნუთუ ორი მტრედი დაეტევა. იქნებ ოპონენტებმა გვიპასუხონ რა ზომის უნდა ყოფილიყო თითოეული მტრედი, რომ იქ ბინადრობის და გამრავლების საშუალება ჰქონოდა...

ჩვენ არ ვიცით, ჩვენს ოპონენტებს ეს ე. წ. „მოზრდილ ჭურჭელში“, „მედიკამენტების დიდი რაოდენობა“, როგორ აქვთ წარმოდგენილი? ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ვისაც კი უნახავს არქეოლოგიური გათხრების შედეგად[79], ან ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ მოპოვებული საექიმო ჭურჭელი, ხელსაწყო-იარაღები[80] დაგვეთანხმება, რომ მათთვის სრულიად საკმარისია ამ ზომის თახჩები და „ორმოები“. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ზოგიერთი სახალხო ექიმი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წამლისათვის საჭირო ნედლეულ მასალას დაფშვნილს, წვრილად დაჭრილს თუ სხვა სახით შეკერილ პარკებში, სხვადასხვა სახის ყუთში, ქილაში, ქოთანში, ან კონებად შეკრულს ინახავდა, ვფიქრობთ მათ შესანახად ისინი მეტად მოსახერხებელია. არა გვგონია, რომ, თუნდაც 192 ჭურჭელში ან პარკში შენახული წამლებისათვის განკუთვნილი სამკურნალო ნედლეული მასალა, რაოდენობით ცოტა იყოს. უფრო დიდი ზომის თიხის ჭურჭლები კი, რომლებშიც ასევე სამკურნალო ნედლეული მასალა უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ალბათ, მათთვის განკუთვნილ ორმოებში იდგმებოდა, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლ. მარუაშვილისა და კ. ხარაძეს მტრედების „საკენკის“ ჩასაყრელ სათავსებად“ წარმოუდგენიათ[81].

3. „რატომ მაინცდამაინც ქრისტიანულ საკულტო ძეგლებში (მონასტრებში, ტაძრებში) აღმოჩნდა „აფთიაქები“, ხოლო საერო დაწესებულებებში (ნასახლარებში, ნაქალაქარებში) ისინი არ არის ნანახი?“[82].

ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი ლ. კოტეტიშვილი თვლის, რომ საკმაოდ განვითარებული საერო მედიცინა, თავისი სკოლებით და ექიმებით, ჰიპოკრატეზე გაცილებით ადრე არსებობდა როგორც ძველ საბერძნეთში, ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ასევე ძველ საქართველოშიც[83]. მკვლევარი, ამასთან, იმასაც დასძენს თუ რა მჭიდრო კავშირი იყო (წარმართობის დროიდან მოყოლებული) რელიგიასა და მედიცინას შორის[84]. ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება თუ ჭერჭერობით

[79] ბ. ფირფილაშვილი, თრიალეთისა და სამთავროში არქეოლოგიური გათხრისას აღმოჩენილი გველისგამოსახულებიანი ჭურჭლების დანიშნულების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957, 377—383.

[80] ბ. ფირფილაშვილი, ზოგიერთი ქართული ხალხური საექიმო იარაღი, ხელსაწყო და ჭურჭელი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 2, 1957, გვ. 235.

[81] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[82] ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[83] ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში XVI ს. „[illegible]“, 1958, გვ. 18.

[84] ლ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

საქმო დანიშნულების ისეთი ნაგებობები, როგორიცაა „აფთიაქი", „ქსენონი" და სხვ. მიკვლეულია სწორედ საკულტო ძეგლებში (ათონის ივერთა მონასტერში. XI ს, გელათში XI ს. ვარძიაში, ვანის ქვაბებში XI ს. და სხვ.). ეს გარემოება, ჭეშმარიტ მკვლევართა (ივ. ჯავახიშვილი[85], ს. ყაუხჩიშვილი[86], მ. შენგელია[87], მ. საგერაშვილი[88] და სხვ.) ყურადღების ცენტრში ყოველთვის არ იწვევს.

დღემდე არც ერთ დასახელებულ მკვლევარს და არც იმ ხანად „ქართლის ცხოვრების" ავტორს აზრად არ მოსვლიათ დაესვათ კითხვა: — რატომ ააშენა დავით აღმაშენებელმა მაინცდამაინც გელათის მონასტერთან აკადემია და ქსენონი[89].

იქნებ ამის შემდეგ ჩვენმა ოპონენტებმა თავიანთ კითხვას პასუხი თვითონვე გასცენ.

4. „რატომ ათავსებდნენ სათუთად შესანახ წამლებს კლდეში, ქვებში და არა ხის კონსტრუქციებში, სადაც მეტი სიმშრალე იქნებოდა?"[90].

„სათუთად შესანახ" წამლებს კი არ ინახავდნენ „კლდეში", „ქვებში", არამედ წამლისათვის გამოსადეგ სამკურნალო ნედლეულ მასალას შესაფერისი ჭურჭლებით ან პატარა პარკებით ინახავდნენ სპეციალურ ნაგებობაში — „აფთიაქში", რომ წლის ყოველ დროს, საჭიროებისამებრ, შეძლებოდათ მათგან წამლის დამზადება. ამასთან, სამკურნალო ნედლეული მასალა ზედმეტად რომ არ გამომშრალიყო და სამკურნალო თვისებები არ დაეკარგა, მას მარტო მშრალად კი არა გრილი შენახვაც სჭირდებოდა. ჩანს, ვარძიის მშენებელმა ეს გარემოება კარგად იცოდა და აფთიაქისათვის საჭირო გამოქვაბულიც, ალბათ, მის აღმოსავლეთ ნაწილში ამიტომ გამოკვეთა.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან აღრიდანვე დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი არა მარტო სამკურნალო-წამლო ნედლეული მასალის შესანახ სათავსის ვარგისიანობას, არამედ იმ საქიმო ჭურჭლის შერჩევასაც, რომლითაც ან რომელშიც წამალი უნდა დაემზადებიათ[91] და სხვ.

დასასრულ, გვინდა ჩვენს ოპონენტებს შევახსენოთ ისიც, რომ ძირშივე მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ვარძიის მშენებელნი და მისი მესვეურნი, მხოლოდ და მხოლოდ განსაცავებისა და სიმტკიცეების მშენებლობაზე ფიქრობდნენ და სხვა არაფერზე. ამგვარი უსაფუძვლო მტკიცება, ერთგვარი გაუბრალოებაცაა იმ ნაღვაწისა, რაც ჩვენმა წინაპრებმა ესოდენ რუდუნებით შექმნეს.

---

[85] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.
[86] ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, 1948.
[87] მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, 1970, გვ. 126.
[88] მ. საგერაშვილი, მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, ბ. რაჭველიშვილი, სამკურნალო დანიშნულების ძველი საქართველოში, „[illegible]", № 3, 1956.
[89] ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942, გვ. 210.
[90] ლ. მარუაშვილი, ტ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.
[91] ქანანელი, უსწორო კარაბადინი, 1940, გვ. 56, 61.

П. М. ПИРПИЛАШВИЛИ

ЕЩЕ РАЗ О НАЗНАЧЕНИИ ВАРДЗИЙСКОЙ «ПЕЩЕРЫ С НИШАМИ»

Резюме

В 1985 г. в трудах географического общества АН Грузии была опубликована статья Л. Н. Маруашвили и К. П. Харадзе «Каменные голубятни в средневековом Закавказье». Авторы неправильно интерпретируют книгу Д. А. Кипшидзе о пещере Ани, в которой якобы утверждается, что она является голубятней. Проводя параллель, указанные авторы Вардзийскую пещеру с нишами (Аспиндзский р-он) и постройку с нишами поселения Магаладзе (Каспский р-он) считают голубятнями. Вместе с этим, обвиняют П. М. Пирпилашвили в том, что он сам выдвинул версию о существовании в Вардзийской пещере аптеки и распространил её в Самцхе-Джавахетии.

На материале среднеазиатской архитектуры и данных археологических раскопок В. А. Лавров утверждает, что голубятнями являлись не специально построенные сооружения (табл. II рис. 3, 4, 5, 6), а голуби селились в разрушенных помещениях.

П. М. Пирпилашвили утверждает, что идентификация Вардзийской пещеры с нишами и постройки с нишами поселения Магаладзе неверна, ибо они хронологически и по назначению различаются друг от друга: Вардзийский комплекс относится к XII—XIII векам, а строения поселения Магаладзе — XVI—XVII векам. Вардзийская четырёхугольная пещера № 70 с нишами (табл. I рис. 3,4), по народным преданиям, являлась аптекой, а о постройке с нишами поселения Магаладзе в имеющихся источниках сведений нет. Этим и обусловлено разногласие автора о его назначении: С. С. Салуквадзе считает его аптекой, М. С. Шенгелия и Н. Н. Цицишвили — колумбарием, Л. Н. Маруашвили и К. П. Харадзе — голубятней, П. М. Пирпилашвили — искусственным холодильником.

Автор отмечает свою роль в исследовании Вардзийской пещеры с нишами. В 1949 г. на научных конференциях Тбилгосмединститута и Госуниверситета он впервые доложил, что в пещерах Вардзии на 5-ом этаже четырёхугольная пещера № 70, по народному преданию, являлась аптекой. В 1958 г. в Сообщениях АН ГССР (т. XXI, № 3) опубликовал первое описание Вардзийской пещеры с нишами (табл. I рис. 3, 4) в реконструкции К. Мелитаури, с план-срезом этого пещерного комплекса (табл. I рис. 1, 2, 5), классификацией её ниш и описанием их назначения. Он обратил внимание на то, что «пещера с нишами» Вардзии по народному преданию является аптекой. Это мнение разделяют все исследователи, кроме вышеуказанных двух авторов.

В заключение автор отвечает на вопросы оппонентов и отмечает, что утверждение об использовании пещер Вардзии только для хранения ценностей и в качестве голубятни для почтовых голубей является упрощением его огромного значения в истории Грузии.

P. M. PIRPILASHVILI

ONCE MORE ABOUT THE FUNCTION OF "MULTINICHE CAVE" OF VARDZIA

Summary

L. N. Maruashvili's and K. P. Kharadze's article "Stone pigeonhouses in medieval Trans-Caucasia" was published in the works of geographic society of Georgian Academy of Sciences in 1985. The authors do not quite correctly interpret D. A. Kipshidze's book about the cave Ani, as if the author says, that the cave served as the pigeon-house. Simultaneously they considers, that the multiniche cave of Vardzia (Aspindza region) and the building with niches of the Magaladze settlement (Kaspi region) represent pigeon-houses. The authors blame P. Pirpilashvili in propounding the version of the function of Vardzia multiniche cave as drugstore and spread it all over Samtskhe-Javakheti.

Taking as a basis the materials of the central Asia architecture and data of archeological excavations V. A. Lavrov asserts, that the pigeon-housers were not specially built for this purpose (table II, fig. 3, 4, 5, 6), but the pigeons settled in already destroyed buildings.

P. M. Pirpilashvili notes, that identification of the multiniche cave of Vardzia and the building with the niches of the Magaladze settlement is not correct, as they differ in their chronology and function. Vardzia belongs to the XII-XIII centuries and the buildings of the Magaladze settlement—to the XVI-XVII centuries. Multimiche cave of Vardzia (table I, fig. 3, 4), by the legend, was a drugstore and as for multiniche building of the Magaladze settlement there is no information. This caused disagreement in opinions: S. S. Salukvadze considers it drugstore; M. S. Shengelia and I N. Tsitsishvili-columbarium; L. N. Maruashvili and K. P. Kharadze-pigeon-house; P. M. Pirpilashvili-artificial cold store.

The author underlines his role in the research of multiniche cave of Vardzia. In 1949 at the scientific conferences of Tbilisi medical institute and the State University he declared, that in Vardzia, on the V floor, there is a quadreangle cave № 70 which, according to the legend, served as the drugstore. In 1958, in the Bulletin of the Academy of science of the Georgian SSR (v. XXI. № 3) P. Pirpilashvili published the first discription of multiniche cave of Vardzia (table I, fig. 3, 5), gave the plan-cut of this cave (table I, fig. 2,5) with the reconstruction by K. Melitauri, classification of its niches and the discription of its function. He noted that "multiniche cave" of Vardzia by the legend was a drugstore. This opinion is share(by all the rescarchers except L. Maruashvili and K. Kharadze.

In conclusion author answers the opponents' questions and notes, that the assertion about application of Vardzia caves only as repository of values and as pigeon-house for carrier-pigeons, means simplification of its great importance for the Georgian history.

Т. С. ЦОЛОЕВ

ЭКОНОМИЧЕСКИЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ МЕЖДУ ЧЕЧЕНО-ИНГУШЕТИЕЙ И ГРУЗИЕЙ

(I—XVIII вв.)

Вейнахи (чеченцы и ингуши) являются аборигенами центральной части Северного Кавказа, с незапамятных времен имевшими тесные экономические, политические и культурные взаимоотношения с внешним миром — со странами Закавказья, Передней Азии, Северного Причерноморья и Южной Руси. Эта этническая группа известна под названием «кусты»[1], «кисты»[2], «сохоки»[3], «дзудзук-глигвы»[4], «нахчи»[5] и «гаргарей»[6].

Согласно материалам Е. И. Крупнова[7] и других, центральный Северный Кавказ, в том числе Чечено-Ингушетия, являлись перекрестком мирового значения.

По наблюдениям того же автора, Кавказ как древнейший очаг медно-бронзовой металлургии имеет тесные связи с культурой Древнего Востока с IV тысячелетия до н. э. Эта культура постепенно развивается во взаимоотношениях с Малой Азией, Месопотамией, Ираном, Юго-Восточной Европой и Северным Кавказом[8].

Обнаруженный в Чечено-Ингушетии (Дубай-Юрт, Хорочой и др.) материал, относящийся ко второму тысячелетию до н. э., имеет большое сходство с грузинским археологическим материалом.

ნავს, კლასიკური სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიების პარალელურად საქართველოში მათი გაუბრალოებული ვარიანტებიც იქმნებოდა. კონდამიანის კლდის ეკლესია (უფრო სწორად, მისი ცენტრალური ეკლესია) თავისი მარტივი გეგმარებითა და მასების პროპორციით (კვადრატული დარბაზი, ღრმა საკურთხეველი) უფრო ამ რიგის ადრეულ ეკლესიებისკენ იხრება (მაგ. ზედაზენი), რომლებიც VI ს. ან VI—VII სს. მიჯნით არის დათარიღებული. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს კლდის ხუროთმოძღვრებისთვისაც არ არის უცხო ასეთი საკურთხევლები; ისინი გვხვდება გარეჯის უდაბნოებში (წამებული, ნათლისმცემელი და სხვ.)[5], მტკვრის ხეობის ზემო წელში (მაგ., ჯოლდაში, რომელიც გ. გაფრინდაშვილმა წინასწარულად VIII—IX სს-ით დაათარიღა)[6], რაც კიდევ უფრო გვიმტკიცებს აზრს კონდამიანის ეკლესიის ადრეშუასაუკუნეებში, უფრო კი ამ ეპოქის ადრეულ ეტაპზე შექმნის შესახებ.

საერთოდ, როგორც ჩანს, სწორკუთხასაკურთხევლიანი ეკლესიები საკმაოდ გავრცელებულია ადრეშუასაუკუნეებში როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში. გ. ჩუბინაშვილი ზოგიერთ ევროპულ ავტორზე დაყრდნობით მიგვითითებს ასეთი ეკლესიების გავრცელების ფართო არეალზე VI—IX სს. ევროპაში[7], სასანიდურ ირანში[8], მესოპოტამიასა[9] და სირიაში[10]. ჩვენს ხელთ არის აგრეთვე ცნობები ამგვარი საკურთხევლების გავრცელების საკმაო მასშტაბზე IV—VI სს. სირიაში[11].

ამგვარად, კონდამიანის ქვაბ-ეკლესიის VI ს. ან VI—VII სს. მიჯნით დათარიღება საქართველოს და უცხოეთის ძეგლების ანალოგიების მიხედვით სავსებით კანონზომიერად გამოიყურება.

კონდამიანის ქვაბთა კომპლექსების დაახლოებით ამ ეპოქაში წარმოშობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე ეკლესიიანი ჯგუფისათვის მეტად დამახასიათებელი კიდევ ერთი არქიტექტურული თავისებურება — კარნისებურად შეისრული გამოჭრები. ეს ხუროთმოძღვრული ხერხი — ჭერის შეისრულობა — საქართველოს მეზობელ, აზიის ქვეყნებში ჯერ კიდევ აქამენიდურ ირანში, ხოლო შემდგომ სასანურ ეპოქაში ფართოდ ვრცელდება[12]. რამდენად გავრცელებული იყო ამ ელემენტის გამოყენება ანტიკური ხანის საქართველოს ქვის ხუროთმოძღვრებაში, ძნელი სათქმელია — ამ პერიოდის გადახურული ნაგებობანი ჩვენში თითქმის არ არის შემორჩენილი. ამ მოტივების გავრცელება

[5] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи. Тб., 1948, с. 47.

[6] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, გარეჯი და მისი მიდამოების ქვაბები, თბ., 1957, გვ. 12—15.

[7] Г. Н. Чубинашвили, რელიქვიების მონაწერი ნ. ხუბინაშვილის საიუბილეო, ქართული ხელოვნება 7, თბ., 1971, გვ. 63—64.

[8] A. U. P o p e. A Survey of Persian Art. Vol. I. London a. New York, 1938, გვ. 564—565.

[9] J. S t r z y g o w s k i, Max Van Berchem. Amida. 1910, s. 166 und Miss Bell, გვ. 224.

[10] H. C. B u t t l e r-B a l d v i n, E. S m i t h, The Early Churches in Syria, 1929, ill. 93, 96, 108, 111, 120, 143, 161.

[11] G e o r g e s T c h a l e n k o, Villages antiques de la Syria du nord, Paris, Pe. XIII—I.

[12] E r n s t H e r z f e l d, Iran in the Ancient East. London, 1941, გვ. 201—203. 1953.

მასშტაბზე აღნიშნული ეპოქის საქართველოში ისევ კლდის ძეგლთა თიედვით გვიხდება.

უფლისციხის ანსამბლში შეისრული კამარები თანაბარი უფლებით არ სარგებლობს ბრტყელ, კოჭოვან და კესონურ ჭერებთან შედარებით. მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება. ასეთი ჭერებით (და სხვათა შორის, კლდის დამუშავების განსხვავებული მეთოდითაც) გამოირჩევა მაგ. ე. წ. „ორსვეტიანი დარბაზის“ დასავლეთის სათავსები. თ. ქართმიძის და გ. ლეჟავას მოსაზრების საწინააღმდეგოდ[13], ჩვენი დაკვირვებით ამ ტიპის სათავსები უფლისციხეში დანარჩენ ოთახებზე გვიანდელია და ანტიკური ხანის მიწურულს უნდა განეკუთვნებოდეს. ზუსტად კონდამიანის ტიპის შეისრული მოხაზულობის კამარები გვხვდება აგრეთვე ჩვენ მიერ კასპის მიდამოებში მიკვლეულ გვიანანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთ აკლდამებში[14]. ამგვარად, ეს ელემენტი დამახასიათებელია საქართველოში დღესდღეობით ცნობილი ანტიკური ხანის ორივე კლდის ძეგლისთვის.

შეისრული კამარები ფართოდაა გამოყენებული ადრეშუასაუკუნეების საქართველოს კლდის ძეგლებშიც, რომლებსაც გ. გაფრინდაშვილი, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად ათარიღებს VI—VII საუკუნეებით. ესენია გარეჯის ზოგიერთი უდაბნო-მონასტერი: საბერეები, ბერების სერი, ქოლაგირი და სხვ. (მაგ., ბერების სერის № 4 უდაბნოს ჭერები ზუსტად კონდამიანისებურია)[15]. ქვემო ქართლში ჩვენ მიერ მიკვლეულ, ჯერჯერობით ადრეშუასაუკუნეების ერთადერთ კლდეში ნაკვეთ ეკლესიასაც (სოფ. დაღეთი, სავარაუდო V ს.) შეისრული კამარისებრი ჭერი აქვს[16].

ჩამოთვლილი ფაქტები ანგარიშგასაწევი არგუმენტია ადრეული შუასაუკუნეების ქართულ კლდის ხუროთმოძღვრებაში შეისრული თაღების ტრადიციულობისა და გავრცელების მასშტაბის წარმოსადგენად. თუკი უტყუარ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ იმ აზრს, რომ კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი ყოველ ცივილიზებულ სამყაროში ქვის თუ სხვა განხრის ხუროთმოძღვრული დეტალების კოპირებით თუ არა, მიმსგავსებით მაინც ხასიათდება, აღნიშნული მაგალითები იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ გვიანანტიკურ ხანაში და ადრეშუასაუკუნეების პირველ პერიოდში თაღებისა და კამარების შეისრულობა ქართულ ქვის ხუროთმოძღვრებაში სხვა ტიპის გადახურვებთან (ნახევარწრიულ-თაღური, გვირგვინოვანი, გუმბათოვანი) ერთად თანაბარი თუ არა, საკმაო უფლებით მაინც სარგებლობდა. თაღების შეისრულობა ეპიზოდურად, მართლაც, იჩენს თავს ადრეშუასაუკუნეების ზოგიერთ საკულტო ნაგებობებში, კერძოდ კი კახეთის ადრეულ ბაზილიკებში: ნეკრესის მცირე ბაზილიკაში (თითქმის ყველა თაღი ოდნავ მაინც არის შეისრული, IV ს.), ძველ შუამთაში, მატანის ცხრაკარიში (ორივე V ს.), აგრეთვე VI—VII სს. ზოგიერთ სამეკლესიიან ბაზილიკაში (მაგ., ხაშმის სამება, ბაიხოს სამება, ალვანის ნათ-

---

[13] გ. ლეჟავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979, გვ. 8.

[14] ნ. ბახტაძე, კასპის აკლდამები, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბ., 1990, გვ. 130.

[15] გ. გაფრინდაშვილი, გარეჯა, თბ., 1987, გვ. 30.

[16] Н. Бахтадзе, Спелеостатистическая карта Кциа-Храмского бассейна. Пещеры Грузии, 12, Тб., 1988, с. 28.

ლისმცემელი, დუბე და სხვ.)[17], შემდეგ კი გვიანფეოდალურ ხანაში ისლამური არქიტექტურის ელემენტების შემოჭრამდე სამუდამოდ ქრება.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, გვგონია, არ შევცდებით, თუ კონდამიანის ქვაბებში შეისრული კამარების გამოყენებას მათი VI—VII სს-ზე გვიანი ეპოქით დათარიღების საწინააღმდეგო არგუმენტად მივიჩნევთ.

კონდამიანის ქვაბთა კომპლექსში კიდევ ორიოდე მიუვალი ჯგუფი გვეგულება, სადაც ჯერჯერობით ვერ შევაღწიეთ. გამორიცხული არ არის, რომ მათში გამოვლენილმა გეგმარებითმა თუ სხვა დეტალებმა მეტი სიცხადე შეიტანოს კომპლექსის დათარიღების მცდელობაში. სავსებით მოსალოდნელია აგრეთვე, რომ ამ საკითხის გადაჭრაში მომავალში არქეოლოგიურმა გათხრებმაც თქვას თავისი სიტყვა (ჩვენ მიერ ზედაპირულად მოპოვებული ორიოდე ნატეხი IX—X სს-ს უნდა იყოს), ჯერჯერობით კი შევეცდებით ჩამოთვლილ თავისებურებებზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება კონდამიანის სამეკლესიიან ბაზილიკასა და ქვაბთა კომპლექსს შორის ფუნქციონალურ-ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, სავსებით დადასტურდა ზემოთ აღნიშნული მკვლევრების აზრი ქვაბების და ქვითკირის ეკლესია-ნაგებობების ერთი სამონასტრო ანსამბლის განუყოფელ ნაწილებად მიჩნევის თაობაზე. როგორც ვხედავთ, კონდამიანის ქვაბთა კომპლექსი უდაბნო-მონასტრის ქვაბოვან ნაწილს წარმოადგენს — კლდეში ნაკვეთი ეკლესიით, საკრებულო-სატრაპეზოთი და ბერების სენაკებით. მისი ზოგადი სტრუქტურა სავსებით შეესაბამება საქართველოში ცნობილ დიდ და საშუალო მასშტაბის ქვაბოვან უდაბნოებს, განსაკუთრებით კი გარეჯის მრავალმთისას. პრინციპული განსხვავება კონდამიანის და გარეჯის უდაბნოებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელში ქვითკირის მოზრდილი ეკლესია ან სულაც არ ფიგურირებს, ან გაცილებით გვიანდელი მოვლენაა (მაგ. დავითის ლავრა). გ. გაფრინდაშვილის აზრი უდაბნო-მონასტრებში ქვითკირის ნაგებობათა როლის შესახებ ასეთია: „სპელეოსტიკური კვლევა-ძიებით გარკვეულია, რომ ქართული სამონაზვნო მოძრაობა ორი საფეხურისაგან შედგება: პირველი ეს არის მეუდაბნოეობა, რაც მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ უდაბნო-ძეგლებით ე. ი. ქვაბებით გამოიხატება. იგი წარმოიშვა V—VI სს. და გრძელდება VIII ს. ჩათვლით. მისი დამწერგავნი არიან მეუდაბნონი, მარტოდმყოფნი „ათცამეტი ასურელი მამა" — იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები.

მეორე საფეხური — სამონასტრო ცხოვრება, წარმოდგენილი ნაშენი ეკლესიითა და მასთან ერთ ანსამბლში გაერთიანებული ქვითკირის ნაგებობებით. სამონასტრო ცხოვრება მეუდაბნოების წიაღში ჩაისახა და განვითარდა VIII—IX საუკუნეების მიჯნაზე"[18]. კონდამიანის უდაბნო-მონასტერი, მის შემადგენელ ქვაბთა კომპლექსის ჩვენეული დათარიღების მიხედვით შესაძლოა ადასტურებს გ. გაფრინდაშვილის მოსაზრებას კლდეში ნაკვეთი ეკლესია-სენაკების პირველადობის შესახებ, მაგრამ არ შეესაბამება მის მიერ შემოთავაზებულ სქემას უდაბნოებში ქვითკირის ხუროთმოძღვრების მხოლოდ VIII—IX სს. შეჭრის თაობაზე — კონდამიანის სამეკლესიიანი ბაზილიკა მტკიცედ

---

[17] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии. Тб., 1959, с. 34—184.

[18] გ. გაფრინდაშვილი, სამონაზვნო მოძრაობა საქართველოში, „ძეგლის მეგობარი", ძბ. 1966, გვ. 5.

თარიღდება VI ს-ით. ამ მხრივ კონდამიანის მონასტერი გამონაკლისად შეგვეძლო მოგვეჩნია, საქართველოში რომ არ გაგვაჩნდეს სხვა მაგალითიც, შიომღვიმის მონასტერი, სადაც ქვაბოვან უდაბნოსთან ერთ კომპლექსში VI ს. გუმბათიანი ეკლესიაცაა გაერთიანებული. როგორც ჩანს, საქართველოს ადრეულ უდაბნო-მონასტრების ამ კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ნიუანსი დაზუსტებას მოითხოვს.

კონდამიანის უდაბნო-მონასტრის კონკრეტულ შემთხვევაში საწინააღმდეგო ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც არ უნდა გამოვრიცხოთ. ქვაბებისა და ეკლესიის შორის — კლდის საკულტო ხუროთმოძღვრება საქართველოში ხომ განუწყვეტლივ მიემართებოდა აღმავალი გზით, განვითარებული შუასაუკუნეების ჩათვლით და უკვე არსებული ეკლესიის გვერდითაც შეიძლება მოგვიანებით გაჩენილიყო უდაბნო-ფილიალი, მაგრამ ქვაბთა აღნიშნული ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე, ეს მოვლენა მეტად ხანმოკლე ინტერვალის შემდეგ თუ მოხდებოდა. მშენებლობის ფაზათა ნებისმიერ თანმიმდევრობის შემთხვევაში, დიდად არ შევცდებით, თუ კონდამიანის სამეკლესიან ბაზილიკას და ქვაბთა კომპლექსს დაახლოებით თანადროულ ძეგლებად მივიჩნევთ.

კონდამიანის ქვაბთა კომპლექსებში შემდგომ ეპოქათა რამდენადმე მნიშვნელოვანი გადაკეთების თუ რესტავრაციის კვალი არ ჩანს. ფეოდალური ხანის სხვადასხვა საფეხურზე აქ ცხოვრების მიმდინარეობის თავისებურებებს და ფუნქციონირების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, ალბათ, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა დაზუსტებს.

Н. А. БАХТАДЗЕ, Г. Э. БАГРАТИОНИ

К ИЗУЧЕНИЮ ПУСТЫНИ-МОНАСТЫРЯ «КОНДАМИАНИ»

Резюме

Очерк посвящается изучению комплекса искусственных пещер, расположенных в Телавском районе, на территории монастырского ансамбля эпохи раннего средневековья, известного по имени «Кондамиани».

Эти пещеры и ранее привлекали к себе внимание некоторых видных ученых-историков, но впервые только авторы данного исследования сумели проникнуть в них, исполнить архитектурные обмеры памятника и ввести их в научный оборот. Оказалось, что пещерный комплекс включает в себя вырубленную в скале церковь, трапезную и жилые кельи для монахов. Ссылаясь на анализ структуры и отдельных архитектурных деталей памятника, а также на сопоставление их с грузинскими и зарубежными аналогиями, авторы приходят к заключению, что этот пещерный комплекс является органической составной частью монастыря и ее, как и главную трехцерковную базилику, следует датировать VI веком. В связи с этим вопросом в статье также высказано несколько оригинальных соображений для датировки отдельных элементов, характерных для грузинской церковной архитектуры, а также насчет закономерности взаимоотношений разных компонентов, составляющих монастыри указанной эпохи.

N. BAKHTADZE. G. BAGRATIONI

ON THE STUDY OF THE KONDAMIANI HERMITAGE-MONASTERY

Summary

This investigation deals with the study of the artificial cave complex on the territory of the Early Middle Ages monstic ensemble situated in Telavi Region and known under the name of Kondamiani

These caves had long before attracted many well-known scholars' attention but only the authors of this article were first to have managed to get inside them to obtain their architectural measurements and put them into scientific circulation. A rock-cut church, a refectory and monks' dwelling cells have been confined there. On the basis of the Structure and architectural element analysis of the monument and with a view of their Georgian and foreign analogues arrive at the conclusion that this cave complex is an organic part of the monastery, presumably dating as far back as the 6th century triple churct basilica. In this connection this article contains severd original viewpoints on the dating of some details characteristic to the Georgian cult architecture and the interrelationship regularies of the constituent components of the monasteries of this epoch

ᲗᲘᲜᲐ ᲑᲝᲡᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲨᲘ

არცთუ შორეულ წარსულში ხევსურეთის საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენდა სისხლის აღებისა და კომპოზიციის წესების მეტად რთული კომპლექსი, რომლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს უკეთ წარმოვაჩინოთ ხევსურული საზოგადოების სოციალური აღნაგობის პრინციპები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებისა და ლიტერატურის[1] ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მკვლელობის შემთხვევაში სისხლის აღება ევალებოდათ მოკლულის უახლოეს ნათესავებს. თეორიულად მათი წრე საკმაოდ ფართო იყო. ის ემთხვეოდა ერთი ოჯახის და უახლოესი განაყრობის (იგულისხმება ერთი ოჯახის გაყრის შედეგად მიღებულ ოჯახთა ერთობლიობა) წრეს და არ ჰქონდა მკაფიო ფარგლები. ამავე დროს, ირკვევა, რომ სისხლის აღების მთავარი მოქმედი პირები იყვნენ მოკლულის ძმა, მამა, ბიძაშვილები, ე. ი. უახლოესი აგნატი ნათესავები, რომლებიც ყოველდღიურად ეძებდნენ მკვლელს და ცდილობდნენ სისხლი აეღოთ, განსხვავებით დანარჩენი, უფრო დაშორებული აგნატებისაგან, რომელთა ყოველდღიურ საზრუნავს არ შეადგენდა მკვლელის ძებნა. რა თქმა უნდა, ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ძმა—ბიძაშვილზე უფრო ფართო წრის რომელიმე წარმომადგენელს, მისი სურვილისამებრ, არ შეეძლო სისხლის აღებაში ინტენსიური მონაწილეობის მიღება. საუბარია იმაზე, რომ ხსენებულ პირებს ჰქონდათ არჩევანის უფლება სისხლის აღებაში რეალურ და პოტენციურ მონაწილეობას შორის.

სანამ შევუდგებოდეთ გადმოცემული მასალის ანალიზს, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ თავად სისხლის აღების ზოგადი პრობლემის ზოგიერთ საკითხს.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ჩვენ არ განვიხილავთ პრობლემის გენეზისს არც ზოგად ასპექტში და არც კონკრეტულად ხევსურეთში. ამას სხვაგან შევეხებით. აქ კი ჩვენთვის საინტერესოა სხვა რამ, კერძოდ კი ის ფაქტი, რომ სისხლის აღების წესების ერთ-ერთ ფუნქციას ხევსურეთში გარკვეულწილად შეადგენდა საზოგადოებრივი სტაბილურობის შენარჩუნება. ამ წესების არსებობა გულისხმობდა იმას, რომ საზოგადოება არ ეწინააღმდეგებოდა მკვლელის სიკვდილით დასჯას დაზარალებულის მხრიდან, ე. ი. მკვლელობის დასჯას იგივე ქმედებით, რასაც სერიოზულად უნდა დაეშინებინა მკვლელობის

---

1 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, 1, თბ., 1947, გვ. 166; ა. ვიშარაძე, ხევსურეთი, ტფ., 1932, გვ. 73; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, გვ. 114; ა. გოგინაშვილი, ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 1988, რვ. № 1 (შემდ. მასალები).

მოსურნე. ამით საზოგადოება ცდილობდა შებრძოლებოდა დანაშაულის შესაძლო ზრდას რეგიონში.

ესაა ზოგადი ფუნქცია. პრობლემის სხვა მხარეს წარმოადგენს ის, თუ როგორ ხორციელდება შურისძიება. ხევსურეთში ამას რეალურად აკეთებდა აგნატ ნათესავთა გარკვეული წრე, მაგრამ თეორიულად შურისმაძიებელთა რიცხვი უფრო დიდი იყო. პრინციპში, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ მოკვარეს ჰქონდა ვალდებულება (რაც უფრო შესაძლებლობის ხასიათს იღებდა) შურისძიებისა. თუმცა კი ეს ვალდებულება-შესაძლებლობა უაღრესად იშვიათად ხორციელდებოდა რეალურ ცხოვრებაში.

რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ მთელ გვარზე თეორიულად გავრცელებული შურისმაძიებლობის ვალდებულება მიუთითებდეს წარსულში რეალური ვალდებულებების არსებობაზე, მაგრამ ეს საკითხი არაა ჩვენი კვლევის ობიექტი და მასზე ახლა არ ვისაუბრებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ რეალური შურისმაძიებლობის შემოსაზღვრა უახლოეს აგნატთა ვიწრო წრით მიუთითებს ინდივიდუალიზაციის საკმაოდ მაღალ პროცენტზე ხევსურეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელშიც შეიმჩნევა ინდივიდუალური ოჯახის მკაფიოდ გამოხატული პრიმატი უფრო ფართო აგნატურ გაერთიანებებთან შედარებით. შესაბამისად, ოჯახის წევრის მკვლელობისას იგულისხმება, რომ ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის დანაკლისი და სიმაგიერის გადახდა, უპირველეს ყოვლისა, მისი საზრუნავია. ეს მომენტი აქ სრულიად აშკარად იკვეთება, მით უფრო, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ჩვენ მიერ ხსენებულ უახლოეს აგნატთა შორის ძმას ეკისრებოდა ყველაზე მეტად სისხლის აღება. ძმები კი საკმაოდ ხშირად ცხოვრობდნენ ერთ ოჯახში, მიუხედავად ოჯახების გაყრის მაღალი პროცენტისა ხევსურეთში. ამავე დროს, უახლოესი აგნატი ნათესავები ზოგჯერ არც ეკუთვნოდნენ მოკლულის ოჯახს, ე. ი. რეალური შურისმაძიებელი მხოლოდ დაზარალებულის ოჯახი არ იყო. ამ მოვლენის მიზეზზე აქ არ ვისაუბრებთ. შევეხებით მხოლოდ მის ფუნქციას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის აღების ფუნქციასთან: შურისძიება უნდა განხორციელდეს, ამისთვის კი საჭიროა, რომ მასში რეალურად საკმაო რაოდენობის ხალხი იყოს ჩაბმული, მაგრამ არა იმდენი, რომ საზოგადოებრივი სტაბილურობა დაირღვეს — რეალურ შურისძიებაში ბევრ ადამიანს რომ მიეღო მონაწილეობა, ხევსურეთი მუდმივი შინაომის ვითარებაში იქნებოდა, თუკი გავითვალისწინებთ საკონფლიქტო სიტუაციების სიხშირეს რეგიონში*. სწორედ ამ ბოლო თეზისის განხორციელების გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სისხლის აღებაში აგნატთა უფრო ფართო წრე მხოლოდ თეორიულ მონაწილეობას იღებდა. ცხადია, რომ საზოგადოებრივი სტაბილურობის შენარჩუნება არაა რაღაც ხელშესახები, მყარი მომენტი და მისი რეგულირება ხდებოდა შინაგანად და ბუნებრივად საზოგადოების მიერ.

---

* მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს ასეთი შეკითხვა: რატომ ხორციელდებოდა მაინცდამაინც აგნატ ნათესავებზე ეს ფუნქცია? თუკი მთავარია სისხლის აღების განხორციელება, ხომ შეიძლებოდა რეალურ შურისმაძიებელთა რიცხვი განსაზღვრულიყო სრულიად ნეიტრალური ხალხის ხარჯზე? ამ შეკითხვას ასეთი პასუხი აქვს: სისხლის აღება წარმოადგენდა ზოგადად აგნატ ნათესავთა მოვალეობას და რაც უფრო ახლოს იყო მოკლულთან, ბიოლოგიური ნათესაობის თვალსაზრისით, მისი აგნატი ნათესავი, მით უფრო ეკისრებოდა მას სისხლის აღება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი მკვლელობაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

არსებული მონაცემების[1] ანალიზის შედეგად სრულიად აშკარად ირკვევა, რომ უპირველესი და უმთავრესი პასუხისმგებლობა დანაშაულზე ეკისრებოდა მკვლელს (მეხელეს, ხევსურული გამოთქმით) და, ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებლობა მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა. ამავე დროს გარკვეული პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა მკვლელის ახლობელ აგნატთა წრეზედაც (უფრო ძმა-ბიძაშვილები), რომელთაც, მკვლელის შემდეგ, ყველაზე მეტად ემუქრებოდათ შურისძიების საფრთხე. შემდეგ მოდიოდა უფრო დაშორებულ აგნატთა წრე, რომელიც არ იყო მკაფიოდ შემოსაზღვრული. ცხადია, რომ ეს პასუხისმგებლობა ატარებდა არა რეალურ, არამედ პოტენციურ ხასიათს, რადგანაც ის ძალაში შედიოდა მხოლოდ მკვლელის ხელში ჩაუგდებლობის პირობებში.

გადმოცემულ მასალაში დანაშაულზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრიმატის აღიარებასთან ერთად ჩვენთვის საყურადღებოა პოტენციური პასუხისმგებლობის საკითხი. ვფიქრობთ, რომ მისი ერთ-ერთი ფუნქცია სრულიად აშკარად იკვეთება: რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება შურისძიების საფრთხის ქვეშ (თუნდაც თეორიულად), მით უფრო მეტად შემცირდება მკვლელობის საფრთხე, რადგანაც თუ შესაძლებლობა ექნებათ, ეს ადამიანები თავიანთ აგნატ ნათესავებს მკვლელობისაგან თავს შეაკავებინებენ. გარდა ამისა, კოლექტიურ თეორიულ პასუხისმგებლობაში ჩვენ ვხედავთ მოკლულის პატრონის მხრიდან შურისძიების უფლების გაფართოებას, რაც ლოგიკურად შეესაბამება ზოგადად სისხლის აღების წესის ფუნქციას, რომელიც ითვალისწინებს სისხლის აღების აღსრულებისათვის ყოველნაირ ხელშეწყობას. აქვე მივუთითებთ, რომ კოლექტიური პასუხისმგებლობის პოტენციური ხასიათი მიმართული იყო საზოგადოებრივი, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ, რადგანაც ხსენებული პასუხისმგებლობის რეალური ხასიათი ხევსურეთს მიიყვანდა რეალური შინაომის ზღვართან. სავარაუდებელია, რომ სტაბილურობის შენარჩუნების მექანიზმები იგივე იყო, როგორიც ზემოთგანხილულ ვითარებაში.

ცხადია, რომ ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა ამ ფაქტის განხილვა, თუ რატომ ვრცელდებოდა უფრო რეალური და ნაკლებად პოტენციური პასუხისმგებლობა მეხელის ახლო აგნატ ნათესავებზე, ხოლო ბიოლოგიური მანძილის გაზრდასთან ერთად რატომ კლებულობდა ეს რეალურობა. ვფიქრობთ, რომ აქ, ისევე როგორც შურისძიების შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს ახლო აგნატური ნათესაობის მეტი სოციალური მნიშვნელობის გამოვლინებას უფრო დაშორებულთან შედარებით. რაც შეეხება პრობლემის გენეზისს, მისი კვლევა არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის მიზანს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ სისხლის აღების წესების ერთ-ერთი დანიშნულება იყო საზოგადოებრივი სტაბილურობის შენარჩუნება იმ კანონის არსებობის საშუალებით, რომელიც ნებას რთავდა მკვლელის მოკვლას, რისაც უნდა შეემცირებინა მკვლელობათა რიცხვი საზოგადოებაში ხსენებულ წესებში რეალურად და პოტენციურად მონაწილე

---

[1] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 167—168; ა. ყამარაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 76, 77; გ. თედორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; ა. გოგინაშვილი, [illegible]

პირთა არსებობითა და მათი რაოდენობის ურთიერთშეხამებით, რაც ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვანაირი და უნიკალური იყო. ამ ორი ელემენტის არსებობა სისხლის აღების წესებში მეტად საყურადღებო ფაქტია.

ახლა შევეხოთ კომპოზიციას, რომელსაც ხევსურეთში რ ი გ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ა ერქვა.

რიგის დაყენება ხდებოდა მხოლოდ შემთხვევითი მკვლელობის დროს[4] მკვლელობის შემდეგ მკვლელი გაიხიზნებოდა თავისი სახლიდან. მოხუცი კაცი და ქალები შინ რჩებოდნენ. მათთვის თოფის სროლა არ შეიძლებოდა მიცვალებულის დაკრძალვამდე დამნაშავე მხარე შუაკაცებს მიუგზავნიდა მოკლულის მხარეს. ისინი მიუტანდნენ ასამტეხლო საკლავს, რაც ნიშნავდა იმას, რომ ვიდრე ამ საკლავით არ სთხოვდნენ პირისპატრონს, ნება მოგვეცი, რიგი მოვიტანოთ, გიყენოთ და ვილაპარაკოთ თქვენსა და დამნაშავეთ შორის, მანამდე ვერაფერს იტყოდნენ, საუბარს ა რ ა ს ტ ე ხ დ ნ ე ნ. პირისპატრონს შეეძლო უარი ეთქვა და მაშინ რიგის დაყენება არ მოხდებოდა. თუ დათანხმდებოდა, ასამტეხლო საკლავს დაკლავდნენ მის სახლში. რასაც პირისპატრონი იშვიათად დაესწრებოდა. საყურადღებოა, რომ მკვლელის ოჯახის წევრებს — მოხუცებსა და დიაც-ყმაწვილებს — არ ჰქონდათ გარეთ გამოსვლის უფლება, სანამ შუაკაცების ხელით ერთ საკლავს არ გაუგზავნიდნენ პირისპატრონს იმის სათხოვრად, რომ მათთვის გარეთ გამოსვლის ნება მიეცა. თუ უამისოდ ვინმე გამოვიდოდა გარეთ, პირისპატრონს შეეძლო ჯურუმი (ჯარიმა) მოეთხოვა ხუთი ძროხის[5] ოდენობით[6].

როგორც ვხედავთ, რიგის დაყენების საწყის ეტაპზე საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება მკვლელობაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მომენტი. ეს ჩანს თუნდაც მ ხ ო ლ ო დ მკვლელის გახიზვნაში. ამასთან, აშკარაა მკვლელის ოჯახის წევრთა პასუხისმგებლობაც, რაც ნაკლებია თავად მკვლელისაზე, ხოლო ოჯახის გარკვეულ წევრებზე საერთოდ არ ვრცელდებოდა სისხლის აღების არანაირი საშიშროება.

რიგის დაყენებაზე თანხმობის მიღების შემდეგ დამნაშავე მხარეს მრავალი გადასახადი — რიგი — უნდა გადაეხადა. მაგალითად, მკვლელის ოჯახს 9-9 ცხვარი უნდა მიეტანა მოკლულის დებისათვის, მამიდებისათვის, დისწულებისათვის. თუ მოკლულს ეს ნათესავები არ ჰყავდა, გადასახადი მის ოჯახს რჩებოდა. არსებობდა სახლის რიგიც, რომელშიც მკვლელის ოჯახი მოკლულის ოჯახს უხდიდა ერთი სამი წლის ბუღას, სამჭედლოდან სპილენძის ქვაბსა და ორ ცხვარს. თუ მკვლელი ცუდ რამეს იტყოდა მოკლულის ოჯახზე, მას დააჯარიმებდნენ 3—5 ძროხით. თუ არ დაჯარიმდებოდა, ისე აღარ დაუყენებდნენ მისგან რიგს[7] ოჯახი იხდიდა, აგრეთვე, სამახნათო რიგს, რომელიც გადადიოდა შთამომავლობაზე და საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ეს იყო ერთი ცხვარი. მას აყენებდნენ გაზაფხულზე, ვიდრე ხვნა დაიწყებოდა და ხნის პირველი კვალი გაივლიდა[8].

---

4 რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 187; ა. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალები.

5 გადასახადის ძირითადი ერთეული ხევსურეთში იყო ძროხა. არსებობდა ხელიანი ძროხა და ფეხიანი ძროხა. ძირითადად იყენებდნენ ხელიან ძროხას, რომელიც უდრიდა 4 ცხვარს, ან 3 ჩარექ სპილენძს (რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174).

6 ა. ო ჩ ი ა უ რ ი, სტუმართმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, გვ. 182, 185—186; რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 177—178; გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

7 ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 47; რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

როგორც ვხედავთ, ყველა დასახელებული გადასახადი ეკისრებოდა მკვლელის ოჯახს. არსებობდა კიდევ სხვა გადასახადებიც, რომელთა ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მათი გადახდაც ძირითადად მკვლელის ოჯახის მოვალეობას შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ მეხელეს ოჯახი გადასახადს უხდიდა მოკლულის პრაქტიკულად ყველა ახლო ნათესავს, რადგანაც ის დამნაშავე იყო ყველა მათ მიმართ (თუმცა კი ისინი, აგნატების გარდა, სისხლის აღებაში არ მონაწილეობდნენ). უნდა ვიფიქროთ, რომ რიგის დაყენება, რიგის მიტანა, რომელიც ნიშნავს დანაშაულის აღიარებას, გულისხმობს, აგრეთვე, პატიების თხოვნას. როდესაც მეხელის რიგი მიჰქონდა მოკლულის იმ ნათესავებთან, რომელთაც არ ევალებოდათ სისხლის აღება, ამით აქ კონფლიქტი ამოწურული იყო — მკვლელი რიგის დაყენებით ითხოვდა პატიებას და მათ თუნდაც რომ არ ეპატიებინათ, ეს არაფერს ნიშნავდა, რადგანაც რეალურად მკვლელს ისინი ვერაფერს დააკლებდნენ მათი სისხლის აღებაში არმონაწილეობის გამო. მაგრამ მკვლელს რომ არ მიეტანა მათთვის რიგი, ამით ის გამოიწვევდა ჭირისპატრონის, მოკლულის უახლოესი აგნატი ნათესავების რისხვას. ამიტომ, ის დაინტერესებული იყო რიგის მიტანაში, ე. ი. ცენტრალური ფიგურა აქ კვლავ აგნატები იყვნენ. რაც შეეხება რიგის მიტანას ჭირისპატრონის ოჯახში, აქ სულ სხვანაირადაა საქმე. მეხელის ოჯახს აქ მიაქვს სხვადასხვა რანგის გადასახადი, აყენებს ათასნაირ რიგს იმისათვის, რომ მიიღოს მათგან პატიება, მაგრამ, ძალიან რთული რიტუალების შესრულებამდე, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი და რომელთა შესრულებამდე ყველა ვერ აღწევდა, მკვლელი არ იქნებოდა პატიებული და შერიგებული ჭირისპატრონის მიერ. ამრიგად, რიგის მიტანა იყო პატიების თხოვნა, ხოლო ამ თხოვნის შესრულება-არშესრულება დამოკიდებული იყო ჭირისპატრონზე. თეორიულად მას შეეძლო პირველივე რიგის მიტანის შემდეგ ეპატიებინა მკვლელისათვის და შემოერიგებინა ის, რიგის დაყენების შემდგომი შესრულების პირობით, მაგრამ პრაქტიკულად ასე არ ხდებოდა და მკვლელი საკმაოდ დიდხანს რჩებოდა მუდმივი საფრთხის, მუდმივი შიშის ქვეშ. ჩვენ აქ მივადექით რიგის დაყენების წესის არსს, რომელიც მდგომარეობს პატიების, ცოცხლად გადარჩენის მ ხ ო ლ ო დ - მ ხ ო ლ ო დ შ ა ნ ს ი ს მიღებაში — როდესაც ჭირისპატრონი რიგს აყენებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის თანახმაა სიცოცხლე შეუნარჩუნოს მეხელეს მისი მხრიდან გარკვეული გადასახადების გადახდის პირობით. არა, საქმე უფრო რთულადაა — ჭირისპატრონი მას აძლევს შანსს, რომ რიგის მიტანის, სხვადასხვა გადასახადის გადახდის და შესაბამისი ურთულესი რიტუალების შესრულების შემდეგ მკვლელმა შ ე ი ძ ლ ე ბ ა მიიღოს შეწყალება. ამაშია რიგის დაყენების არსი, ხევსურული კომპოზიციის მთელი სირთულე და, ამავე დროს, მისი უაღრესი ლოგიკურობა სისხლის აღების ზევით არაერთხელ მითითებულ ფუნქციასთან მიმართებაში: რიგის დაყენების წესები უკიდურესადაა გართულებული, რადგანაც არავის არ უნდა შექმნოდა იმის იმედი, რომ მკვლელობის შემთხვევაში რაღაცას გადაიხდის და ამით გადარჩება, თუნდაც რომ ის რაღაცა ძალიან ფასეულიც იყოს ეკონომიკური თვალსაზრისით. ხევსურეთში ძალიან ფასობდა ადამიანის სიცოცხლე და ის არანაირი სხვა ფასეულობებით არ განიზომებოდა.

---

[8] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

სისხლის აღების წესებზე საუბრისას ჩვენ არაერთხელ შევეხეთ მათში პოტენციურად მონაწილე პირთა წრეს და მივუთითეთ, რომ მისი ფარგლები არამკაფიო იყო. ესენი იყვნენ ორივე მხარის აგნატი ნათესავები, რომელთა შორისაც არსებობდა გარკვეული დაძაბულობა. ბუნებრივია, რომ რიგის დაყენების წესებში გათვალისწინებული იყო ეს გარემოებაც და არსებობდა შესაბამისი წესი, რომელიც მათ შერიგებას ისახავდა მიზნად და მაქსიმალურად ზღუდავდა კონფლიქტში მონაწილე პირთა რაოდენობას.

რ. ხარაძის მიხედვით, მკვლელობის შემდეგ დრო რომ გავიდოდა, მამკლავის (მკვლელის) მესამძოები (ახლო აგნატი ნათესავები) მიუგზავნიდნენ მამკვდრის (მოკლულის) მესამძოებს შუაკაცებს, რომელთა პირითაც პატიებას სთხოვდნენ. თუ ესენი თანახმა იყვნენ, გადაუწყვეტდნენ ჟურუმს — 3—5 ხელით ძროხას. პირშესამყრელისთვის დანიშნავდნენ ერთ დღეს. მამკლავის მესამძოენი დაამზადებდნენ 5 ძროხა ღრამას, წაიღებინებდნენ შუაკაცებს ხატში სვესა და ფურს და ლუდს ადუღებინებდნენ.

მამკლავისა და მამკვდრის მესამძოენი ხატში იკრიბებოდნენ. აქ არ იყვნენ მხოლოდ მკვლელი და სათოფედ განწირულნი (მკვლელის ძმა, ან ბიძაშვილი), რომელთა შერიგებაზე მამკვდრის მესამძოები უარს ამბობდნენ.

ხატში მიმდინარეობდა პურობა, რომელშიც მონაწილეობდა ხუცესიც. ხატში შეკრებილები ორ საკლავს კლავდნენ მამკვდრის მესამძოების მისვლისას. მესისხლეებს შუაკაცები ერთმანეთისაგან განცალკევებით სვამდნენ. შერიგების განმტკიცების მიზნით მათ აძმობილებდნენ.

მერე ერთი საკლავით მივიდოდნენ მოკლულის დედასთან. ქუდმოხდილნი სხდებოდნენ სახლის ზღურბლთან. ოჯახის უფროსი დიასახლისი მივიდოდა მათთან, შემოიყვანდა სახლში. ყველანი ლუდს სვამდნენ და მცირე ხანს რჩებოდნენ სახლში. როდესაც წასვლას დააპირებდნენ, მკვდრის პატრონი იტყოდა, რომ მათ შორის აღარაა მტრობა, შეუძლიათ თავისუფალი მისვლა-მოსვლა. იხსნება ყველა ადრინდელი შეზღუდვა. მეხელესა და სათოფედ განწირულის გარდა, ყველასთან შერიგებული არიან[9].

ამას ეწოდებოდა სამძოს გადახდა. თუკი გავიხსენებთ იმას, თუ რამდენი რიგის მიტანა უხდებოდა მეხელის ოჯახს და ის მაინც შეურიგებელი რჩებოდა ძმა-ბიძაშვილებთან ერთად (ალ. ჭამბარაულის ცნობით, ღვიძლ ძმებთან ერთად)[10] კიდევ ერთხელ ცხადი ხდება დანაშაულზე პასუხისმგებლობის არცთუ ძალიან კოლექტიური ხასიათი[11]. ხოლო თუკი იმასაც გავიხსენებთ, რომ რიგის დაყენების გარეშეც მკვლელთან ერთად პასუხისმგებლობა მის უახლოეს აგნატ ნათესავებსაც გარკვეულწილად ეკისრებათ, ცხადი გახდება, რომ ხევსურულ კომპოზიციაში სრულიად მკაფიოდაა ასახული სისხლის აღების

9 რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—182.

10 ალ. ჭ ა მ ბ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

11 დაკვირვებული მკითხველი ალბათ შეამჩნევს, რომ აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს დანაშაულზე პასუხისმგებლობის მკაცრ ინდივიდუალიზაციასთან, რადგანაც მეხელესთან ერთად, შეურიგებელი კიდევ ერთ-ორი კაცი რჩება. ეს ეთანხმება კარგად შესაბამებს სისხლის აღების წესებსაც, რომელთა მიხედვით, ხსენებული პირები, მეხელის შემდეგ, ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე არიან. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მათაც ეხსნებათ პასუხისმგებლობა. უფრო შემთხვევაში, როდესაც ხდება მკვლელის პატიება (ამას შემდეგომ შევეხებით), მეხელესთან ერთად არავინაა და რჩებოდა მხოლოდ მის პატიების გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ საქმე, მისი აგნატი ნათესავებიც იქნებოდნენ მის გვერდით ამ წესით.

ადგილობრივი წესები: ამ პირთა შერიგება, რომელთა მონაწილეობა სისხლის აღების წესებში პოტენციური ხასიათისაა, ბევრად უფრო იოლად ხდება, ვიდრე იმ პირთა შერიგება, რომლებიც ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არიან.

მეხელეს მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდებოდა ე. წ. „ჯვარში შაჭდომის" შემდეგ, რომელთა წესებს შესანიშნავად აღწერს ალ. ოჩიაური.

მკვლელობიდან ორი-სამი წლის შემდეგ მეხელე პირისპატრონს „ჯვარში შაუჭდებოდა". როდესაც ამის დრო მოვიდოდა, მამკლავი მოამზადებდა არაყს, ერთი სამი წლის კურატს, ერთ ცხვარს და ხუთ ლიტრა სპილენძს. ამას ყველაფერს ის საიდუმლოდ აკეთებდა, რომ პირისპატრონისთვის ამბავი არავის მიეტანა და მამკლავისთვის გზა არ შეეკრათ. ბოლოს მკვლელი შეარჩევდა სამ-ოთხ ახალგაზრდას, ღამე წავიდოდა, მიიპარებოდა მამკვდრის სოფლის მთავარ სალოცავში. აქედან მისი ერთ-ერთი თანამყოლი წავიდოდა და ხუცესს მოიყვანდა. თუ ამ სოფელში ვინმე სანდო და საიმედო ახალგაზრდები და მოკეთეები ჰყავდათ, იმათაც შეატყობინებდნენ. ისინიც და ხუცესიც ღამით ჩუმად მოვიდოდნენ. ახალგაზრდები ჯვართ იქით-აქეთ ათვალიერებდნენ, რომ მათი მოსვლის ამბავი არ ჰქონოდა გაგებული მოკლულის მხარეს, აქ არ მოპარულიყო და საკლავის დაკვლამდე მამკლავი არ მოეკლა. საკლავის დაკვლის შემდეგ კი ადვილად ვეღარ მოჰკლავდნენ, რადგანაც ჯვარს მიებარა და ის გაიხადა თავის მფარველად. საკლავს დაკლავდნენ; კურატსაც, დრამასაც იქ დააწყობდნენ და სასმელს სიჩქარით დალევდნენ. მერე ჯვარის ახალგაზრდები გამოაცილებდნენ მოსულ სტუმრებს კარგა შორ მანძილზე. ჯვარში კი დარჩებოდა მამკლავის მოყოლილი შუაკაცი, ხუცესი, ახალგაზრდებიც აქვე მოვიდოდნენ, დალევდნენ მამკლავის მოტანილ არაყს. მერე დაკლულები და დრამა აქ დარჩებოდა, თვითონ კი სოფელში წავიდოდნენ. მამკლავი და მისი გამყოლი ხალხი გათენებამდე საშველობო გზას გამოვიდოდა. მეორე დღეს შუაკაცები მოიმხრობდნენ ადგილობრივებსაც, მოვიდოდნენ და ეტყოდნენ პირისპატრონს. ახალგაზრდები გაატყავებდნენ კურატს, ტყავსაც და ხორცსაც მიიტანდნენ პირისპატრონის სახლში. ცხვრის ტყავი და კურატის ტყავის ნახევარი შუაკაცებს რჩებოდა, ნახევარი ტყავი და კურატის ხორცი — პირისპატრონს. ცხვარს კი აქვე მოხარშავდნენ და ჭამდნენ ყველანი. პირისპატრონს ეს ამბავი არ ესიამოვნებოდა, რადგან ამის მერე იოლად ვეღარ მოჰკლავდა მეხელეს, მაგრამ მოსული სტუმრების პატივისცემის გამო ვეღარაფერს ამბობდა. ისინი საკუთარ არაყს მიიტანდნენ და პირისპატრონის სახლში დაიწყებდნენ სმას, ოღონდ ამ მამკლავ-მამკვდრობის ირგვლივ ბევრს არაფერს ლაპარაკობდნენ. პირისპატრონი სტუმრებს, რითაც შეეძლო, პატივს სცემდა და მერე გამოისტუმრებდა.

„ჯვარში შეჭდომის" შემდეგ მეხელეს მოსაკლავად ძებნას აღარ დაუწყებდნენ, თუ არ გაბრიყვდებოდა და არაფერს აწყენინებდა პირისპატრონს. როცა ისინი მის ძებნაზე ხელს აიღებდნენ, ამას ეწოდებოდა „თოფის აღება"[12].

„ჯვარში შაჭდომის" მერე მკვლელს პრაქტიკულად აღარ ემუქრებოდა საფრთხე, მაგრამ ის მაინც არ ითვლებოდა პირისპატრონთან საბოლოოდ შერიგებულად. ამისთვის საჭირო იყო პირშესამშვიდებლის ჩატარება.

---

12 ა. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. [illegible]

ეს საქმეც შუაკაცების მეშვეობით ეწყობოდა. როდესაც პირისპატრონი თანხმობას იტყოდა პირშასამყრელოზე, მის მთავარ სალოცავში შუაკაცები ან თვითონ წაიღებდნენ სვეს და ქერის ფქვილს, ან სხვა ახალგაზრდებს გაგზავნიდნენ (ფქვილი და სვე იყო მამკლავის ოჯახიდან) და ადუღებდნენ ლუდს.

ჭურუმებსაც დაამზადებდნენ, რომელთაც პირისპატრონი წაუყვანებდა მამკლავის მხარეს; ორ საკლავს (ცხვარს) და ერთ კურატს მამკლავი დააყენებდა. დანიშნულ დღეს შუაკაცები და რამდენიმე ახალგაზრდა წაიყვანდნენ მამკლავს და ძროხასაც წაიღებდნენ. ღამით მოვიდოდნენ იმ ჯვარში, სადაც ლუდი ჰქონდათ ნადუღარი. ერთი, ან ორი შუაკაცი მოკლულის სოფელში შევიდოდა, გამოუძახებდნენ ხუცესს, რამდენიმე სხვა გვარის ახალგაზრდას (მოკლულის ნათესავები არ უნდა ყოფილიყვნენ) და გაგზავნიდნენ ჯვარში. მისულებს მშვიდობა-ამბავს კითხავდნენ სტუმრებს და მამკლავს ისეთ ადგილზე სადმე წაიყვანდნენ, რომ დანიშნულ დრომდე ის თვალით არ ენახათ მოკლულის აგნატ ნათესავებს. ამ დროს შუაკაცები მოკლულის ქვეგვარის (აგნატი ნათესავების წრე) ყველა მამაკაცს, ბავშვების გარდა, მოუყრიდნენ თავს მოკლულის სახლში. ერთ-ერთი შუაკაცი გააცნობდა მათ მოსვლის მიზეზს და მოუწოდებდა შერიგებისაკენ. მერე ყველა შეიხსნიდა იარაღს, შუაკაცები შეამოწმებდნენ მათ და მერე თავადაც შეიხსნიდნენ იარაღს, რომელსაც ყველანი პირისპატრონის სახლში დატოვებდნენ და ისე მოვიდოდნენ ჯვარში. გარკვეული რიტუალის ჩატარების შემდეგ ყველანი საქვაბეში შევიდოდნენ. ამის მერე ისევ სრულდებოდა შესაბამისი რიტუალები და შუაკაცები და სხვა ახალგაზრდები მამკლავს მოიყვანდნენ, რომელიც მოკლულის გვარის კაცებიდან კარგა შორს მუხლზე დაჯდებოდა ქუდმოხდილი და თავდახრილი. ხუცესი დაამწყალობნებდა, იტყოდა შერიგების სიტყვებს. ხუცობა რომ დამთავრდებოდა, დაიკვლებოდა კურატიც და ცხვარიც. ამის შემდეგ კიდევ დაამწყალობნებდნენ. მერე შუაკაცი აიღებდა თასს, აავსებდა ლუდით, პირველად მიუტანდა უფროს კაცს პირისპატრონის აგნატი ნათესავებიდან. ეს თასი ითვლებოდა მამკლავისგან პატივად მიტანილ თასად. ხუცესი დალოცავდა მას, თასის მომტანის მიცვალებულისათვის დაილოცებოდა და ვინც დალოცავდა, ის დალევდა. მერე მოკლულის ნათესავებიც დალევდნენ და სხვა დამსწრენიც.

ამის შემდეგ მოკლულის ერთ-ერთი ნათესავთაგანი ადგებოდა, აავსებდა თასს, მივიდოდა მამკლავთან, მოჰკიდებდა მხარზე ხელს და ეტყოდა — ბევრი ვეცადეთ შენს მოკვლას, არ გამოგვივიდა, დღეიდან ნურაფრის გეშინია და ა. შ. მას ფეხზე ააყენებდა, ხალხში მიიყვანდა, ხელში ლუდიან თასს მისცემდა და ეუბნებოდა: „ჯვარ დაგწერას ღმერთი“. „ჯვარის წყალობა გქონდას“ — ჩუმად პასუხობდა ის და ისევ ფეხზე ადგებოდა, ვიდრე თასის მიმცემი თავის ადგილზე არ დაჯდებოდა. ცოტა ხანს მასაც დასვამდნენ. ის დალოცავდა თასს, ცოტას მოსვამდა, მერე ვინმე შუაკაცს გადასცემდა და ისევ ხალხის ბოლოს დაჯდებოდა მუხლით.

როდესაც ხორცი მოიხარშებოდა, გააწყობდნენ „ტაბლას“, ხოლო მისი აღების შემდეგ შუაკაცები აავსებდნენ ლუდით ერთ საწდეს და მამკლავს წაიყვანდნენ მამკვდრის სახლში. თან ერთ საკლავსაც გაატანდნენ „ზღურბლის სამლახაოდ“ (ზღურბლის ლახვა ეწოდებოდა კაცის სახლში შესვლას და ზღურბლზე ფეხის დადგმას): რადგანაც მამკლავის შესვლა მამკვდრის სახლში მძიმე საქმე იყო, ამიტომ იკვლებოდა ეს შესვლის საკლავი „ზღურ-

ბლის სამლახოდ". მამაკაცები არ იყვნენ მოკლულის სახლში, რადგანაც ყველანი ჯვარში იმყოფებოდნენ და ლუდის სმას განაგრძობდნენ. ოჯახში დახვდებოდათ მარტო დიაც-ყმაწვილი.

სახლში ჯერ შუაკაცები შევიდოდნენ და ეტყოდნენ იქ მყოფთ, რომ მათთან მკვლელი უნდა შემოსულიყო, რომელიც ამ დროს გარეთ იყო, ერთი კაცის თანხლებით, გზიდან მოფარებულ ადგილას, არავის რომ არ დაენახა.

მერე ერთი ქალი — ძირითადად ხნიერი, თუ ის არ იყო, მაშინ ახალგაზრდა — იტყოდა: ძნელია ამ კაცის სახლში შემოშვება, მაგრამ რას იზამ, ასეთია წესიო და ერთი შუაკაცი გარეთ გავიდოდა მკვლელს სახლში შემოსაყვანად. ის კარიდანვე მუხლზე დაჯდებოდა და მუხლით სიარულით შევიდოდა სამყოფ სახლში. კარის იქით ის გაჩერდებოდა. ოჯახის წევრები მიეგებებოდნენ მამკლავს და ეტყოდნენ: „მოგვიხვე მშვიდობით". მამკლავი პასუხს ვერ გასცემდა და იჯდა მუხლებზე, თავდახრილი.

შუაკაცები საკლავს წამოაყენებდნენ და დაკლავდნენ ოჯახის წევრთა სამწყალობნელოდ. მერე საწდიდან ლუდს ამოიღებდნენ და საწდესაც და თასსაც იმ სულებისთვის დალოცავდნენ, რომლებიც ამ შერიგებაში ხელს უმართავდნენ და ამ საქმეს კარგად უქცევდნენ. მოკლულის სულს არ ახსენებდნენ, რადგან მამკლავის იქ ყოფნის დროს უხერხული იყო მისი ხსენება. მერე შესრულდებოდა შესაბამისი რიტუალი და შემდეგ უფროსი ქალი დალოცავდა მკვლელს ისე, რომ მის სახელს არ იტყოდა. მერე მკვლელს მიაწვდიდა ლუდიან თასს. ლუდის დალევის შემდეგ მამკლავი მუხლზე დაჯდებოდა და ისე გავიდოდა ზღურბლზე უკან-უკან გავლით, რომ ოჯახის წევრებისათვის ზურგი არ შეექცია. გარეთ რომ გავიდოდა, ფეხზე ადგებოდა. შუაკაცებიც ჯვარს დასწერდნენ და გამოვიდოდნენ ოჯახიდან. მასპინძლები გამოჰყვებოდნენ და იტყოდნენ: „მშვიდობით წევედით, ხელი მაგიმართასთ ღმერთმა". „ჯვარ გვწერასთ" — ეტყოდნენ შუაკაცები და წავიდოდნენ.

მამკლავი იმ ღამეს სხვა სოფელში გადავიდოდა, იმ სოფელში კი რამდენიმე თვე, ან წელიწადი დღისით გარეთ არ გამოჩნდებოდა. თუმცა წესი ნებას აძლევდა, ის მაინც ეხათრებოდა ჭირისპატრონს და მის თვალწინ გავლას ყოველთვის ერიდებოდა[13].

ამ მეტად რთული და მონაწილეთათვის მეტად მძიმე გადასატანი რიტუალის დაწვრილებითი ანალიზი არ შედის ჩვენს გეგმაში. მივუთითებთ მხოლოდ რამდენიმე მომენტზე. ესენია: სამლოცველოს, ჯვარის მსახურთა უდიდესი როლი საბოლოო შერიგებაში და, ზოგადად, რიგის დაყენების მთელ პროცესში; შემორიგების ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი აქტის დასრულება მკვლელის სახლში მიღებით, რაც სახლის (ოჯახის) დიდ როლზედაც მიუთითებს, ხოლო ამ მომენტში ყოფილ მოსისხლეთა სახლში არყოფნას შეიძლება რაიმე ფუნქციური დანიშნულება ჰქონდეს, მაგალითად: მათი გრძნობებისადმი პატივისცემა; აღსანიშნავია, აგრეთვე, ქალის როლი ამ პროცესში (შდრ. ქალის ფუნქცია საძმოს გადახდის დროს); მკვლელის მიერ საკუთარი პიროვნების სრულიად აშკარა და აბსოლუტური ხაზგაუსმელობა, რაც უნდა მიუთითებდეს მისი მხრიდან იქ მყოფთა და, უპირველეს ყოვლისა, ჭირისპატრონთა უდიდეს პატივისცემაზე. ამასთან ერთად, აქ შეიძლება საქმე გვქონდეს მკვლელის მალვის რიტუალურ გაგრძელებასთან, რომელსაც საბოლოოდ

13 ა. ოჩიაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 191—202.

ამთავრებს პირშესამყრელის პროცესი. აღსანიშნავია მკვლელის სახლის ტაბუაცია მოკლულის სახლში, რაც უერთდება ადამიანის სახელზე არსებული ტაბუაციის იმ რთულ სისტემას, რაც მეტისმეტად იყო გავრცელებული ხევსურეთსა და მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ფრიად საყურადღებოა, აგრეთვე, შუაკაცების მეტად რთული და ხშირ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა პირშესამყრელისა და რიგის დაყენების მთელ პროცესში.

პირშესამყრელის შემდეგ ხდებოდა დამნაშავის საბოლოო პატიება მოკლულის ოჯახის მხრიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავდა რიგის დაყენების დამთავრებას, რაც მხოლოდ პირისპატრონის ნებაზე იყო დამოკიდებული.

И. И. ГОГИНАШВИЛИ

ПРАВИЛА КРОВНОЙ МЕСТИ И КОМПОЗИЦИИ В ХЕВСУРЕТИ

Резюме

Согласно правилам кровной мести в Хевсурети обязанность кровомщения возлагалась в основном на ближайших агнатических родственниках убитого — членов его семьи. Она возлагалась и в более потенциальной форме. Ответственность за убийство возлагалась на убийцу, хотя опасность, в меньшей, правда, мере угрожала и его ближайшим агнатическим родственникам.

Иногда при непредумышленном убийстве, кровная месть заменялась композицией, которая называлась rigis daqeneba. Она включала в себя сложный комплекс обязательств, возложенных в основном на семью убийцы. Только беспрекословное их выполнение давало убийце шанс выжить. В этом заключается основная характерная черта хевсурской композиции: согласие на rigis daqeneba со стороны родственников убитого не гарантировало автоматически жизнь убийце, оно лишь давало ему возможность остаться в живых.

В правилах кровной мести и композиции прослеживается высокая степень индивидуализации, что подразумевает примат индивидуальной семьи в деле решения всех проблем, связанных с убийством.

I. GOGINASHVILI

THE RULES OF BLOOD FEUD AND COMPOSITION IN KHEVSURETI

S u m m a r y

According to the rules of blood feud and composition in Khevsureti the obligation of blood fend laid upon the closest agnatic kins of murdered, which were the members of his family. Responsibility of murder laid upon the killer on the whole.

Sometimes in case of fatal accident, blood feud changed by the composition, which was called as rigis daqeneba in Khevsureti. It comprised a complex of obligations, laid upon the killer's family on the whole. Only the carry out of these obligations gave the chance the killer to stay alive. This is the main feature of local composition. Consent of rigis daqeneba from the killed's kins side didn't guarentee' the killer to stay alive; it gave him only the chame to survive.

In the rules of blood feud and composition traces the high degree of individualization, which implies the primacy of individual family in the case of solution of the problems connected with the murder.

წარმოადგინა მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

დისკუსია და განხილვა

[illegible]

კვლავ შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ისტორიის შესწავლისათვის

(„მოლაშქრეობის“ გამო)

ჟურნალ „მაცნეს“ (ისტორიის სერია) 1991 წ. მეორე ნომერში გამოქვეყნდა აკად. ნ. ბერძენიშვილის ნარკვევი „მოლაშქრეობის“ შესახებ, სადაც გაშუქებულია შუა საუკუნეების საქართველოში სამხედრო საქმის ორგანიზაციის არსებითი საკითხები. იმედია, სპეციალისტები გამოეხმაურებიან ამ ნარკვევს, ჩვენ კი ჩვენის მხრივ ამჯამად გვინდა შევეხოთ პრობლემის ერთ მხარეს — იმას თუ რა განასხვავებდა საქართველოში მონღოლების გაბატონებამდე არსებულ კომლს, რომელსაც სალაშქრო ვალდებულება ეკისრა, და შემდგომდროინდელ საგლეხო ფუძეს, როგორც სამხედრო-საგადასახადო ერთეულს.

ნ. ბერძენიშვილი წერს: „მოლაშქრეობის ქართული წესის თანახმად, ლაშქრობდა ის (გლეხი-მოლაშქრე), ვისაც სრული მიწა ჰქონდა ანუ, გვიანი ტერმინოლოგიით, ვინც სრული კომლი იყო. ეს იყო ძველთაგანვე მიღებული წესი („ევერიკა“), ე. ი. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მოლაშქრე იყო ერისგანი, ეროვანი... და ეს წესი შერჩა გვიანაც. მონღოლებმაც, უნდა ვიფიქროთ, ეს წესი გამოიყენეს. ახალი წესის მოგონება მათ არ შეეძლოთ და რომ შეძლებოდათ კიდევაც, მას საქართველოში ვერ გაატარებდნენ. ეს იქნებოდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ძირფესვიანად ხელყოფა. ახალი აქ ის იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა კი არ გაიწვიეს, არამედ მეათედი იმათგან, ვისაც ლაშქრობა ევალებოდა და საამისო ხარჯი ლაშქრობის ყველა მოვალეს დააკისრეს“. იგულისხმება ჟამთააღმწერლის ცნობა იმის შესახებ რომ მონღოლებმა: „ცხრასა გლეხსა სრულსა მიწის მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან“.

ნ. ბერძენიშვილი აქ ხაზს უსვამს იმას, რომ ლაშქრობის მატერიალური საფუძველი მოლაშქრე საზოგადოების სრულფუძიანობა იყო ძველთაგანვე, ანუ იმ დროიდან, როცა მოლაშქრედ ერისგანი, ეროვანი გვევლინება, გვიანობამდე, — როდესაც გაჩნდა გლეხი-მოლაშქრე.

აქ არსებითი ის არის, რომ ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით საზოგადოების კომლებად (სრულ ფუძეებად) დაყოფა მომხდარი იყო ჯერ კიდევ თემის დაშლამდე, როდესაც მოლაშქრეებს ერისაგანნი ანუ ე. წ. მდაბიორ-მოლაშქრენი წარმოადგენდნენ. როგორც ცნობილია, ნ. ბერძენიშვილი ასეთი საზოგადოებრივი ფენის არსებობას გულისხმობდა XI—XII საუკუნეებამდე, როდესაც ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად ხდება მდაბიორ-მოლაშქრეთა — ერის ინტენსიური გაგლეხება და საბოლოო გაქრობა (ქვეყნის ბარის

12. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 4

ნაწილში). ამავე დროს არსებობს მოსაზრება, რომ ეს პროცესი გაცილებით უფრო ადრე, ყოველ შემთხვევაში VIII ან IX საუკუნეებში უკვე დასრულებული იყო. ამის ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავთ ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელში“ ქართლის მოსახლეობის კომლებად თუ ოჯახებად დაყოფის ფაქტი, რის მიხედვითაც თითქოს VII საუკუნეში თემური მიწისმფლობელობა და ალოდური სისტემა მთლიანად გამქრალი იყო.

ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოტანილი მსჯელობით კი კომლებად (ოჯახებად) დაყოფა და ამ კომლებისათვის სალაშქრო ვალდებულების დაკისრება ოდითგანვე უნდა ჰქონოდათ წესად საქართველოში, იმ დროს, როცა თემი საბოლოოდ დაშლილი არ ჩანს, არამედ სახეზეა ერთდროულად მწარმოებელი და მოლაშქრე საზოგადოების (მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ „ერის“) თემობრივად დამორჩილება, ე. ი. ფეოდალურ ურთიერთობათა წრეში შეყვანა არა ინდივიდუალურად, ცალკეული კომლებისა, არამედ მთელ თემებად.

ასე, რომ „დაცვის სიგელის“ ტექსტი: „ყოველ კომლზეა სრული დინარი. თქვენ არა გაქვთ უფლება გააერთიანოთ სხვადასხვა ოჯახი ჯიზიის შესამცირებლად, არც ჩვენ გვაქვს უფლება, რომ დავყოთ კომლი ჯიზიის გასადიდებლად“[1] მეტყველებს იმაზე, რომ არაბებმა, როგორც ფისკალური ერთეული გამოიყენეს თემებში გაერთიანებული კომლები, რომელნიც, თავის მხრივ, წარმოადგენდნენ არა მარტო საგადასახადო ერთეულებს, არამედ ქართული წესის მიხედვით, სამხედრო ერთეულებსაც. არაბებისათვის ამ თვალსაზრისით ეს კომლები არ იყო საინტერესო, რადგან მათი „წესით“ მოლაშქრედ ითვლებოდა მხოლოდ მართლმორწმუნე მუსლიმანი, ხოლო სხვებს არა სამხედრო ვალდებულება, არამედ დამამცირებელი ჯიზია ეკისრებოდათ.

როგორი ვითარება გვაქვს მომდევნო ხანებში?

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით „ერის“ ანუ მდაბიორ-მოლაშქრეთა გაგლეხების პროცესი ძირითადად XI—XII სს. მთავრდება. საზოგადოება საბოლოოდ ორად იყოფა — ფეოდალურ კლასად და დაბეგრილ ყმა-გლეხობად (თუ გარდამავალ საშუალედო ფენებს არ მივიღებთ მხედველობაში). ადრეფეოდალური ხანის უშუალო მწარმოებელთა — „ერის“ თემობრივად დაყმევება ინდივიდუალურმა, ანუ კომლობრივმა დაყმევებამ შეცვალა. ამ ფენის დიდი ნაწილი შეუერთდა [illegible] დაბეგრილი მოსახლეობის, შემდეგდროინდელი ტერმინოლოგიით — გლეხთა მასას, ეს იყო საზოგადოების ფეოდალიზაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგი.

ყოველივე ეს მოასწავებდა ძველი მოლაშქრე საზოგადოების გადაშენებას და შესაბამისად სამხედრო ვალდებულება იმ ფენებზე უნდა გადასულიყო, რომელნიც „ერის“ მემკვიდრედ გვევლინებიან. ესენი იყვნენ „აზნაურული“ უმცირესობა და ყმა-გლეხთა უმრავლესობა, რომლებიც მომავალში ქმნიდნენ ქვეყნის სამხედრო ძალის დიდ ნაწილს. უეჭველია, სწორედ ეს მოვლენაა ასახული ჟამთააღმწერელის ცნობაში მონღოლთა მიერ სამხედრო მოვა-

---

[1] იხ. ი. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამის „დაცვის სიგელი“ ჰუმაიდ იბნ ზანჯევაიჰის „ქონების წიგნში“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 2, გვ. 105.

